বহুবর্ণ

ბინები თბილისში,
დიდ დიღომში
143.მ. - 450$

599 499 994

№ 11(73)
მარტი, 2016

ჟურნალის ეს ნომერი იბეჭდება ბატონ **რამაზ გოცირიძისა** და ქალბატონ **მარინა სანაძის** უშუალო თანადგომით

5 **სარედაქტორო**
როცა სამშობლო შენი სიცოცხლეა!

16 **ქართული**
მედიის ანატომია

17 **ტყუილი**
ხშირად დარჩენილხართ მოტყუებული?

18 **ია ანთაძის**
შეთავაზება მთავრობას

19 **ჩვენი**
ხმაწართმეული ისტორიები

22 **ლაშა ბუღაძის**
პუტინის დედა

26 **ამერიკული ვესტერნის**
გურული გმირები

28 **პადამ, პადამ, პარიზ!**
შენ ნამყოფი ხარ საფრანგეთში?

36 **ნიკოლოზ ჩხეიძე**
ჩვენ დღეს სხვა ემიგრაცია ვართ

42 **მიხეილ ქვლივიძის**
უცნობი ნარკვევი ამერიკაზე

46 **„ილუზიონი“ კაბადონებში**
ვარსკვლავები არ კვდებიან

50 **ტალანტი „ფეისბუკიდან“**
სულ სხვანაირი ირინა მიქაბერიძე

54 **მსოფლიოს ქართული ბესტსელერი**
პაპაშვილის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

60 **სიმონ არველაძე - 95**
ორი ემიგრანტის პორტრეტი

63 **რეზო ინანიშვილის**
მოთხრობა „ცეტები“

64 **ჯემალ აჯიაშვილი**
მეტაფორები

დასაბამიდან:

რედაქტორის გვერდი

ერთ-ერთი უცუდესი ოსკარის გახსნა, რაც კი მინახავს...

პოლიტიკა ყოველთვის იჭრებოდა ამ სცენაზე, მაგრამ ასეთი დოზის რასიზმი, თან ამ კონტექსტში, და 21-ე საუკუნეში, - პირველად ვნახე.

„Disgusting“ - ასეთი სიტყვაა ინგლისურში.

მე ქართულად მოვერიდები ამ ყველაფრისთვის სახელის დარქმევას, რადგან უზრდელობა ჩემი ზნე არაა.

წლევანდელი საღამო შავკანიანს მიყავდა...

შარშან, ელენისგან განებივრებულები, სასწაულს მოველოდით.

იცი, რა უსამართლობაა, შავმა ან თეთრკანიანმა მიაღწიოს „ოსკარის“ წამყვანობას, 85 მილიონი მაყურებელი უყურებდეს და მაინც უსამართლოდ დაიჩივლო, რომ შავებს ბედი არ წყალობს, აქაოდა, რასიზმი მეფობს აკადემიაშიო, და მთელი მონოლოგი ამაზე ააწყო.

სიმართლე თუ გინდა, -

- ისინი ისევ წინა საუკუნეში დარჩნენ!

- ქვეყნის პრეზიდენტად შავკანიანი ავირჩიეთ, ისინი ისევ რასიზმზე სტირიან!

თორე მე ვგიჟდები მორგმან ფრიმანზე, დენზელ ვაშინგტონზე; მაბოდებს ჰალი ბერიზე; ვიტირე ფორესტ უითაქერის შესრულებულ როლზე „მსახურში“; ოპრაზე და ვუპიზე ჩემი აღტაცება შორს წაგვიყვანს...

ამით, წამყვანმა, და ყველა იმათმა, ვინც ეს ტექსტი წაიკითხა, მე კი არ მომაყენეს შეურაცხყოფა, არამედ, ჰეტი მაკდანიელს, „ქარწაღებულის“ შავკანიან მსახიობს, მის სულს, ჯერ კიდევ 1939-ში რომ მიიღო ოსკარი.

დავანებოთ თავი, ჰოლუვუდის ბულვარი შავკანიანთა ვარსკვლავებით რომაა სავსე, ოსკარზე საჩივარი როგორ შეიძლება დაგცდეს, როცა ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, ოსკაროსანები არიან: სიდნი პოითერი, ჯემი ფაქსი, ლუის გასეტი, ჯენიფერ ჰადსონი, ოქტავია სპენსერი, შარშანდელი ოსკაროსანი ლუპიტა ნაიონგი...

სულ 35-მდე ოსკარი მოვთვალე, - 35-მდე მათში აღმოჩენილი ნიჭიერება.

„ჯადა პინკეთ სმითმა ბოიკოტი გამოუცხადაო ოსკარსო, რასიზმიაო ოსკარზეო“.

ნეტავ ჯერაც მისი მეუღლეა ვილ სმითი?

250 მილიონი წლიური შემოსავლით და ოთხი გრემით? თუ ჩემი მეგობრის, მარინესი?

2009 წლის ნობელის დაჯილდოების ცერემონიალზე ვინმემ დაბლოკა ჯადას სიმღერა?!

32 ფილმშიც გაუხსნეს კარი... ცხრა უმაღლესი ჯილდოც მის ანგარიშზეა. ეს მაშინ, როცა ჰოლივუდს ჯერაც არ აღმოვუჩენივარ მე - თეთრკანიანი ქუთაისელი, არცთუ უნიჭო.

გულისამრევი იყო წამყვანის, ქრის როკის კომენტარი „ხსოვნის ბლოკის“ წარდგენისას, როცა დაამატა: ხსოვნა იმ შავკანიანებისო, ვინც კინოში მიდიოდნენ და პოლიციელებმა ესროლესო.

და ამას ვისმენ რამოდენიმე საათის შემდეგ იმ ტრაგედიიდან, როცა დღეს, გამთენიისხანს, 48 წლის ქართველი ბესიკ შენგელია, საკუთარ მანქანასთან მდგომი ქვეითი მოსიარულე, ქვინსში მანქანამ გაიტანა და მიიმალა.

და მთელი 30 წუთი ოსკარის ტრიბუნიდან მესმის წარსულის მონოლოგები...

მე არ ვიცი, რომელი „შავი ისტორიის თვეში“ ვცხოვრობთ ახლა, მაგრამ „ოსკარი“, ვიცოდი რომ არც თეთრი იყო, არც შავი, - ოქროსი თუ ოქროსფერი მეგონა.

და მისმა სიშავემ გადაფარა ლეონარდოსთან ურმით მისული სამართალიც, გაგა-ბაიდენის უძლიერესი მესიჯიც და ვატიკანის შემაზანზარებელი ფილმიც ჩემი პროფესიის სიდიადეზე.

ერთმანეთს შევხვდებით მომავალი წლის 26 თებერვალს!

❖ **მანუჩარ კაჭახიძე,**
ჟურნალ „მამულის“ რედაქტორი



უძველესი დროიდან კაცობრიობა მიილტვოდა მისტერიულ სიმდიდრეთა მოსაპოვებლად და ეძებდა, პირველყოვლისა, გონებაში გამონათებას, რათა მარადი საგანძური დაენახა მასში. სწორედ ამ მიუწვდომლობას აზღაპრებდა კიდეც და თაობიდან თაობას ანდერძად უტოვებდა ღმერთთან მიახლოვების სიხარულის განცდას, სრულყოფილებამდე რომ დაეხვეწა სავალი გზა. ზოგი რაში პოულობდა ამ სიხარულს, ზოგიც კიდევ რაში -

ზოგმა მითი შექმნა,

ზოგმა დაიჯერა ამ მითის ნამდვილობა,

ზოგმა ამ მითის სიცხადეში გადმოტანა მოისურვა,

ზოგმაც კიდევ ცხადლივ დაიწყო ძიება ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულში მისი რეალიზებისთვის.

ევროპა ჯვაროსნული ომების თავგადასავლებში ჩაერთო იმ იდეით, რომ გათავისუფლებულიყო საქრისტიანოს მარადი სამშობლო - იერუსალიმი სარაცინებისაგან... და ყველაფერი ეს ქრისტეს სახელით!

პარალელურად ქრისტიანობამ ფრთები შეასხა კელტური მითოსის იდუმალებას. იოსებ არიმათიელის ისტორიული პერსონა იდილიურ სახებად იქცა. მის სახელს დაუკავშირდა ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლიკა - ბარძიმი, რომლითაც მაცხოვარმა ჩაატარა საიდუმლო სერობა და საფუძველი დაუდო წმიდა ზიარების საიდუმლოს. წმიდა გრაალით დაუკავშირდა სახარებისეული პერსონაჟი მითიურ მეფე არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების ლიტერატურულ-ფოლკლორულ ლეგენდას. მოგვიანებით პარსიფალის, ლანსელოტისა და მოხეტიალე რაინდების პერსონიფიცირებული სახისმეტყველება სრულიად იდეას თავიანთი თავგადასავლებით ერთიან სისტემად კრავდნენ. იქამდე ჯვაროსნულმა ომებმა და გრაალის მისტერიამ ერთმანეთი იპოვეს,რამეთუ რაინდული ორდენები იბრძოდნენ მესოპოტამიაში მუსლიმანთა წინააღმდეგ, ორდენები, რომელთა შექმნის უმთავრესი მიზანი იყო გრაალის პოვნა. თვით ეს საღვთო ატრიბუტიკა მათი დაფუძნების ფილოსოფიურ საწყისს წარმოადგენდა. სწორედ გრაალი გახდა მარადი იდეა მარადი სამშობლოსკენ ლტოლვისა. ამიტომ მთელი ევროპული საშუალო საუკუნეები, ვიდრემდე რენესანსი გამოავლენდა თავის პოტენციალს, სხვა არა იყო რა, თუ არა ბრძოლა ადამიანის გონისა და მკლავის წმიდა მიწისთვის და სიწმიდეებისთვის. არც სარაცინები თმობდნენ თავიანთ სამშობლოს, თავიანთ სარწმუნოებრივ წმიდა ადგილებს. კაცობრიობამ ისწავლა ბრძოლა იდეისათვის.

მაგრამ ჩაცხრა მისტიკური აღტკინება ევროპის. ამ ბრძოლებმა და რაინდულმა ხეტიალებმა გონი დაუწმინდა ადამიანებს, სამყაროს აღიქვამდნენ მხოლოდ როგორც რეალურ პროდუქტს აზროვნების სიცხადისათვის, განიდევნა ირეალური თვალთახედვები, მითოსიც კი ერთიან, მაგრამ მაინც იდუმალ სისტემად აღიქმებოდა სამყაროსთან მიმართებაში. ევროპის აზროვნება დაიხვეწა და შემოქმედებითმა იმპულსმა მომდევნო საუკუნეებში მოიმკა ნაყოფი - მხატვრობაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, არქიტექტურაში. რენესანსმა, ბაროკომ, როკოკომ და კლასიციზმმა ხელთუქმნელობის მომხრობის მიზნით ხელთა ქმნილი (ე.ი. ადამიანური ნაქმნი) შერწყა თვით ხელთუქმნელობასთან (ანუ ღვთის მიერ შექმნილთან, იმასთან, რაც ადამიანის ხელით არ არის ნაქმნი, იგივე ბუნებასთან) იდილიური კავშირით... და ყველაფერი ეს ადამიანის ღრმა შუასაუკუნეობრივი ნააზრევის, ჯვაროსნული ომებისა და რაინდულ ხეტიალობათა შედეგად. პარალელურად ევროპაში მძვინვარებდა ინკვიზიციის კოცონი. ეს არის ევროპის გენეტიკური კოდი.

ის ეძებს,

ეძებს,

დღემდე ეძებს მარადი სამშობლოს.

ეძებს იმ მითებს, რომლისთვისაც გაისარჯა და დააქცია ბიზანტია ოსმალეთ-

თან სეპარატისტული კავშირით. დაიარება, მაგრამ წასასვლელი აღარსადაა, დედამიწა პატარა გამოდგა, თვითონ კი ვერ მოიცვა კაცობრიობა. ამ ხეტიალში დაბერდა და გამოიფიტა.

ჩვენ, ქართველები, ბევრს ვამბობთ და ვამტკიცებთ ძველი ევროპელები ვართო, მაგრამ ამას პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს მხოლოდ და ანგარებიდან გამომდინარეობს. თუ ჩვენ სიღრმისეულად შევისწავლით საშუალო საუკუნეების მენტალიტეტს, დავრწმუნდებით, რომ ქართველობა ევროპისთვის გაცილებით უფრო ღირებული იყო, ვიდრე რიგითი ევროპელობაა ევროპის ერთიან ოჯახში.

ჩვენ ჩვენეული ხაზი გავატარეთ გრაალის ისტორიაში,

ჩვენ ჩვენეული დაღი დავასვით ჯვაროსნულ ლაშქრობებს,

ეს იყო რომ საქართველოში არ დანთებულა ინკვიზიციის კოცონი, რადგან ჩვენი სამშობლო ქრისტეს კუნძული იყო, ისეთი, და იქნებ უფრო მეტიც, ვიდრე იყო კელტური მითოსის კუნძული ავალონი, ან თუნდაც არტურის ზღუდეშეუნგრეველი ქალაქი კამელოტი. ქართული გონის აზროვნებამ გააკეთილშობილა, იქნებ სულაც წარმოშვა ევროპული მისწრაფება - მძლავრი, მომხიბლავი და უცნაურობამდე გასაკვირალი სიყვარული იმ დაკარგული სამშობლოსი, იმ მოკლული ღმერთის, ვის წიაღშიც ყველანი ვიყავით.

ჩვენმა მენტალიტეტმა ის შესძლო, რომ მთელი ევროპის ყურადღება საქართველოსკენ მომართა. აქ, ჩვენში, ტაძრელ რაინდებს (ასე არის მოხსენიებული ქართულ მატიანეებში ტამპლიერთა ორდენი) რეალურად დაუხვდა მეფე და ხუცესი ერთ პერსონიფიცირებულ ისტორიულ პიროვნებაში განსახიერებული. დავით აღმაშენებელი იყო ის მეფე-ხუცესი (ევროპულ ისტორიოგრაფიაში პრესვიტერ იოანედ მოხსენიებული), არტურ მეფის რეალური ანალოგი, რწმენის სიძლიერე და ურყევი ნება მებრძოლი ქრისტიანობის. ისწრაფოდნენ საქართველოსკენ ჯვაროსნები, ტაძრელები, მერმე კი მისიონერები. ეწაფებოდნენ ევრიელთა საკრალურ სიბრძნეს ევროპელები იმისდა მიუხედავად, უჭირდა თუ ულხინდა ჩვენს სამშობლოს.

ქართულ ფესვებში გაცილებით მეტია ის ევროპული მენტალიტეტის კეთილშობილება, ვიდრე ეს ჩვენ გვგონია. ევროპა თუ საშუალო საუკუნეებიდან ეძებდა გრაალს, ქართულმა წარმართობამ ქვესკნელითგან გამოიტაცა გრაალი. ქაჯავეთის მაღალი გოდოლი თეთრმა გიორგიმ აიღო და წამოიღო ბარძიმი, ღვთაებრივი ბარძიმი. სწორედ რომ ევროპულ რაინდულ ორდენთა საფუძველი ჩვენშია, გეორგიანულ მებრძოლ ქრისტიანობაში, რადგან ჩვენ - ქრისტეს კუნძული - ვიყავით და ვართ გარშემორტყმული გოგისა და მაგოგის ბოროტულ ძალთა ოკეანით.

და ჩვენ ვიბრძოდით,
და ჩვენ ვიბრძვით,
და ჩვენ ვიბრძოლებთ.
ესაა ჩვენი გენეტიკური კოდი.

იქნებ მეფე არტურის მისტერია წმიდა თეთრი გიორგისგან, თუნდაც შავნაბადა წმიდა გიორგისგან მოდის (არა კაბადოკიელი წმიდა დიდმოწამის, არამედ თვით მიქაელ მთავარანგელოზისგან - მისი ქართული გააზრება რომაა ჩამოყალიბებული ამ წარმართულ ღვთაებად). ჩვენ წმიდა გრაალის მცველნი ვიყავით ყოველთვის და ამიტომ ყველაზე მეტად ურჯულო გადამთიელი ჩვენ გვაწიოკებდა და გვემტერებოდა. ექსკალიბურიც ევერიის ქვაში გამჯდარიყო და ტიროდა ქვები მხსნელის მოლოდინში.

საშუალო საუკუნეების გერმანელი მწერალი ვოლფრამ ფონ ეშენბახი მიანიშნებს გრაალის სიბრძნის საშობლოზე და ესაა ტაბრონიტი, ანუ კავკასიის მთიანეთი - ასკვნის ზვიად გამსახურდია. ახალ-ახალი ტალღა მოდიოდა ევერიისკენ ევროპელი რაინდებისა, რადგან ჩვენმა სამშობლომ ევროპისთვის ძნელბედობის ჟამს საკუთარ თავზე იტვირთა მესიის მახვილის ფუნქცია აღმოსავლელ ველურ ტომებთან ბრძოლაში ახლო აღმოსავლეთში, ევროპას საკუთარი თავგანწირვის ფასად მისცა თავისუფლად განვითარების საშუალება.

როცა ჩვენ ვიბრძოდით, ევროპა ჩვილი ბავშვივით ენის ამოდგმას სწავლობდა. ჩვენ კიდევ ამ ბრძოლაში ამირანივით მივეჯაჭვეთ სამშობლოს, ყვავ-ყორნები კი გვეხვეოდა და აკაკის ხატოვანი თქმისა არ იყოს, - „დაფლეთილი გვქონდა გული“. ბიზანტიის წაქცევამ ჩვენ ფასი დაგვადო. თვით ბიზანტია სულიერად გაიხრწნა - ექიშპებოდა ევროპას, ვერ უმკლავდებოდა მუსლიმანურ მოძალებას და ამავე დროს მავნებლობას არ გვაკლებდა ჩვენ - ერთმორწმუნეებს. ის თუ ჩრდილავდა ევერიის სულიერ სიძლიერეს, ახლა უკვე, ანუ 1453 წლის 29 მაისის, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ სრული სახით წარმოჩინდა ქართველი ერის საქმეთა სიდიადე. საქართველო მარტო დარჩა ურჯულოთა წინაშე უთანასწორო ბრძოლაში. მანამდე კი მონღოლთა ურდომ ვერ გაგვტეხა და მიუხედავად ამისა ქართველმა ერმა შეიფარა თავის წიაღში ტაძრელთა (ანუ ტამპლიერთა) განადგურებული ორდენის ნარჩენები. გაუკეღმართებული ევროპა (გაუკეღმართებული რომაული კათოლიციზმისაგან) ვერ შეეგუა მებრძოლი ქრისტიანობისა და მლოცველი ქრისტიანობის სინთეზს და ეს მაშინ, როცა ინკვიზიცია მძვინვარებდა შუა ევროპაში, ხოლო რომის პაპების ქრონიკებში ეს-ესაა გაჩენილიყო ახალი ეპოქა ავინიონური პერიოდი, ანუ თვით რომის პაპები თავიანთი უკეთურობის გამო ფრანგ მეფეთა შანტაჟზე წამოეგენ. ამ მომენტმაც ითამაშა გარკვეული როლი ტაძრელთა ორდენის განადგურებაში. აქ უკვე მატერიალური დაინტერესება თამაშობდა გადამწყვეტ როლს - ვის დარჩებოდა მემკვიდრეობად ტამპლიერთა სიმდიდრე - პაპს თუ მეფეს. მარადი იდეა საერო და სასულიერო მამის ერთარსად წარმოჩენისა,რაც საქართველოში იპოვეს, ერთიანად განადგურდა ევროპისთვის საშვილთაშვილოდ. მოხეტიალე რაინდების ეპოქა ევროპაში მწარედ მთავრდებოდა, რისი უკანასკნელი გაფრთხილებაც სერვანტესის დონ კიხოტმა იტვირთა საკუთარ თავზე. დასანანი და სევდიანი ფინალია რომანტიული თავდავიწყებისა.

ამის შემდეგ ევროპა დაცილდა საქართველოს, საქართველომ კი თავი ვეღარ მიაბრუნა ევროპისკენ და ესეც მხოლოდ მაშინ მოახერხა, როცა მტერმა გადააგვარა ქართველობა და შიგნიდან გატეხა გადამთიელმა ჩვენი სამშობლო. სხვა აღარაფერი დაგვრჩენოდა, თუ არა ევროპის ქვეყნების სამეფო კარებზე ხვეწნა-მუდარით სირბილი. ეს იმას ჰგავს, დონ კიხოტი რომ ქარის წისქვილებს ებრძოდა და ბოლოს მაინც წისქვილებს შეაფარა თავი, რადგან დონ კიხოტი იგივე პარსიფალია რაინდულ ორთაბრძოლებში მძიმედ დაჭრილი (ზოგი ვერსიით ძლეული, ან ძლევამოსილი) და რწმენაწართმეული, მაგრამ საბოლოოდ წითელი პარასკევის მადლით სარწმუნოებადაბრუნებული... და მაინც ეძებს მარადი სამშობლოს - გრაალს.

* * *

ჩაიარა საუკუნეებმა, ჩაიარა ეპოქებმა, ჩაიარა დამპყრობლებმა. ჩვენ ახლა დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა ვართ, მაგრამ მაინც გვეტანებიან მტრები, მაინც გადახვეწილები ვართ, ვინ სად და ვინ სად. მაინც დავეძებთ ჩვენ სამშობლოს, -

სიზმარში თუ ცხადში,
ახალგაზრდობაში თუ სიბერეში,
სიბრძნეში თუ სისულელეში.

ყველგან გვინდა ჩვენი მამულის პოვნა, ამ გადასაკარგავშიც კი. სიზმრებშიც ვხედავთ და ცხადშიც გველანდება. პარსიფალივით დავეხეტები ქვეყნიერებაზე და ვეძებ ჩემი სულის სანუკვარ საგანძურს - სამშობლოს, რადგან ჩემი გრაალი ჩემი სამშობლოა. თუ აქამომდე ევროპა ეწაფებოდა ქართულ სიბრძნეს, შემდეგ როლები შეანაცვლა არსთა განმრიგემ სავალალო და ირონიული რაკურსით. ოდითგანვე ასე იყო და ახლაც ასეა:

„საფრანგეთს ვთხოვოთ:
გვიშველისო, - სასაცილოა!
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს

ფეხზე ჰკიდია“.

ევროპა გამობრძმედა სარწმუნოებრივ-მა ფაქტორმა, როგორც ყველაფრისადმი ინდიფერენტული საზოგადოება, ოღონდ თვითონ ჰქონდეთ კეთილდღეობა. მე ვუყურებ მათ და ვფიქრობ, რაოდენ დააკლდა სულიერება ამ კონტინენტს საქართველოსთან დამაკავშირებელი ძაფების გაწყვეტის შემდეგ. არადა, გვიან საშუალო საუკუნეებში, -

როდესაც აღარ არსებობდა ბიზანტია,

როდესაც გაუფასურდა გრაალის სულიერი საწყისი,

როდესაც მესამე რომის სიცივის საშიშროებას ვერ გრძნობდა კაცობრიობა, საშიშროებას, რომელიც ახალ ეპოქაში საშინელებად გადაექცეოდა მსოფლიო ცივილიზაციას,

როდესაც გარშემოსილი იყო საქართველო ურიცხვი მტრების სიმრავლით, -

მისიონერები მისიონერებზე გვსტუმრობდნენ ათასი მიზეზით, ათასი მიზნით, ოღონდ არა დასახმარებლად. ასე ძალღონეგამოცლილები რუსეთის ულუფად გადავიქეცით, ევროპამ სინზე დადებული ჩააბარა რუსეთს საქართველო, გამოვგლიჯეთ რა სპარსეთს და ოსმალეთს ჩვენივე თავი უმაგალითო გმირობის წყალობით. ევროპამ აღარ იცოდა ვინ იდგა მის წინ, რუსეთი საკუთარ თავს დაეხმარა და გადაგდებული და მათ კარზე თხოვნა-მუდარად გადაგებულნი მიგვითვალა თავის მერამდენიმედ ნაწილად.

ახლა კი ვეძებთ, სამშობლოს ვეძებთ სამშობლოდაკარგულები და სამშობლოწართმეულები.

მე უცხოეთში გადახვეწილი პირველყოვლისა საკუთარ თავში ვეძებ მამულს, რათა არ დავკარგო ის სანუკვარი მარგალიტი, რასაც საქართველოს სიყვარული ჰქვია.

სხვები თუ ეძებდნენ ჩემი სამშობლოს მარადისობის წყاროთსათავეს,

თუ ეძებდნენ და პოულობდნენ ოქროს საწმისს,

თუ ეძებდნენ და პოულობდნენ გრაალის დიდებას,

ბოლოს და ბოლოს თუ ეძებდნენ და პოულობდნენ თავშესაფარს იმ ულმობელ დროში, როცა თემურ-ლენგისა და მონღოლების, სპარსებისა და ოსმალების ფეხთქვეშ ქართული მიწა იწვოდა, ბოლოს რუსეთის ჩექმის ქვეშ ლაზარესავით მოკვდა და ელის მხსნელის მეორედ მოსვლას, რათა აღადგინოს მისი გარდასული დიდება, მე მით უფრო ვალდებული ვარ ვეძებო საქართველო, კი არ გავექცე მას, არამედ ამ სიშორიდან დავიახლოვო. არათუ მხოლოდ ბაღ-ვენახები, მთები, ზვრები და ზღვები, არათუ გეოგრაფიული არეალი, არამედ უმთავრესად ის სამშობლო ვეძებო და ვიპოვო,რომელსაც ასე გულმოდგინებით შენატროდა რუსთაველი, რომლისთვისაც გულმხურვალედ ლოცულობდა თამარი, რომლისთვისაც იბრძოდა დავითი. ვეძებო ის უნიკუმი, რაც ოდითგან ჩვენი იყო და ვიდრემდის ცოცხლები ვიქნებით, ჩვენივე იქნება, რადგან სამშობლო მხოლოდ მიწა არაა ნახევარსფეროებზე, განედებსა და გრძედებზე მოცემული. ჩვენ კი „არ გავცილებულვართ მერიდიანებსო“, - დაიღიღინა ერთხელ ირაკლი აბაშიძემ.

ვეძებ, რადგან მიწა-წყალი მარტო ჩვენ კი არ მოგვმადლა უფალმა, არამედ ეს

ხელთუქმნელობა მთელს სამყაროში განავრცო მომხიბლაობად;

ვეძებ, რადგან ჩემს სამშობლოში მარტო გეო-პოლიტიკურ მდებარეობას არ უყურებს არც მტერი და არც მოყვარე;

ვეძებ, რადგან სამშობლო მარტო მატერიალური თვალსაზრისით არ განისაზღვრება;

ვეძებ, რადგან მთელი სიმდიდრე ეროვნული სულისკვეთებისა უპირველეს ყოვლისა ადამიანებშია, ჩემს თანამემამულეებშია განივთებული უკვდავებად;

და მე, როგორც მოაზროვნე, ვეძებ ადამიანებს, ჩემს ქართველ ძმებსა და დებს, მამებს და დედებს, ბაბუებსა და ბებიებს, შვილებსა და შვილიშვილებს, არათუ გათითოკაცებულს რაღაც ნიშნის მიხედვით, არამედ მთლიანად, ყველას ერთად, ყველა ერთმანეთს რომ ჰგვანან, და მაინც, ყველა მათგანი რომ განუმეორებელ ინდივიდად რჩება;

მე ვეძებ ქართველი კაცის კრებით სახეს, მის სრულ სახისმეტყველებას, რადგან ამ სახის მოდგმაშია დამალული ოქროს საწმისიცა და გრაალიც. ჩემი სამშობლოს ამ ცოცხალ ორგანიზმში, რასაც ქართველი კაცი ჰქვია, ლაზარეს საკრალური სიკვდილი და მისი აღდგინებაა დამალული, ვიდრემდე უფალი დიდებით მოვა მეორედ, განსჯად ცოცხალთა და მკვდართა.

იქნებ ამ კაცის საძებრად მიდიოდნენ არგონავტები, ტევტონები თუ ტამპლიერები. იქნებ მრგვალი მაგიდის რაინდები ასეთ კრებით სახეს ეძებდნენ ქრისტეს კუნძულზე, განსახიერება რომ იქნებოდა სიბრძნის, რწმენისა და ხელმწიფების. იქნებ ერის მარადი მამის საზოგადო სახე ჰქონდა დავით აღმაშენებელს, ადგილის დედისა კი - თამარ მეფეს, როდესაც ეს სახეები არავის არა ჰგავს ქართველთაგანს, ხოლო ყველა ქართველი მათ ჰგავს.

მე პირველად საკუთარ თავში ვეძებ, როგორც ქართველი, ერის გენეტიკურ კოდს, მომადლებულს ღვთისაგან - იმ დიდ მადლმოსილებას, რაც გადმოედინება მაცხოვრის კვართიდან, ელიოზ მცხეთელს რომ მოჰქონდა ხელის კანკალით თავისი დისთვის მართალი სიდონიასთვის, ახლა ჩემი სამშობლოს გულისგულში რომ არის ჩამარხული ყველაზე დიდ საგანძურად. მე იმ ცხოველსმყოფელი სვეტის გადმონადენ ღვთიურ კეთილშობილებას ვეძებ ჩემში, ასე-რიგად რომ გაბნეულია ყველა ქართველში, სვეტი-ცხოვლისა, მთავარანგელოზის ხელით რომ დაიდგა სვეტიცხოველზე და იმ დღიდან მოისმის ქართული გულისცემა ღვთისთვის და ერისთვის. ამ გულისძგერას ვეძებ მე ჩემი მამულისას აქ ამ შორეულ ქვეყანაში და ვეძებ ჩემს გულისძგერაში. ვეძებ და ვიპოვი,და ამაში დარწმუნებული ვარ, მეც ქართველი ვარ, და მიტომ. აქ სიზმრები განზე უნდა გადავდოთ, რადგან სიზმარი ცდომილებაცაა და ნოსტალგიის აღმძვრელი არარაისიც. წმიდა ნინოს ნაწნავით შეკრული ვაზის ჯვრის ძლევამოსილება მე ჩემდაწილ სამშობლოს მაპოვნინებს, იმას და ისეთს, როგორიც სანეტარაა ყველა დროის მამულიშვილისთვის. სამშობლოზე ფიქრი ყოველთვის უსაზღვრო სევდის აღმძვრელია, სევდისა, რომელიც საუკუნეობრივ ქურაში იწრთობა.

ალბათ ყველაზე მთავარს ვეძებ ჩემს თავში - ამირანის ცეცხლს, ასე-რიგად რომ გამოატარა საკუთარ გულებში ჩვენმა პაპებმა და დღესამომდის მოიტანა ცეცხლოვანი შემართება ქართული სულის, მეც რომ მეწილადა ჩემი წინაპრებიდან სვანეთის მაღალი მთიდან, რამეთუ ჩემი წარმომავლობა სვანურია, იმერეთს რომ ჩამოსახლდნენ ბოლოს. სვანეთშია ის სიახლოვე ამირანთან, იმ ცეცხლის დაუწვავი სიმხურვალის მუხტი იქედან მოგვდგამს. ნაღვერდალი ღვივის ნაცარში, ქარი და ნიავი რომ არ აძლევს ჩაქრობის საშუალებას.

მეც, რამდენ ქარიშხალგამოვლილს, მწყურია ამირანის ცეცხლით დავიწვა გონება, რათა სხვა განზომილებაში მყოფს ისე დავინახო ჩემი მამული, როგორც არა-

ვის დაუნახავს აქამომდის, ან დაუნახავს და არ აღმოხდენია მისი სადიდებელი, ან უთქვამს და ხმა მღაღადებლად დარჩა უდაბნოსა შინა. დაუწვავ ცეცხლზე უკეთესი რა უნდა იყოს ცეცხლოვან ჟინში აღტკინებული ყმაწვილკაცობისთვის. მე რომ მიყვარს ჩემი სატრფო და ვიწვი სიყვარულის ცეცხლით, ესაა ამირანის ცეცხლის პატარა მონაკვეთი, მე რომ ქართული ოფლით გამონაჟურ ღვინოს ვსვამ და ბახუსის ნაპერწკლები თავდავიწყებაში გადამისვრის, ესაა იმ ცეცხლით განათებული გონება, გრაალს რომ ვიპოვი ჩემში და ზედაშით უფლის სადიდებელს ვიტყვი პირველ ლოცვად, აქ, ჩემში განისვენებს ცხოველ სვეტად მაცხოვრის კვართის მადლი, სიდონიას სიყვარული და ელიოზის ერთგულება უფლისადმი...

ქვეყნიერების ზურგზე რომ დავეხეტები და ვეძებ ყველგან ჩემი სამშობლოს ნიშს, მსგავსებას მასთან, ამაში ვენათესავები პარსიფალს, ლანსელოტსა და ტამპლიერებს, ისინიც ეძებდნენ რაინდული შემართებით წმიდა გრაალს, უფლის სიმბოლიკას, სატრფოსთვის რომ თავს გაწირავდნენ, ეს სატრფო კი სამშობლოს ალეგორია რომ იყო ამ შემთხვევაში, რადგან სატრფოს, ანუ სამშობლოს ხსნა სჭირდება ქაჯავეთის ციხიდან. ევროპული რაინდობა ხომ რუსთველისეული რაინდობაა, იგივე გრაალის რაინდობა, ევროპამ ჩვენგან ისწავლა ამ ნიჭის გამომჟღავნების უნარი, და მიტომ. ჯვაროსნებსავით ვაგებ მარადი სამშობლოს ოცნების კოშკებს, რათა საბოლოო ჯამში მწარე რეალობამ დაანგრიოს მისი გოდოლი, მე კი ისევ და ისევ ვეძებო, ამჯერად ნამსხვრევები ჩემი ოცნების, რათა მის გამო ყოველგვარი უაზრობა და უმსგავსობა გადავლახო, შემრცხვეს ჩემი ნამოქმედარის იმიტომ, რომ სამშობლოა თვითონ სისპეტაკე და უნდა განვიწმიდოთ ამ გზაზე, რათა სამშობლოში პირნათელნი დავბრუნდეთ სამშობლოსავით მართალნი.

და მაინც, მე ვარ ადამიანი, მოკვდავი, ჩემი მისწრაფებებითა და სურვილებით მიწიერი, ამიტომ სულიერი სამშობლოს მოპოვების შემდეგ მისი განამდვილების სურვილი მიჩნდება, რადგან სამშობლო მარტო აბსტრაქცია არაა, ის რეალურად არსებულ სამყაროს ნაწილს წარმოადგენს და შორეულ ქვეყანას თავშეფარებული ყოველის მხრივ ვცდილობ შევივსო დანაკლისი მამულის ხილვისა.

თითოეულ ფოტოსურათს საქართველოს პეიზაჟისას თვალებით ვჭამ და ვერ ვძღები მათი ცქერით, ტელევიზიით ვუყურებ სიუჟეტებს და როგორც კი ქართული სიტყვა შემომესმება, იქვე მძაფრდება ჩემი ყურადღება. მართალია, შემცირდა საქართველოდან ამერიკის მიმართულებით ქართველთა გადინება, მაგრამ ვინც კი სტუმრად ჩამოდის, პირველყოვლისა ხარბად ვუსმენ მათ მეტყველებას, ასერიგად რომ გადაჩვეულია ჩემი სასმენელი მშობლიური მეტყველების მოსმენას. შემდეგ ვეკითხები, ყველაფერს ვეკითხები, უმნიშვნელოდ წვრილმან დეტალებამდე ისე, რომ შეიძლება თავიც მოვაბეზრო ათასგვარი კითხვებით, ასე უაზროდ რომ ეჩვენებათ ზოგიერთებს. ისეთ რამეებზე ვუმახვილებ ყურადღებას, რომ არ დაკვირვებია საქართველოში ყოფნისას იგი ამას.

აი, რასაც არ დაკვირვებია და რაზეც ჩემი ინტერესი შეჩერდა, სწორედ ესაა სამშობლო, მისდამი ნოსტალგიური წყურვილი. ალბათ, მეც არ დავაკვირდებოდი ასეთ დეტალებს, საქართველოში რომ ვყოფილიყავი, ალბათ მეც ასე მომაბეზრებდნენ თავს უსაშველო კითხვებით, სანამ არ მაპოვნინებდნენ სამშობლოს ამ კითხვა-პასუხებში.

იქნება ასეც იყო ამ თექვსმეტიოდე წლის წინ, როცა პირველად დავდგი ფეხი ამერიკის კონტინენტზე?!

პარსიფალისგან განსხვავებით, მე კითხვებს კითხვებზე ვსვამ იმიტომ, რომ ყოველგვარი ეტიკეტების გარეშე ვარ მოწადინებული, ვიპოვო ის სანუკვარი ათვლის წერტილი, სამშობლო რომ ჰქვია, რადგან ჩემი გრაალი ჩემი სამშობლოა, კითხვების დასმა არ მეუხერხულება, და მიტომ. ამით ცხოველ მოქმედებაში მოდის სტუმარმასპინძლობის საკრალობა და სიცოცხლე ივსება ცხოვრებით.

გარდა ამისა, ვსარგებლობ სატელეფონო თუ კომპიუტერული ურთიერთობით მეგობრებთან საქართველოდან. იქნებ თავსაც ვაბეზრებ ჩემი საგანგებო კითხვებით, მაგრამ ისინი გაგებით მეკიდებიან და მიამბობენ იმას, რასაც თუნდაც ფანჯრის მიღმა უყურებენ და მე ამით ვსაზრდოობ იმიტომაც, რომ ჩემს თვალწინ გადაშლილია მშობლიური ქალაქები, სოფლები, სამშობლო ბუნება - მდინარეები, მთები, გზები, ასე-რიგად რომ გვატარებს და გვაბრუნებს ცხოვრების ხვეულ-ხლართებში.

კილო-კავზე, რომლითაც მესაუბრებიან, ვხედავ იქაურ განუმეორებელ ბუნებას, რომელიც არსად ისეთი ტკბილი არაა, როგორც ჩემში აქ -

ის,

გონებაში რომ დატრიალდება ჩუხჩუხა თერგივით და გაიტანს ამ ზღვა ენერგიას საქართველოს ფარგლებს მიღმა და ვერავინ საზღვრებს ვერ დაუდებს თერგს,

ან ენგურსავით გზაჩაკეტილ თავშეკავებულ გადარევასავით ჩაივლის განხორციელება მთისა და ბარის ურთიერთშერწყმისა, იმ ენგურს მიღმა რომ ღია კარშია დარჩენილი დიდი ოცნება მთელი თაობების, - ტკივილი, საფლავები და მოსაგონარი,

ან რიონსავით მითად გადაქცეული ერთიანი კოლხური ფესვითი ძარღვები გადაშლილი ვაკე-დაბლობზე, სიზმრად რომ ხედავს აიეტის ცრემლგამშრალ დარდებს,

ან ჭოროხსავით მოქნილად მოტეხილი სხარტ სწრაფვას სილამაზისა და მარადისობისკენ, ასერიგად რომ ატყვევებს ზღვისფერი თვალების ხიბლი ზღვაში ჩაძინებულ ოცნების ხომალდებს,

ან მტკვარსავით მეფურ დუდუნში მოსმენილი არასდროს არშობილი წყნარი ღამის ზღაპრები, სიჩუმეში რომ იძირება მთვარე ვარსკვლავების მომხიბლავ სიზმრებში,

ან არაგვივით ასხლეტილი ბუმბერაზი სიდიადე მამულის, ზეცამდე რომ ადის სიშმაგე მამულის შვილების, სიმღერასავით გადაფრენილი მთიდან მთაზე ექონამღერი ცრემლის მომგვრელი.

მიყვარს მამული, მისი ყოველი პატარა წვრილმანით, სადღეგრძელოსავით ტკბილსასმენარი რომაა.

შინ ქართულ კერძებს ვამზადებ ისე, როგორც საქართველოში იციან, მათში ჩემი სამშობლოს გემოს ვაყოლებ - ყოველი კუთხის სპეციფიკურ კერძში თითოეულ მათგანს ვუყურებ, თითოეული კუთხის არომატით ვივსები. ღვინოსაც ვსვამ, მხოლოდ ქართულ ღვინოს, სამშობლოდან გამოგზავნილს და ვივსები საქართველოთი ისე, რომ დახრჩობას ვერ ვახერხებ, ძლიერ მიყვარს იგი, და მიტომ.

სანელებლები ხომ თითქოს მტვერია დაფქვილი ყვავილებიდან, მაგრამ საქართველოს ფეხის მტვერია ასე სათუთად შეგროვილი და მე ამიტომ ვიძირები ჩემი მამულის სურნელებაში. სადღეგრძელოდ ვამბობ სადიდებელს ჩემი გენისა და მოდგმისა, რადგან ამ ყველაფერში მე ჩემს თანამემამულეებს ვხედავ - რა მოხდენილები არიან კაცები, რა მომხიბლავები არიან ქალები...

ცეკვა გინდა?

გაშალე ხელი და იცეკვე, ფეხების მონასმევიდან წამოცვივდება ნაპერწკლები სამშობლოსი, ამირანმა საკუთარი მარადი ტყვეობის ფასად რომ დაგვიტოვა ყველა მამულის შვილს. ვცეკვავ, თუნდაც მოუქნელად, მაგრამ იმ ცეცხლის ნაკვესები ისეთივე ძალით იბნევა, როგორითაც გაიბნევა პროფესიონალ მოცეკვავეთაგან, მეც ქართველი ვარ, და მიტომ. თავში ვარდება ის ცეცხლი და ისე ღვივის, რომ გონებიდან გონებას გადაეცემა...

და ეს არ არის ხანძარი,

ეს ზეიმია ეროვნული აღტკინებისა!

მე მიყვარს ჩემი სატრფო, არათუ განსახიერება დაჩაგრული სამშობლოსი, რომელსაც სჭირდება გამოხსნა ქაჯავეთიდან, არამედ მიყვარს ადამიანი, ქართველი, თვალწარბ-წამწამი რომ ქართული მოხაზულობითა აქვს დამშვენებული და მიყვარს

არათუ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ესოდენ ლამაზია და მომხიბლავი, არამედ იმიტომაც, რომ მასში ვკითხულობ ქართველს, თორემ აქ შესაყვარებელი და გადასაყვარებელი ბევრია -

სხვადასხვა ფერისანი,
სხვადასხვა ხორცისანი,
სხვადასხვა რჯულისანი,

მაგრამ მე მიყვარს მხოლოდ ის, ვისკენაც მიმიწევს გული და გულიც იმიტომ მიმიწევს, რომ იგი უაღრესად ჩემეულია, ჩემი ფერისაა და ჩემი მოდგმის. გული ამიტომაც ირჩევს მახლობელად მონათესავე სულს და არა უცხოსა და მითუმეტეს საუცხოოს. ქართველი ქალის კდემაზე ლამაზი არაფერია ამქვეყნად, მისი კდემამოსილება ქვეყნიურ სილამაზეებსა და მშვენებებს მირჩევნია. მხატვრული აზროვნება სხვაა და ცხოვრებისეული რეალობა კიდევ სხვა, მაგრამ როცა ერთმანეთს ავსებენ სათქმელი და სამზერალი, ამაზე მომხიბლავი არაფერია, რადგან სიყვარული ასეთი მართალი მხოლოდ ჩვენში თუ იციან.

მე დონ კიხოტი არა ვარ, მაგრამ დულსინეა ტობოსელის მშვენება მეც მხიბლავდა და ვიპოვე სწორედ ის, ვინც ჩემს დონ კიხოტურ ბუნებას შეეფერება და მიყვარს, იმიტომ მიყვარს, რომ ასეთი სატრფონი დედამიწის არც ერთ წერტილში არ მოიძებნება, გარდა საქართველოსი. ყველას თავისი უყვარს, ჰოდა, მეც მიყვარს ის, ვინც ჩემს სამშობლოს მომაგონებს. ეს მე მიყვარს ასე, და ამიტომ, თორემ სხვას სხვა კრიტერიუმებით შეიძლება უყვარდეს თავისი სატრფო და სიყვარული, როგორიც არ უნდა იყოს, კი არ უნდა გაიგო, უნდა მიიღო და აღიარო ადამიანური გრძნობის ეს იდუმალი აღმოფრქვევა. მე რომ საქართველოში ვიყო, ალბათ ასეთი სიმძაფრით არ მეყვარებოდა არავინ, რადგან მამულში ყველანი ერთად ვიქნებოდით და არ მივანიჭებდი არსებით მნიშვნელობას ბევრ წვრილმან ნიუანსს, აქ რომ გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ.

ამ ფიქრებში ვარ და მაგონდება კინოფილმი „ფესვები“ - მთავარ გმირს გიორგი ზაქარეიშვილს სატრფო დაუტოვებია, რომელიც თურმე გულისსწორს ბოლომდე დალოდებია, სიცოცხლის ბოლომდე და ალბათ სიცოცხლის მერეც.

ვფიქრობ და მაფიქრებს ფილმის ეს დეტალი.

იქნებ მეც დავტოვე საქართველოში ჩემი მშვენიერი სატრფო და იგი მელოდება?! სწორედ ლოდინია და ლოდინისკენ მისწრაფება დიადი გრძნობა, რის ეპიცენტრშიც სამშობლო დგას, მისი დაუოკებელი წყურვილი. ვინძლო, უცხოობაში მთელი ცხოვრება გავატარო, მაგრამ ყოველთვის მექნება შინ დაბრუნების შეგრძნება, რადგან ვიცი, მოუთმენლად მელიან ჩემი თანამემამულეები და ჩემი დატოვებული და ჯერარწაშლილი ნატერფალები. სხვანაირად არც შეიძლება იყოს,

თუ
ლოდინი
დაივიწყა
სამშობლომ,
მაშინ
თვით
სამშობლოც
წარიხოცება
პირისაგან
მიწისა.

სამშობლოს რომ ტკივა, იმიტომ მტკივა მეც, რადგან ჩვენ ერთმანეთთან სულიერად გადაძარღვულნი ვართ და ერთმანეთს გადავცემთ ჩვენ-ჩვენს გრძნობებს.

თავადაც არ ვიცი რა არის ლოდინი, რადგან არავის ველი. თუ ვინმე შემოაღებს ჩემს კარს, ეს ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება, მეტი არაფერი. ლოდინით კი მხოლოდ სამშობლოში ელოდებიან სხვაგან წასულს, მხოლოდ შინ, სახლში, ოჯახში ელოდებიან გარეთ გასულ ოჯახის წევრს. თუ ოჯახს არ გააჩნია ეს შეგრძნება, დაქცეულია ის ოჯახი.

მიხარია, რომ ჩემს სამშობლოს გააჩნია ლოდინის გრძნობა და უსაშველოდ ძლიერი, მთლიანად საკუთარ სახეს რომ წარმოაჩენს კაცობრიობაში.

მაცხოვარი - კეთილი მწყემსი ყოველთვის დაეძებს გზააბნეულ ცხოვარს. სამშობლო - სამწყსოა უფლის, სადაც თავი უნდა მოიყაროს ადამიანთა ცხოვრებამ, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. მეც ერთ ასეთ ცხოვარად მიმაჩნია ჩემი თავი, არათუ მამულს მიღმა, არამედ მამულის გარეთ მყოფ ცხოვარად, ჩემი ცხოვრებაც მამულით სულდგმულობს მამულს გარეთ.

ამიტომ დამელოდება ჩემი სატრფო,

ამიტომ დამელოდება დედ-მამის საფლავები,

ამიტომ დამელოდებიან ჩემი დედმამიშვილები,

რადგან ამ ლოდინში იწრთობა სამშობლოს უსაშველო მოთმინება. ჩემში მონატრებაა ამ ლოდინის ფუჭად არჩავლის მალამო, მანძილია მხოლოდ შორი.

ჩემი გარდასული ფიქრების სიმყარე, ნამდვილობა სწორედ ნოსტალგიაში ვლინდება, რადგან აზროვნება არ არსებობს ზოგადი კონკრეტიკის გარეშე, ხოლო კონკრეტიკის ზოგადეროვნული არსი პიროვნულის გარეშე. ყველაფერი ეს ჯაჭვისებური რეაქციაა ჩემგან გამომდინარე და არამარტო ჩემგან.

სხვათა გრძნობები და განცდები მე არ ვიცი, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები დიდია და ეს ქვეყანა ემიგრანტების მიერაა შექმნილი.

აქ მე ვერავის გავაკვირვებ ჩემი გრძნობებით, ვერც სხვა გამაკვირვებს თავ-თავიანთი გრძნობების გადმოფრქვევით, მაგრამ ჩემში დავანებული ქართული სული განსაკუთრებული ძალისაა ისე, როგორც განსაკუთრებულია

ჩემი მა-მუ-ლი!

ფეისბუქის სისასტიკე

ხშირად მიფიქრია, რატომ მოიპოვა სხვადასხვა სოციალურ ქსელებს შორის ფეისბუკმა ასეთი პოპულარობა საქართველოში? ევროპაში (მაგალითად, გერმანიაში) ფეისბუკი ყოფის „დამატებითი ღირებულებაა", ხოლო საქართველოში, ჩემი დაკვირვებით, უკვე აშკარად გამოიკვეთა ფეისბუკზე დამოკიდებულთა მასშტაბური ჯგუფი, რომლის წევრებისთვისაც ფეისბუკით კომუნიკაცია ყოველდღიური ცხოვრების წესის არსებით შემადგენელ ნაწილად იქცა და უმისოდ ცხოვრება, უბრალოდ, უინტერესო გახდა.

ეს საკითხი სერიოზულია და იმსახურებს კვლევას. ფეისბუკს უთუოდ აქვს ის უნიკალური უპირატესობები, რამაც იგი, დღესდღეობით, ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტიან მედიატორად აქცია.

თუმცა, ამ წერილში მსურს საკითხი „დავავიწროვო" და ვუპასუხო შეკითხვას: როგორ შეიძლება აიხსნას ადამიანთა შეურაცხყოფის ის დაუოკებელი ვნება, რომლითაც გაჟღენთილია ფეისბუკი? მე, პირადად, არ მეგულება სხვა ასპარეზი, სადაც ხალხი ასე თანმიმდევრულად, უშეღავათოდ, გამწარებით და დაუმსახურებლად ლანძღავს ერთმანეთს. ფაქტია: ფეისბუკი გადაიქცა ადამიანთა შორის სიტყვიერი ანგარიშსწორებისა და სიძულვილის სასტიკ ველად, რომელსაც არაფერი აკავებს. ეს ველი, არსებითად, ფსიქოლოგიური ძალადობის სივრცეა, რომლის ნეგატიური ეფექტი ჯერჯერობით არავის გაუზომავს, თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანთა დათრგუნვასა და დასტრესვაში ფეისბუკის წილი მნიშვნელოვანია. და მაინც: რატომ ხდება ასე? რატომ ხდება ადამიანი ასე დაუნდობელი ფეისბუკის წიაღში?

ჩემი აზრით, ფეისბუკს შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

1. ფეისბუკი მედიის ისეთი საშუალებაა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს აძლევს საკუთარი აზრების, განწყობების, დამოკიდებულებებისა და ემოციების საჯარო სივრცეში გამოხატვის საშუალებას, საჯარო ფიგურად ან „ცნობად სახედ" ყოფნის გარეშე. ჩვეულებრივ, არ არის იოლად ხელმისაწვდომი სატელევიზიო სივრცე (მაგალითად, თოქ-შოუში მონაწილეობა). ამას იმდენად უნდა იმსახურებდე, რომ ტელეარხის მენეჯმენტს (ან გადაცემის პროდიუსერს) შენი დაპატიჟება მოუნდეს. ტელეგადაცემებში მიწვეულთა წრე, ზოგადად, არ არის ფართო, ხოლო საქართველოში განსაკუთრებით დავიწროებულიც კია - ერთი და იგივე ხალხი მონაცვლეობს გადაცემიდან გადაცემაში. კიდევ უფრო რთულია ბეჭდური მედიის ავტორად ყოფნა – ინტერვიუებს „რჩეულებისგან" იღებენ, ხოლო სტატიის დაწერის მოტივაცია და უნარ-ჩვევები კიდევ უფრო ნაკლებ ადამიანს აქვს. საჯარო ასპარეზზე გამოჩენის ამ წყურვილს სულზე მიუსწრო ფეისბუკმა - საჯარო სივრცეში მოსახვედრად ადამიანს არ სჭირდება „ელიტის" წევრობა, მან აუდიტორია შინიდან გარეთ გაუსვლელადაც შეიძლება მოიპოვოს. და, რაც მნიშვნელოვანია, ეს აუდიტორია იმაზე მრავალრიცხოვანიც შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე რომელიმე საგაზეთო სტატიისა თუ ინტერვიუს შემთხვევაში. შესაბამისად, ფეისბუკმა დააკმაყოფილა „სოციალურ მე"-დ შედგომის მოთხოვნილება, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ადამიანთა უმრავლესობაში არსებობს.

2. ფბ-მა ადამიანი უფრო თამამი გახადა იმით, რომ მას სპეციფიკურ ერთობაში გაწევრიანების საშუალება მისცა. ამ ერთობას ფეისბუკის „მეგობართა" წრე შეადგენს, ხოლო თემის ყველაზე მტკიცედ შემკვრელი ინსტრუმენტი „ლაიკებია", რომლებიც ახდენს ადამიანის პიროვნული გამოხატვის აღიარება-დადასტურებას. შესაბამისად, ფბ-ზე ადამიანს დიდი შანსი აქვს, არ დარჩეს მარტო,იპოვოს თავისიანი და „ლაიკების" მეშვეობით გამოსცადოს „ძალა ერთობაშია"-ს ხიბლი.

ამრიგად, ფეისბუკით გამოხატული სიძულვილი კორპორაციულია, და არა ინდივიდუალური. კორპორაციის (იმავე ფეისბუკის „მეგობართა" წრის) შექმნის კრიტერიუმები სხვადასხვაა: პოლიტიკური სიმპათიები, საერთო ღირებულებები, ინსტიტუციური (მაგალითად, სამსახურებრივი) გავლენები, ნათესაური მიკუთვნებულობა და სხვა. ამ კრიტერიუმებმა შეიძლება გადაფაროს ერთმანეთი (მაგალითად, პოლიტიკურმა სიმპათიამ გადაკვეთოს ღირებულებითი ორიენტაცია), თუმცა ფაქტია, რომ

ყველაზე სტაბილური კორპორაციები სწორედ პოლიტიკური სიმპათიების ნიადაგზე იქმნება: „ნაცი“, „ქოცი“ და „შუაშისტი“, დღესდღეობით, ისეთ იდიომებად მოგვევლინა, რომლებიც არა მხოლოდ პოლიტიკური დისკურსის, არამედ მთელი სოციალური ყოფის უნივერსალურ მარკერებად გადაიქცა. საინტერესო ისაა, რომ ამ კორპორაციების საზღვრები საკმარისად მყარია და ერთმანეთში შეჭრას, როგორც წესი, ვერ იტანს: „ნაცები“, „ქოცები“ და „შუაშისტები“ ერთმანეთს (ჯგუფის შიგნით) „ულაიკებენ“ სტატუსებს და თუ აღმოჩნდა ვინმე ურჩი, რომელიც კორპორაციულ იდენტობას უღალატებს და სხვა ერთობის წევრს რაღაცას მოუწონებს, მას ამისათვის ახსნა-განმარტებების გაკეთება უწევს; მეტიც: ზოგჯერ, შესაძლოა, კორპორაციის წევრებისგან გარიყვა, ანუ „დაბლოკვაც“ დაიმსახუროს (ყველაზე ნაკლებად ხისტები, ამ თვალსაზრისით, „შუაშისტები“ არიან, თუმცა, ცხადია, მათაც აქვთ ე.წ. „აკრძალული ზონები“).

3. ფეისბუკზე გამოჩენილ სითამამეს კიდევ ერთი საფუძველი აქვს: ადამიანი სრულიად თავისუფალია გამოხატვაში და მას არ ევალება არანაირი მედიასტანდარტის დაცვა. გაზეთი არ დაბეჭდავს უკიდეგანო უწმაწურობას (უშვერი სიტყვებით ლანძღვას), ამის უფლებას არც ტელევიზია იძლევა, ბოლოს და ბოლოს, ბეჭდურ ან ტელემედიაში მიყენებული შეურაცხყოფისთვის შეიძლება სასამართლოშიც გიჩივლონ და ა.შ. ფეისბუკი ამ შეზღუდვებისგან თავისუფალია: თქვი და დაწერე, რაც გინდა, ამისთვის ვერავინ გიჩივლებს ვერც სასამართლოში, და ვერც მედიაეთიკის რომელიმე კომიტეტში; ამ გზაზე არ არსებობს არავითარი ბარიერი, სინდისის გარდა.

სწორედ ამ ბოლო სპეციფიკიდან გამომდინარე, ფეისბუკი არ არის კლასიკური საჯარო სივრცე, რადგან ადამიანს არავითარ პასუხისმგებლობას არ აკისრებს; თუმცა, ის არც პირადი სივრცეა, რადგან ათასობით ადამიანის მობილიზება შეუძლია. ამდენად, ფეისბუკი კვაზისაჯარო სივრცეა, უფრო სწორად, საჯარო და პირადი სივრცის ერთგვარი ნაზავი.

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილ თავისებურებებში იმალება ფეისბუკით გაცხადებული დაუნდობლობისა და აღვირახსნილობის საიდუმლო: ადამიანს აქვს მოთხოვნილება, ვინმეს მიმართ საკუთარი ანტიპათია თუ ზიზღი გულში კი არ ჩაიხვიოს ან მხოლოდ „სამზარეულოებში“ და განდობილთა ვიწრო წრეში გადმოაფრქვიოს, არამედ მეტ-ნაკლებად ფართო საზოგადოებასაც აუწყოს; მის პროვოცირებას „ლაიკებით“ გამოხატული მხარდაჭერა ახდენს და ამ მხარდაჭერით შთაგონებული, ის კიდევ მეტად ამძაფრებს სიძულ-

ვილის ენას. თანაც იცის, რომ ასეთი თავაშვებულობისთვის მას სამართლებრივად (სასამართლოსა თუ რაიმე სხვა ოფიციალური გზით) პასუხი არ მოეთხოვება.

რასაკვირველია, აქ მაინც არსებობს რამდენიმე საფრთხე, რაც ფეისბუკს არცთუ „უწყინარ“ და „ჩუმი“ (განუზრახველი) ძალაუფლების მატარებელ სივრცედ აქცევს:

ა) ფეისბუკზე ადამიანის პიროვნება, როცა ის ამ ქსელის მეტ-ნაკლებად აქტიური მომხმარებელია, ისე მოჩანს, როგორც ხელისგულზე. სოციალური ქსელის მეშვეობით მოკლე ხანში ადამიანი შეიძლება იმაზე გაცილებით უკეთ გაიცნო, ვიდრე მრავალი წლის „ფიზიკური“ ურთიერთობის მანძილზე. თუმცა, სწორედ ასეთი „გაშიშვლებისთვის“ ადამიანმა შეიძლება სერიოზულად ზღოს: ის შეიძლება სამსახურიდან დაითხოვონ (მაგალითად, ქსენოფობიური აზრების გამოთქმისთვის, ან ავტორიტარულ საზოგადოებაში ხელისუფლების არმოსაწონი სტატუსის „დალაიკებისთვის“); მავანმა, შესაძლოა, ისეთი სტიგმა აიკიდოს, რომელიც მის რეპუტაციას საშვილიშვილოდ დააზარალებს (გავიხსენოთ ოპერის მომღერლის, თამარ ივერის შემთხვევა, როცა მან ჰომოფობიური აზრები გაავრცელა ფეისბუკით) და ა.შ. თუმცა, მეორე მხრივ, ადამიანს მაინც რჩება ლეგიტიმური უფლება, საკუთარი „მე“ ორად გაყოს: ფეისბუკის „მედ“ და საჯარო „მედ“ (ასეთი დაყოფა განსაკუთრებით უყვართ ტელეჟურნალისტებს, რომლებიც დაბეჯითებით აცხადებენ, რომ ფეისბუკზე მათი საქციელი მათსავე ეთერზე არ აისახება).

ბ) ფეისბუკის საშუალებით შეურაცხყოფილმა ადამიანმა შეიძლება მაგინებლის პირად (ფიზიკურ) ანგარიშსწორებაზე იფიქროს. თუმცა, ამ საფრთხეს სხვადასხვა ფაქტორი ანეიტრალებს: ა) როდესაც შეურაცხყოფა დისტანციაზე ხდება, ანგარიშსწორების რეალიზაციის ჟინი და შესაძლებლობები იკლებს; ბ) შეურაცხმყოფლისა და ანგარიშმსწორებლის პასუხისმგებლობები შეუდარებლად არათანაზომიერია: ფეისბუკით ლანძღვაზე ფორმალური პასუხისმგებლობა ნულოვანია, ხოლო შეურაცხმყოფლის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება მავანს შეიძლება პატიმრობადაც კი დაუჯდეს; გ) შეურაცხყოფილს შეუძლია „ხურდა“ ფეისბუკითვე დაუბრუნოს მაგინებელს და სიტუაცია „დაბალანსოს“.

ფეისბუკზე განსაკუთრებული სიძულვილი მაინც პოლიტიკურ ნიადაგზე გაჩენილ რადიკალურ კორპორაციებს („ნაცებსა“ და „ქოცებს“) შორის ტრიალებს. ყველაზე მარტივი და საღი აზრიც კი მოწინააღმდეგის ბანაკში მყისვე გარდაიქმნება სატანურ აზრად, ხოლო მისი ავტორი გამოცხადდება სატანის მოციქულად, რომლისკენაც ნიაღვარივით მიედინება აგრესია და სიძულვილი.

ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ, რაც უფრო საღია აზრი, მით უფრო იმატებს აგრესია და გამანადგურებელი იარლიყები. ამ ნაკადში კორპორაციის ერთგული წევრები წვეთი წყალივით ემსგავსებიან ერთმანეთს: აქ მნიშვნელობას კარგავს ვინმეს განსხვავებული განათლება, სოციალური კაპიტალი, თანამდებობა, „ოჯახიშვილობა“ და სხვა ფონური მახასიათებლები. ასე გადაიქცევიან კორპორაციები ეგზალტირებულ მასებად, რომელთაც თავიანთი აღიარებული ბელადები ჰყავთ...

საბოლოო ჯამში, ფეისბუკით გამყოფნებული სისასტიკე ჩემთვის ამ საზოგადოების ერთ-ერთი დიაგნოზია - ჩვენ ვერ ვახერხებთ იმ ბუნებრივი ინსტინქტური მდგომარეობისგან დისტანცირებას, როცა „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, ვერ ვახერხებთ, კომუნიკაციაში აქცენტი დავსვათ იმაზე, თუ რა ითქმება და არა მხოლოდ იმაზე, თუ ვინ ამბობს, ვერ ვეგუებით ჩვენგან (ჩვენი თემისაგან) განსხვავებულს, გვძულს მრავალფეროვნება და გვიყვარს ხაფანგების დაგება არაჩვენიანთა პარალიზებისთვის...

რასაკვირველია, ფეისბუკს ჰყავს არაკორპორაციული და არაეგზალტირებული „მარტოხელა მონადირეები“, ერთგვარი დისიდენტები, რომლებსაც, მართალია, ასევე ჰყავთ „ფრენდების“ თავიანთი წრე, მაგრამ ეს „მეგობრობა“ მათ არაფერს ავალდებულებს, ან, მით უფრო, აიძულებს. შესაძლოა, ზოგჯერ ისინიც ბილწსიტყვაობდნენ, მაგრამ ეს კიჩური ესთეტიკის ნაწილი უფროა, ვიდრე მიზანმიმართული სისასტიკისა.

მათზეც დავწერ, ალბათ, ოდესმე...

იაგო კაჭკაჭიშვილი

ნახატები, რომელიც „თვითმკვლელი ღვთისმშობლის“ გვერდზე ეკიდა

ლია უკლებას ნახატს, რომელიც საფეთქელზე პისტოლეტმიბჯენილ ღვთისმშობელს ასახავს, ერთი ნაკლი აქვს: ტილოს ფონი არ უნდა დარჩენილიყო ცარიელი.

ღვთისმშობლის ფონად, მის გარშემო, დატანებული უნდა ყოფილიყო ყველა ის საგანი თუ ფიგურა, რომლებიც გამოფენილ მის და სხვათა დანარჩენ ფერწერულ თუ ფოტოგრაფიულ ნამუშევრებზეა გამოსახული. კერძოდ: საქართველოს ინდუსტრიულ ცენტრებში არსებული კატასტროფული მდგომარეობა; ყოველგვარ სოციალურ და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას მოკლებული - ქართველი თუ უცხოელი - ინვესტორის ხელში ჩავარდნილი, ფაქტობრივად, მონობაში მიყიდული მშრომელები; საკერავი მანქანა და თავადაც მანქანად ქცეული მკერავი ქალი, რომელიც მიზერული ხელფასის, არაადამიანურად გაზრდილი სამუშაო დროისა და ჯანმრთელობის შერყევის ფასად არჩენს საკუთარ თავსა და ოჯახს. ანუ ყველა და ყველაფერი ის, რაც დღემდე ვერ ახერხებს, ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყროს და შესაბამისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინსტიტუციები აიძულოს, აღარ დაუშვან, რომ „ეკონომიკური ზრდისათვის“ ხარკად ვიხდიდეთ „დერეგულირებული“ ბიზნესის მიერ დანგრეულ მშრომელთა ფიზიკურ და სულიერ სიმრთელეს. ვიხდიდეთ ხელისუფლება და ყველა ის მოქალაქე, ვინც მხოლოდ და მხოლოდ ბედის შემთხვევითობამ დაგვიფარა, რომ ჭიათურაში, კაზრეთში, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკაში თუ თუნდაც „იოლსა“ და სხვა სუპერმარკეტებში დასაქმებული ახალგაზრდების მსგავს სავალალო პირობებში არ გვიწევს შრომა და ცხოვრების გალევა.

ღვთისმშობლის ამსახველ ტილოზევე ფონად მთელი ეს ჩაგვრა და გაჭირვება იმიტომ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რომ ამ შემთხვევაში, კონფერენცია-გამოფენიდან ერთი კვირის თავზე პოლიტიკური მანიპულაციის მიზნით ვიღაცამ უცებ რომ გადაწყვიტა, კონტექსტიდან ამოგლეჯილად წარმოეჩინა და სკანდალის საგნად ექცია ლია უკლებას ერთი ცალი ტილო, ფართო საზოგადოებას აღარ შერჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ თვითმკვლელი ღვთისმშობელი, რომელიც თითქოს ვინმეს გაღიზიანებისა და პოპულარულობის მიღწევის იარაღად იყო ჩაფიქრებული. ვეღარ მოხერხდებოდა იმ პრობლემებისათვის კვლავაც თვალის არიდება, რომლებზე ყურადღების მიქცევასაც ასეთი მძაფრი და საკამათო ფორმით ცდილობს მხატვარი და ვცდილობ ამ ნაწერში მეც.

„თვითმკვლელი ღვთისმშობელი“, მიუხედავად იმისა, რომ მოდელად აღებული აქვს დირბის ტაძარში აღმოჩენილი ფრესკა, არ არის ხატი, არამედ - გაპრანჭულად რომ ვთქვათ - ხელოვნების მიერ კანონიკური იკონოგრაფიის „ციტირება“ საკუთარ საერო კონტექსტში. ლია უკლება ტაძარში არ შეჭრილა და ფრესკა ან ხატი არ შეურყვნია. ქრისტიანობის ისტორია ქრისტიანული (სახვითი) ხელოვნების ისტორიაცაა და თავად კანონიკური ხატწერის შიგნითვე ყოველთვის იმდენად არაერთმნიშვნელოვანი და ცვალებადი იყო რელიგიური შინაარსის გამოხატვის ფორმები, რომ ძალიან დიდი ფარისევლობა და ქრისტიანული კულტურული კონტექსტის მიზანმიმართული დამახინჯება იქნებოდა უკლებას ამ ერთი ნახატის ჯერარნახულ მკრეხელობად გასაღება.

„შარლი ებდოს“ კარიკატურებთან ანალოგია უადგილოა, რადგან ქრისტიანულისგან სრულიად განსხვავებულია ისლამის თეოლოგიური კონტექსტი და მისი დამოკიდებულება რელიგიური შინაარსების გამოსახვასთან. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ, ერთი მხრივ, „შარლი ებდოს“ თანამშრომლების ჩამცხრილავი ტერორისტებისთვის კარიკატურები მხოლოდ ხელსაყრელი პოლიტიკური საბაბი იყო, მეორე მხრივ კი, თავად ეს კარიკატურები ძალაუფლების მქონე ინსტიტუციებსა და ფიგურებს კი არ აშარჟებდა, არამედ ისევ და ისევ საფრანგეთის ყველაზე დაუცველ, მოწყვლად სოციალურ ჯგუფებს - აღმოსავლელ, ისლამის მიმდევარ იმიგრანტებს, რომლებიც ორმაგ, ერთმანეთზე გადაბმულ ჩაგვრას განიცდიან - ეკონომიკურს და კულტურულ-რელიგიურს. ამის საპირისპიროდ, ლია უკლებას ნახატი ცდილობს განსხვავებული, თუნდაც შოკისმომგვრელი სახით წარმოაჩინოს ქრისტიანული რელიგიის ის ერთ-ერთი უმთავრესი სიმბოლო, რომელზეც გამუდმებით აპელირებს საქართველოში ალბათ ყველაზე უფრო დიდი ძალაუფლების მქონე ინსტიტუცია - ეკლესია. აპელირებს ღვთის მშობელ დედაზე და იქვე მოაყოლებს უკიდურესად დამამცირებელ განსჯას ემიგრანტ ქალებზე, სუროგატ დედებსა და მათ „არაბუნებრივ“ შვილებზე, კაცისადმი ქალის უპირობო მორჩილებაზე და ჯიუტად დუმს, როდესაც ქვეყანას ქმრის ძალადობის წინააღმდეგ ამხედრებულ ქალთა მკვლელობების ტალღა მოიცავს.

და როდესაც „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე“ მიუთითებენ, განა თავად არ ახდენენ ე.წ. „ბნელი“ მორწმუნის მითის ტირაჟირებას? მორწმუნე ადამიანი ისე წარმოჩინდება, თითქოს ცხოველი იყოს, რომელიც ბიოლოგიური რეფლექსების დონეზე რეაგირებს გარედან მიღებულ იმპულსებზე, აზროვნება არ შეუძლია და, შესაბამისად, გაღიზიანების ამოფრქვევისგან თავის შეკავებას ისევე ვერ ახერხებს, როგორც რაიმე ჯებირის მიერ შეკავებული ღვარცოფი. და, რა თქმა უნდა, მერე ეს ყველაფერი საზოგადოებაში „დაგროვილ“ ბრაზად ირაცხება, რომელიც, მით უმეტეს ბანდიტის ენაზე მოლაპარაკე ქორეპისკოპოსის პირდაპირი მუქარის შემდეგ, რეალური შანტაჟის სახეს იღებს: ან მოკეტავთ, ან ფიზიკურ ძალადობაზე გადმოვალთ, თან მომხდარზე პასუხისმგებლობასაც მოვიხსნით.

ასობით სტუდენტთან მიწევდა კამათი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსის „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ სწავლებისას და ყოველთვის უდიდესი სიამოვნებით განვიხილავდი მათთან ერთად ყველაზე აქტუალურ და მწვავე საკითხებს. სწორედ მათთან თავდაუზოგავ დებატებში მივხვდი და დარწმუნებული ვარ, მათაც გაცნობიერებული აქვთ, რომ ადამიანი არ არის ავტომატი, რომელშიც რწმენას, ურწმუნოებას, იდეოლოგიებსა თუ ორიენტაციას ისევე „ჩატვირთავ“, როგორც კომპიუტერში რაიმე პროგრამას ან როგორც ჩაიდანში ჩაასხამ წყალს. აკი „ობიექტივის“ ჟურნალისტიც, ნახატის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ სტუდენტებს შორის გამოკითხვას რომ ატარებდა, ყველაფერს ეცადა, ჟურნალისტური ნეიტრალურობის ყველანაირი ზომა დაარღვია, ლამის სულში ჩაუძვრა მის მიერ ენის მოჩლექით „ბავშვებად“ მოხსენიებულ ზრდასრულ, სრულფასოვან ადამიანებს, რათა მათგან სასურველი პასუხი მიეღო. მაგრამ რატომღაც „ბავშვების“ უმეტესობის რეაქციები სულ სხვანაირი იყო - „არ მინახავს“, „ვნახე, მაგრამ ვერაფერი აღმაშფოთებელი ვერ შევნიშნე“, „ვნახე და არ მომეწონა, მაგრამ ვისაც რა უნდა, ის დაუხატია“.

არადა, დარწმუნებული ვარ, მათი უმეტესობა მორწმუნეა, როგორც ის სტუდენტები, ლექციაზე რომ მისმენდნენ და ვუსმენდი. ვის ვის და „ობიექტივს“ არ შეეშლებოდა რადიკალურად დამგმობი რეაქციების ჩვენებაც, ასეთი რომ შეხვედროდა. მოკლედ, ეს ყოველივე აშკარად ბევრად უკეთესი მხრიდან წარმოაჩენს „მორწმუნეს“, რომლის „გრძნობებზეც“ გამუდმე-

ბით ხდება აპელირება პოლიტიკური მანიპულაციისა და საჯარო სივრცეზე სრული კონტროლის დამყარების მიზნით.

მაგრამ რა პასუხს ვაძლევ იმ ადამიანებს, ვინც მართლა შეურაცხყოფად მიიღო „თვითმკვლელი ღვთისმშობლის“ გამოსახულება? მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვუთხრა: დასვით კითხვა, თუ რატომ მოუნდა ვინმეს ასეთი რამის დახატვა და გამოფენა. შეხედეთ დანარჩენ ნახატებსა და ფოტოებს - საკერავ მანქანას და მანქანად ქცეულ დაქანცულ ქალს, მონური შრომისგან გამოფიტულ მუშებს, ნაწლავებგამოშიგნულ ცოლებს, დაბინძურებისგან ჩამპალ მდინარეებს. ეგებ სწორედ ისეთი რამ, რაც ყველაზე დიდ ღვთისგმობად გეჩვენებათ, იყო საჭირო, რათა ბოლოს და ბოლოს ყურადღება მიგექციათ საქართველოს სოციალურ კატასტროფაზე.

გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ხაზს გავუსვამ, რომ არავის შეიძლება ჰქონდეს უფლება, ლია უკლებას აუკრძალოს, დახატოს და გამოფინოს პისტოლეტმიბჯენილი ღვთისმშობელი. საჯარო სივრცეში რელიგიამ ვერ უნდა დაუშალოს ხელოვნებას ან მეცნიერებას რაიმეს გამოთქმა და მკაფიოდ გამიჯნული უნდა იყოს საერო და სასულიერო სფეროები. მაგრამ სწორედ ამ მკაფიო გამიჯნულობის ფარგლებში, ამავდროულად ნურავის ეგონება, რომ სამეცნიერო, სახელოვნებო თუ უბრალოდ ფართო საზოგადოება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და მასთან აფილირებულ ჯგუფებს შეატოვებს იმის განსაზღვრასა და გადაწყვეტას, თუ რა არის ქრისტიანობა, და ხმას არ აიმაღლებს დღევანდელი ეკლესიის არათუ უგრძნობლობაზე სოციალური საკითხების მიმართ, არამედ მის მიზანმიმართულად ანტისოციალურ იდეოლოგიაზე.

ეკლესიის უმთავრესი დანაშაული ისაა, რომ იგი მიზანმიმართულად და სისტემურად ამართლებს და ამყარებს იმ მჩაგვრელ სოციალურ და ეკონომიკურ წესრიგს, რომლის მიხედვითაც, ქალმა მუშტები და ტყვიები უნდა აიტანოს; მუშა ბედს შეეგუოს, ექსპლუატატორის წინააღმდეგ ჟჯანყების მაგივრად ღმერთს მიანდოს თავისი შვილების ბედი და ციდან მანანას ელოდოს; სუროგატი დედების მიერ გაჩენილი შვილები უბედურებად და არასრულფასოვნებად გამოცხადდნენ; მუსლიმი ქართველი ოჯახის შიმშილით გარდაცვლილ ჩვილს სიკვდილიც დაემადლოს; ემიგრანტი ქალები კიდევ, ოჯახის გადასარჩენად რომ გადახვეწილან საზღვარგარეთ ყველაზე მძიმე და დამამცირებელ პირობებში სამუშაოდ, „უწესოებად“ შეირაცხონ, თითქოს პირადი ხუმტურების გამო ტოვებდნენ ქმარ-შვილს; საზღვარგარეთ თუ საქართველოში დატეხილ სტიქიურ უბედურებებს და ჩამოცვენილ ბომბებს ღვთის მოვლენილი სასჯელი დაერქვას; ციხეში წამების სისტემური პრაქტიკა არ გასაჯაროვდეს, რადგან თურმე სირცხვილია.

მორწმუნე ადამიანი არ არის ბრმა და ცხოველივით რეფლექსური, როგორც ეკლესია გვაშინებს მისით. სამაგიეროდ, დღევანდელი ეკლესიაა სრული სოციალური სიბრმავით დაავადებული და შეიძლება მართლაც გულწრფელად ჰგონია, ქართველი ქალები კაპრიზების გამო ტოვებენ სამშობლოს და საქართველოში მიწათმოქმედებით შეძლებენ თავის გატანას ან სხვა სტაბილური სამუშაოს შოვნას. თურმე შრომას გადავჩვეულვართ. ახალგაზრდებს ჰკითხონ, სამუშაო რომ ნაპოვნი აქვთ და „არაფერს თაკილობენ“, სუპერმარკეტებში რა პირობებში ამუშავებენ, არც ხელფასს რომ უხდიან წესიერად და არც პიროვნული განვითარებისა და განათლებაზე ზრუნვის საშუალებას უტოვებენ. ეკლესია ამ ყველაფერზე ან დუმს, ან დაბეჯითებით ამართლებს, ან ხსნილზე ხიზილალის დაყოლებას სთავაზობს მათ.

არ არის ეს ქრისტიანობა. და თუ შოკი და „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა“ საჭირო იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ კატეგორიულად დაისვას საკითხი და ყველაზე დაუცველი სოციალური ჯგუფების იდეოლოგიურ ჩაგვრას ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ მე მივესალმები ასეთ ღვთისგმობას და ლია უკლებას ნახატმაც თავისი ფუნქცია შეასრულა.

ერთი მხრივ, მიუხედავად გამალებული მცდელობისა, ვერ მოხერხდება, არსებული სოციალური კატასტროფით გამოწვეული რადიკალური პროტესტი, რომლის გამოც ტილოზე „თავს იკლავს“ ღვთისმშობელი, პოლიტიკურად მანიპულირებულ კამპანიად იქცეს ერთი კრიტიკული უნივერსიტეტის წინააღმდეგ, რომელიც თავის წიაღში სრულიად განსხვავებულ მიმართულებებსა და შეხედულებებს იტევს. აქეთ „ნუ შეურაცხყოფთ რელიგიურ გრძნობებს!“, იქით „რასაც მინდა, იმას დავხატავ!“ გასაგებია. მაგრამ რამენაირად გავიდეთ ამ შეპირისპირების მიღმა და გავიგონოთ სწორედ იმათი ხმა, ვის უხილავობაზეც ვცდილობდით, გვემსჯელა ჩვენს პატარა კონფერენციაზე. თუ არადა, ისევ „ბნელი“ და „ბოროტი“ რელიგიისა და „გონებანათელი“ და „კეთილი“ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ფუჭ ჭიდილში ჩარჩება ყველაფერი და ისინიც, ვის გამოც ლია უკლებამ ტილოზე ღვთისმშობელს ყველაზე ღვთისმგმობი ჟესტი გააკეთებინა, კვლავაც უხმოდ დარჩებიან.

და ტოტალური ცენზურაც რომ დააწესონ და არათუ მსგავსი ტილოები, არამედ ეკლესიისადმი მიმართული უმცირესი კრიტიკული აზრის გამოხატვაც რომ აკრძალონ, თავად ეკლესიის წარმომადგენელთა ლამის ყოველკვირეული და ერთიმეორეზე უფრო აღმაშფოთებელი ანტისოციალური განცხადებები თავისას იზამს და კიდევ უფრო გააღრმავებს საზოგადოებაში მომძლავრებულ პროტესტის განცდას. უსამართლო სოციალური სისტემის პირისპირ სასოწარკვეთილი ადამიანი უკიდურეს ჟესტს რომ მიმართავს, ბენზინს გადაისხამს და თავს დაიწვავს, ყველას არც ამ სურათის ნახვას ურჩევენ, რათა გრძნობები ზედმეტად არ შეელახოთ. ცენზურის ქვეშ კი მოაქცევ, მაგრამ ვერავინ წაშლის კითხვას: რატომ?

ლუკა ნახუცრიშვილი

დიდი ხნის წინ სადღაც წავიკითხე ჩვენნაირი ქვეყნების განვითარების პერსპექტივის ერთ-ერთი ყველაზე ცინიკური ახსნა ე.წ. „სპაგეტის ტესტის“ მეშვეობით. სპაგეტის ტესტი პრიმიტიული ტესტია: იმის გასაგებად, სპაგეტი მოხარშულია თუ არა, მას კედელს ესვრი. თუ კედელს მიეკრა, მოხარშულია, თუ არა, ესე იგი ხარშვა აკლია. მოკლედ, ამ შედარების ავტორი ამბობდა, რომ „განვითარებადი ქვეყნების“ სახელმწიფოებრიობა ისეთი მყიფეა, ყველა რეფორმა და ინვესტიცია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის ჩამოყალიბებაში უბრალო ცდა და ექსპერიმენტია - ვთქვათ ისეთი, როგორიც, არც მეტი, არც ნაკლები, კედელზე სპაგეტის მიხლაა.

დარწმუნებული ვარ, ამ დღეებში ბევრმა იფიქრა, რომ სახელმწიფო კი არა, მართლაც ექსპერიმენტია ის, რაშიც ვცხოვრობთ. ჩემთვის ეს სასოწარკვეთილება 2012 წლის სექტემბერში წამების ამსახველი „ციხის კადრების“ ნახვის შემდეგ დაიწყო და გაგრძელდა წამებისგან ცინიკური სანახაობის მოწყობით, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ნაცვლად მათი ღირსების ფეხქვეშ გათელვით, დამნაშავეთა დასჯის მაგიერ, მათთან სრულიად გაუგონარი თანამშრომლობით. აქვე ვიტყვი, რომ ამაში ორივე პოლიტიკური პარტია დამნაშავედ მიმაჩნია: როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ისე კოალიცია „ქართული ოცნება“. თუ ამ წერილის მკითხველებიდან ვინმე რომელიმე ამ პოლუსს მიაკუთვნებს თავს, შევახსენებდი ერთი აფრიკულ ანდაზას, რომელიც კარგად მიესადაგება ჩვენს მკაფიოდ პოლარიზებულ საზოგადოებას: „როცა ორი სპილო ერთმანეთს ებრძვის, ბალახი ითელება.“ ეს წერილი ამ „ბალახის“, ანუ წამების პირდაპირსა და არაპირდაპირ მსხვერპლზეა, რომელიც ამ დღეებში ორივე ამ პარტიამ დაივიწყა. ამიტომ ცალმხრივი და რადიკალური პოზიციის მოყვარულებს შეუძლიათ, აქვე შეწყვიტონ კითხვა.

როგორც ჩანს, ბოლო დროს, 2012 წელს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა იყო ერთადერთი, რაც ვცადეთ და გამოვიდა, დანარჩენი მცდელობები კი, დიდი მოლოდინის მიუხედავად, სამწუხაროდ, ფუჭი აღმოჩნდა. მაგალითად, დღემდე არ მესმის, რატომ არ ველოდით იმას, რომ 2012 წლის მერე ვინმე გაბედავდა და წამებას პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენებდა? რატომ დავიჯერეთ, რომ იმ სისასტიკის კვალი სადღაც გაქრებოდა? რატომ დავიჯერეთ, რომ აღარავინ მოგვისმენდა კანონის დარღვევით ან რომ ხელისუფლება აიტანდა მისთვის უხერხულობის შემქმნელ მედიას? რატომ დავიჯერეთ, რომ სასამართლოს ეყოფოდა პროფესიონალიზმი, ეთიკა და არ დატოვებდა სივრცეს „ბრბოს მართლმსაჯულებისთვის“?

2012 წელს, ჩვენ, როგორც საზოგადოება, წამების პრაქტიკას მაინც გავემიჯნეთ, როცა ვთქვით, რომ არ ვიცოდით, რა ხდებოდა და ის ყველაფერი ჩვენი სახელით და ჩვენი თანხმობით არ ხდებოდა. ხოლო ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ დანაშა-

ულს სჩადიოდა (მოქმედებითა თუ უმოქმედობით) გადავირჩიეთ. თუმცა, ახლანდელი მმართველი პოლიტიკური ძალის შეფასებისას წარმოუდგენელ სიზანტეს და დაბნეულობას ვიჩენთ. ამის ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ წამების საქმეში ამ ხელისუფლებას მხოლოდ მეორადი როლი აქვს, შესაბამისად, იგი წარმატებით ახერხებს მთელი ჩვენი ბრაზის გადამისამართებას პირველადი სუბიექტის, ანუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ. მოქმედი ხელისუფლება არაფერს გვიმალავს, არაფრისთვის გვიხდის ბოდიშს, არაფერს ნანობს, მას მხოლოდ ჩვენი ბრაზი და ემოცია სჭირდება და საშუალებას არ გვაძლევს, წამებას გამოძიებითა და მართლმსაჯულებით გავცეთ პასუხი. პირიქით, მან ყველა ჩაგვრთო წამებაში თანამონაწილის სახით, რათა თავად მართოს ჩვენი ბრაზი და სასოწარკვეთილება და ის საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოიყენოს. რატომ ჩაანაცვლა წამების სანახაობამ წამების გამოძიება და მართლმსაჯულება? იმიტომ, რომ მართლმსაჯულება, თუ არ გააქრობდა, კალაპოტში მაინც მოაქცევდა ბრაზს და, შესაბამისად, ის დაკარგავდა პოლიტიკური რესურსის ძალასა და სტატუსს.

წიგნში The Wound and the Witness, The Rhetoric of Torture ჯენიფერ ბალენგი ამბობს, რომ წამების ჩვენება არის ის, რაც წამებას რიტორიკულ ინსტრუმენტად აქცევს და პოლიტიკურ სიბრტყეზე წამების „წარმატებული“ გამოყენებისათვის ძირითადი ელემენტი აუდიტორიაა, ანუ მოწმე. წამების ვიდეოებს მნიშვნელობას აუდიტორია ანიჭებს. მეტიც, ამ მნიშვნელობას აუდიტორიის მონაწილეობა ქმნის.

სამწუხაროდ, რაც უნდა სასტიკად ჟღერდეს, ჩვენ ყველა ჩართულები ვართ წამებაში გულგრილი მოწმეების სახით და წინა თუ მოქმედი ხელისუფლების პასუხისმგებლობის გარდა, მგონი, დროა, ჩვენი, როგორც აუდიტორიის როლზეც ვისაუბროთ. ყველა, ვინც წამების კადრების საჯარო თუ კერძო ჩვენებას საზოგადოებრივი ინტერესით ამართლებს, ხელისუფლების მსგავსად, წამების მსხვერპლის ღირსებაზე მაღლა საკუთარ ვულგარულ ცნობისმოყვარეობას აყენებს. წამების მსხვერპლის ადგილას რომ წარმოვიდგინოთ თავი, მივხვდებით, რომ საერთოდ არ არსებობს რაიმე ლეგიტიმური საინფორმაციო ინტერესი, რომელიც უფრო მაღლა დადგება, ვიდრე მსხვერპლის ადამიანობა, რაც მას ამ ძალადობით წაართვეს. ამ ყველაფრის სანახაობად ქცევით კი ჩვენ ამ დანაშაულს ვაღრმავებთ.

ამ თემაზე დისკუსიის კულმინაცია პრემიერ-მინისტრის სრულიად უპასუხისმგებლო, ირიბი მოწოდება იყო შურისძიებისკენ, თუმცა უფრო ცინიკური იყო მეორე მხრიდან წამების პრაქტიკის სრული უარყოფის მცდელობა. ამ დროს ისინი, ვინც ციხეში არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლი იყო, ჩვენ გვერდით არიან. ვისაც განსაკუთრებით მოკლე მეხსიერება აქვს, ვურჩევ, გაეცნოს ორ გამოკვლევას. პირველი, სახელად „ისტორიები საქართველოს ციხეებიდან“, 2013 წელს გამოსცა საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრმა. ეს ცენტრი წამების მსხვერპლებს ეხმარებოდა და წიგნში მათი უშუალო მონათხრობია შეტანილი. აი, მცირე პასაჟი ერთ-ერთი მსხვერპლის ნაამბობიდან:

„ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში იყო ციხის ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღე. მე კი ასეთი სამჯერ სამას სამოცდახუთი დღე მაქვს გავლილი. ამ დღეების განმავლობაში ვუყურებდი, როგორ აუპატიურებდნენ, როგორ სცემდნენ, და მე ხმის ამოღება არ შემეძლო. ე.წ. „ფუქსში“ რამდენჯერ ვყავარ ჩაყვანილი... „ფუქსი“, ეს არის დაახლოებით ერთი კვადრატული მეტრის გალია, „აბეზიანკას“ ეძახიან, სადაც არც დაწოლა შეგიძლია, ვერც დაჯდები, იმიტომ, რომ სკამი არ არის, ბეტონის იატაკი და რკინის გისოსებია. ნატრობ, ისეთი ძილი მოგერიოს, რომ გაითიშო და ორგანიზმმა ცოტა ხანი დაისვენოს. ხუთი წუთი ამ ბეტონის იატაკზე

თვალებს მილულავ, ცოტა ხანი ორგანიზმი აღიდგენს ძალებს, მერე ისევ ფეხზე დგახარ. მე პირადად, სამი დღე და ღამე ვარ ნამყოფი ასე - არა საჭმელი, წყალზე ხვეწნა გიწევდა. ვერ გადიოდი ტუალეტში. იქვე უნდა მოგესაქმებინა და იმ სიბინძურესთან ერთად უნდა ყოფილიყავი ორი-სამი დღე. პატიმრებს ვიცნობდი, რომლებიც ორი კვირა და ერთი თვეც კი ყოფილან ესე. სადღაც მაქვს წაკითხული „ესეც გაივლის“, ხშირად ვიმეორებდი ხოლმე ამ სიტყვებს: „ესეც გაივლის, ესეც გაივლის, ყველაფერი კარგად იქნება.“

მეორე ანგარიში არის 2014 წელს, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ გამოცემული 2003-2012 წლებში პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის გამოკვლევა, რომელიც ეყრდნობა 1200 პატიმრის ჩვენებასაც. ამ გამოკვლევაში საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, რომელიც პატიმართა ჩვენებებით არის გამყარებული, ვკითხულობთ დასკვნებს იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულა სასჯელაღსრულების სისტემაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრაქტიკის არსებობაში არაეფექტიანმა გამოძიებამ და მართლმსაჯულებამ, ზედამხედველობის არარსებობამ.

ანგარიშში ვკითხულობთ: „2008 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლით (წამება) მხოლოდ ხუთი საქმე განიხილებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და ცხრა საქმე 144 მუხლით (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა). 2009 წელს ეროვნულ სასამართლოებს 144 მუხლით არც ერთი საქმე არ განუხილავთ და მხოლოდ ერთი საქმე იქნა განხილული 144 მუხლით.“ საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „2011 წელს გამოძიება დაიწყო დაახლოებით 10 საქმეზე გლდანის №8, ქსნის ციხის და გლდანის №18 სამედიცინო დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევებთან დაკავშირებით.“ იმავე წელს „დაიწყო 23 საქმის განხილვა 144 მუხლით (წამება), საიდანაც 6 შემთხვევაში გამოძიება შეწყდა და 3 შემთხვევაში დასრულდა სასამართლო განხილვით. იმავე ხანებში, 144 მუხლით (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა) აღძრული 5 საქმიდან 2 საქმის გამოძიება შეწყდა და ერთმა საქმემ მიაღწია სასამართლო განხილვის ეტაპს.“ ამას ემატება ისიც, რომ მიუხედავად სავარაუდო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ან ღირსების შემლახავი მოპყრობის თაობაზე პატიმართა საჩივრებისა, სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება იწყება სისხლის სამართლის კოდექსის მხოლოდ 333-ე მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება) და არა 144 (წამება) ან 144 მუხლით (არაადამიანური ღირსების შემლახავი მოპყრობა).

ეს პასაჟი კარგად ასახავს იმ მდგომარეობის მიზეზებს, რაც წამების ამსახველ ვიდეოკადრებში გამოჩნდა. 2012 წლამდე გამოძიება და სასამართლო, უბრალოდ, არ არსებობდა. ტრაგედია ის არის, რომ გამოძიება და სასამართლო არც ახლა არსებობს, რადგან ჩვენ ამას ისე ხმამაღლა არ ვითხოვთ, როგორც საჭიროა და პროცესებში ისე არ ვმონაწილეობთ, როგორც საჭიროა. არადა, აუცილებელია მსჯელობის განახლება ასეთი სუსტი გამოძიებისა და სასამართლოს ალტერნატივის, სიმართლის დამდგენი დამოუკიდებელი კომისიის თუ სხვა მოდელების შესახებ და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა, რათა, ბოლოს და ბოლოს, აღვასრულოთ სამართალი და აღარ განმეორდეს ან დაუსჯელი აღარ დარჩეს წამება, წამების ვიდეოზე ასახვა, წამების ამსახველი ვიდეოების გავრცელება, წამების ამსახველი ვიდეოების გავრცელების არაღკვეთა და სიძულვილის გაღვივება...

წამება, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობა ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, მაგრამ სახელმწიფოებრიობის საზომი ასეთ ფაქტებზე რეაგირება და მათი პრევენციაა.

თუ ქვეყანას არ მოეპოვება გამოძიების ეფექტიანი ინსტრუმენტები და დამოუკიდებელი სასამართლო, თუ შეგნებული არ აქვს, რომ ადამიანის ღირსება ყველაფერზე მაღლა დგას, მაშინ ის იმის ღირსიც არ არის, რომ სახელმწიფოს იწოდებოდეს.

თამარ გურჩიანი

ქართული მედიის ანატომია

1994 წელი იყო, როცა „დრონში“ ჯერ პრაქტიკაზე მივედი, შემდეგ კი იმ დროისთვის ერთ-ერთ გავლენიან გაზეთში სამუშაოდ დავრჩი. 1991-92 წლების თბილისის ომი უკვე ჩავლილი იყო და ის, რომ რამდენიმე წლით ადრე „დრონი“ პრეზიდენტ გამსახურდიას ოპოზიციისთვის თავისუფალი აზრის გამოხატვის მთავარი ტრიბუნა იყო, მხოლოდ საარქივო მასალებიდან და ჩემი კოლეგების ნაამბობიდან შემეძლო გამეგო. ფინანსური სირთულეების გამო, მოგვიანებით გაზეთი „დრონი“ მედიარუკიდან გაქრა, თუმცა ამ სახელის ხსენებისას, განსხვავებული სუბიექტური ინტერპრეტაციებით, მაგრამ მაინც, ყველას გაახსენდება ის როლი, რომელიც ამ გაზეთმა საქართველოში 1991-92 წლებში განვითარებული მოვლენებისას ითამაშა.

„დრონის“ მაგალითი კარგი ილუსტრაციაა ქართული თანამედროვე მედიის უახლესი წარსულისა და იმ საკითხების გასაზრებლად, რომლებიც პოლიტიკურსა და მასმედიის სტრუქტურებს შორის სისტემურ თუ ფრაგმენტულ კავშირებს შეეხება და რომლის ხარისხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების ხარისხის მიხედვით ვარირებს. ამ წერილის დაწერის სტიმულად ჩემთვის, ცხადია, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საკუთრებასთან დაკავშირებით განვითარებული დავა, მისი ქონების დაყადაღება და ჟურნალისტური ობიექტურობის გარშემო ისეთივე ინტერპრეტაციული დისკურსი აღმოჩნდა, როგორიც ობიექტურობის გაგებაა.

პირველ რიგში, ალბათ, იმ საკითხზე ღირს დაფიქრება, თუ რამდენად არის მედია საქართველოში თვითკმარი ბიზნესი, რაც დაგვეხმარება იმ პოლიტიკური გავლენების უკეთ გააზრებაში, რომლებიც მედიაინსტიტუტზე ზემოქმედებენ. ის დრო, როცა დამოუკიდებლობის პირველ წლებში მრავალტირაჟიანი გაზეთები საკუთარ თავს ინახავდნენ, „დრონის“ მსგავსად, ზოგიერთი გამოცემისთვის ხანმოკლე აღმოჩნდა, ზოგმა სიცოცხლისუნარიანობა სხვადასხვა, მათ შორის პოლიტიკური სუბსიდიით გაიხანგრძლივა, რისთვისაც ასლან აბაშიძისა და სხვათა დაფინანსებული მედიასაშუალებების არდავიწყებაც გვმართებს. სატელევიზიო მედიის განვითარებამ მედიაბაზარზე კონკურენცია გაზარდა. თუ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის სტატისტიკას გადავხედავთ, ტელევიზიების მაგალითზე კიდევ უფრო ცხადად დავინახავთ, რომ მედია სტაბილურად თვითკმარი ბიზნესი არ არის, ხოლო ბაზარზე არსებული მოთამაშეები ბაზრის მოთხოვნებს სჭარბობენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი ტელეკომპანიის შემოსავლებში რეკლამის ხვედრითი წილი უმნიშვნელოა ან ვერ ამართლებს იმ მასშტაბური პროექტების დანახარჯებს, რომლებიც ეკრანიდანაც თვალშისაცემია.

თუ მედია ფინანსურად სტაბილურად მომგებიანი ბიზნესი არ არის, მაშინ რა არის ის, რაც მის სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს და რა სარგებელი მოაქვს მას? ქართული მედიის უახლესი ისტორია ცხადყოფს, რომ სწორედ პოლიტიკური ინტერესები და განსხვავებული ინტერესების კონფლიქტი განაპირობებდა და დღესაც უზრუნველყოფს ჩვენში პლურალისტურ გარემოს, როგორც ეს ჩანასახოვანი დემოკრატიის ქვეყნებში ჩვენზე გაცილებით ადრე დაიწყო.

ქართულ მედიაბაზარზე ბადრი პატარკაციშვილის „იმედი“, მოგვიანებით ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის „მე-9 არხი“ და GDS-ი და ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებული „რუსთავი 2“ პოლიტიკური პარალელიზმის ნიშნების მატარებელი მედიუმებია:

ბადრი პატარკაციშვილმა, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს, 2007 წლის დეკემბერში ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლებისადმი ვიდეომიმართვაში დაუფარავად ისაუბრა ხელისუფლების შეცვლის ამოცანის მიღწევის შესაძლო საშუალებების შესახებ.

მას შემდეგ, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე თავის პოლიტიკურ მიზანს მიაღწია და ხელისუფლება შეცვალა, ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო „პახმელიაზე“ დახურა თავისი ოჯახის კუთვნილი ტელეკომპანია „მე-9 არხი“; მოგვიანებით კი ასევე ივანიშვილების საოჯახო GDS-ი გასართობი არხიდან იმ პლატფორმად გადაქცია, საიდანაც მიმდინარეობს ყოფილი პრემიერისა და პოლიტიკურ პროცესებზე ამჟამადაც ექსკლუზიური გავლენის მქონე პირის „მომავლის პროექტის“ - „20/30“-ის ვირტუალურ სივრცეში ხორცშესხმის პროცესი.

„რუსთავი 2“-მა კი, რომელიც ნაციონალურ მოძრაობასთან არის დაახლოებული და რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩვეულ „უოჩდოგურ“ ფუნქციაზე მეტად გასართობ გადაცემებს მიანიჭა უპირატესობა, 2012 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების ცვლილებების კვალობაზე გადახედა სარედაქციო პოლიტიკას და კრიტიკული გახდა ახალი მმართველი გუნდის მიმართ.

ეს მოცემულობა სრულიად არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, თითქოს მხოლოდ ერთი არხია პოლიტიკურად მიკერძოებული და ყველა სხვა მედიასაშუალება პოლიტიკური გავლენების მიღმა დგას. თუ მედია პოლიტიკურად დიფერენცირებულია, ეს უკავშირდება არა პარტიებს, არამედ ზოგად პოლიტიკურ ტენდენციებს, ხოლო მედიაზე პოლიტიკური პარტიების ძლიერი გავლენა სწორედ იმ სისტემებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც პოლარიზებული პლურალიზმისკენ არის მიდრეკილი. სწორედ დაპირისპირებული პოლიტიკური ინტერესებია ის მამოძრავებელი, რაც ჩვენს პოლარიზებულ სივრცეში პლურალისტურ გარემოს უზრუნველყოფს. დღევანდელ რეალობაში კი ჩვენში პლურალიზმი სწორედ „რუსთავი 2“-ის ხარჯზე მიიღწევა, ისევე,

როგორც ეს იყო 2003 წელს დაფუძნებული „იმედისა“ და 2012-ისთვის განახლებული „მე-9 არხის“ შემთხვევაში.

როგორი სარედაქციო პოლიტიკაც უნდა ჰქონდეს მედიასაშუალებას, ალტერნატიული წყაროების არსებობა ყოველთვის დადებითად აისახება საერთო მედია-გარემოზე, რადგან საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, ინფორმაციული ღირებულების მქონე ფაქტების გაზიარება პირველწყაროსთან ერთად სხვა მედიუმებსაც უწევთ და ამოსავალი აქ აუდიტორიისა და საზოგადოების ნდობის შენარჩუნებაა.

ციხის სკანდალური კადრების ეთერში გაშვების პირველწყარო, მართალია, ტელეკომპანიები „მაესტრო“ და „მე-9 არხი“ იყვნენ, მაგრამ ეს მასალა იმავე დღეს, სარედაქციო პოლიტიკის მიუხედავად, ყველა ნაციონალური არხის ეთერით გადაიცა. განსხვავებული ინტერესების არსებობა ამცირებს ერთი დაინტერესებული პირისა თუ ჯგუფის ხელში როგორც მედიასაკუთრების კონცენტრირებას, ისე ერთგვაროვანი საინფორმაციო ნაკადების დომინირებას. ბიძინა ივანიშვილის მორიგი, რომ იტყვიან, გულწრფელი აღშფოთება საზოგადოებრივი მაუწყებლის, „მაესტროსა“ და, ნაწილობრივ, „იმედის“ გამო, სწორედ საერთო საინფორმაციო პოლიტიკაზე „რუსთავი 2“-ის გავლენას უკავშირდებოდა:

„რამეთუ ნებსით თუ უნებლიეთ, აზრით თუ უაზროდ, გაუგებრობით თუ გაგებით, პრაქტიკულად იმ თემის აჟიტირებას აკეთებენ, რა თემებსაც წამოსწევს „რუსთავი2“... ეს არის წამყვანი ფსონის... ჩემი გააქტიურების ერთ-ერთი მიზეზიც ეს არის“, - განაცხადა ივანიშვილმა „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში.

დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპი, რომ პრესას მთავრობის კრიტიკის უფლება აქვს, ცხადია, ორმხრივი სიამოვნების მომგვრელი პროცესი არ არის და თუნდაც მედიის მხრიდან გაზვიადებისა და გადაჭარბების შემთხვევაში, მას გაცილებით მეტი სარგებელი მოაქვს საზოგადოებისათვის, ვიდრე მხოლოდ იმ სიმართლის მოსმენას, რაც ყურს ეამება. სიმართლეს იდეათა თავისუფალი მოძრაობა წარმოშობს, და არა საკუთარი მოსაზრებების ერთადერთ ჭეშმარიტებად გამოცხადება.

დასასრულს, ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური პლურალიზმის აუცილებლობით მედიაზე პოლიტიკური გავლენების გამართლება სულაც არ ნიშნავს, რომ უნდა უგულებელვყოთ მედიის ინსტრუმენტალიზაციის საფრთხე, რაც, როგორც ადრეული დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, მედიის კომერციალიზაციითა და პროფესიონალიზაციით დაიძლევა.

თამარ კინწურაშვილი

ტუპილი

ბიძინა მაყაშვილი

ხშირად დარჩენილხართ მოტყუებული? მე ძალიან. ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება მატყუებდნენ. ბავშვობიდან. პირველი ტყუილი, ალბათ, თოვლის პაპა იყო, რომელიც სიბერეში სანტა კლაუსი აღმოჩნდა.

როცა კითხვა ვისწავლე, უკვე რეკლამა მატყუებდა, რომლის თანახმადაც, ქართული ჩაი სასიამოვნო და არომატული სასმელი იყო. ზოგადად, რეკლამას რომ უნდა მოვეტყუებინე, მაშინ არ ვიცოდი.

მერე მატყუებდა სკოლასთან მდგარი ფოტოების გამყიდველი, რომელიც 10 კაპიკად ყიდდა ხუთი თმამოშვებული ბიჭის ფოტოს რუსული წარწერით: Квартет Битлз.

უმოწყალოდ მატყუებდნენ სკოლის სახელმძღვანელოები. არა მარტო ისტორიის, არამედ ფიზიკისაც, სადაც ეწერა, რომ პოლზუნოვმა გამოიგონა ვატის ორთქლის მანქანა, ხოლო პოპოვმა - რადიო.

იმ ხანებში არ მაღელვებდა, მაგრამ ძალიან მატყუებდა ამინდის პროგნოზი. მატყუებდა „ლედ ზეპელინი“, რომელიც სხვების დაწერილ ბლუზებს ისე უკრავდა, თითქოს მისი ყოფილიყოს. მატყუებდა მაღაზიის გამყიდველი, როცა წონა და ხურდა ყოველთვის თავის სასარგებლოდ ეშლებოდა. მატყუებდა მათხოვარი, რომელიც ათას ლეგენდას თხზავდა თავის წარსულზე. მატყუებდა გეოგრაფიული რუკა. მოკლედ, მატყუებდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა.

მარტო სულხან-საბა არ მატყუებდა, პირიქით, ის ერთადერთი იყო, რომელიც მასწავლიდა, როგორ არ უნდა მოვტყუებულიყავი. ეტყობა, ცუდი მოსწავლე ვიყავი, რადგან მაინც ვტყუვდებოდი.

მატყუებდა ეროვნული მოძრაობა, ტყუილებს ბოლო მოეღება, როცა ტოტალურ სიცრუეზე აგებული საბჭოთა კავშირი დაინგრევა და საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებსო. ტყუილები დამოუკიდებლობის მოპოვების მერე უნდა გენახათ!

კომუნისტების დროს ვიცოდით, რომ ტყუილი კანონით გვქონდა გარანტირებული და ამიტომ არ განვიცდიდით, როცა გვატყუებდნენ. აბა როგორ უნდა გავბრაზებულიყავით, როცა, კონსტიტუციის თანახმად, 1980 წელს კომუნიზმში შევიდოდით.

ეროვნული ტყუილები ბევრად უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, რადგანაც მოიტანა სისხლი, ნგრევა, სიღარიბე, ენერგოკრიზისი, ტერიტორიების დაკარგვა, იმედგაცრუება...

მალე დადგა მითოლოგიური ტყუილების ეპოქა. მაგალითად, არსებობდა მითი, სახელად მეცხრე ბლოკი. მითი საზღვარგარეთელი მეგობრების შესახებ. და ყველაზე მთავარი - ნავთობსადენის მითი. ამ მითების თანახმად, საქართველო მალე სამოთხედ გადაიქცეოდა. თავისთავად სამოთხეც რომ დიდი ტყუილი იყო, აღარავის გახსენებია.

21-ე საუკუნის დასაწყისში დაიწყო ახალი - ნაციონალური ტყუილების ფაზა. დიდი არაფერი, მაგრამ მაინც ბევრი ბრიყვდებოდა. თქვენი არ ვიცი, მე კი ჩვენი პოლიტიკური ლიდერები ჩრდილოეთ კორეის მატყუარებს მაგონებდნენ, ოღონდ გემოვნება ჰქონდათ არაბული. კორეაში იმას ვგულისხმობ, თავიანთ მოქალაქეებს რომ ატყუებენ, ყველაზე მაგარ ქვეყანაში ცხოვრობთო, ჩვენმა ფეხბურთელებმა ბრაზილიელებს მოუგესო, ჩვენ უკეთ ვიცით, თქვენ რაც გინდათო და ა.შ. არაბულ ასოციაციებს ალბათ ხრიოკ და უდაბნო ადგილებში პალმებით გაწყობილი ინფრასტრუქტურების შექმნა და მათი არქიტექტურა იწვევდა. ეს ძირითადი ხაზი იყო, თორემ წვრილ-წვრილი და მხიარული ტყუილები ყოველდღე გარანტირებული გვქონდა.

ასეთ ფონზე ბევრმა გადაწყვიტა, რომ ტყუილებისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალება ხელისუფლების შეცვლა იქნებოდა. შეცდნენ. კიდევ ერთხელ. ტრადიციულად. დაავიწყდათ, რომ ჩვენნაირი შეუმდგარი ქვეყნის ხელისუფლებისათვის ტყუილი ხშირად დროებითი გამოსავალია. გამოსავალი ახალ ტყუილამდე. ამიტომაც ტყუილები ტყუილების საფუძველი გახდა. მაგალითად, იტყუებიან, რომ რუსეთის ოკუპანტობა ტყუილია; იტყუებიან, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე არწასვლით შეიძლება მოტყუებულები დავრჩეთო; იტყუებიან, რომ თავად უფრო ნაკლებს იტყუებიან, ვიდრე ოპოზიცია. სინამდვილეში ტყუილებში ერთმანეთს ტოლს არ უდებენ.

რაც მთავარია, დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლებას ერთი საერთო ტყუილი აქვს: თითქოს ძალიან უყვართ მთავარი კონკურენტი ძალაუფლებში - ეკლესია.

ერთი სიტყვით, უნდა შეეგუოთ აზრს, რომ სამყარო ტყუილებზეა აგებული და ყოველთვის შეეცდებიან თქვენს მოტყუებას. მეც ისე შევეჩვიე ტყუილებს, რომ როცა მარტო ვარ და არავინ მატყუებს, მე თვითონ ვიტყუებ თავს, რომ ყველა მე მატყუებს.



შეთავაზება მთავრობას

მინდა, ამ წერილით განვმარტო, როგორ ვხედავ ჩვენი ქვეყნის განვითარების საფრთხეებს და პერსპექტივას იმ კუთხით, რა კუთხესაც ჩემი თვალსაწიერი სწვდება.

დავიწყებ იმით, რომ, ჩემი აზრით, ქვეყნის სახე მის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩანს - რითი ივსება ბიუჯეტი და როგორ ნაწილდება თანხა პრიორიტეტების მიხედვით. ჩემთვის ბიუჯეტის ხარჯვა ორ ძირითად ნაწილად იყოფა - ქვეყნის განვითარებისთვის გამოყოფილი რესურსი და სოციალური ვალდებულებები, რომლებსაც სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე. ჩემი აზრით, რაც მეტია განვითარება, მით მეტი ვალდებულების აღების საშუალება აქვს ბიუჯეტს; და პირიქით, რაც ნაკლებია განვითარებისთვის გაღებული თანხა, მით ნაკლები უნდა იყოს სოციალური პროექტების დაფინანსებაც. ეს არის ლოგიკური ჩარჩო. თუმცა, ცხადია, სხვადასხვანაირი სახელმწიფო არსებობს და ყოველი ახალი ხელისუფლება თავის მოსახლეობასთან ახლებურ ხელშეკრულებას დებს, პირველ რიგში, საარჩევნო პროგრამის სახით.

ჩვენს ქვეყანაში 2012 წლის ოქტომბერში მოსულმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება. ვფიქრობ, ეს იყო ძალიან ჰუმანური გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყნის ყველა ფენის მოსახლეობას ღირსეული ავადმყოფობის საშუალებას აძლევდა. ჩემმა ოჯახმაც, ჩემი ახლობლების ოჯახებმაც ვისარგებლეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ფასდაუდებელ სამსახურს სთავაზობს სახელმწიფო თავის მოქალაქეებს.

მადლიერების გრძნობის პარალელურად, მიჩნდებოდა და მიჩნდება კითხვა - რის ხარჯზე ხორციელდება ეს ჰუმანური პროექტი? გვაძლევს თუ არა განვითარების პარამეტრები საშუალებას, რომ ქვეყანამ ასეთი სოციალური პროგრამა განახორციელოს და ასეთი სიმძიმის ტვირთი აიღოს საკუთარ თავზე?

პირადად მე ქვეყნის წარმატების საფუძვლად განათლებისა და მეცნიერების სისტემების განვითარება მიმაჩნია. მართალია, ამ სფეროში ჩადებული ინვესტიცია შედეგს წლების შემდეგ იძლევა, მაგრამ სანამ ცვლილებები არ განხორციელდება, წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევებიც ადასტურებს და მასწავლებლების მიერ ჩაბარებული გამოცდების შედეგებიც ამაზე მეტყველებს, რომ სასკოლო განათლებაში სერიოზული პრობლემებია. აღარაფერს ვამბობ მეცნიერებაზე, რომლის რეფორმირების კუთხით ნახევარი ნაბიჯიც არ გადადგმულა (თუ არ ჩავთვლით გია დვალის და ავტორთა ჯგუფის კონცეფციას, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რომელიღაც თაროზე ედება მტვერი).

ქვეყნის განვითარების მთავარი გასაღები მაინც სასკოლო განათლებაში დევს. კარგი განათლების უპირველესი გარანტი კი კარგი მასწავლებელია. თუ განვითარების პროექტებზე ვსაუბრობთ, პირადად ჩემი ხედვით, სახელმწიფომ პირველი ინვესტიცია სკოლის კვალიფიციური მასწავლებლებით შევსებაში უნდა ჩადოს. ეს კი ნიშნავს ორი მიმართულებით თანხის გადანაწილებას: კვალიფიციური პედაგოგების მრავალმხრივ წახალისებასა და არაკვალიფიციური პედაგოგების ჩანაცვლებას.

2009 წელს სახელმწიფომ მასწავლებლის პროფესია რეგულირებად პროფესიად აღიარა და მასწავლებლების სკოლაში დარჩენის პირობად სერტიფიცირება დააწესა. სერტიფიკატის ასაღებად საჭირო იყო, რომ მასწავლებელს ჩაებარებინა ორი გამოცდა: საგანში, რომელსაც ასწავლის და პროფესიულ უნარებში. პირველი გამოცდა 2010 წლის ზაფხულში ჩატარდა და ოთხი წლის განმავლობაში სერტიფიკატი დაახლოებით 20 000-მა მასწავლებელმა აიღო, ხოლო 42 000-მა მასწავლებელმა გამოცდა არ ან ვერ ჩააბარა.

„ზოგადი განათლების შესახებ" კანონის თანახმად, 2015 წლის 1 იანვრიდან სერტიფიცირება სავალდებულო ხდებოდა სკოლაში სამუშაოდ. ეს ნიშნავდა, რომ ყველა არასერტიფიცირებული პედაგოგის ადგილზე ვაკანსია უნდა გამოცხადებულიყო და მასწავლებლები მხოლოდ იმ დრომდე შეინარჩუნებდნენ სამსახურს, სანამ მათ ადგილზე უფრო კვალიფიციური კადრი არ გამოჩნდებოდა. ცხადია, ეს იქნებოდა ძვირად ღირებული პროცესი, რომელიც შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემდა, თუკი ერთდროულად ორი მიმართულება ამუშავდებოდა: ერთი მხრივ, სერტიფიცირებულ მასწავლებელს დაენიშნებოდა რეალური ხელფასი, ზრდის პერსპექტივით; ხოლო, მეორე მხრივ, 42 000 ადგილი გამოცხადდებოდა ვაკანტურად და სკოლის კარი გაიღებოდა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სახელმწიფოს წინასწარ დაუდასტურებდნენ თავის კომპეტენციას (ორი ათასამდე სერტიფიკატის მქონე ადამიანი დღესაც არის სკოლის გარეთ და სკოლაში დასაქმებას ელოდება).

ახალ პირობებში, სავარაუდოდ, სკოლისკენ დაიძვრებოდა ნაკადი იმ ადამიანებისა, რომლებსაც დღემდე განათლების სისტემისკენ არ გაუხედავთ - ახალგაზრდები, რომლებმაც უნივერსიტეტები დაამთავრეს და კარგ სამსახურს ეძებენ; მეცნიერები, რომლებმაც სამსახურები დაკარგეს, ან რომლებიც უმცირეს ხელფასზე მუშაობენ; დაუსაქმებელი, მაგრამ შრომისუნარიანი და მოტივირებული ადამიანები.

რამდენიმე კვირის წინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გამოაცხადა, რომ კანონიდან ამოღებულ იქნება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, 2015 წლიდან მასწავლებლის პროფესიით მუშაობისთვის აუცილებელი ხდებოდა სერტიფიკატის ფლობა. ახალი წესის მიხედვით, 42 000 მასწავლებელს კიდევ სამი წელი ეძლევა იმისთვის, რომ თავისი მინიმალური კომპეტენცია დაუდასტუროს სახელმწიფოს: ჩააბაროს გამოცდა თავის საგანში და დააგროვოს კრედიტების გარკვეული რაოდენობა.

რას ნიშნავს ეს გადაწყვეტილება?

მინიმუმ სამი წლის განმავლობაში სკოლებში არ მოხდება იმ მასწავლებლების ჩანაცვლება, რომლებმაც ოთხი წლის მანძილზე არ/ვერ დაადასტურეს თავისი კვალიფიკაცია. ეს ადამიანები რჩებიან საკუთარ ადგილებზე, საკუთარი დაბალი ხელფასით.

ამავდროულად, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ ხელფასი გაუზარდოს სერტიფიცირებულ მასწავლებლებს (20 000 ადამიანს). მალე გაირკვევა, კონკრეტულად რას გულისხმობს ეს ზრდა.

გამოდის, რომ სახელმწიფომ მინიმუმ სამი წლით შეინარჩუნა შედარებით იაფი სასკოლო განათლების სისტემა და გადაავადა რეალური ცვლილებები სკოლაში. თუმცა, შექმნა გარკვეული სტიმულები წარჩინებული მასწავლებლებისთვის, რომლებიც ნაწილობრივ ამოქმედდება 2015 წლიდან, ნაწილობრივ კი - 2017 წლიდან

(უფრო დაწვრილებით ახლა აღარ განვმარტავ).

ჩემი აზრით, დღეს საქართველოს სახელმწიფოს აღარ აქვს ძალა განვითარების პროექტებისთვის, რადგან მთავარი სოციალური პროექტი - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა - ნთქავს მთელ რესურსს. 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი კიდევ უფრო ნათლად გამოაჩენს, რამდენად ერევა ქვეყანა თავის მძიმე სოციალურ ვალდებულებებს.

პოლიტიკური გუნდისთვის თითქმის გადაუჭრელი ამოცანაა, შეამციროს ჯანდაცვის პაკეტი, ან საყოველთაო დაზღვევიდან გადავიდეს სასიცოცხლო რისკების დაზღვევაზე (დაეხმაროს ყველას საჭიროების მიხედვით და არა - ყველას თანაბრად). თამასა ძალიან დიდ სიმაღლეზეა აწეული და მისი დაწევა მძიმე დარტყმა იქნებოდა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის. არადა, ქვეყნის განვითარებაში სერიოზული ინვესტირების გარეშე, სოციალური ვალდებულებების ტვირთი სულ მეტად და მეტად დამძიმდება. ჩემი ხედვით, ფაქტობრივად, ჩიხურ მდგომარეობაში ვართ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ მეტად მგრძნობიარე თემაზე საჯაროდ არავინ საუბრობს.

ნამდვილად მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ეს სტატია გახდება სტიმული იმისთვის, რომ დავიწყოთ დისკუსია კარსმომდგარ სირთულეებზე - რასაც ვთავაზობ კიდეც მთავრობას, როგორც ჩვენი საერთო სამშობლოს გულშემატკივარი ადამიანი. იქნებ, თავად მთავრობისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდეს, რომ გულწრფელად განუმარტოს თავისი ქვეყნის მოსახლეობას, განვლილი ორი წლის გამოცდილებით, როგორ ერევა ქვეყანა სოციალურ ვალდებულებებს; როგორ ბალანსდება განვითარება და მოსახლეობის სოციალური დაცვა; რა პროგრამები ხორციელდება განვითარების კუთხით; თუნდაც, სამი წლის შემდეგ საიდან გაჩნდება ბიუჯეტში თანხა მეცნიერებისა და განათლების (თუ სხვა სფეროს) რეფორმის დასაფინანსებლად.

არაფერი მითქამს იმ დარგებზე, რომლებზეც ბევრი არაფერი ვიცი. იქნებ მართლაც არსებობს განვითარების დიდი პერსპექტივა, რაც ჩემნაირი დილეტანტის თვალით არ ჩანს? ან იქნებ დიალოგში ისეთ საკითხებზე შეთანხმებაც გახდეს შესაძლებელი, დღეს რომ შეუძლებლად გამოიყურება?

ძვირფასო მთავრობავ, თქვენ აგვიხსენით და ჩვენ ყურადღებით მოგისმენთ. მჯერა, რომ საუბრის დაწყება საფრთხეებსა და პერსპექტივებზე თქვენ არანაკლებ გჭირდებათ, ვიდრე - ჩვენ.

ხოლო უფრო მეტი კეთილგანწყობით დიალოგის შეთავაზება, ვიდრე მე ამ წერილით ვცადე, მგონი, შეუძლებელია.

ია ანთაძე

გლობალური ისტორია და ჩვენი ხანგრძლივი ისტორიები

ჩემთვის მნიშვნელოვანი ავტორით ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედგაცრუება აგვისტოს ომის დროს მივიღე. იმანუელ უოლერსტაინმა, - უდიდესმა სოციოლოგმა, რომლის „მსოფლიო სისტემების თეორიის“ გაგებასაც მთელი ძალისხმევით ვცდილობდი სტუდენტობის დროს, გამოაქვეყნა ბლოგპოსტი სახელწოდებით „გეოპოლიტიკური ჭადრაკი: კავკასიაში მიმდინარე მინიომის ფონი“, რომელშიც ძალიან გულგრილად, დისტანციიდან აღწერა საქართველოს ტრაგედია. „გეოპოლიტიკა ორ მოთამაშეს შორის ჭადრაკის გიგანტური ციკლია, რომლის დროსაც მოთამაშეები პოზიციური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. უმნიშვნელოვანესია იმ წესების ცოდნა, რომლებიც თამაშს მოცემულ მომენტში წარმართავს“, წერდა უოლერსტაინი და დასავლეთს, უწინარესად შეერთებულ შტატებს, რუსეთთან მიმართებით ამ წესების დარღვევაში ადანაშაულებდა.

ეს დისტანციურობა ბევრი მოაზროვნის ტექსტებს გასდევს უწყვეტ ფონად. მაგალითისთვის, იხილეთ ნომ ჩომსკის ტექსტები უკრაინის კრიზისზე - ის ვითარებას მხოლოდ დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების პრიზმიდან უყურებს და წერს, რომ უკრაინის გარშემო განვითარებული მოვლენების რეალური მიზანი დასავლეთის მიერ რუსეთის დასუსტებაა. მის ტექსტებში, ფაქტობრივად, არაა ნახსენები თავად უკრაინის, მისი ხელისუფლების ან ხალხის პოზიცია და მისწრაფება. ჩომსკი, სხვა ბევრი მემარცხენე ავტორის მსგავსად, წერს დიდ მოთამაშეებზე, გეოპოლიტიკურ გავლენებზე, დასავლეთსა და რუსეთს შორის მეტოქეობაზე და ნაკლებად აინტერესებს მცირე ერების ხვედრი, სურვილები თუ არჩევანი.

ამ ტენდენციის ძალიან მკაფიო კრიტიკას ახლახან წავაწყდი, ტონი ჯატის ესეების კრებულში. ერთ-ერთ სტატიაში ჯატი განიხილავს, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი ისტორიკოსის, ერიკ ჰობსბაუმის მონუმენტურ ნაშრომს „უკიდურესობათა ხანა: მოკლე მეოცე საუკუნე, 1914-1991“ და აღნიშნავს, რომ ჰობსბაუმი თვალში საცემი გულგრილობით ეკიდება აღმოსავლეთ ევროპას. ჯატი წერს, რომ თითქმის ექვსასგვერდიან წიგნში ჰობსბაუმი სულ ექვს გვერდს უთმობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დამყარებული ე.წ. „ნამდვილი სოციალიზმის“ ანალიზს; ხოლო 1950-იანი წლების შავ ფურცელს - საჩვენებელ სასამართლოებს - აბზაცზე ნაკლები აქვს მიძღვნილი.

საბჭოთა კავშირის რეპრესიული განზომილების თაობაზე ჰობსბაუმს ილუზიები არ აქვს, თუმცა, კავშირის შექმნას უწოდებს იმ დაშლის და დეზინტეგრაციის ერთადერთ ალტერნატივას, „რომელიც განიცადეს სხვა არქაულმა და დამარცხებულმა იმპერიებმა, კერძოდ ავსტრო-უნგრულმა და თურქულმა. მათგან განსხვავებით, ბოლშევიკურმა რევოლუციამ, სულ მცირე, კიდევ 74 წლით შეინარჩუნა ძველი ცარისტული სახელმწიფოს მრავალეროვნული ტერიტორიული ერთობის დიდი ნაწილი“. და ეს რომ შემთხვევითი შეფასება არ არის, კიდევ უფრო ნათელი ხდება მოგვიანებით, როცა ჰობსბაუმი საბჭოთა კავშირის დაშლას აღწერს და ამბობს, რომ ამან მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ პირველად შექმნა „საერთაშორისო სიცარიელე ტრიესტიდან ვლადივოსტოკამდე“. იმ ხალხებისთვის, რომლებიც საკუთრივ ამ „სიცარიელეში“ ცხოვრობდნენ, მეოცე საუკუნის ისტორია სრულიად განსხვავებულად აღიქმებაო, წერს ჯატი და დასძენს - საქმე ისაა, რომ ჰობსბაუმს, მარქსის მსგავსად, ეს მცირე ერები დიდად არ აინტერესებს.

ამ პრობლემაზე, ან უფრო მძიმე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ამგვარ დისკურსულ ველზე - ბევრს ვფიქრობ. მაინტერესებს, მაინც რა არის იმის მიზეზი, რომ მემარცხენე მოაზროვნეებს, რომლებმაც, ხშირ შემთხვევაში, მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნეს დასავლეთის კოლონიალიზმის კრიტიკას და სამხრეთ აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ან ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩაგვრის ანალიზს, ასეთი ხაზგასმული გულგრილობა ახასიათებთ „ჩვენს“ სივრცესთან მიმართებით.

ამ კითხვაზე ყველაზე მარტივი პასუხი ალბათ ის არის, რომ მათი მხრიდან დასავლეთის კოლონიური განზომილების კრიტიკიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ოცნება დასავლეთის, განსაკუთრებით კი შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური გავლენის „დაბალანსების“ შესახებ. ეს ოცნება კი, თავის მხრივ, რუსეთის, როგორც პოტენციური „გამაწონასწორებლის“ იმპერიულ მისწრაფებებს ანიჭებს ლეგიტიმაციას. ამ ყველაფერს რამდენიმე ნეგატიური შედეგი მოსდევს - საქართველოს და უკრაინის, ინტერესები ეწირება.

მაგრამ ეს პასუხი არ არის საკმარისი.

მთავარი პრობლემა, ჩემი აზრით, სხვაგან უნდა ვეძებოთ. იმ ფაქტში, რომ წარსულში იმპერიული დომინაციის ქვეშ მყოფი სხვა ქვეყნების თუ ყოფილი კოლონიებისგან განსხვავებით, „ჩვენ“ ჯერ კიდევ ვერ მოვიპოვეთ ადგილი გლობალურ ისტორიოგრაფიაში, ვერ შევძელით ისტორიის ჩვენი პერსპექტივიდან წაკითხვა. კი, ჩვენს რეგიონთან მიმართებით არაერთი აკადემიური დარგი თუ მოდური მიმდინარეობა შეიქმნა. მაგალითად, „პოსტ-საბჭოთა“, „ტრანზიციის“, ან „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის“ კვლევები; არაერთი გამოკვლევაა დაწერილი ცალკეული ერების ისტორიაზე (მაგალითად, სტივენ ჯონსის, დონალდ რეიფილდის, რონალდ სუნის და სხვა ავტორების ღირებული და მნიშვნელოვანი ნაშრომები საქართველოს შესახებ), ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ლიდერებზე, დისიდენტებზე, ისევე, როგორც ტოტალიტარიზმის საბჭოურ სპეციფიკაზე. მაგრამ ეს ინიციატივები მაინც არ წარმოადგენს გლობალური ისტორიის რევიზიის სისტემურ მცდელობას და არ ასახავს იმ ხალხების თუ სოციალური ჯგუფების მთელ კომპლექსურობას, რომელთა კულტურული, პოლიტიკური და ტერიტორიული ისტორია რუსეთის იმპერიულ პროექტებთან - დინასტიურთან, სოციალისტურთან და დღევანდელთან - კავშირით შეიქმნა.

სხვა ყოფილმა კოლონიებმა კი ეს შეძლეს. სამხრეთ აზიელმა, ახლო აღმოსავლელმა თუ სამხრეთ ამერიკელმა მოაზროვნეებმა დასავლეთის აკადემიურ სივრცეში შექმნეს მთელი დარგები თუ მიმდინარეობები, რომლებიც მათი ქვეყნების, კულტურების თუ ხალხების გამოცდილების გლობალურ ისტორიოგრაფიაში „დაბრუნებას“ ისახავდა მიზნად.

ამ მიმდინარეობებში ყველაზე ცნობილი ალბათ 1970-80 წლებში ძირითადად ლიტერატურის ფაკულტეტებზე დამკვიდრებული „პოსტკოლონიური თეორიაა“ - დარგი, რომელიც შეისწავლის კულტურულ ურთიერთობას ევროპულ ნაციებს, მათ შორის ბრიტანეთს, საფრანგეთს, ესპანეთსა და იმ ერებს შორის, რომლებიც აზიაში, აფრიკასა თუ სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობენ და ევროპელებს კოლონიზებული ჰყავდათ. თუმცა, არანაკლებ - და შესაძლოა უფრო მეტადაც - მნიშვნელოვანი იყო კვლევითი ინიციატივები უჩვეულო სახელით, „სუბალტერნის კვლევების ჯგუფი“, რომლის უშუალო მიზანი სწორედ განდევნილი ჯგუფების დაბრუნება იყო ისტორიის დომინანტურ ვერსიებში.

ეს უჩვეულო სიტყვა, უფრო სწორად, ცნება - „სუბალტერნი“ - სპეციფიკურ მნიშვნელობას ატარებს. ბევრს ის ჩაგვრის, ექსპლუატაციის, დაქვემდებარების, ან, თუნდაც, „უფლებების დარღვევის“ სინონიმად მიაჩნია და ამ მნიშვნელობით იყენებს ხოლმე; მაგრამ სუბალტერნი არ ნიშნავს უბრალოდ ჩაგვრას. „ყველა სუბალტერნი ჩაგრულია, მაგრამ ყველა ჩაგრული არ არის სუბალტერნი“ - ასეთი მკაფიო განსაზღვრება მოვისმინე ახლახან ერთი ახალგაზრდა ისტორიკოსის ლექციაში.

ამ ცნების ფესვებს იტალიელ მარქსისტ მოაზროვნესთან, ანტონიო გრამშისთან მივყავართ. თავის ცნობილ „საპყრობილის რვეულებში“ - ტექსტებში, რომლებსაც იტალიის ფაშისტური რეჟიმის ტუსაღი გრამში 1929-დან 1935 წლამდე წერდა - ის ამ ცნებით აღწერს იმ მარგინალური ჯგუფების მდგომარეობას, რომლებიც გარიყული არიან ისტორიის შექმნის პროცესებიდან და წართმეული აქვთ „ხმა“, რომელიც ორგანიზების და ძალაუფლების წესრიგის თავისთვის სასარგებლოდ შეცვლის საშუალებას მისცემდა. „სუბალტერნულობა“ არ არის უცვლელი მდგომარეობა. გრამში სუბალტერნულ ჯგუფებს კონკრეტულ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტებში განიხილავს - სხვადასხვა პერიოდში (მაგ. ძველ რომში, შუა საუკუნეების საზოგადოებებში, თანამედროვე სახელმწიფოში) მას ასეთებად მონები, გლეხები, რელიგიური ჯგუფები, ქალები, არათეთრკანიანები თუ პროლეტარიატი ესახება. ამ ჯგუფებს ისტორიის „არქონა“ აერთიანებს; მათი ისტორია საერთოდ არ არის ასახული წარსულის დოკუმენტებში.

სამხრეთ აზიელმა - ძირითადად ინდოელმა - სწავლულებმა ამ ცნების შთაგონებით 1982 წელს ინგლისში ჩამოაყალიბეს „სუბალტერნის კვლევების ჯგუფი“, რომლის მიზანიც, ფართო განსაზღვრებით, ისტორიის რევიზია იყო. უფრო კონკრეტულად კი ჯგუფის კვლევები წარმოადგენდა ისტორიის ახლებურ ანალიზს, რომელშიც სუბალტერნული ჯგუფები პირველად იყვნენ წარმოჩენილი ისტორიის სუბიექტებად, მოქმედ პირებად. ამ ინიციატივის სულისჩამდგმელი მკვლევარი, რანაჯიტ გუჰა, საინაუგურაციო განცხადებაში წერდა, რომ ჯგუფი ემიჯნებოდა თანამედროვე ინდოეთის ისტორიის შესახებ დისკუსიებში გამოკვეთილ ორ ძირითად ტენდენციას - როგორც იმპერიალისტურ საფუძვლებზე დამყარებულს, რომელიც ინდოეთის ეროვნულ იდენტობას აცხადებდა ბრიტანელი მმართველების მიერ გახსნილ უნივერსიტეტებში ნასწავლი, ინდოელი ელიტის პრაგმატული ნაზრევის ნაყოფად; ისე ნაციონალისტურს, რომელიც ისტორიას ასახავდა ინდოელი გამათავისუფლებლების ჰეროიკულ და ეპიკურ ბრძოლად ბრიტანელ კოლონიზატორებთან.

გუჰასთვის და მისი თანამოაზრეებისთვის ისტორიის ეს ორივე ვერსია ელიტისტური იყო და, რეალურად, მხოლოდ ელიტური კლასების ისტორიას გადმოსცემდა - ბრიტანელები იქნებოდა ეს, თუ ინდოელები. „სუბალტერნის კვლევების ჯგუფის“ მიზანი კი ისტორიაში იმ ჯგუფების „დაბრუნება“ იყო, რომელთა ხმა, როლი და ბედისწერა ამ ორი დომინანტური ნარატივისთვის არ არსებობდა - იქნებოდა ეს გლეხები, ღარიბები, თუ მუშები. ასევე ქალები - რომელთა მარგინალიზაციასაც ეძღვნება მკვლევართა ჯგუფის ცნობილი წევრის, გაიატრი სპივაკის დღეს უკვე ქრესტომათიულ ტექსტად ქცეული ესე, „შეუძლია სუბალტერნს ლაპარაკი?“ (სპივაკის თეორიული მოდელის თანახმად, ცივილიზაციური მისიის და ემანსიპაციის სახელით მოქმედ ბრიტანელ კოლონიურ მმართველებს ქალები უნდა „გადაერჩინათ“ არქაული, პატრიარქალური და რელიგიური, ინდუისტური ტრადიციების დამცველი, ადგილობრივი ძალებისგან - და ამ დაპირისპირებაში თავად ქალები უტყვ, უხმო და დეპერსონალიზებულ ობიექტებად იყვნენ ქცეულნი).

1980-იანი წლების შემდეგ „სუბალტერნის კვლევები“ მნიშვნელოვნად გაფართოვდა. სხვა სწავლულებმა, რომლებიც სამხრეთ აზიელი მკვლევრების მაგალითით ხელმძღვანელობდნენ, შეერთებულ შტატებში 1993 წელს ჩამოაყალიბეს „ლათინური ამერიკის სუბალტერნის კვლევების ჯგუფი“, რომლის კრიტიკის ობიექტსაც ასევე ელიტისტური ისტორიოგრაფია წარმოადგენდა, ამჯერად უკვე სამხრეთ ამერიკის კოლონიური ისტორიის კონტექსტში. ამდენად, ისტორიკოს დიპეშ ჩაკრაბარტის სიტყვებით, „სუბალტერნის კვლევები“ ლოკალური აკადემიური ინიციატივიდან თანდათან გადაიქცა ისტორიის წერის ახლებურ, მასშტაბურ, პოსტკოლონიურ პროექტად.

თუმცა, წარსულში ხმაწართმეული ჯგუფების თუ გარიყული კულტურების „დაბრუნება“ ისტორიაში არ ყოფილა მხოლოდ იმ სწავლულების მიზანი, რომლებიც (პოსტ)კოლონიურ კონტექსტებს იკვლევდნენ. პირიქით - ამ ინიციატივებს დასავლეთის აკადემიურ სივრცეში მნიშვნელოვანი მზაობა დახვდა. ისტორიაში მშრომელთა კლასების მიერ შეტანილ წვლილს ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში იკვლევდნენ ფაბიანელი ისტორიკოსები; 1960-იანი წლებიდან კი „ისტორიის ქვემოდან წერამ“ - იმავე „რადიკალურმა ისტორიამ“ ერთიანი, კონცენტრირებული ფორმა მიიღო. ბრიტანელ ისტორიკოს ედვარდ პალმერ „ი. პი“ ტომპსონს 1963 წელს უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი ტექსტი, „ინგლისის მუშათა კლასის შექმნა“, რომელმაც, როგორც ამბობენ, ინგლისელი მუშების ისტორია დავიწყებისგან იხსნა; კიდევ უფრო ადრე, 1959 და 1960 წლებში კი გამოვიდა ზემოთ უკვე ნახსენები ერიკ

გლობალური ისტორია და ჩვენი ხმაწარმოებელი ისტორიები

ჰობსბაუმის ტექსტები - „პრიმიტიული მეამბოხეები“ და „სუბალტერნული კლასების ისტორიისთვის“ - რომელშიც სწავლულმა აღწერა „სოციალური ბანდიტის“ (ჩვენი ტერმინოლოგიით, ალბათ „ყაჩაღის“) ფენომენი და გლეხთა ამბოხებები. ამავე პერიოდიდან გაძლიერდა ფემინისტური და ქალთა ისტორიის ტრადიცია - რომელიც ისტორიის ქალების პერსპექტივიდან დანახვას და ისტორიულ მოვლენებში ქალთა როლის წარმოჩინებას ისახავს მიზნად; აშშ-ში სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ისტორიის შავკანიანთა პერსპექტივიდან წაკითხვას; ბიგი მიეცა არაჰეტეროცენტრისტული სექსუალობის კვლევებსაც - ისტორიის ნარატივში „შეაღწია“ ერთი და იმავე სქესის ადამიანთა შორის სექსუალურმა ურთიერთობებმა, რომლებიც, მართალია, უკვე ანტიკურ ცივილიზაციებში გვხვდება, მაგრამ დევნის და რეპრესიების გამო საუკუნეების განმავლობაში იყო განდევნილი ისტორიის დომინანტური ვერსიებიდან.

ამ კომპლექსურ პროცესებს უდიდესი შედეგები მოჰყვა როგორც აკადემიური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. წარსულში მარგინალიზებულ, ხმაწართმეულ ჯგუფებს მიეცათ ისტორიის რევიზიის, მისი ახლებური წაკითხვის, კითხვების დასმის საშუალება - მართალია, ხშირად არა პირდაპირ და ინტელექტუალთა შუამავლობით, მაგრამ მაინც. ძალაუფლების სტრუქტურებს მოუწია ეღიარებინა ამ ჯგუფების არსებობა, ჩაგვრა და მარგინალიზება, რამაც ბევრი, წარსულში სუბალტერნული ჯგუფი შედარებით ხილული გახადა. ცხადია, მათი ჩაგვრა ამით არ დასრულებულა და ყოფილი კოლონიების წარმომადგენლებს, შავკანიანებს, ქალებს, მუშებს თუ ჰომოსექსუალებს დღესაც უწევთ დისკრიმინაციასთან ბრძოლა. მაგრამ „სუბალტერნულობა“ - ხმაწართმეული, უხილავი მდგომარეობა - ბევრისთვის შეიცვალა ისტორიის რევიზიით და მის დომინანტურ ნარატივებში შეღწევით.

მაგრამ, როგორც ვთქვით, სხვა ბედი გვერგო „ჩვენ“ - იმ ხალხებს, კულტურებს თუ ქვეყნებს, რომელთა ისტორიაც რუსეთის იმპერიულ პროექტებთან კავშირით დაიწერა. ჩვენ ვერ შევძელით ისტორიის სისტემური რევიზია. ჩვენი პოზიცია კვლავაც მარგინალური რჩება.

ამას ბევრი მიზეზი აქვს - მათ შორის ის დისკურსული ველი, რომელზეც ზემოთ ვწერდი და რომელსაც, სამწუხაროდ, დიდწილად დასავლელი მემარცხენე მოაზროვნეები ქმნიან, რუსეთის იმპერიული მისწრაფებებით დასავლეთის გლობალური გავლენის „დაბალანსების“ სურვილით და აქედან გამომდინარე გულგრილობით მცირე ერების ხვედრის მიმართ (ცხადია, ეს ყველას არ ეხება. ზემოთ ნახსენები ტონი ჯატი სწორედ საპირისპიროს მაგალითია). მაგრამ ყველაზე მთავარი მიზეზი კი ალბათ მაინც ის ვაკუუმია, რომელიც ბოლშევიკების მიერ ინტელექტუალური ელიტის განადგურებამ და დასავლეთის აკადემიურ სივრცესთან კავშირების გადაჭრამ მოიტანა. ამ ვაკუუმის შევსება დღემდე არ გამოდის, ივანე ჯავახიშვილისეული მასშტაბი და სიღრმე დიდი ხანია დაკარგულია. ჩვენი რეგიონის სოციალური და ჰუმანიტარული კვლევები სავალალოდ ჩამორჩება დასავლეთის უნივერსიტეტებისას. საიმისოდ, რომ შენი პერსპექტივიდან შეაღწიო გლობალურ ისტორიაში და რევიზიის მცდელობა გქონდეს, მისი წერის წესებს უნდა ფლობდე. მაგრამ საქართველოში გლობალური კი არა, საკუთარი, ლოკალური ისტორია ვერ დაგვიწერია მითების, სადღეგრძელოების, ქსენოფობიის, თვითეგზოტიზაციის და - რაც მთავარია - საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული კლიშეების გარეშე.

არადა, ხმაწართმეული მდგომარეობის გარღვევა და ისტორიის დომინანტური ვერსიების ჩვენი პერსპექტივიდან რევიზია ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, პირველ რიგში პოლიტიკური თვალსაზრისით. იმ სივრცეში, რომელსაც რუსეთის იმპერიულ პროექტთან ჰქონდა და აქვს კავშირი, უამრავი ადამიანის, თაობის, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური ჯგუფის ისტორიაა დაღდასმული დომინაციით, ოკუპაციით და კოლონიზაციით. სხვადასხვა სოციალურმა ჯგუფმა ეს დომინაცია განსხვავებულად გამოცადა - ისინი ეწინააღმდეგებოდნენ, ადაპტირდებოდნენ, ან, პირიქით, მხარს უჭერდნენ და თანამონაწილეობდნენ მასში.

ეს უამრავი ისტორია ჯერ კიდევ მოსაყოლია, მთელი ეს კომპლექსურობა - აღსაწერი, ჩვენი მარგინალურობა - ან, თუ გნებავთ, „სუბალტერნულობა“ - გადასალახი. მაგრამ ამ საქმეს დიდი პერსპექტივა არ უჩანს. ამიტომაც წერას ტრივიალური ფრაზით შევწყვეტ - ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი თაობები მაინც ისწავლიან გლობალური ისტორიის ენას. რადგან სხვანაირად - ამ ენის გარეშე - ისტორიაში ჩვენს „ხმას“ ალბათ ვერასოდეს მოვიპოვებთ.

სალომე ასათიანი

უცხოეთში გარდაცვლილ ქართველთა სამშობლოში გადასვენების ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის დავალებით საგარეო საქმეთა სამინისტრო უცხოეთში გარდაცვლილი მოქალაქეების გადმოსვენების დაფინანსების საკითხს მთავრობის სხდომაზე განხილვის გარეშე გადაწყვეტს და ყველა საქართველოს მოქალაქეს, რომელიც უცხოეთში გარდაიცვლება, მისი გადმოსვენების ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს.

ამ ინიციატივისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მინისტრს დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძეს მადლობა გადაუხადა.

„ბატონი გელა დუმბაძის ინიციატივა იყო და მინდა ეს ინიციატივა მოვიწონო, ძალიან ბევრი ჩვენი თანამემამულე საქართველოს მოქალაქე, როცა ისინი გარდაიცვლებიან უცხოეთში, მათი ახლობლები მოგვმართავენ, თუ ვინმემ მონახა ნაცნობი ან კონტაქტი მთავრობაში, ისინი ამა თუ იმ გზას ნახულობენ და შემდეგ ჩვენ ვიხილავთ ხოლმე მთავრობის სხდომაზე გადმოსვენების საკითხს. ასევე პრობლემაა, რომ ბევრი ადამიანი ვინც ესა თუ ის არხი ვერ მონახა... სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა თვეობით არის ცხედარი მაცივარში.

მგონია, რომ ეს ჩვენი სახელმწიფოს ღირსების საკითხია, ჩვენი თანამემამულეები გადმოვასვენოთ საქართველოში.

მთავრობის სხდომაზე გადმოსვენების საკითხის განხილვა არ არის საჭირო, ეს ავტომატურ პროცესად უნდა ვაქციოთ. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა გელა დუმბაძეს ამ ინიციატივისთვის და საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიხედოს ამ პროცედურას, მთავრობის სხდომაზე ამ საკითხს განხილვის გარეშე და ის თანამემამულე, ვინც მოგვმართავს, ვუზრუნველყოთ დაფინანსებით და დახმარებით, რათა ისინი გადმოსვენებულ იქნან საქართველოში.

დღესდღეობით ჩვენს მიერ მოკვლეული ინფორმაციით, არაერთი ჩვენი თანამოქალაქე არის გადმოსასვენებელი უცხოეთიდან, რომლებიც მაცივარში ინახებიან, არ მინდოდა ეს სიტყვა მეხმარა, მაგრამ ეს ჩვენი ღირსების საკითხია და მივხედოთ ამ ოჯახებს“, - განაცხადა კვირიკაშვილმა.

პუტინის დედა

ლაშა ბულაძე

შესავლის მაგიერ

საქართველოში ბევრმა იცის, რომ ქვეყნის შუაგულში, კასპთან, იმ ქალაქს შორის, სადაც ოდესღაც სტალინი დაიბადა და სადაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სამხრეთ-ოსეთის არაღიარებული, უფრო სწორად, მხოლოდ რუსეთის მიერ აღიარებული და რეალურად კი ოკუპირებული „სახელმწიფო“ გაჩნდა, მოხუცი ქალბატონი, ვერა პუტინა ცხოვრობს. ეს ქალბატონი უკვე წლებია ერთსა და იმავეს იმეორებს, რომ ის რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის დედაა და უცნაურ, პარადოქსალურად დამაჯერებელ ამბებს ჰყვება რუსეთის ამჟამინდელი მმართველის ბავშვობის შესახებ.

კასპის რაიონში რომ ჩახვიდეთ და პირდაპირ ჰკითხოთ შემხვედრებს, პუტინის დედა სად ცხოვრობსო, არც დაიბნევიან, ხელად მიგასწავლიან მის საცხოვრებელს: „პუტინის დედა? აგერ ცხოვრობს, სოფელ მეტეხში“.

რამდენიმე წლის წინ მის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, თუმცა მისი ნაამბობის ნამდვილობა არც არავის დაუდასტურებია და არც არავის უარყვია. ერთი კია, არცთუ დიდი ხნის წინ რომელიღაც ქართულ გაზეთში ამოვიკითხე, რომ ქართველ ექსპერტებს ამერიკელთა დახმარებით ჩაუტარებიათ ამ ქალბატონისა და ვლადიმერ პუტინის თმის DNA-ის ანალიზი (თურმე, ამერიკელებს მოუპოვებიათ პუტინის თმის ღერი) და ამ ექსპერიმენტის შედეგად ერთხელ და სამუდამოდ დადასტურებულა მისი დედობა.

ვერ გეტყვით, რამდენად სარწმუნოა ეს ცნობა, მაგრამ თავისთავად იმის გამოძიებაც საინტერესო იქნებოდა, როგორ და რა ვითარებაში მოხდა პუტინისთვის თმის ჩამოწიწკვნა (თან ისე, რომ მას ვერ გაეგო)? ბუნებრივად ხომ არ დასცვივდა? შესაძლებელია, რომ მისი რომელიმე კოლეგა-პრეზიდენტი წაპოტინებოდა?

ასეა თუ ისე, ეს ამბავი ცალკე გამოძიებას საჭიროებს, ჩემი პიესა კი არა იმდენად კონკრეტულ დედაზე, რამდენადაც მოხუც პენსიონერ ქალზეა, რომელიც, ერთი მხრივ, სამართლიანად ჩივის თავისი სიღატაკისა და დაუცველობის გამო, მეორე მხრივ კი - და სწორედ ამ მიზეზთა გათვალისწინებით! - თუკი ვინმე ეიმედება, ეს მხოლოდ პუტინია; პუტინი, რომელიც წარსულის დაბრუნებას, საბჭოთა კავშირის აღდგენასა და მისი უიღბლობისა და შიშის მთავარი მიზეზის, დასავლეთით მცხოვრები ძველი, ძლიერი და უჩინარი მტრის საბოლოო განადგურებას ჰპირდება.

უკრაინის კრიზისის დროს, პრეზიდენტმა პუტინმა თავად აღიარა, რომ მისი ჯარისკაცები (ციტატა) „ქალებისა და ბავშვების ზურგს უკან იდგებიან“, და მართლაც - ბევრმა ნახა ის კადრები, როცა პუტინის ბეტეერებსა თუ სამხედროებს ფაქტობრივად წინ მიუძღოდნენ უსამართლოდ დაჩაგრული, მაგრამ აწ გამაოგნებლად გასასტიკებული და შურისმაძიებელი ბებიები.

პუტინის დასაყრდენი ახლა შეშინებული, მიტოვებული და მძვინვარე პენსიონერებია. დესპოტების უკან ხომ ყოველთვის ეს უმრავლესობა დგას.

- არ მინდა მთელმა მსოფლიომ გაიგოს, სად მდებარეობს ჩემი საცხოვრებელი ადგილი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს მიწა ცნობილია ვაშლის ხეებით და კიდევ იმით, რომ აქედან ნახევარი საათის სავალზე დაიბადა საბჭოთა კავშირის ბელადი იოსებ სტალინი. მაგრამ ეს ადრე. მე არ ვიცნობდი არც მაგას და არც დედამისს. მე გვიან გავჩნდი.

ეს არაა ჩემი სამშობლო, მე დავიბადე სხვაგან, სხვა ქვეყანაში და სხვა ხალხში, მაგრამ განგებამ ისე ინება, რომ უკვე ათწლეულებია აქ ვცხოვრობ და იმ ენაზე ვსაუბრობ, რომელიც მშობლიური არ არის ჩემთვის, თუმცა მშობლიურზე უკეთ ვიცი ახლა. მაგრამ რად უნდა ენა ძროხას ან ქათამს? მე მათ ვესაუბრები საერთაშორისო ენაზე, რომელიც გასაგებია, როგორც ადამიანებისთვის, ასევე ცხოველთა ყველა სახეობისათვის.

თუკი ჩემს ბიოგრაფიას გადავხედავ, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არასდროს დამკარგვია პირადად ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი რქოსანი ან ფრთოსანი. იყო შემთხვევები, როცა ძროხა გაეტყუებინათ სხვა სოფლიდან მოგზავნილებს, მაგრამ ჩემი პირუტყვი - არასდროს. სხვისი ძროხები, სულო და გულო, მრავალჯერ მომიბრუნებია მშობლიურ სოფელში.

აქ არ არსებობს არც არც ერთი ცოცხალი და ჯანსაღი ცხოველი, რომელიც მე დამემალება. სოფელში იციან - თუკი რქოსანი სამანქანო ტრასაზე გადავიდა და გაქრა, მაშინვე მე უნდა მომიხმონ.

ამაყი ვარ, რადგან ჩემი ცხოვრების მანძილზე მიპოვნია ასობით ბოჩოლა,თხა, ქათამი და ღორი!

სწორედ მე დავუბრუნე სოფელს ორი წლით გაუჩინარებული კამეჩი და ისიც მე ვიყავი, ვინც ხრამში გადამხტარ ციკანს მიაგნო,მე ვიპოვე მგლის ლეკვები და მე აღმოვაჩინე ჯეირანის ნაკვალევი, რომლის შესახებ დღემდე ამბობს ზოგიერთი უნამუსო პიროვნება, რომ ეს დათვის ნაკვალევი იყო. ამ დროს, სად დათვი, სად ჯეირანი!

რატომ ვიხსენებ ამ ყველაფერს? იმიტომ რომ მოგანიშნო: ყველა და ყველაფერი მიპოვნია შენს გარდა!

უკვე აღარც მახსოვს, რამდენჯერ ვცადე შენთან დაკავშირება, სად აღარ ვიყავი, ვის აღარ ვთხოვე შველა, მაგრამ მაინც ვერ მოაღწია შენამდე ჩემმა გზავნილმა.

პირველად თხუთმეტი წლის წინ გნახე ტელევიზორში და ხელად გიცანი - კედელ-კედელ რომ მოუყვებოდი გრძივ დარბაზს... მეთქი, ესაა ჩემი შვილი, ეს ბიჭი დავკარგე წლების წინ! სახეც შენია, მიხვრა-მოხვრაც, ფეხის გადგმაც - ოდნავ დაქანებულად მარჯვნისკენ და უდავოდ სიმაღლეც, რადგან ეს თავიდანვე ნათელი იყო, რომ მეტად არც გაიზრდებოდი. ძილშიც გნახე და ასე მითხარი: „დედა, დამაწინაურეს, არდადეგებზე ჩამოვალ“.

დედის გულს რას მოატყუებ!

დიდი სიზმრების მხედველ-მომყოლი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ 1987 წლის 16 მარტს ცხადად დამესიზმრა ქარელის რაიონში დაკარგული ბოჩოლა. და სადაც დამესიზმრა, მეორე დღეს სწორედ იქ ნახეს ჩემმა თანასოფლელებმა. ეს შემთხვევაც მსგავსია.

ოთხჯერ მყავხარ ნანახი მრავალრიცხოვან საზოგადოებრიობასთან ლაპარაკის დროს: ვიძინებდი და ვიღვიძებდი, შენ კი ისევ ტელევიზორში იჯექი და მოსახლეობას ესაუბრებოდი. ხოდა, მეთქი, ამაშიც მე მგავს, გაჩერება არ იცის, თავს არ დაიზოგავს, იქამდე მოწველის პირუტყვს, სანამ ბოლო წვეთს არ გამოადენს. პირადად მე ძროხის დამჩუტავს მიწოდებდნენ სოფელში და შენც ასეთი ხარ: ცხოველს მანამდე არ გაეცლები, სანამ პირწმინდად არ დაუც-

ლი ძუძუებს. მე დამემმგვანე, რას იზამ.

დედის ბუნებაც იმგვარია, რომ როგორი ღობეებიც არ უნდა ამოუშენონ და რამხელა მავთულხლართებიც არ უნდა გაუბან, შვილისკენ გასაღწევ ღარს მაინც მონახავს და თუნდ სიკვდილის ფასად, მაინც მიაწვდენს თავის ხმას.

ახლა ისეთი სურათია, რომ შენმა სამხედროებმა - თუმცა ჩემი და შენი რამ გაჰყო, - ჩვენი სოფლიდან რამდენიმე კილომეტრში მავთულხლართებით შემოღობეს მიწა. ამ წუთებშიც კი, როცა მე ჩემს ვაჟთან ვცდილობ საუბარს, დიდი მონდომებით მიდის მავთულხლართების ბმა და სასაზღვრო ნიშნების დარჭობა: „სახელმწიფო საზღვარი“.

საზღვრები კი, უნდა მოგახსენო, გადის კერძო ბაღებში, სახლებში, საძოვრებზე, სახნავ-სათესებზე და სასაფლაოებზე. არის შემთხვევები, რომ სამხედრო პიროვნებების მიერ გაწეული სამუშაოების შემდეგ სახლი საზღვარს აქეთ რჩება, ჩეჩმა კი, ესე იგი, ტუალეტი, საზღვრის იქით. მაშასადამე, ძროხა აქეთ და ბოსელი იქით, მძოველი აქეთ და საძოვარი იქით.

ერთი პიროვნება საზღვარს აქეთ დარჩა თავისი მოხუცი ცოლითურთ, ხოლო მისი მშობლების საფლავები მავთულხლართების გადაღმა. ხოდა, როცა სამხედროებს პირდაპირ დაუსვა საკითხი, ვაი თუ მოვკვდე, როგორ დამკრძალონ, ღობეში კუბოიანად ხომ არ გამაძვრენონ, იმათ მიუგიათ - მოსკოვში უნდა წავიდნენ და იქ აიღონ შენი დამარხვის ცნობაო. მაგრამ ახლა უყურე, რა ხდება: სასაფლაო ყურისძირშია, გორაკზე, ხოლო მოსკოვამდე, სულ ცოტა, ერთი კვირა მაინც უნდა ჩასვლას. ხუთ დღეში მკვდარი აყროლდება, ჭირისუფალი მოიქანცება, მაგრამ ისე ნუ იფიქრებ, თითქოს კანონიერების წინააღმდეგი ვიყო: მე რომ მკითხო, კარგმა ჭირისუფალმა არათუ ერთ, არამედ ორ და სამ კვირას უნდა გაუძლოს თავის მკვდარს. ამიტომ დიდად არ ვყვები იმ ხალხს, ვინც ამაზე ვიშვიშებს. როდის აქეთ გახდა საწუწუნო და სათაკილო მოსკოვში ჩასვლა? ხალხი მიზეზს ეძებდა ჩემს ახალგაზრდობაში, იქ რომ წასულიყო და აჰა, ამაზე კარგი მიზეზი რაღა გინდა! აქაურებს მანდ ჩამოსასვლელ საშვებს აღარ აძლევენ, თორემ მკვდრის დასამარხს ვის დაუკავებენ. ჩააკრავ პასპორტში შენი მკვდრის ფოტოს და ყველა კარი გაგეღება მოსკოვში. ომს ერთი პატარა ცნობის გამო ხომ არ დაიწყებ!

ბევრიც ჯონჯოლის საკრეფად გადის ტყეში და დღე არ გავა, ვინმე რომ არ დაიჭირონ სამხედრო პიროვნებებმა. მაგრამ განა ტყუილად იჭერენ, - ტყუილად რა, ყაჩაღები კი არ არიან, - საზღვრის დარღვევის გამო იჭერენ. ზოგჯერ იქ ჩნდება საზღვარი, სადაც წინა დღეს არ ყოფილა და ეს ხალხიც ჩვეული გზით დადის ჯიუტად - ვითომ არ იციან, რომ ჯონჯოლის ტყე ერთი საათის უკან, ან, უფრო მეტი, წინა ღამეს შესულიყო სხვა ქვეყნის შემადგენლობაში. აბა, რა უნდა ამის გაგებას? ხედავ, ჯარისკაცი მოდის, ან კიდევ ვილისი, თუკი ჭკუა გაქვს, ხომ უნდა მიხვდე, რომ საზღვარი გადაგიკვეთია? პირადად მე, ერთხელ, განზრახ წავედი ჯონჯოლის საკრეფად ხსენებულ ტყეში და ისე ვიარე გუმანით, რომ ერთხელ არ შემომრღვევია საზღვარი; იმდენი ჯონჯოლი დავკრიფე, სად წამეღო, აღარ ვიცოდი. მერე ამბობდნენ: იციან, ვისი დედაც ხარ და ამიტომ არ დაგიჭირეს. დედობა რა შუაშია? არ დამირღვევია და ამიტომაც არ დამიჭირეს-მეთქი. შენ რა იცოდი, საზღვარი სად გადიოდა, იქნებ დაარღვიე კიდეც და ვერც გაიგეო. მე არ ვიცოდი, მაგრამ რომ მცოდნოდა, არ დავარღვევდი და რახან არ დამიჭირეს, მაშასადამე, არც დამირღვევია-მეთქი. მაგრამ ჩემთვის კი ვფიქრობდი, იქნებ და მართლაც შენგან იცოდნენ, ვინც ვიყავი და ამიტომაც არ მომეკარენ-მეთქი. მე ხომ ვიცი, რომ შენ იცი, სად ვარ და რას ვშვრები. სადაც არ უნდა ვიყო, გულით და სულით ვგრძნობ, როგორ მიყურებ და მისმენ, ზრუნვით როგორ მითვალთვალებ.

ისიც უნდა იცოდე, რომ ფულის გამო ხშირად ხდება ჯონჯოლის და ფიჩხის შესაგროვებლად გასულთა გატაცება. სამხედრო პიროვნება იტაცებს, როგორც საზღვრის დამრღვევს და მერე ფულს სთხოვენ ოჯახს. ოჯახს კი რა აქვს? ჯონჯოლიღა აქვს, ისიც დაუკრეფავი. ოღონდ ახლა ისე არ გამიგო, თითქოს სარჩოს შოვნის წინააღმდეგი ვიყო! ვითომ რატომ არ უნდა მოთხოვონ? აქ ჯონჯოლია ფული და ოქროს თუმნიანებს ხომ არ მოთხოვენ?

გული მხოლოდ იმაზე მომდის, რომ ამასაც შენ გაბრალებენ - გეგონება, შენ გინდოდეს ამათი ფიჩხი ან მოსკოვში

აღებული ამათი მკვდრის ცნობა. შენ საიდან უნდა იცოდე, აქ რა აღებ-მიცემობა ტრიალებს! შენ გაჭირვებულების მხარეს ხარ, შენ რა ჯანდაბად გინდა ამათ ღობეებში გაძვრენილი მკვდრები? შენ სამართლიანობა და სიყვარული გინდა, განა მე არ ვიცი! მაგრამ მარტო მე როგორ გაქო ამდენ ჰექტარზე? ერთმა დედამ რა უნდა იღონოს! რძალი მაინც მყოლოდა შენგან, გვერდში მედგებოდა და სიტყვას შემაწევდა - სად ერთი ქალი და სად ორი ამხელა მსოფლიოს წინაშე! მაგრამ არ მყავს შენგან რძალი და არც ის ვიცი, ცოლად ვინ გყავს ამჟამად. ან თუ გყავს საერთოდ? გაცილდი? მოკვდა? ორი ცოლი გყავს? ერთი შინაური და ერთი საგარეო? ისეთებს ამბობენ, ყურებს არ ვუჯერებ. შეიძლება დედამ არ იცოდეს, ჰყავს თუ არა თავის ღვიძლ შვილს ცოლი? ან თუ არ ჰყავს, ვინ ჰყავს? შვილები გყავს? რამდენი გყავს? ჩემს შვილიშვილებზე გეკითხები, უცხო ხალხზე ხომ არა! რა გაქვს დასამალი? ცოლი როგორ უნდა დაუმალო დედას - გინდა შინაური, გინდა საგარეო? შვილი რამდენი გყავს? აქვთ სახელები? მამაშენს პლატონი ერქვა, ქვია შენს შვილს პლატონი? არ გახსოვს მამაშენი? მე აღარ მახსოვს და შენ როგორ გემახსოვრება! აგრონომი იყო და ოთხ თვეში დამტოვა. მერე გავიცანი პიროვნება, რომელიც განაწილებით მუშაობდა ჩვენს ქალაქში და ცოლად გავყევი. სწორედ მას ჩამოვყევით ამ ქვეყანაში: შენ - შვიდი წლის ასაკში, მე - აბა, რა სათქმელია, არც მახსოვს. ათი წლის იყავი, როცა უკან გაგაბრუნე. ვერ შეეწყვე ამ პიროვნებას. ამათ რომ ბომბავ, სულ შენს მამინაცვალს აბრალებენ ესენი, ამ დროს, არ იყო ცუდი კაცი. ყოველ შემთხვევაში, ამათი დასაბომბი არაფერი უქნია. იყო უხეშობა, იყო პიროვნული შეუთავსებლობა, იყო ფიზიკური დატაკება - როგორც ჩემზე შენს თანდასწრებით, ასევე შენზე ჩემს თანდასწრებით და ჩემს დაუსწრებლად - მაგრამ ზღვარგადასული არასდროს არაფერი უკადრებია. რთული წლები გეწყებოდა: იყო უცხოობის შიში გარეგანად და შინაგანად სხვანაირი ხალხის მიმართ, იყო მოთითება შენზე, იყო კინკლაობა აქაურ თანატოლებთან და ამიტომ ვიფიქრე, იქნებ შენთვის უკეთესიც კი ყოფილიყო სისხლით მონათესავე ჩემს ბიძაშვილთან შენი გახიზვნა. ხოდა მანდ წავაგე, მაგ გზაზე შევცდი! იმათ თავიანთი შვილი არ ჰყავდათ - შეშინდნენ, ვაითუ უკან მოგვთხოვოსო და კვალი არიეს, წერილები უკან მომიბრუნეს და სამუდამოდ დაგვაცილეს ერთმანეთს. ასეა, გინდ ბიძაშვილი იყოს და გინდ დეიდაშვილი, თუკი ბოროტი ჩაუსახლდა სულში, მით უმეტეს, უშვილოს, ყველაფერზეა წამსვლელი.

მერე იყო ჩვენების კოსმოსში გაფრენა, ქვეყნის არევ-დარევა, შიმშილობა და, აბა, სადღა და როგორ მომენახე! ვიღაცამ თქვა, მშობლები დაღუპვია და უპატრონო ბავშვების აღსაზრდელს მიაბარესო. მანდ მეორედ მოვკვდი. ნეტა სიმართლეა? თუ ასეა, რატომ არ დაბრუნდი? რატომ არ გადმოკვეთე ჯონჯოლის ტყე და მუხლებში არ ჩაუვარდი დედაშენს? ერთმა დამბლადაცემულმა კაცმა როგორ შეგაშინა? ჩემი ბრალია? მე შეგაშინე?

როცა წლების წინ შენი ბრძანებით ბომბავდნენ აქაურობას, კერძოდ ჩემს სოფელში არც ერთი ბომბი არ ჩამოვარდნილა. ერთადერთი, ძროხას დაეჯახა თქვენების ტანკი ტრასაზე. ხოდა აქაურები ამბობენ, რომ რახან აქ ვცხოვრობ, ამიტომაც არ გაეცი დაბომბვის ბრძანება. გენაცვალე, მართლა ამიტომ დაგვინდე? იცოდი, რომ დედაშენი აქ ოჯდა? თუ მართლა ეგრეა, გახსოვდეს, ათჯერ უფრო მეტად მეყვარები, ვიდრე აქამდე მიყვარდი. მე შენი არ მეშინია! გიჟი კი არა ვარ, შვილის მეშინოდეს! განა მე არ ვიცი, როგორი გული გაქვს, ჭკუა რომ ჰქონოდა შენს ცოლს, საგარეოს, შენგან წავიდოდა სახლიდან? ყოჩაღ იმ სახლის ცოლს, თუ მართლა სახლში ზის და გარეთ არ გამოდის, რადგან ვისაც შენ უყვარხარ, ის ოთხ კედელში მჯდომიც ბედნიერი იქნება. რად უნდა მოუნდეს გარეთ გასვლა? ამიტომ აქ კი ვამბობდი, თუკი გინდათ, რომ ბომბი არ მოგხვდეთ, სანთელი ღვთისმშობელს დაუნთეთ-მეთქი, მაგრამ გულში მეც ვიცოდი, რომ სოფელში, სადაც დედაშენთან ერთად ჩამოხვედი, ერთ ბომბსაც არ ჩამოაგდებდი.

მაგრამ მაინც მინდოდა, რომ სანთელი დაენთოთ! და განა მხოლოდ თავმდაბლობის გამო, შეიძლება თავმდაბლობაც იყო, კი, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ისაა, რომ ამათ ღმერთი დაივიწყეს, ის კი, მე ასე მესმის, თუკი ვინმეს ახსოვს ახლა, მარტო შენ! სწორედ შენ იცავ ჭეშმარიტ რწმენას გარყვნილებისა და გადაშენებისგან და ამდენი უწმინდურიც ამიტომ გესევა. თორემ რა ჯანდაბად გინდა ეს ორი მტკაველი მიწა, ამხელა სუფთა ჯაშუშობის დარაზმვა და ზევით ხსენებული ერთი გაუბედურებული ჯონჯოლის ტყე!

მართალი გული გაქვს და ერთ მეტრ მიწას არ უთმობ უღმერთოთა მხედრობას. ჯერ კიდევ როდის მინდოდა შენი საზოგადოებრივი გამოსვლის დროს ჩართვა ტელევიზორებში და მთელ ქვეყანაზე გამოცხადება: ეს არაა დავა ერთი ან ორი ჰექტარისთვის, ესაა ბრძოლა ჩვენი სულების გადარჩენისთვის! რას მიქვია ერთი-ორი კაცის სიკვდილი, ან, გნებავთ, ხალხთა ჯგუფების, როცა არის შესაძლებლობა, რომ მილიონობით სული დაიღუპოს? ხომ მოგეწონებოდა ასე თქმა? ხომ გეცნობოდა დედაშენი? მაგრამ, აბა, უბრალო ხალხს რას შეაგნებინებ, სუსტები ვართ ადამიანები, ვერ ვხვდებით, ჩვენთვის რა სჯობია! აბა, როგორ დააჯერებ ვიღაც არასათანადოდ მოაზროვნე პიროვნებას, რომ მისთვის ის უფრო აჯობებს ჭეშმარიტი რწმენისთვის მოკვდეს, ვიდრე კაციობრიობის მტრებმა დაისაკუთრონ მისი მიწა-წყალი! რა ჯობია: ურწმუნოდ სიცოცხლე თუ რწმენით სიკვდილი? ჩემთვის ასე დგას საკითხი. გაიგოს მთელმა მსოფლიომ.

ამ დროს, აქ იყო რამდენიმე პიროვნება, იგივე შენი ნახევარძმა და მისი ცოლი - გული მიკვდება, ამათ რომ პირადად არ იცნობ, - ვინც პირდაპირ მეუბნებოდა იმ ომის მერე: რომ გცოდნოდა ასეთი გაიზრდებოდა და ბომბებს დაგვაყრიდა, მაინც აცოცხლებდი, არ მოიშლიდი მუცელს, ან თუ მუცელს ვერა, ბავშვობაში მაინც არ მოგუდავდიო? ეს რა სათქმელია? ჯერ ერთი, დედამ საიდან უნდა იცოდეს, შვილისგან რა გამოვა და მეორეც, რომც იცოდეს, რაც გამოვა, მოსაკლავად როგორ გაიმეტებს?! ჭკუიდან შემცდარი თუ არ ხარ, შვილს როგორ დაღუპავ? შვილმა როგორ უნდა შეგაშინოს!

მაგრამ იყო ასეთი ლაპარაკი, კი, დამფრთხალი იყო ზოგი და ჩემთვის მიუღებელ შეკითხვებს მისვამდა: მაგალითად, მკითხავს ან წმინდანის ცხოვრებით ნაღვაწ მღვდელმონაზონს რომ ეთქვა, ეს შენი შვილი ურიცხვ უგუნურ სულწაწყმედილს, თუმცა მაინც მოკვდავს გაისტუმრებს იმ ქვეყნად, რას იზამდი - არ აჯობებდა, რომ ასეთი არც გაზრდილიყოო? არ მოკლავდი შენი ხელითო? გესმის? სატანად მიაჩნდი ზოგიერთს. მაგრამ ვერ დაძრახავდი, ვერ ხვდებოდნენ, რამხელა ომი წამოგეწყო მათივე გადარჩენისთვის. მე არც მაშინ მერიდებოდა ამის თქმა და არც ახლა მერიდება, პირდაპირ ვამბობ: არათუ სატანა, არამედ პირიქით, ღმერთის დონეზე ხარ ჩემთვის! და არა იმიტომ, რომ ღვიძლი შვილი ხარ, მით უფრო, ასეთი სახელოვანი, დაწინაურებული, ყველაფრისმხედველი და შორსმჭვრეტელი, - შენ ჩემნაირი მშრომელების ღმერთად მიმაჩნიხარ, არავის რომ არ შეარჩენ ჩვენნაირების დაჩაგვრას და მკაცრ პასუხს მოთხოვ ყველას, ვინც ჩვენ ასეთ დღეში ჩაგვყარა - მთელი ცხოვრება რომ ვშრომობდით, წელებზე ფეხს ვიდგამდით, ღამეებს ვათენებდით და ორი კაპიკი პენსიის იმედად რომ დაგვყარეს სიკვდილის პირას! ოღონდ იმ პენსიებსაც რომ არ გვაღირსებდნენ და შიმშილით რომ გვძვრებოდა სული; წამალი რაღაა, წამლის ფული რომ არ მქონდა და არც ერთი კბილი რომ არ შემრჩა პირში. აგერ, შეხედე!

შენ უნდა იძიო შური ყველა დაჩაგრულის, ყველა საცოდავის და ყველა დაავადებულის გამო - განა მარტო პენსიონერებისას ვამბობ! ყველა საათობით რიგ-

ში მდგომთა გამოც - ერთი ცალი შავი პურის გამო რომ ვასწორებდით დღესა და ღამეს!

შენ ხარ ღმერთი და მოსარჩლე ყველა იმ საწყალთა, ვინც წლებით აგროვებდა ფულს შემნახველ სალაროში და მეანაბრეებმა, მებაჟეებმა, ბანკის ხალხმა, ეშმაკებმა და ბელზებულის ნაშიერმა უსინდისლებმა შეუჭამეს ერთ დღეს! შენ უნდა იძიო შური იმათ გამო, ვინც ოთხგზის და ხუთგზის ყოფილა შრომის გმირი და ახლა ტრანსპორტში ასასვლელ შეღავათიან ბილეთს ამადლიან! ამ დროს, რად მინდა ამათი ტრანსპორტი! რა, ტროლეიბუსით უნდა ვიარო ჯონჯოლის ტყეში? თუ რომ ახვალ, ადგილს დაგითმობს ვინმე! ზიზღით გიყურებენ, ჯერაც ცოცხალი რატომ ხარო.

დასაჯე და მოსპე ეს უზრდელი და საჯდომ-წამოუწეველი ხალხი, სისხლის წვიმა მოუვლინე იმათ შვილებს და ცოლებს, ვინც ჩემი ობლიგაციებით შეიძინა გინდა უძრავი, გინდა მოძრავი ქონება, ვინც თავისი პირუტყვივით ნაზარდი ოჯახობა მოასუქა კუთვნილ ცოდვის ბუდედ ქცეულ რეგიონში და მე კი უკბილოდ დამტოვა ოთხმოცი წლის ასაკში. არც ერთი კბილი არა მაქვს, შეხედე!

შეიძლება დედაშენს არ ჰქონდეს კბილები?

დასეტყვე იმ ნაძირალა გამგებლის სახლი, ვინც თავისი ქოფაკები გამოუშვა, რათა ჩვენი ბაზარი აეშალა ქალაქის შესასვლელში და სარდაფებში ჩაგვალპობინა გაუსაღებელი ხორცი, ყველი, ვაშლი და მსხალი. დასაკლავ ბურვაკს რომ მიუგავს სახე - დასცხე მის თავზე ერთი ბომბასავით მეხი, ან კიდევ უკეთესი, - ამბობენ, ღვინის სმა უყვარს მაგ მუცელამოუყორავს, ხოდა ჩააყრევინე ჭიქაში თვალით უხილავი ასაფეთქებელი, ერთიანად რომ გაუგლიჯოს გაქონილი გულ-მუცელი, როგორც ყველა იმ უწმინდურს, ვინც წინ გადაგიდგა თუნდაც შენი ქვეყნის საზღვრების გარეთ. ხომ გაქვს ისეთი ბომბი, ისეთი მჟავა, სითხეში რომ ჩაწურო, გინდა წყალში, გინდა ღვინოში, გინდა ჩაიში - არც ვიცი, ჩაის თუ სვამს საერთოდ, - და სხვების საჩვენებლად, სხვების სამაგალითოდ გახეთქე!

ააფეთქე, დედა გენაცვალოს, დასაჯე ჩვენი შემგინებელი და ღირსების ამყრელი, წელში გაგვასწორე, მუხლებზე წამოგვაყენე, ჩვენს უკან დადექი და ზურგი გაგვიმაგრე! გვაჩვენე ცოდვილთ მუსვრა საზოგადოებასთან შენი საჯარო შეხვედრის მსვლელობების ჟამს, რათა ცქერით მაინც ვიჯეროთ გული, გაეცი ბრძანება შეგვიშვან ბაზარში, იყიდონ ჯონჯოლი, ყველი, ვაშლი და მსხალი - ათობით დაკარგული ძროხა მყავს სახლში მოყვანილი! ბრძანე, კბილები ჩამისვან, იმის მეათედი მაინც მომცენ, რასაც წლები ვდებდი ოვივე შენთვის, ოვივე შენი საწყალი ნახევარძმებისთვის იმ დაწყევლილ შემნახველ სალაროში, - აგერ ჩემი სალაროს წიგნაკი, ყველაფერი აღნუსხული მაქვს!

დასაჯე ყველა, ვინც ამბობს, რომ შენ ხარ ყველაზე მდიდარი დედამიწაზე, რადგან მე ვიცი, შენ მდიდარი ხარ შენი სიბრძნით და ყოვლისმცოდნეობით და არა ქონებით, მაგრამ შენი გათხვრა უნდათ და ჩემი წამება: „აი, ვინ გეიმედება“, „აი, ვინ გაგიჩენია“. ვინ გამიჩენია? საუკეთესო გავაჩინე, ოღონდ არ მიცნობს.

რისი უნდა მეშინოდეს? რა ვქნა? დღე და ღამე ლოცვებში მოგმართავ, შენს სახელს ვიმეორებ! ერთხელ მაკოცნინე. როგორ მოვაღწიო შენს მისაღებამდე? სამოცი წელია ჯონჯოლის ტყეს არ გავცდენივარ. გამოგზავნე შენი ანგელოზი, რათა ხელში ამიტაცოს და საბუთის გარეშე გადმომფრინოს კავკასიონზე! არ გაქვს შესაბამისად აღჭურვილი თვითმფრინავი? ერთი ორმოცდახუთკილოგრამიანი ქალისთვის - რა მძიმე მე ვარ?

თურმე, ვისაც მოუნდება, შენს პასპორტს აიღებს და სადაც არ უნდა იყოს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, გინდ მთაზე, გინდ ბარში, სამარადჟამოდ შენი იქნება, და თუკი ვინმე მოუნდომებს დაჩაგვრას, თუკი იმ ქოფაკების ხელით გადაუყრიან გასასაღებელ საქონელს, ამ კურთხეული პასპორტის მადლით დაწვავს!

ეს პასპორტი შენი გულის საშვია, ამის ამღები შენი ნაწილი გახდება. თავზე დაგვაყარე ეს მადლიანი ქაღალდები, გადმოაფრინე შენი ვაჟკაცები და ზევიდან აძახებინე ჩვენი სახელ-გვარები! ყველასი გეცოდინება, ყველას სახელს გეტყვი, ყველაფერი აღნუსხული მაქვს, ყველანი შენი ვართ. მე ვერ მივატან შენს მომდევნო საჯარო გამოსვლამდე, ლოდინი მომსპობს, მაგრამ ისე არ მინდა მოვკვდე, ერთხელ მაინც არ ჩაგხედო თვალებში - სად იყურება შენი ცოლი, საგარეო თუ საშინაო, რა ფერი გადევს სახეზე! - ამდენ შენს მწყევლელს მე ერთმა როგორღა ვაჯობო? არ მანახო შენი დასუსტება.

კარგად გძინავს?

ყველგან მტრები გყავს, ათი თვალი და ყური უნდა გამოიბა, არავინ იცის, ვინ საიდან გეცემა, სად ჩაგისაფრდებიან. რომ გესროლონ? შენი აფეთქება რომ სცადონ? წყალში რომ ჩაგიგდონ უხილავი ყუმბარა? წყალი არ სვა. შენს სამდივნოს შემაერთე, მე უნდა ვიყო შენს გვერდით, თორემ წინ გადამფარებელი არ გეყოლება. შენკენ გამოსროლილ ტყვიას თავის სხეულს არავინ შეუშვერს. რამე რომ მოხდეს, ჩემი სისხლი დაგჭირდება - კიდევ ას წელიწადს გაცოცხლებს! ეს სისხლი უნდა გადაგისხან, მე არ მენანება, რადგან სისხლის მეტი ჯანსაღი აღარაფერი მაქვს. წარმოგზავნე შენი თანაშემწე, მომძებნოს, წაიღოს ჩემი სისხლი და შენ მოგამარაგოს. შენს ლოდინს შენთვის სიკვდილი ჯობია! მიმსახურე!

შემთხვევით არ მინდა, მოვკვდე! შემთხვევითმა ბომბმა არ უნდა მომკლას!

შენგან უნდა იყოს პირადად ჩემთვის. და ესეც ჯანმრთელობის მიზეზით, აუცილებლობის გამო. რატომ უნდა მეშინოდეს შემთხვევით სიკვდილის? ამაში მაინც გამოგადგე. ნუ მსჯი.

თბილისი და ქუთაისი
ის ჭეშმარიტი ნიჭისა
და ცეკვა
ნიუ-იორკში მოხვდნენ

კინორეჟისორი და მკვლევარი ირაკლი მახარაძე ცნობილი წიგნების: „გურული მხედრები ამერიკაში“, „ერთხელ ამერიკაში - უცნობი გურული მხედრის ჩანაწერები“, „უაილდ ვესთის მხედრები“, „ერთი მუჭა ვესტერნის“ ავტორია. ამ წიგნებში წლობით ნაგროვები ფაქტებიც არის და ავტორის ემოციაც, უცხოელთა აზრიც და ჩვენი დამოკიდებულებაც. ყველაზე საინტერესოდ ის მომეჩვენა, რომ ირაკლი მახარაძემ მოახერხა, არც მოდას აჰყოლოდა, არც ვინმეს გავლენის ქვეშ მოქცეულიყო და ისეთივე გულწრფელობით ჰყვარებოდა ვესტერნი, როგორითაც ადრეულ სიყმაწვილეში, იმ შორეულ წარსულში ამერიკაში გადახვეწილი გურულებს, რომელთა შესახებ მასალები მისხალ-მისხალ უგროვებია. მერე, ისიც აღმოაჩინა, რომ თურმე ვესტერნის მთავარ ხიბლს - ტრიუკებს, ამერიკელები გურულებს უნდა უმადლოდნენ...

ირაკლი მახარაძე: - ბავშვობიდან მაინტერესებდა ვესტერნი. ანაგის ქუჩაზე იყო კინოთეატრი „გაზაფხული“, დიდუბეში - „კოსმოსი“. იქ, ომის შემდეგ, გერმანიიდან შემოტანილ ე.წ. „ნადავლ" ფილმებს“, მათ შორის, ამერიკულ სურათებს უჩვენებდნენ, რომლებმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ბავშვობაში, გურიაში მსმენია, გურულებმა გადარიეს მთელი ამერიკა, მაგრამ თვითონაც გადარეულები დარჩნენო. 10 წელიწადს ვიკვლევდი ამ ამბავს და ნელ-ნელა გავაცნობიერე, რომ არსებობდა ერთი საინტერესო კავშირი - აღმოვაჩინე, რომ თავად ამერიკელები წერენ: ყველაზე დიდი გავლენა კოვბოების ტექნიკის ჩამოყალიბებაზე რუსმა კაზაკებმა მოახდინესო. „რუს კაზაკებს“ სწორედ ამერიკაში ჩასულ გურულებს უწოდებდნენ...

სხვათა შორის, გასული საუკუნის დასაწყისში ლუკმაპურის საშოვნელად შორეულ ამერიკაში ჩასულ გურულ მოჯირითეებსა და მუშაითებს შორის ქალებიც იყვნენ. ამ მოჯირითე ქალბატონებს გურულ-აჭარულ-ლაზური ჩაქურა ემოსათ ტანთ. მოხერხებულმა და ლამაზმა სამოსმა ამერიკელთა ყურადღება მიიქცია და... სწორედ ჩაქურა დაედო საფუძვლად ამერიკულ ბრიჯებს.

- საინტერესო წრე შეიქმნა. თქვენ დაინტერესდით ვესტერნით და იქამდე მიხვედით, რომ ამ ფილმებში ქართველებსაც ჰქონიათ წვლილი შეტანილი...

- მეტიც... ცნობილი შოუმენის ბაფალო ბილ ქოუდის საცირკო სანახაობამ - ველური დასავლეთის შოუმ, კოვბოის მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი, როგორც ახალი მიწების ამთვისებელს, თავისუფალ ადამიანს, უბადლო მსროლელსა და ინდიელებთან მებრძოლს. ამ მშვენივრად დადგმულ სპექტაკლებში, რომლებიც ამერიკული შოუბიზნესის საწყისად არის მიჩნეული, კოვბოები ბრძოლისა და ძარცვის სცენებს აჩვენებდნენ, ატარებდნენ შეჯიბრებებს ჯირითში, ლერიეტეს ხმარებასა და მიზანში სროლაში. ამ შოუში მონაწილეობდნენ გურული მოჯირითეებიც. თომას ინსმა, ჰოლივუდის სტუდიური სისტემის ფუძემდებელმა, კონტრაქტი გაუფორმა ველური დასავლეთის შოუს და მის მონაწილე ცხენოსნებს ფილმებში იღებდა. ამიტომ ბევრი ფული აღარ სჭირდებოდა ვესტერნების შესაქმნელად. გადმოცემით ვიცი, გურული მხედრები ამბობდნენ, კინოშიც გვიღებენო. როგორც ჩანს, ვესტერნებში იღებდნენ.

- ეს სადმე ხომ უნდა იყოს დაფიქსირებული?

- რაკი სტატისტებს არასოდეს აფიქსირებდნენ, მათი გვარებიც ფილმის ტიტრებში ვერ მოხვდა. ისიც არის, რომ ქართველებმა გვარები გადაიკეთეს. სომხები გვარს არასოდეს იცვლიდნენ, ქართველები კი იოლად აკეთებდნენ ამას...

- თუ არსებობდა ცხენოსნობის ქართული სკოლა?

- არა, გლეხები ღარიბები იყვნენ, ამის საშუალება საიდან ექნებოდათ? ხშირად ცხენიც არ ჰყავდათ და დაბმულს თუ წააწყდებოდნენ, ახსნიდნენ და ჯირითობდნენ. იმიტომაც წავიდნენ საქართველოდან, რომ შეჭირვებულნი იყვნენ. თბილისი და ქუთაისი არ ჰქონდათ ნანახი და უცებ ნიუ-იორკში მოხვდნენ, ფული იშოვეს და თავიანთი პროფესიონალიზმით პატივისცემაც დაიმსახურეს. ისეც მომხდარა თურმე, მთვრალი გურული ხმლით შევარდნილა კაფეში და დაულეწავს ყველაფერი...

- როგორ ფიქრობთ, რატომ არ შეიქმნა ქართული კინო, სადაც ჩვენი ტრადიციული ცხენოსნობის ილეთებს გამოვიყენებდით? აუცილებლად ამერიკაში უნდა ესარგებლათ გურულების ნიჭიერებით?

- ჩვენთანაც იყო ვესტერნის ზეგავლენით გადაღებული ფილმები, თუნდაც, ივანე პერესტიანის „წითელი ეშმაკუნები“. ამ ფილმის მიხედვით, შემდეგ, რეჟისორმა კეოსაიანმა „მოუხელთებელი შურისმაძიებლები“ გადაიღო, საბჭოეთში ძალზე პოპულარული ფილმი.

- საბჭოთა პერიოდში ჩაკეტილი იყო სივრცე და „წითელ ეშმაკუნებს“ ამერიკაში ვინ ნახავდა?

- მართალს ბრძანებთ... სხვათა შორის, 20-იან წლებში ვესტერნი ძალზე პოპულარული ჟანრი იყო ჩვენში, მაგრამ 30-იან წლებში აიკრძალა, ხალხის მეხსიერებაში კი დარჩა. მას მერე, ეს ჟანრი მსოფლიო კინემატოგრაფს მოედო. იმხანად დიდი პოპულარობა ჯაზმაც მოიპოვა, მაგრამ მოგვიანებით, საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და სასტიკად იდევნებოდა. კოვბოი, როგორც პერსონაჟი, ბორის ბარნეტმა - რუსმა რეჟისორმა განასახიერა ერთ-ერთ მუნჯ ფილმში. ყველა კინემატოგრაფისტი სწავლობდა ამ ჟანრს. საქართველოშიც გადაიღეს რამდენიმე კარგი ვესტერნი - „მაცი ხვიტია“, „მიზანი“ და სხვ. მაგრამ ჩვენ ერთი სენი გვჭირს - ბაქიაობა. ყველას გვინდა, ტარკოვსკი, იოსელიანი, მიქელანჯელო ანტონიონი ვიყოთ. ყველას საავტორო ფილმების გადაღება გვინდა.

- არაკომერციულ ფილმებს გულისხმობთ?

- საერთოდ, რა არის არაკომერციული კინო?

- როცა ფილმი კინოს მოყვარულთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვისაა საინტერესო. მე ძალიან მიყვარს იოსელიანის „პასტორალი“, მაგრამ ბევრს არ აინტერესებს...

- მერე რა?! გვქონდეს „მაკდონალდსიც“ და დახვეწილი იტალიური რესტორანიც. საბჭოთა დროს საშუალება გვქონდა, ერთიც გადაგვეღო და მეორეც. ქართველი ხელოვნები ქედმაღლები არიან. როცა ვესტერნზე ველაპარაკებოდი, ეს რა არისო? - მხრებს იჩეჩდნენ. როგორ შეგიძლია თქვა, ეს რა არისო, როცა ჯონ ფორდი, კუროსავა მუშაობდნენ ამ ჟანრში. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა სემ ფექინფა, რეჟისორი, რომელსაც ჩვენთან არ იცნობენ და რომელმაც კინოში ძალადობა სულ სხვაგვარად აჩვენა - კაცის მოკვლა სინამდვილეში იოლი საქმე ხომ არ არის, ისე, როგორც ფილმშია ხოლმე ნაჩვენები. რა უძღვის ამას წინ, ეს ხომ საშინელი გრძნობაა. ერთი სიტყვით, ვესტერნს, რომელიც 105 წლისაა, დახვეწილი მაყურებლისთვისაც იღებდნენ. ბაფალო ბილი - ველური დასავლეთის შოუსთვის გურულების დამქირავებელი - ლამის ნაციონალური გმირია. მან გაუთქვა სახელი ამერიკელ კოვბოის, თორემ მანამდე ის უმდაბლესი ფენის წარმომადგენელი იყო.

- ისევე, როგორც საქართველოში კინტოები და ყარაჩოხელები, არა?

- ასეც არის. ძველ თბილისზე ფილმები მაქვს გადაღებული. თავისი ხიბლი ჰქონდათ მათაც. რა იყო ცუდი იმაში, კინტო რომ ხილსა და ბოსტნეულს მოგართმევდა შინ? კინტოებს თავიანთი ამქარი ჰყავდათ, თავიანთი ცხოვრების წესი ჰქონდათ. ასევე იყვნენ ყარაჩოხელებიც.

- ქართველები მხოლოდ ყარაჩოხელობას ვიჩემებთ...

- მერე კარგია? კინოშიც ასე მოხდა, შიგნით ერთი დარჩა და გარეგნულად სხვას იჩემებენ. საშინელებაა.

ესაუბრა:
ლელა ჯიყაშვილი

პადამ, პადამ, პარიზ!

ბევრის მომსწრე ვარ მე...

ტკივილის უფრო მეტად, მაგრამ მაინც სიყვარულს მეძახიან...

სახელს ვამართლებ, ჩემს ქვაბში იხარშება ცუდიც და კარგიც...

ტკივილებიც.

ინოვაციურიც ვარ... პირველი ვარ, ქუჩები რომ გავანათე დედამიწაზე.

რომის დასავლური კამპანიებიდან დაწყებული მიწიდან აღმართული თუ აღმოცენებული, ლუტეცია, ისევ რომის დაცემამ გამანადგურა, გერმანიკულმა შემოსევებმა ისევ ქვის ხანას დამაბრუნა...

არავის ეგონა, თუ აღვდგებოდი.

ოო, აღვსდექი, გავლამაზდი, თუმცა ჩემს ქუჩებში დღესაც ისმის გილიოტინის ექო; ღამ-ღამობით, კონკორდის მოედანზე, ქარის სახით დაძრწის ლუი მეთექვსმეტისა და მაქსიმილიან რობესპიერის აჩრდილები, და თუ კარგად მოუსმენთ, მათი პირიდან ბოლოს და ბოლოს გამოცრილი პარდონ შეიძლება გაიგონოთ.

ვიცოდი ჩემი ცოდვის სიმძიმეც... ამიტომ იყო, დედა ღვთისმშობელს ტაძარს ორი საუკუნე ვუშენებდი - არკბუტანტებით, გოთური არქიტექტურით, თუმც - მსუბუქსა და ნარნარს.

შევძელი ჩემი ქუჩების ისე მოკირწყვლა, რომ ქუჩიდან სასტუმროში დაბრუნება არასოდეს მოგდომებოდა; წარსულში სამოგზაუროდ ლუვრი შემოგინახე; სალვადორ დალის, პიკასოს, ვან გოგის, მოდილიანის, მონეს შესაცნობად მონმარტზე გასეირნების სიხარული გაჩუქე...

ოო, შენს ესმერალდასთან ერთად მხოლოდ ხელჩაკიდებული უნდა მოიარო შანზ-ელიზე, ტრიუმფალურ თაღქვეშ სიყვარულის ფიცი უნდა უთხრა, მარინის სკვერში დაუვიწყარი კოცნა აჩუქო და დაღლილებმა ეიფელის კოშკში ისადილოთ, რადგან ეს ერთადერთი ადგილია მთელს ილ-დე-ფრანსში, საიდანაც „ის“ არ ჩანს - ნამდვილი და ძველი პარიზელების ტკივილი.

ხო, პარიზს უხდება წითელი ბუშტი, ლამორისის თვალით დაგანახებს ნამდვილ პარიზს, ვიწრო თუ აივნიან კვარტლებს, დაუყვები მთვარიან ღამით და მარცვალ-მარცვალ გაიხსენებ ყველა წინადადებას:

ლუდოვიკო მეთოთხმეტე დაიჩემებს
- სახელმწიფო, ეს მე ვარ!
ანრი მეოთხეც არ ჩამორჩება
- პარიზი ღირს მესად!
მერე ფრანსუა პირველი გამოჩნდება
- ყველაფერი დაკარგულია, ღირსების გარდაო! - (ნეტავ ასე იყოს, ახლა?)
მარი-ანტუანეტა, იმპერატორის უმცროსი ქალიშვილი და არა მარტო
- თუ პური არ აქვთ, ფუნთუშა ჭამონო!

მერე დაიღლები, საფუნთუშეს წინ ჩამოვჯდები და წამის მეათასედში აღმოაჩენ, რომ სრულიად შეიძლება შეგიყვარდეს პარიზი - უნახავად!

თუ გოგონა შეიძლება შეიყვარო უნახავად, პარიზმა რა დააშავა?!

* * *

დღეს პარიზს ძაძები ჩაუცვამს - მსოფლიოს გამოსაფხიზლებელად უკვე მერამდენედ იგლიჯავს საკუთარ სხეულს - ამის მიუხედავად, მის ქუჩებში კვლავ სიყვარულის და სიკეთის ჩვენში დასაბადებლად მღერის ედიტ პიაფი - პადამ, პადამ, პადამ... Il dit: Rappelle-toi tes amours Rappelle-toi puisque c'est ton tour...

მანუჩარ კაჭახიძე



შენ ნამყოფი ხარ საფრანგეთში?

სათაურში დასმულ კითხვას პირველივე წინადადებაში ვუპასუხებ: არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ნამყოფი ხარ თუ არა ტოპონომიურ ადგილას სახელად „საფრანგეთი“. არც მე ვარ ნამყოფი, მაგრამ იმდენი ფრანგული წიგნის შესანიშნავი ქართული თარგმანი წავიკითხე მოკლე პერიოდში, რომ ბოლოს უკვე დავიბენი.

- იქნებ ნამყოფიც ვარ? რატომაც არა?

მოკლედ, მინდა გაგიზიაროთ ის სიამოვნება, რომელიც ფრანგი ავტორების ქართულ ენაზე კითხვით მივიღე. ბევრი ავტორი აღმოჩენა იყო ჩემთვის, უმეტესობა სასიამოვნო აღმოჩენა, რამდენიმე - ისე რა. ყველაზე მეტად კი ერთმა ფაქტორმა გამაოცა და მომჭრა თვალი - მომწონდა თუ არ მომწონდა, აბსოლუტურად ყველა ავტორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სტილით და სათქმელით გამოირჩეოდა. ჰო, ეს უკვე ნამდვილად დიდი ლიტერატურული ტრადიციების სიმპტომია, სხვანაირად შეუძლებელია ასეთი მრავალფეროვნება.

კლიენტი ყოველთვის მართალია?

ყველა დროს ჰყავს თავისი ტოტემები და ღმერთები, დღევანდელობისა არის მისი უდიდებულესობა მომხმარებელი ადამიანი. ადამიანი, რომელიც შთანთქავს ხეებს და ქმნის რესტორნებს, შთანთქავს ცხოველებს და ქმნის სწრაფი კვების ობიექტებს, შთანთქავს განვითარებადი ქვეყნების არასრულწლოვნებს და ქმნის ფეხსაცმელებს, რომლითაც მერე თავს იწონებს ხელოვნურსაფარიან სპორტულ მოედნებზე სირბილის დროს. მომხმარებელი ადამიანი არის სასტიკი და კაპრიზული, ის ვერ ეგუება თავისი მოთხოვნების შეუსრულებლობას და ვაი მათ, ვინც იქნება შემჩნეული დაუმორჩილებლობაში! განადგურდნენ, მოკვდნენ, დაიხვრიტონ, ატომური ბომბით აფეთქდნენ ადგილზევე!

მაშასადამე, ეპოქამ ორად გაგვყო მიუხედავად რელიგიური, ეთნიკური თუ სქესობრივი კუთვნილებისა - მომხმარებლებად და მომსახურეებად. საზღვარი მათ შორის მეტად მყიფე და არამყარია, რადგან მომხმარებელი თავისთავად მომსახურეც შეიძლება იყოს და პირიქით. მეტიც - კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობა ორივენი ვართ, მომსახურეებიცა და მომხმარებლებიც, ოღონდ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას და როდესაც როლებს ვცვლით და ვირგებთ მომსახურის როლს, ერთი წესი ავტომატურად ყველას გვახსენდება, რომელიც მყარად გვიდევს თავში და რომელსაც არას დიდებით არ უნდა გადავუხვიოთ თუ არ გვინდა, რომ თამაშიდან გავვარდეთ საერთოდ - „კლიენტი ყოველთვის მართალია“!

ეს გახლავთ მომხმარებელი საზოგადოების ქვაკუთხედი და ერთადერთი სიბრძნე, აბსოლუტური ჭეშმარიტება, რაზეც დგას ყველა განვითარებული თუ განვითარებადი საზოგადოება. ეს წესი განსაზღვრავს პოზიციას და გვითითებს ადგილს, საიდანაც უნდა აღვიქვათ სამყარო. იმის იქით უკვე დანაღმული ზონაა!

კლიენტი ყოველთვის მართალია, რადგან ის იხდის ფულს ანუ ის აძლევს სისტემას მარადიული თვითგანახლების საშუალებას, ის ასხამს საწვავს გიგანტურ მექანიზმში და ვაი მას, ვინც კლიენტის სიმართლეში ეჭვს შეიტანს - ეს ტაბუა, კრიტიკას, მსჯელობასა და განსჯას არ ექვემდებარება.

უნდა აღვნიშნო, რომ საქმე მეტწილად გავამარტივე და მარტივ მოცემულობებამდე დავიყვანე არსის გამოსახატად. სინამდვილეში, სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის უამრავი ჭანჭიკია საჭირო, უამრავი დეტალია გასათვალისწინებელი. ერთ-ერთი ასეთი ჭანჭიკი გახლავთ ბენჯამინ მალოსენი, დანიელ პენაკის ნაწარმოებების შესანიშნავი ციკლის „მალოსენების საგის“, მთავარი მოქმედი გმირი. ბენჯამინი უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებს და ამაში იღებს კიდეც მშვენიერ ანაზღაურებას, უსამსახუროდ დარჩენის საფრთხეც არ ემუქრება თან არასდროს - განტევების ვაცია. მისი ფუნქციების უკეთ გასაგებად, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თქვენი თავი ხელფასის აღებიდან მეორე დღეს, სადმე ვთქვათ ტექნიკის მაღაზიაში, სადაც ყიდულობთ გაზქურას და გახარებული მიაქანებთ სახლში, რადგან გგონიათ რომ ის ძველი გაზქურა, რომელიც სიმართლე რომ ვთქვათ ჯერ კიდევ მშვენივრად მუშაობდა, უკვე შესაცვლელია და კარგი ჰქენით რომ დროზე შეცვალეთ. სახლში მისულს ცოლი გეგებებათ, გკოცნით, ბავშვებს უხარიათ, მეზობელიც კი ხარობს მომხმარებლური ცხოვრების სასწაულს და ამ საერთო სახალხო სიხარულის ჟამს აღმოაჩენთ, რომ თქვენი გაზქურა არ მუშაობს, ქარხნული წუნი აქვს! საშინლად ბრაზდებით, იმავ წამს გინდათ მივარდეთ მაღაზიაში და დალეწოთ ყველაფერი, ასეც აკეთებთ. თქვენი რისხვა მოუთოკავი და გულწრფელია, თან უსაფრთხო - რისხვა გამყარებულია ერთწლიანი საგარანტიო ფურცლის ნაგლეჯით, რომელიც ჯიბეში გეგულებათ და ძალას გმატებთ. მირბიხართ მაღაზიაში და იწყებთ გინებას. თქვენ ხართ უკმაყოფილო კლიენტი, რომელიც მართალია. ვის უნდა აგინოთ? თქვენ გინდათ პერსონიფიცირებული სიმბოლო, რომელიც ხელში მოგხვდებათ და უდრტვინველად გაგრძნობინებთ იმას, რომ თქვენი რისხვა წმინდაა და არავინ ხელის შეშლას არ აპირებს, რომელიც მართლა მიგახვედრებთ იმას, რომ სიმართლე თქვენს მხარესაა! ვუალა - სცენაზე შემოდის ბენჯამინ მალოსენი, განტევების ვაცი, რომელიც მორჩილად გიხრით თავს, ისმენს და იტანს თქვენს უხამს გინებებს, აღვარღვარებს ცრემლებს, თავს გაცოდებთ, გულს გილბობთ და გარდა იმისა, რომ თქვენს სიმართლეს გაგრძნობინებთ, ასევე გაგრძნობინებთ იმასაც რომ ადამიანი ხართ! თქვენ ის გეცოდებათ, გული გილბებათ უზარმაზარი ოჯახის ერთადერთი პატრონისადმი, რომელსაც თქვენი რისხვის გამო სამსახურიდან გააგდებენ, სადაზღვევო ბარათს გაუუქმებენ და ა.შ. თქვენ ის იმდენად გეცოდებათ, რომ პრეტენზიებს არბილებთ და კომპრომისის ძიებას თავად იწყებთ. ესაა ბენჯამინის ფუნქცია.

წიგნში „ფერია კარაბინით“ (მთარგმნელი - ნატა ბალავაძე) დედოფალი ზაბო, რომელიც არის გამომცემლობის მეპატრონე და დაქირავებული ჰყავს ბენჯამინი აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, ერთგან კარგად და თვალსაჩინოდ განუმარტავს მოვალეობებს: „თქვენ განტევების ვაცი ხართ, ეშმაკმა დალახვროს, ეს კარგად უნდა ჩაიბეჭდოთ თავში; თქვენ სისხლით ხორცამდე განტევების ვაცი ხართ, ამაში არ გყავთ ბადალი, ისევე როგორც მე გამომცემლობის საქმეში. ყოველთვის ყველას თვალში თქვენ იქნებით დამნაშავე და ყველაფრის მიუხედავად ყველაზე უკანასკნელ ნაძირალასაც კი თვალზე ცრემლს მოჰგვრით! მთავარია, თქვენს მოწოდებაში ეჭვი არასდროს შეგეპაროთ. ერთხელ მაინც თუ დაეჭვდებით, მაშინვე ჩაგქოლავენ“.

ბენჯამინ მალოსენი საოცარი ადამიანია. ის ცხოვრობს მომხმარებლური საზოგადოების სასტიკი და საშინელი წესებით და ჰყავს უამრავი ბავშვი (დედამისის შვილები სხვადასხვა კაცებისგან), რომელსაც თავად პატრონობს და რომლებსაც უყვება ათასნაირ ისტორიას. მისი მეორე მოვალეობა ისტორიების მოფიქრებაც გახლავთ - რეალობის დამახინჯება, შელამაზება და ბავშვებისთვის დაღეჭილი ჩიჩიასავით მიწოდება. ეს ხაზი ძალიან მკაფიოდ გახლავთ გამოკვეთილი და თხრობას ზღაპრის ელფერსაც სძენს და ერთი-ორად ალამაზებს. მთელი ეს ნაგავი, რომელსაც გადაამუშავებს ბენჯამინ მალოსენი და რომელსაც მომხმარებლური საზოგადოების ყოველდღიური ყოფა ჰქვია, ბავშვებს მიეწოდება უვნებელი და ლამაზი სახით. ასე მაგალითად, იმავე წიგნში „ფერია კარაბინით“ პირველივე გვერდებზე ამბობს აღფრთოვანებული ბავშვი, რომ ნამდვილი ფერია ნახა, რომელმაც კაცი ყვავილად გადააქცია. და რას ფიქრობთ, რას გულისხმობდა ის? რა თქმა უნდა ტყვიისგან თავგაპობილ ადამიანს, აბა. აი ასე თანაცხოვრობენ რეალობები ერთმანეთის გვერდით ბავშვების ტვინში.

დანიელ პენაკის ნაწარმოებები „ფერია კარაბინით“ და „კაციჭამიათა საბედნიეროდ“ (მთარგმნელი - მანანა ბოსტოღანაშვილი) არის ძალიან დინამიური საკითხავი გაჯერებული იუმორით, მათ შორის შავი იუმორითაც, დეტექტიური და მისტიური ელემენტებითა და საინტერესო, ჩამთრევი სიუჟეტებითა და დაუვიწყარი პერსონაჟებით. კარგი იქნება თუ აღნიშნული ციკლის თარგმნა გაგრძელდება და ქართველ მკითხველებს მალოსენების საგის სხვა ამბების წაკითხვის საშუალებაც მოგვეცემა მშობლიურ ენაზე, რადგან იქნებ რამდენიმე ჩვენგანი დაფიქრდეს, გაბედოს მკრეხელობა და იკითხოს - კლიენტი ყოველთვის მართალია?

აქა ამბავი სიყვარულისა

ფრანგებს რომ სიყვარულის საქმისა ყველაზე უკეთ ესმით და ამას ინტენსიურად გამოხატავენ კინოსა თუ ლიტერატურაში, ხომ გსმენიათ ეს სტერეოტიპი? სწორედ ამ სტერეოტიპს გაგიმყარებთ

ანრი ალენ-ფურნიეს წიგნი „დიდი მოლნი“, რომელიც თარგმნა თამარ აბრამიშვილმა. რომ არ მოგატყუოთ, მე არ მიყვარს ასეთი ცალსახად სასიყვარულო საკითხავი და ეს წიგნი, ასევე რომ არ მოგატყუოთ, სწორედ ასეთია, თუმცა ბანალობასთან საერთო მას არაფერი აქვს, რადგან სიყვარულის ისტორია გახვეულია ისეთ მძლავრ მისტიურ საბურველში, რომ ჩემნაირ სკეპტიკოსსაც კი წააკითხა თავი ბოლომდე. ამ ჟანრის მოყვარულთათვის ფრანგული ლიტერატურის კლასიკად წოდებული ნაწარმოები ნამდვილი მისწრება იქნება და დარწმუნებული ვარ ბევრი მკითხველიც გამოუჩნდება წიგნს.

რამხელა გრძნობებს ეხება საქმე თავად მიხვდებით, როცა გაიგებთ ერთ-ერთი მთავარი პროტაგონისტის, ივონ დე გალეს შექმნის ამბავს: თურმე ნუ იტყვით და ვინმე ივონ მარი ელიზ ტუსენ დე კუვრეკურტს ამ ნაწარმოების ავტორი, ალენ-ფურნიე, 1905 წლის 1 ივნისს შეხვედრია და ძალიან ღრმად შეჰყვარებია. მამაკაცს არაფერი გამოსვლია ქალბატონთან და შემდეგ წელს, იგივე დღეს იმავე ადგილას ელოდებოდა თურმე, თუმცა ქალბატონი არ გამოჩენილა. გულდათუთქულ ავტორს დაუჩივლია მეგობართან: „ის არ მოვიდა და რომც მოსულიყო, იგივე არ იქნებოდა“. რვა წელი ატარებდა ამ მწველ გრძნობას ანრი ალენ-ფურნიე და მხოლოდ ამ ხნის შემდეგ გადაჰყრია ივონ დე კუვრეკურტს ხელმეორედ, რომელიც უკვე დაქორწინებულა და ორი შვილიც ჰყოლია. ეს ქალბატონი ივონ დე გალეს პროტოტიპად იქცა წიგნში, რომელიც ეხება დაკარგულ და ნაპოვნ, დიდ იდეალებს, რომელსაც დრო და ჟამი ვერას აკლებს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნს თუ 13-14 წლის გოგო-ბიჭები წაიკითხავენ და მოიწონებენ, მთელი ცხოვრება არ დაავიწყდებათ დიდი მოლნის პერსონაჟი და შეიძლება მათი ინსპირატორიც კი გახდეს ის. მე თუ მკითხავთ, სწორედ მათთვისაა პირველ რიგში რეკომენდებული „დიდი მოლნი“.

პროგრესისტები VS რეგრესისტები

1749 წელს დიჟონის აკადემიას კონკურსი გამოუცხადებია და საკონკურსოდ დაუსვამს კითხვა, რომელიც დღემდე აქტუალური და პასუხგაუცემელია: აუმჯობესებს თუ არა ადამიანს, მის ზნე-ჩვეულებებს მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარება? მეთვრამეტე საუკუნის შუაწელში პროგრესის გაგება ოცდამეერთე საუკუნის პროგრესთან რა მოსატანია, სასაცილოდაც შეიძლება მოგვეჩვენოს და სწორედ ამიტომ ეს კითხვა დღეს უფრო მწვავედ გაისმის ალბათ.

ელვის სისწრაფით ვვითარდებით და ამ პროცესს არ უჩანს საზღვარი. პროგრესი არის შეუქცევადი სტიქია და ვერც ერთი ძალა მას წინ ვერ აღუდგება. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რისთვის? რატომ? რა მიზნებისთვის? იქნებ არ გვინდა? იქნებ გვეყოს? იქნებ საკმარისია? იქნებ პროგრესი ჩვენს ყველაზე ბნელ მხარეებს ავლენს და ამძაფრებს? იქნებ წინსვლა უფსკრულისკენ მიგვაქანებს? ხომ არ იქნება უმჯობესი ბუნებასთან, პირველყოფილ მდგომარეობასთან დაბრუნება? ასე მარტივად თუ დავყოფთ საზოგადოებას „პროგრესისტებისა“ და „რეგრესისტების“ ბანაკებად, მე პირველ მათგანს მივაკუთვნებდი თავს ულაპარაკოდ, მაგრამ დიდი ფრანგი ფილოსოფოსის ნაშრომმა „მსჯელობა მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ“, რომელმაც პირველი პრემია მოიპოვა დიჟონის აკადემიის გამოცხადებულ კონკურსში და რომელიც ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, საპირისპიროზეც დამაფიქრა. ცხადია, რუსოს სხვა მოცემულობები ჰქონდა ამ ნაშრომის დაწერისას და კაცმა არ იცის დღეს რა პასუხს გასცემდა აღნიშნულ კითხვას, მაგრამ ჩემი გადმოსახედიდან მას უპირობოდ ჩავწერდი „რეგრესისტების“ ბანაკში. ცუდად ჟღერს ეს სიტყვა და მოაქვს სიბნელისა და უინტელექტობის, ჩაკეტილობისა და ფობიების სურათ-ხატები და რა თქმა უნდა ამ ყველაფერს ჟან ჟაკ რუსოს ძე ხორციელი ვერ მიაწერს, თუმცა მაინც - ბუნებასთან დაბრუნების პროცესის რომანტიზება სწორედ რეგრესისტების ბანაკის სავიზიტო ბარათია. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ „ბუნებასთან დაბრუნების“ გააზრება 21-ე საუკუნეში სხვაა და 18-ში სხვა იყო. ეს იმიტომ დავამატე, რომ ისე არ იფიქროს მკითხველმა, თითქოს ხეების გაჩეხვა და ქარხნების შენება გულს მიხარებდეს.

რუსოს მსჯელობა მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ ამ თემებზე ბევრ საინტერესო მოსაზრებას აღგიძრავთ.

სახიჩრების ბრძოლა სიცოცხლისათვის

მარკ დიუგენის ნაწარმოები „ოფიცერთა პალატა“, რომელიც თარგმნა ცისანა ბიბილეიშვილმა, ომის შესახებ დაწერილ ნაწარმოებებში, რაც კი წამიკითხავს, ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიკავებს. წიგნი იწყება თავაწყვეტილი ვნებით და ომში წასასვლელად გამზადებული ახალგაზრდა კაცის შემთხვევითი სექსით უცნობ ქალბატონთან, რომელიც სატრფოს მიაცილებდა იმავე ომში (ღმერთო, რა საოცრად ფრანგული ეპიზოდია!) და მთავრდება ბევრი წლის შემდეგ ამ ქალთან ისევ შეხვედრით და დიდი იმედგაცრუებით.

საერთოდ, ძალიან მიყვარს როცა რაკურსი მეორეხარისხოვან ადგილებსაა მიპყრობილი ხოლმე, როდესაც ისტორიას მეორეხარისხოვანი გმირები გიყვებიან, როცა მოქმედება უმნიშვნელო დეტალების ირგვლივ კონცენტრირდება და ა.შ. მსოფლიოში პირველი მსოფლიო ომი ბობოქრობს, ქვეყანა თავდაყირა დგება და ამ დროს მკითხველი ომის პირველივე დღეებში დაჭრილი და დასახიჩრებული ხალხის პალატებში ცხოვრებას ადევნებს თვალ-ყურს. რა დროს პალატაა, ომი გვაჩვენეთ, რა ხდება მიღმა, გვანახეთ თუ შეიძლება - აღმოხდება ცნობისმოყვარე მკითხველს, მაგრამ მარკ დიუგენი მის გემოვნებას ამ წიგნში არ დაკმაყოფილებს. ავტორი პირველ მსოფლიო ომს სახიჩრების პალატის მაგალითზე გაჩვენებს და მე თუ მკითხავთ, ეს საოცრად ეფექტური, შეიძლება ითქვას იდეალური რაკურსიც კია ომის საჩვენებლად მთელი მისი დიდებულებით. ვის რად უნდა ბატალიების სკურპულოზური აღწერისთვის გახარჯული ფურცლები, ჰოლივუდის მადლი შეგვწიოს.

ოფიცრები იზოლაციაში არიან, ზოგიერთი მათგანი იმდენად დამახინჯებულია, რომ სახის დაფარვაც კი უწევს ხალხში გამოჩენისას და არც ჩნდებიან მეტწილად - დემორალიზაციას გამოიწვევს მსგავსად დასახიჩრებული ოფიცრების ხილვა, თუმცა ნელ-ნელა მაინც ბედავენ და არ ვიცი რატომ, მაგრამ მეძავებთან წასვლის სცენამ მე პირადად კენ კიზის ცნობილი ნაწარმოებიდან საგიჟეთიდან გაპარვის სცენა მომაგონა სულისკვეთებით.

ძალიან კარგია, რომ ავტორმა მოახერხა ადამიანი დაეყენებინა ცენტრში და არა - ომი. წიგნში მეორე მსოფლიო ომსაც ვილევთ, სულ ორიოდე გვერდში. ომები აქ მეორეხარისხოვანია. პირველხარისხოვანია ადამიანები და მათი დაუოკებელი მცდელობები სიცოცხლესთან კვლავ დაბრუნების, სიცოცხლესთან შეთავსების, სიცოცხლის გაგრძელების.

როგორ არ უნდა გვეშინოდეს აუტისტი ბავშვების

გასული წლის სექტემბერში თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მომხდარმა საზარელმა ფაქტმა მთელი ქალაქის და არამარტო ქალაქის მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია, თუმცა მე თუ მკითხავთ ეს აღშფოთება მეტწილად ფარისევლური იყო და თუ რატომ, ამას აქვე განვმარტავ.

საქმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სასკოლო დაწესებულებისთვის კარების შედუღების ფაქტს ეხებოდა იმ მოტივით, რომ „ნორმალური“ ბავშვების მშობლები მათი დანახვით წუხდებოდნენ და არ უნდოდათ შვილებს ეს „სიმახინჯე“ ენახათ ყოველდღიურად. როგორი უგულობაა, არა? მე თუ მკითხავთ,

ბუნებრივია ჩვენი საზოგადოებისთვის მსგავსი რეაქცია. აი მაგალითად, არ დაკვირვებიხართ გოგონას სადმე სუფრაზე, რომელიც თავგამოდებით იცავს მანდილის სიწმინდეს? არადა ამ გოგონასთან ერთად გუშინ ან სულაც გუშინწინ უკანასკნელ გარყვნილებაში ხართ გადაკარგული. უყურებთ და გიკვირთ, რატომ აკეთებს ამას? საქმე იმაშია, რომ ეს ბუნებრივი რეაქციაა - ნაკლული საზოგადოება (ნაკლული ადამიანიც. აქვე დავაზუსტებ, რომ ამ გოგონას ქცევა ფარისევლობის მაგალითადაა მოყვანილი და არა იმის, რომ თავისუფალი სექსი აპრიორი ნაკლია) გამალებული ცდილობს უნაკლოდ წარმოჩენას. მუდამ აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ მას არ ჰყავს მახინჯი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, უუნარო და ა.შ. მუდამ აპელირებს, რომ ის იდეალურია, ის უნაკლოა და ამ აპელირების სიხშირე პირდაპირპროპორციულია მისი ნაკლისა. ჩვენს საზოგადოებაში ბევრი პრობლემა გაქვს, ბევრ რამეს საერთოდაც ახლა ვსწავლობთ და პირველად ვეჩეხებით და რა გასაკვირია, რომ „იდეალურობაზე" გვქონდეს პრეტენზია. ხომ გახსოვთ - რაც უფრო ნაკლული ხარ, მით უფრო მეტი პრეტენზია გაქვს იდეალურობაზე.

ასე იყო ეს ამბავიც. დაისმევა კითხვა: როგორ გადავჭრათ პრობლემა? კითხვას ბანალური პასუხიც გაეცემა - განათლებით. საყოველთაო განათლებით - პაციენტების, მათი მშობლების, მათი მშობლების მშობლების, მათი მეგობრების და თავად ექიმებისაც, რომლებიც არანაკლებს სცოდავენ რიგი პაციენტების სტიგმატიზების საკითხებში. განათლება უნდა იყოს ტოტალური და ხელმისაწვდომი და ამ დიდ ზღვაში ერთი პატარა წვეთია, მაგრამ მნიშვნელოვანი წვეთი, ოლგა შავერნესა და მარკ ბელასენის წიგნის „აუტისტი ბავშვი" ქართულად თარგმნა ნინო ზარდიაშვილის, მარინე ტარასაშვილისა და ირინა თავბერიძის მიერ. ეს გახლავთ სახელმძღვანელო მშობლებისათვის და მოცემულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი მარტივ და გასაგებ ენაზე თუ როგორ უნდა მოვუაროთ აუტისტ ბავშვებს, როგორ უნდა მოვეპყრათ და რაც მთავარია - როგორ არ უნდა გვეშინოდეს მათი!

დღევანდელი მედიცინის სიკეთეები დეტალებშია ჩაფლული. „განუკურნებელი დაავადება" - ეს ტერმინი იმ გაგებით, რა გაგებაც ახლა შეიძლება ტვინში მოგივიდეთ, აღარ არსებობს. მედიცინამ მოახერხა და დაშალა მარტივ ნაწილაკებად ყველა მძიმე სნეულება და ამ ნაწილებში ჩხირკედელაობა დაიწყო. ასეთ დაშლილ მდგომარეობაში კი ისეთი მონსტრები, როგორებიც არიან სხვადასხვა გენეტიკური სნეულებები, მენტალური სნეულებები თუ სულაც ავთვისებიანი სიმსივნეები, შეიძლება ისე საშინლად არ გამოიყურებოდნენ, როგორც უწინ. ეს წიგნიც შლის და აქუცმაცებს აუტიზმის პრობლემას და ადვილად შესაცნობს ხდის მას მშობლებისთვის და ზოგადად იმ ხალხისთვის, რომლებსაც ამ თემებში ბევრი არაფერი გაეგებათ და უამრავი ცრუ წინასწარგანწყობით არიან აღჭურვილები.

არამარტო ფემინისტური საკითხავი

არამარტო ფემინისტური საკითხავი

წიგნში „ჟამი სულიერების ზეობისა" შესულია სიმონ დე ბოვუარის მოთხრობები, რომლებიც თარგმნა გიორგი ძნელაძემ და გამოიცა 2014 წელს. მართალია წიგნში არაა შესული სიმონ დე ბოვუარის ფუნდამენტური ნაშრომი „მეორე სქესი", რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფემინისტურ საკითხავად ითვლება, თუმცა იმედი ვიქონიოთ რომ ამ ავტორის უკეთ გაცნობის საშუალება კიდევ მიეცემა ქართველ მკითხველს. მკითხველს, რომლისთვისაც ქალთა უფლებები უაღრესად აქტუალური გახდა უკანასკნელი წლის მანძილზე.

ჰაერივით აუცილებელია დიდი ფემინისტი მოაზროვნეების ნაშრომების მიტანა მკითხველამდე, შესაბამისი დისკუსიების ინიცირება, პროცესის გამოცოცხლება და ა.შ. თუ არ გვინდა, რომ ეს მართლაც მწვავე პრობლემები არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციონირების საშუალებად დარჩეს მხოლოდ. ბევრი პრობლემა მოდის გაუნათლებლობისგან. განათლების დონის ამაღლების კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ თუნდაც ფემინისტი მოაზროვნეების ნაღვაწის გადმოქართულება, რაც აუცილებლად გამოიღებს შედეგს დროთა განმავლობაში. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სიმონ დე ბოვუარის თუნდაც ამ წიგნს ძალუძს მკვლელს იარაღი დააგდებინოს, მაგრამ ზოგადად წიგნებს ბევრი რამე შეუძლიათ - მათ შორის ისიც, რომ იარაღის აღების მოტივაცია დაუკარგონ ადამიანს და ღირებულებები გადაუფასონ. ღირებულებების გადაფასებისთვის კი ქართველი მკითხველისთვის ვინ ვინ და სიმონ დე ბოვუარი მისწრება იქნება.

ერთოთახიანი პიესა

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში! ჟან პოლ სარტრის პიესაში „ცხრაკლიტული" აღწერილია ოთახი, სადაც გამოკეტილია სამი ადამიანი, რომელიც ეძებს ტყვეობის მიზეზებს და საუბრობს თავის ცოდვებზე - ეს ძალიან მარტივად და პრიმიტიულად რომ ვთქვათ, სინამდვილეში კი არც ისე მარტივი და პრიმიტიულია სამი ადამიანის ურთიერთო-

ბა ჩაკეტილ სივრცეში, სადაც ძალიან კარგად ჩანს რომ ჯოჯოხეთია ადამიანი ადამიანისთვის და არა რაიმე ობიექტური ადგილი ჩანგლებითა და მისტიური პერსონაჟებით.

სივრცეები, რომლებიც თითქოს მარტივი დასაძლევია, მაგრამ სინამდვილეში ასეთი სულაც არ გახლავთ - ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი თემაა და თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე კი მიზიდავს ყოველთვის იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდებოდა ერთ-ერთ უწყინარ დღეს რომელიმე გვირაბში გავლისას მისი თავი და ბოლო რომ ჩახერგილიყო ან მატარებლის ვაგონში გამოვკეტილიყავით ან თვითმფრინავს დაჯდომა არ შეძლებოდა და სულ ეფრინა. ნამდვილი ადამიანური ურთიერთობები მთელი თავისი სიბინძურით, შემაშფოთებელი სიმდაბლითა და სინამდვილით სწორედ მსგავს სივრცეებში იწრთობა. თუ ჯოჯოხეთი არსებობს სადმე, ის ალბათ რაიმე პატარა, ჩაკეტილი სივრცე იქნება შიგ უამრავი ადამიანით.

ციხე? რატომაც არა, რაიმე მსგავსი.

ჩემი საყვარელი რეჟისორის, ლუი ბუნუელის ფილმი „გამანადგურებელი ანგელოზი“ მახსენდება უცბად, სადაც ადამიანთა ჯგუფს ოთახის დატოვება არ შეუძლია. როგორი მიმზიდველი და საინტერესოა ამ ექსტრემალურ პირობებში განვითარებული ადამიანური დრამები, ეროტიული მიზიდულობა-განზიდულობები, ზიზღი და სიყვარული!

ჟან პოლ სარტრის თაყვანისმცემლებს ან იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩემს მსგავსად ბევრჯერ გიფიქრიათ რა მოხდებოდა უცბად რომ ოთახის კარები ვერ გაგეღოთ და ირგვლივ მყოფ უცნობ ადამიანებთან ერთად გაგეტარებინათ მარადისობა, გელით გიორგი ეკიზაშვილის შესანიშნავი თარგმანი სახელად „ცხრაკლიტული“.

პატარა ტექსტი დიდია

როლან ბარტის S/Z პირველად გამოქვეყნდა 1970 წელს და ქართულად ითარგმნა 2014 წელს ნინო გაგოშაშვილის მიერ. წიგნი გახლავთ ონორე დე ბალზაკის მოთხრობის - „სარაზინი“ სტრუქტურალისტური განხილვა. ეს არის ტექსტის მეთოდური დაქუცმაცება, სისტემატიზება და კოდებად დაშლა, რაც საკმაოდ რთული წასაკითხია. ამ ნაშრომმა დიდი გავლენა იქონია სტრუქტურალიზმზე და პოსტ-სტრუქტურალიზმზე, მარტივად რომ ვთქვათ.

სიმართლე რომ ვთქვათ - ურთულესი ნაშრომია. თუმცა უსამართლოები ვიქნებით თუ ამ ნაშრომს მხოლოდ ფილოლოგებისა და თითო-ოროლა ლიტერატორის იმედად დავტოვებთ, რადგან მგონია რომ წიგნი იმ ადამიანებსაც დაინტერესებთ,

ვისაც პროფესიული ზრახვები არ ამოძრავებს მის მიმართ. გარკვეული ტესტიც კი მაქვს მოფიქრებული თუ ვინ შეიძლება დაინტერესდეს ამ წიგნით, ამ დიდი ლიტერატურული დენოტაციით. ტესტი მხოლოდ ერთ კითხვას მოიცავს: ტელონიუს მონკის კლავიში გიყვართ? თუ - კი, მაშინ არის შანსი ამ ტექსტით დაინტერესდეთ, რადგან ეს არის ლიტერატურის მეთოდური დაშლა-აწყობა დიდი ტვინის მიერ, ისევე როგორც მუსიკა იშლებოდა და იწყობოდა თავიდან მონკის დიადი ტვინის მიერ. თუ მონკი არ გიყვართ ან არ გაგიგიათ და ახლა ჩართეთ და არ მოგეწონათ, მაშინ ამ წიგნსაც ნუ მიეძალებით, თქვენი ტვინი საამისოდ მომართული არ ყოფილა და ეს სულაც არ გახლავთ ტრაგედია, საინტერესო საკითხავს და საინტერესო მოსასმენს რა დალევს ამ ქვეყანაზე.

მინდა, რომ ტექსტი ბევრმა წაიკითხოს. წაიკითხოს და შუაში მიატოვოს თუნდაც, პირველი გვერდებიც კი ვერ დასძლიოს, ბოლომდე ჩავიდეს და თავიდან დაუბრუნდეს და ა.შ. მინდა, რომ მსგავს ტექსტებთან ბევრ ქართველ მკითხველს ჰქონდეს შეხება. რატომ? იმიტომ, რომ იგრძნონ პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება ლიტერატურული ტექსტის განხილვას შეიძლება ახლდეს თან. მიხვდნენ, რომ თავად უდგებიან ამ საქმეს არასერიოზულად, თორემ სინამდვილეში ტექსტში შეიძლება ძალიან დიდი უფსკრული იმალებოდეს, რომელსაც ჩიჩქვნა და გათხრა სჭირდება საფუძვლიანი. მინდა რომ ნებისმიერი ტექსტის კითხვისას ეს დაუშვან გონებაში და მერე ვინძლო ხელაღებით და ზედაპირულად, მზა-მზარეული შაბლონებით აღჭურვილებმა არ დააბრეხვონ ათასი უმეცრება ამა თუ იმ ტექსტის შესახებ და თუ მაინც მოიქცევიან ასე, გაახსენდეთ მაინც როლან ბარტის ნაშრომი, რომელიც იდეაში ერთ პატარა ნოველას მიეძღვნა და ოდნავ მაინც მოერიდოთ.

პროფესია - პოლიტიკა

თუკი ვინმეს სადმე ხელი მოეცარა, არ გაუმართლა, ვერ შედგა, ვერ ისწავლა, გამოგდებულ იქნა და ა.შ. - ყველა პოლიტიკაში მიდის. მით უმეტეს, ღმერთმა არ ქნას და თუ ასეთი ადამიანი მორწმუნეცაა და სიმპატიურიც. პოლიტიკა ათასი რჯულის შარლატანის უკანასკნელ თავშესაფრადაა ქცეული საქართველოში და დამეთანხმებით ალბათ - ამ გაქანებით ევროპამდე დიდი მანძილი გვიდევს კიდევ.

ისედაც უამრავი სტერეოტიპი არსებობს პოლიტიკოსებზე და მე თუ მკითხავთ ამ სფეროში წამსვლელ ადამიანს აქედან გამომდინარე ორჯერ მეტი ძალისხმევა და პასუხისმგებლობის განცდა მოეთხოვება, რათა ეს სტერეოტიპებიც

დაძლიოს და ხალხის სიყვარულიც მოიპოვოს. სამწუხაროდ,ამისკენ მისწრაფებას ქართველი პოლიტიკოსები არ იჩენენ და აგერ უკვე წლებია ვხედავთ ერთსა და იმავე ბრტყელ შუბლებს, უიდეო თვალებსა და ჩამქრალ სახეებს.

იმისთვის, რომ იდეა გაგიჩნდეს, რაღაც ბაზისი უნდა გქონდეს, განათლება უნდა გქონდეს და უნდა იცოდე და გიყვარდეს ის საქმე, რასაც ემსახურები. სწორედ ამისთვისაა განკუთვნილი საერთაშორისო პოლიტიკის სახელმძღვანელო (მეხუთე გამოცემა) პიერ დე სენარკლენისა და იოან არიფენის ავტორობით, რომელიც თარგმნა ნანა ცქიტიშვილმა. წიგნში საკმაოდ გასაგებად და ფართოდ გახლავთ მიმოხილული საერთაშორისო პოლიტიკის ასპექტები და საინტერესო საკითხავია არამხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, არამედ პოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისთვის.

იმედი დავიტოვოთ, რომ მომავლის პოლიტიკოსები უნივერსიტეტის კამპუსებში სხედან ახლა, უამრავ მსგავს წიგნს კითხულობენ, თანამედროვე ტენდენციებს ეცნობიან, საკუთარ საქმეს საფუძვლიანად სწავლობენ და არ თვლიან, რომ პოლიტიკა წარუმატებელი და გაუნათლებელი ხალხის საქმეა.

საგაზეთო ჯიხურიდან დიდ ლიტერატურაში

ბოლო ათწლეულის ყველაზე გასაოჩარი აღმოჩენაო, ასე შეაფასეს ჟან რუოს გამოჩენა ლიტერატურულ ასპარეზზე კრიტიკოსებმა და გონკურის პრესტიჟული პრემიაც მისცეს. რთულია არ დაეთანხმო მათ, რადგან საფრანგეთისნაირ უცნაურ ქვეყანაშიც კი ბევრ გაზეთის დისტრიბუტორს ვერ იპოვნი ალბათ,რომელიც დიდ ნაწარმოებებს ჰქმნის.

„ღირსების ველები“ ჟან რუოს პირველი სერიოზული ნამუშევარია, რითიც მკითხველის და კრიტიკის ყურადღება მიიქცია. ნაწარმოებში მოქმედება ვითარდება მეოცე საუკუნეში და ჰყავს სამი ძირითადი პერსონაჟი - ერთი ოჯახის წევრები. ნაწარმოები ავტობიოგრაფიული შტრიხებითაა გაჯერებული და ორიგინალური თხრობის სტილის წყალობით, საკმაოდ საინტერესოდაც იკითხება. სადაც დიდი ანუ პირველი მსოფლიო ომია სიუჟეტში, იქ არის ყველაფერი -

სიკვდილი, სიცოცხლე, სიყვარული,
ტრაგედია, სევდა, მოგონებები.

თქვენი არ ვიცი და მე პირადად ამ წიგნის და ავტორის ბიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ მეტი ყურადღებით ვაკვირდები ჩემი საგაზეთო ჯიხურის გამყიდველებს.

სამედიცინო დიქტატურა

ზოგჯერ მედიცინა არ არის მხოლოდ მედიცინა და ექიმი არ არის მხოლოდ ექიმი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ. ამ ფაქტს გვაჩვენებს ჟიულ რომენის შესანიშნავი პიესა სახელად „კნოკი ანუ მედიცინის ზეობა“, რომელიც თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა. ნაწარმოებში აღწერილია ერთი შარლატანი ექიმის, რომელიც არც იყო პროფესიით ექიმი, აღზევების ისტორია. მისი წარმატების მთავარი საიდუმლო კი ადამიანურ ბუნებაში უნდა ვეძიოთ - უპასუხისმგებლობით განპირობებული მკაცრი მამის მოთხოვნილება!

უპასუხისმგებლო ადამიანები ითხოვენ აკრძალვებს, სიმკაცრეს, დასჯას. მათ სურთ, რომ მათი წილი პასუხისმგებლობა სხვამ ზიდოს და სწორედ ამ მომენტს იყენებს კნოკი, რომელიც მთელს დასახლებას ლოგინზე ავჯავშვავს. ცხადია, მას მედიცინასთან არაფერი საერთო არ აქვს, უბრალოდ შესანიშნავად ფლობს ადამიანური ბუნებით მანიპულირების საშუალებებს,პიარტექნოლოგიებს და ბრწყინვალედ ახერხებს მოსახლეობის დამორჩილებას, რომლებიც წინა ექიმს დაუმორჩილებლებად და ცუდ პაციენტებად მიაჩნდა. როგორც აღმოჩნდა, მთავარია მიდგომა და მეთოდი.

პირად პრაქტიკაშიც დავკვირვებივარ, რომ მთელი რიგი პაციენტები ითხოვენ აკრძალვებს და შემდეგ ერთგვარი მაზოხისტური სიამოვნებითაც აღნიშნავენ, რომ ალკოჰოლი იქნება თუ თამბაქო თუ ცხიმიანი საკვები ექიმმა აუკრძალა.

ისინი ამაყები არიან მორჩილებით. მათ უხარიათ, რომ სანდომიანი ბატონის ხელში ჩავარდნენ, რომლებიც ობიექტურად ცუდ რაღაცეებს უკრძალავს და მათზე ზრუნავს.

როგორც ჩანს, ადამიანი არ იცვლება.

კნოკმა შეძლო კატა დაეჭირა ბნელ ოთახში და პაციენტები აღმოეჩინა იქაც, სადაც ისინი რეალურად არც იყვნენ. მანდ შეძლო ერთი დასახლების მაგალითზე შეექმნა ნამდვილი დიქტატორული მოდელი, იდეალური მოდელი მმართველობისა, რომელიც აგებულია ერთი ადამიანის უსიტყვო მორჩილებაზე, აკრძალვასა და დასჯაზე! ამ კუთხით თუ შევხედავთ და ცხადია, ამ კუთხით უფრო საინტერესოა ეს პიესა, ნაწარმოები მხოლოდ სამედიცინო საკითხავი არ გამოვა, თუმცა მე მაინც ვურჩევდი ამ ნაწარმოების წაკითხვას პირველ რიგში იმ ქართველ პაციენტებს, რომლებიც ექიმიდან ექიმამდე დადიან მკაცრი მამა-ბატონის საძიებლად.

სწორედ ეს წარმოშობს ტირანებს, იქნებიან ისინი სოფლის ექიმები თუ დიდი დიქტატორები.

წიგნი სპეციფიკური მკითხველისათვის

თუ თქვენ იმ მცირერიცხოვან მკითხველთა რიცხვს მიეკუთვნებით, რომლებიც გატაცებით და დიდი სიამოვნებით კითხულობდნენ ჯოისსა და პრუსტს და სხვა უზარმაზარ ლიტერატურულ „რუბიკის კუბიკებს“, მაშინ შემიძლია თამამად გაზაროთ რომ თქვენთვის მისწრება იქნება ილია გასვიანისა და ანზორ აბჟანდაძის მიერ ნათარგმნი „ფლანდრიის გზა“ - კლოდ სიმონის, ფრანგი კლასიკოსის ერთ-ერთი ცენტრალური ტექსტი, რომელიც საკმაოდ რთულად მისადევნებელ-აღსაქმელ-გასაგებია, რადგან ავტორს თხრობის უნიკალური არა, მაგრამ ძალიან რთული სტილი კი აქვს არჩეული და ერთი წინადადებას რომ იწყებს, იმდენ ხანს აგრძელებს რომ ბოლოს უკვე არათუ წინადადების პირველი სიტყვა გახსოვთ, შეიძლება აზრიც კი გაგეპაროთ საერთოდ და სწორედ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ამ სტილის ავტორები იმსახურებენ და მოითხოვენ სკურპულოზურ, ფრთხილ და დინჯ მკითხველებს, რომლებიც არაფერს გამოტოვებენ, არც ერთ ნაბიჯს უყურადღებოდ არ დატოვებენ და რუდუნებით და მორიდებით გაყვებიან ტექსტს ბოლომდე და თუ ამას მოახერხებენ, ნამდვილად ნასიამოვნები დარჩებიან, რადგან ჯერ ზოგადად დამთავრებული ტექსტის მოწონებაა ერთი სიამოვნება და მერე მით უმეტეს ისეთი ტექსტისა, როგორიც „ფლანდრიის გზაა“, რომელიც მოგვითხრობს ყოფილი კავალერისტის - ჟორჟის რემინესცენციების შესახებ და თხრობა არის ფრაგმენტული და სად გამონაგონია და სად რეალობა და სად რა დეტალია გაბნეული, მხოლოდ დაკვირვებულმა მკითხველმა და ავტორმა თუ იცის, რადგან ეს ტექსტი არ არის მარგალიტი, რომელიც ღორებს უნდა დაუყარო საჯიჯგნად, მსგავსი ტექსტები რჩეული მკითხველებისთვისაა, რომელთა რიცხვიც დიდი ნამდვილად არ არის, მაგრამ რამდენიც არიან, ნამდვილები და ერთგულები არიან და ასეთი კირკიტა მკითხველ-ავტორები აცოცხლებენ და მოდუნების საშუალებას არ აძლევენ სხვა ავტორებსა თუ მკითხველებს, რომლებიც ახლა ამ ჩანაწერის კითხვისას უკვე ნერვებზეც კი იშლებიან, რადგან ავტორი არ ამთავრებს არც აბზაცსა და არც წინადადებას და თუ ეს მართლა ასეა და თუ ამ ელემენტარულ ბოდვასაც კი ვერ უძლებს მკითხველი, მაშინ მინდა მას დაბეჯითებით ვუთხრა კლოდ სიმონის აღნიშნულ ნაწარმოებს ნუ წაიკითხავს, რადგან სამი გვერდიც შეიძლება ვერ გაძლოს, მაგრამ თუ ეს ჩანაწერი რატომღაც აინტერესებს და მოსწონს ახლა მკითხველს, მაშინ უფ-

რო დიდი შანსია გენიოსის შედევრი, რომელიც სულ ასეა დაწერილი და უფრო საინტერესო ამბების თხრობას ეხება თან, უფრო მოეწონოს და ამიტომ ასეთ მკითხველს ვურჩევ რომ სასწრაფოდ მოიძიოს წიგნი და შეუდგეს სიამოვნებას, რომელიც იქნება ხანგრძლივი და სუნთქვის შემანელებელი.

უძრავი მოგზაურის ჩანაწერები

რა დასამალია და ეს წიგნი ყველაზე ბოლოსთვის მქონდა მოტოვებული, რადგან გაფორმებამ საშინლად არ მიმიზიდა და არც მწერალს ვიცნობდი თან. თუმცა მკითხველმა ჩემი გამოცდილება არ უნდა გაიზიაროს და დაუფიქრებლად ეძგეროს ჟან ჟიონოს წიგნს „ჰუსარი სახურავზე“, რომელიც თარგმნა თამარ კაპანაძემ და რომელიც ფრანგი კრიტიკოსების მიერ მეოცე საუკუნის 50 საუკეთესო ფრანგული რომანის სიაშია შეტანილი.

წიგნში მოთხრობილია იტალიელი პოლკოვნიკის ამბავი, რომელიც სხვა ავსტრიულ სპეც-სამსახურებს ემალება საფრანგეთში. თითქოს არაფერი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საფრანგეთში ამ დროს ნამდვილი სიკვდილის მყრალი სუნი დგას, ვგულისხმობ ქოლერის ეპიდემიას, მაშინ მოცემულობები რადიკალურად იცვლება.

საინტერესო სიუჟეტთან, საკუთარი თავის საძიებლად მოხეტიალე გმირებთან ერთად აღსანიშნავია ავტორის წერის სტილიც, რომელიც დედანში უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე თარგმანში, მაგრამ მაინც - ჟიონოს ფრანგული ერთ-ერთი გამორჩეული ფრანგულია მეოცე საუკუნეში და ვისაც შეგიძლიათ, ქართულ კარგ თარგმანთან ერთად აუცილებლად წაიკითხეთ ნაწარმოები ორიგინალშიც სიამოვნების გაორმაგების მიზნით.

მე ყოველთვის მჯეროდა და ვამტკიცებდი, რომ ყველზე საინტერესო ამბები ჩვენს ტვინში ხდება და არა ჩვენს გარშემო - რეალობაში. ჟან ჟიონო ამის ბრწყინვალე დასტურია - ის მთელი ცხოვრება პატარა ფრანგულ ქალაქ მანოსკს არ გასცდენია, სამაგიეროდ გონება უქროდა შორს იმ კაცივით, ფოტოატელიეში რომ იყო გამოკეტილი მთელი ცხოვრება და ლიტერატურა ძლიერ უყვარდა. სწორედ ჟიონოსნაირი უძრავი მოგზაურები ქმნიან ხშირ შემთხვევებში მსაფრ ლიტერატურულ თავგადასავლებს.

უკანასკნელი ერექციის შიში

არ ვიცით ზუსტად რა სურთ ქალებს, მაგრამ ის კი ვიცით რისი გვეშინია კაცებს

- ერექციის მოდუნება, აი რა არის ნამდვილი ტრაგედია.

რომენ გარის წიგნი „ამის იქით თქვენი ბილეთი აღარ გამოდგება“, რომელიც თარგმნა ლია დარაშვილმა, აღწერს 22 წლის ბრაზილიელი გოგონას და ხანში შესული ბიზნესმენი მამაკაცის ურთიერთობას და ალბათ ადვილად მიხვდებით, რომ ამ ურთიერთობის ქვაკუთხედი და ამოსავალი წერტილი არ იქნება ვახშმად ბოზბაშისა თუ ჩიხირთმის (მათი ფრანგული ანალოგების) მირთმევის დილემა.

ამ ურთიერთობის ქვაკუთხედი არის სექსი - ერთის მხრივ მწველი, ტემპერამენტული არსება, რომელსაც წინ უამრავი მანძილი აქვს ეროსის გზაზე გასავლელი და მეორეს მხრივ მოხუცებული მდიდარი კაცის უკანასკნელი ერექცია.

ნაცნობი, ნაფიქრი და საშიში თემაა, განსაკუთრებით მამაკაცებისთვის, რომლებიც მიდრეკილები ვართ სამყაროს ფალოცენტრული ჭვრეტისკენ, რაც ნიშნავს იმას, რომ დედამიწა ჩვენი პენისის ირგვლივ ტრიალებს ან უნდა ტრიალებდეს, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობას ასე გვეჩვენება და აქედან მომდინარეობს ნევროზები, შიშები, დაუკმაყოფილებლობები, სუბლიმაციები და ა.შ.

ახლა წარმოიდგინეთ რამხელა იქნება ასაკში შესული ფალოცენტრიკის ცხოვრება, რომელიც აცნობიერებს, რომ ყოველი მისი ერექცია შეიძლება ბოლო აღმოჩნდეს? საშინელებაა, სამყაროს აღსასრულია!

60-ს მიღწეული კაცისა და ქორფა გოგონას სექსი რაღაცით უკვდავებასთან ზიარების მცდელობასაც წაგავს, რომელიც ცხადია საბოლოოდ კრახით დასრულდება ყველგან და ყოველთვის, რადგან უკვდავებას სექსით ვერ მივაღწევთ - უფრო მის გარეშე, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა.

უკანასკნელი ერექციის შიში და ამ შიშით განპირობებული საინტერესო ფსიქოლოგიური წიაღსვლები შეგიძლიათ აღნიშნულ წიგნში ამოიკითხოთ და ვინ იცის, იქნებ დროზე ადრე გადააწყოთ ფსონები, დაალაგოთ პრიორიტეტები და სიტუაციებს მომზადებული დაუხვდეთ.

* * *

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ეს ზღვაში წვეთი იყო იმ წიგნებისა, რომლებიც ფრანგულიდან ქართულ ენაზე ითარგმნება ამ ბოლო ხანებში. ფრანგული ლიტერატურა ამხელა დოზებით შესანიშნავი ვარიანტია დამწყებ წიგნის მოყვარულთა გასაფილტრად - თუ ფრანგულ ლიტერატურაში ერთი ავტორიც ვერ აღმოაჩინე შენი გემოვნებისა, ე.ი. ზოგადად ლიტერატურაზე დრო არ უნდა დაკარგო.

ჯაბა ზარძუა

ამერიკაში:

ნიუ-იორკში:
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700
Alt: 347-500-5037

ნიუ-ჯერსში:
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305
Tel: 201-333-5555

დელავარეში:
4 Lewis circle
Wilmington, DE 19804
302-930-0705

ფილიალები:
თბილისი
ქუთაისი
რუსთავი
ბათუმი
ფოთი
ბოლნისი
თელავი
მარნეული

Barami
LOGISTICS

Tel: 201-333-5555
www.barami.us

ამანათები

4-5 სამუშაო დღეში
აშშ-დან საქართველოში
ერთი პაუნტი - 2.50$-დან;

ამანათების გამოგზავნა **საქართველოდან**

ავტომობილების

ყიდვა-გაყიდვა
საქართველოსა და ამერიკაში;

ავტომობილის, კომერციული
და პირადი ტვირთის
შიდა გადაზიდვები
აშშ-ში.

ჩვენს საიტზე **www.barami.us**
დარეგისტრირებით თქვენ გაგიადვილდებათ:
- კრედიტ-კარტით გადახდა;
- ამანათის სტატუსის შემოწმება;
- ამანათის ადგილიდან აღების შეკვეთა

www.barami.us
www.baramicar.com
www.facebook.com/Barami.us

ნოემბრის
ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲐᲡ
ᲩᲕᲔᲜ
ᲓᲦᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ
ᲙᲛᲝᲒᲠᲘᲡᲬᲘᲡ
ᲕᲐᲠᲗ!

ჟურნალის ამ ნომრის დაბეჭდვის წინ, ნიუ-იორკში, ქვინსის უძველესმა რესპუბლიკურმა კლუბმა ჩვენი თანამემამულე, ქართულ დიასპორაში ყველასათვის ცნობილი მოღვაწე, ასოციაცია „თვისტომის“ ხელმძღვანელი, ბატონი **ნიკოლოზ ჩხეიძე** „წლის საუკეთესო ბიზნესმენის“ წოდებითა და ჯილდოთი დაჯილდოვა.

ჩვენი რედაქცია უერთდება ამ დიდ აღიარებას ჩვენი თანამემამულისადმი და გთავაზობთ საკმაოდ საინტერესო, და ამიტომაც საკმაოდ ვრცელ, ინტერვიუს მასთან. ვეცადეთ, შევხებოდეთ ყველა იმ თემას, რაც ასერიგად აწუხებს დღეს ჩვენს ემიგრაციას.

- საუბრის დასაწყისშივე, საინტერესოა, ემიგრაციაში ცხოვრების მერამდენე წელს ითვლით?

- ჩამაფიქრეთ პირველივე შეკითხვაზე. უნდა გამოვთვალო, 2000 წლიდან აქ ვარ, გამოდის უსამშობლოობის მეთექვსმეტე წელი მიდის...

- რამდენად პოპულარულია დღეს ამერიკაში რესტორნების ქსელი „TONE CAFÉ“ და რამდენად კმაყოფილია თქვენი მომხმარებელი? ამჟამად, რამდენი რესტორანია გაერთიანებული ამ ქსელში?

- ჩვენი ქართული კაფეების ქსელი საკმაოდ პოპულარულია. პირველი კაფე 2012 წელს გაიხსნა ბრუკლინში არსებული ქართული თონის ბაზაზე, მეორე კი მანჰეტენზე, შარშან, 2015 წლის მაისში გავხსენით. პოპულარობა საკმაოდ რთულად მოსაპოვებელია ამდენ რესტორნებსა და კაფეებში, რაც ნიუ იორკშია, არჩევანია დიდი და მრავალფეროვანი, მაგრამ ჩვენი გამორჩეული მენიუთი, გემოთი და ხასიათით ჩვენმა ქსელმა უკვე თავისი ადგილი დაიმკვიდრა ნიუ-იორკის ეთნიკურ სამზარეულოებს შორის.

- რამდენად ჩემთვის ცნობილი გახდა, თქვენ ხელმძღვანელობთ ქართულ დიასპორას? რამდენი წელია უკვე ამ საქმეს ეწევით?

- მე ვხელმძღვანელობ სათვისტომო ორგანიზაციას - ასოციაცია „თვისტომს“, რომელიც 2003 წელს დაარსდა ჩემსა და ჩემი მეგობრების მიერ. მისი მთავარი მიზანი არის გაბნეული და არაორგანიზებული ქართული დიასპორა ერთიან, ძლიერ და კარგად ორგანიზებულ სათვისტომოდ ჩამოაყალიბოს. სათვისტომოდ, რომელიც დაეხმარება ჩვენს თანამემამულეებს აშშ-ში ემიგრაცია ანუ ადგილობრივ სოციუმთან ადაპტაცია (და არა ასიმილაცია), თავისთავად საკმაოდ რთული და მტკივნეული პროცესი, შედარებით ადვილად გადაიტანონ და მოერგონ არსებულ რეალობას. ამავდროულად, სათვისტომოს გაძლიერებით, საქართველოსათვის შეიქმნას გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლობი, რომელიც ქართულ სახელმწიფოს აშშ-ში სტაბილურ საყრდენს შეუქმნის და, თავისთავად, საქართველოს სახლმწიფოებრივი აღმშენებლობის სტაბილური გარანტია იქნება.

- სიდან წამოვიდა იდეა და დღევანდელი გადასახედიდან, რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით ამ საქმიანობით?

- იდეას დიდი ხნის ძებნა არ დასჭირვებია - სათვისტომო ორგანიზაციის შექმნა აშშ-ში ჩვენი დიასპორის არსებული მდგომარეობიდან და ასევე, წლების განმავლობაში საქართველოს მძიმე საშინაო თუ საგარეო სტატუსიდან გამომდინარე გახდა აუცილებელი.

ჩვენ ნათლად გვესმის, რომ მყარად მდგარი და ფინანსურად ძლიერი ქართული სათვისტომო აშშ-ში თითოეული ემიგრანტის ნაყოფიერი და დაცული ცხოვრებისა და მუშაობის საფუძველი შეიძლება იყოს. ეს კი დღეს საქართველოში ასობით ათასი ოჯახის კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ემიგრაციას ყოველწლიურად 2 მილიარდამდე აშშ დოლარი შემოაქვს საქართველოში, დავინახავთ, რომ ეკონომიკურად ძლიერი და სტაბილური ქართული სათვისტომო არამხოლოდ საზღვარგარეთ არსებულ დიასპორებს სჭირდებათ, არამედ ჯერ კიდევ მშენებარე ქართულ სახელმწიფოსაც, რომლის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა, სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება სწორედ აშშ-სა და მის მოკავშირე ქვეყნების მხარდაჭერასა და თანადგომაზეა დიდად დამოკიდებული.

- რა სირთულეებთან არის დაკავშირებული - იყო დიასპორის ხელმძღვანელი?

- დიასპორის ხელმძღვანელი ხმამაღალი სიტყვაა – „დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელი“ უფრო სწორი ფორმულირება იქნება.

სირთულე ბევრია. უპირველესად ყოველისა, საკმაოდ რთულია ქართველ ემიგრანტებში საკუთარი სახელმწიფოს მიმართ ნდობის დაბრუნება, ასე ვთქვათ, „ჩატეხილი ხიდის გამთლიანება“, ვინაიდან, მრავალი წლის განმავლობაში ემიგრანტები არ გრძნობდნენ ყურადღებას და მზრუნველობას სამშობლოს მხრიდან - როგორც საზოგადოების, ასევე, განსაკუთრებით, მთავრობის მხრიდან. ჯერ კიდევ დაწყებული შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან იყო მრავალი სირთულე, რომლის აღმოფხვრაზეც არაერთხელ მიგვიმართია და გაგვიმახვილებია ყურადღება, მაგრამ დარჩენილა ხმად მღაღადებლისა შინა. პირიქით, გარკვეულ შემთხვევებში, აქაური ცხოვრების გაადვილების ნაცვლად, საქართველოს კანონმდებლობას და შესაბამის ორგანოებს ჩვენი აქაური ყოფა უფრო გაურთულებია.

ამის თვალნათელი მაგალითია 2012 წლის ზაფხული, როცა ისედაც წლებით იმედგაცრუებულ და ნიჰილიზმში ჩავარდნილ ქართველ ემიგრანტებს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეუზღუდეს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

მიუხედავად ჩვენი აქტიური პროტესტისა, ეს შეზღუდვა ძალაში დარჩა, რის გამოც ათასობით საქართველოს მოქალაქემ ვერ გამოიყენა საკუთარ ქვეყნის არჩევნებში მონაწილეობის უფლება და არჩევნებზე არ დაიშვა. ეს და ამგვარი ქმედებები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რა თქმა უნდა, აძლიერებდა ემიგრანტებში ნი-

ჰილიზმს და ჩაურთველობას საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესების მიმართ, რაც კიდევ უფრო აშორებდა ემიგრაციას სამშობლოსთან.

წლების განმავლობაში ემიგრანტების პრობლემებით დაუინტერესებულობა (პასპორტების გაგრძელება და გაცემა, მინდობილობების გაცემის გამარტივება, ემიგრანტთა საქართველოში სამუდამოდ დაბრუნების შემთხვევაში მათი ქონების ორმაგი დაბეგვრა და ბევრი სხვა) გახლდათ სწორედ ქართული ემიგრაციის საქართველოსთან იზოლაციისა და „დაკარგული ქართველის სინდრომის“ მთავარი მიზეზი. თავად ნიუ-იორკში გენერალური საკონსულოს გახსნის პროცესმა მრავალი წელი დაიკავა, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისიდან აქტიურად „ვიბრძოდით“. ასევე „დროებითი თავშესაფრის სტატუსის“ ე.წ. TPS მინიჭების საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში საქართველოს მაშინდელ გენ-კონსულთან, ბატონ ზურაბ თინიკაშვილთან ერთად წამოვიწყეთ და საქართველოს იმდროინდელ მთავრობის წინაშე დავაყენეთ, აგერ უკვე 10 წელზე მეტია ისევ ღიად რჩება. იმის ფონზე, რომ ამ სტატუსით აშშ-ში ასიათასობთ სხვა ქვეყნების ემიგრანტებმა ისარგებლეს და დღემდე სარგებლობენ. აქამდე ამ და ამგვარი საკითხების ინიცირებას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პასუხად პოლიტიკური ნება სჭირდებოდა. თუნდაც იმის გათვალისწინება, თუ რაოდენ ძნელი და რთულია საზღვარგარეთ საემიგრაციო სტატუსის გარეშე არსებობა, უნდა ყოფილიყო ამ პროცესის დაწყების საფუძველი. თუმცა, სამწუხაროდ იმ წლებში და იმ მთავრობაში ეს არავის აწუხებდა.

ჩვენდა დასანანად, ეს პროექტი ბევრს სხვა პროექტებთან ერთად გაჩერდა და დავიწყებას მიეცა. ჩვენ გვსურს ახალ რეალობაში „დროებითი თავშესაფრის“ საკითხი ისევ წამოვწიოთ, თუმცა მისი დადებითად გადაწყვეტის ალბათობა გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს 2005-2008 წლებში იყო, თუნდაც აგვისტოს ომის პერიოდში.

დღეს ახალი რეალობაა, სხვა სიტუაციაა ქვეყანაში. ხელისუფლების ცვლას ახალი იმედები და ზოგადად იმედიანი განწყობა მოყვება ყოველთვის - ასეთი იყო 2003 წელი, ასეთი იყო 2012. არ მინდა იმედგაცრუება ქრონიკულ გრძნობად გადაგვექცეს ჩვენ, ვინც დღეს საქართველოდან შორს ვართ. მინდა იმედი ვიქონიო, რომ შეიცვლება დამოკიდებულება ქართულ ემიგრაციის მიმართ, ლოზუნგები ლოზუნგებად არ დარჩება და სუფრის სადღეგრძელოები მხოლოდ სადღეგრძელოებად.

ჩვენი სურვილია, რომ საქართველოს

ხელისუფლებამ ზოგადად ემიგრაციის თემა ერთ-ერთ პრიორიტეტად გაიხადოს და ამ მიმართულებით ნაყოფიერად იმუშაოს ემიგრაციამაც და საზოგადოების მხარდაჭერით სახელმწიფომაც. ჩვენ, როგორც ემიგრაციას, დღეს გვაქვს ამის რესურსი, რადგან ბევრი რამ ვისწავლეთ, ბევრი რამ შევიძინეთ, მათ შორის შრომის კულტურაც და გამოცდილებაც. ჩვენ დღეს სხვა ემიგრაცია ვართ, ვიდრე ვიყავით თუნდაც 10 წლის წინ. ამიტომ ვთვლი, რომ დიასპორის სამინისტრო და სახელმწიფო მინისტრი და მისი აპარატი გაფართოებული უფლებებით და რესურსებით უნდა სარგებლობდეს, ვიდრე სარგებლობს დღეს. ამ სტრუქტურას გაცილებით მეტი ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან.

დღევანდელი რესურსებით და პოტენციალით, სახელმწიფო მინისტრისა და მისი აპარატის აქტიური მცდელობის მიუხედავად, გარდატეხა მოახდინოს ქართული ემიგრაციის რეალობაში, ჩემის აზრით, სათანადო შედეგს ვერ მივიღებთ. მილიონნახევრიან, სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ ემიგრაციას სრულფასოვანი სამინისტროს სტატუსის მქონე, ბიუჯეტით და საკადრო რესურსებით შესატყვისი პარტნიორი და მხარდამჭერი სჭირდება საქართველოში. იქიდან გამომდინარე, თუ რა რაოდენობის გადმორიცხვები მოდის ემიგრაციიდან, სახელმწიფოში არ უნდა გაგვიჭირდეს ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომ ასეთი სამინისტრო ჩამოყალიბდეს.

ემიგრაციასთან წარმატებული მუშაობის საფუძველზე, დარწმუნებული ვარ არამარტო სამინისტროს ბიუჯეტი, არამედ გადმორიცხვების რაოდენობაც უკვე ძლიერი და ჩამოყალიბებული სათვისტომოებიდან ჯერობით გაიზრდება.

ჩვენ გვაქვს გარკვეული გეგმა და სხვადასხვა პროექტები, რომლითაც ვფიქრობთ, რომ ქართული ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლობის ჩამოყალიბება საზღვარგარეთ, სხვადასხვა ქვეყანაში, შორეული პერსპექტივა არ იქნება. თუმცა, კიდევ ერთხელ, ამას სჭირდება საქართველოს მხრიდან ხელისუფლების პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა. რეალობამ გვაჩვენა, რომ ამის გარეშე მხოლოდ ჩვენი ინიციატივა და დაინტერესება საკმარისი არ არის.

ჩვენ გვაქვს გაკეთებული არაერთხელ ამგვარი შეთავაზება და წინადადება, თუმცა ჯერ-ჯერობით ეს საკითხი ჩვენი ქვეყნისათვის მომწიფებული თემა კიდევ არაა და პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

სხვანაირად ვერ ვხსნი ამ მიმართულებით პასიურობას ჩვენი ქვეყნის მხრიდან. აქ მხოლოდ ხელისუფლება არ უნდა იყოს ჩართული, ზოგადად საზოგადოება უნდა იყოს მოწადინებული და განწყობილი შესაბამისად. ჩვენი აქ უფრო მეტად გაძლიერებით ის დახმარება, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში შეგვაქვს, ჯეროვნად გაიზრდება თუ ამას სწორად დაგეგმილ და გააზრებულ, თანმიმდევრულ გეგმას მივუსადაგებთ. ასეთი გეგმები, ყველა სხვა ქვეყნის დიასპორებმა, საკუთარ ქვეყნებთან კავშირში დიდი ხანია შეიმუშავეს და დღემდე ამ გეგმით ვითარდებიან. შესაბამისად, ძლიერდება მათი აქაური ლობიც.

ვთვლით, რომ უკვე დადგა დრო, რომ ძლიერი ქართული ლობი ჩამოყალიბდეს აშშ-ში, ქვეყანაში, რომელიც დღესდღეობით განსაზღვრავს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ფლობს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის არაერთ ბერკეტს; ქვეყანა, რომელიც დღეს ჩვენი მეგობარია, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხო და სტაბილური განვითარების რეალური გარანტიაა.

ჩვენ დღეს სწორედ ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ. სწორედ ამიტომ, ქართული ძლიერი ლობის აშშ-ში ჩამოყალიბება დღეს ქართული სახელმწიფოს, მისი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს. ეს საკითხი მეტად აქტუალური იყო და არის დღესაც.

იმედს ვიტოვებ, შორეულ მომავალს არ გადაბარდება.

- არის თუ არა ქართული დიასპორა ისეთი ძლიერი და გაერთიანებული, როგორც სხვა ეროვნების წარმომადგენლები - თუნდაც, ებრაელები, ეთნიკურად სომხები, ფრანგები ან სხვა ეროვნების წარმომადგენლები?

- ამაზე თავიდანვე, ერთჯეროვნად გიპასუხებთ - სამწუხაროდ, დღესდღეობით, ქართული დიასპორა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და არაორგანიზებული დიასპორაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიზეზებზე ზემოთ მოგახსენეთ და კიდევ ბევრი შემიძლია ვისაუბრო. ყველაფერს თავის ახსნა აქვს, თუმცა გაცდენილ და დაკარგულ დროს ვერ აანაზღაურებ.

- თქვენ პროფესიით ექიმი ბრძანდებით. როგორ ათავსებთ ერთმანეთთან, იყოთ ერთდროულად ექიმი, ქართული დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და რესტორნების ქსელის მეპატრონე?

- ეს ხანგრძლივი თემაა, თუმცა მოკლედ შემიძლია გითხრათ, რომ ამერიკაში ცხოვრებამ, აქ შრომის კულტურამ და მუშაობის ტემპებმა გვასწავლა ერთდროულად სხვადასხვა საქმის კეთება, რასაც აქ ე.წ. „მულტიტასკინგს“ უწოდებენ. ასე რომ, აქ ჩვენ ყველა ასეთ პროფესიონალებად ჩამოვყალიბდით.

- ქვინსის უძველესმა რესპუბლიკურმა პარტიამ წლის წარმატებულ ბიზნესმენად დაგასახელათ. ასეთივე წარმატებებს მიაღწიეთ თქვენს პროფესიაშიც?

- როგორც ექიმი, პროფესიით არ ვმუშაობ, თუმცა ჩემი ბიზნესი სამედიცინო ბიზნეს-მენეჯმენტს უკავშირდება და შესაბამისად ქართველი ემიგრანტებისათვის სამედიცინო მომსახურების სამსახურის აწყობას. ჩვენ გვაქვს შემუშავებული სპეციალური გეგმა, თუ როგორ შეიძლება მონიტორინგზე აიყვანო ქართული დიასპორა ამ კუთხით, გამოავლინო და აკონტროლო მაღალი რისკის მქონე ემიგრანტები. ჩვენ 2003 წლიდან ამ თემაზე ვმუშაობთ და გვინდა ქართული დიასპორის ე.წ. სამედიცინო რუქა შევქმნათ. დღემდე შევქმენით ათასობით ქართველი ემიგრანტის სამედიცინო მონაცემები, რომლის დამუშავებით შევძლებთ წარმოვადგინოთ ქართული დიასპორის ჯანმრთელობის მდგომარეობის მეტნაკლებად სრული სურათი.

მოგეხსენებათ, თითოეული ემიგრანტი საქართველოში რამოდენიმე ოჯახს ინახავს. შესაბამისად, ემიგრანტთა აქაური ჯანმრთელობის მდგომარეობა, სტაბილურობა და რისკების პრევენცია საქართველოში ათიათასობით ოჯახის კეთილდღეობასთან პირდაპირ კავშირშია.

- და ბოლოს, რა გახდა ამ ჯილდოს გადმოცემის მიზეზი? რა შტრიხებითა და რა ფაქტორებით ირჩევა წლის საუკეთესო ადამიანი?

- რა შტრიხებითა და ფაქტორებით ამირჩიეს, თავად გამიჭირდება ამაზე საუბარი, მაგრამ შემიძლია მცირე ინფორმაცია მოგცეთ ამასთან დაკაშირებით.

მე გახლავართ Queens Village Republican Club-ის, აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე ძველი, 1875 წელს დაარსებული რესპუბლიკური კლუბის დირექტორატის წევრი და ბიზნეს-კომიტეტის თავმჯდომარე.

ნიუ-იორკი, ისტორიულად, მეტწილად დემოკრატიული პარტიის მომხრეების უმრავლესობით გამოირჩეოდა, ესეც ემიგრანტების ხარჯზე, თუმცა სამწუხაროდ, რესპუბლიკელთა ფასეულობებზე და პოლიტიკურ მრწამსზე ემიგრანტთა უმრავლესობას დღემდე არასწორი წარმოდგენა აქვს.

დღესდღეისობით, ნიუ-იორკის რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია და მხარდამჭერები ჯეროვნად აძლიერებენ თავის გავლენას შტატში, ხოლო რესპუბლიკური პარტიის დღეს უკვე წამყვანი პოზიციები აშშ კონგრესსა და სენატში ნათელს ხდის პოლიტიკური ესტაბლიშმენტის ტენდენციებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის გამარჯვებით დასრულდება და ეს არამარტო საქართველოსა და სხვა მრავალი, განსაკუთრებით პოსტსაბჭოური ქვეყნისათვისაა გადამწყვეტი, არამედ თავად ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების, შიდა საზო-

გადოებრივ-პოლიტიკური სტაბილურობისა, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ასევე, რაც მთავარია, საერთაშორისო არენაზე მისი როგორც ლიდერი ქვეყნის პოზიციების დაბრუნების აუცილებელი პირობაა.

წლევანდელი წლიდან ვგეგმავ კიდევ უფრო აქტიურად ჩავერთო ადგილობრივ საარჩევნო პროცესებში, უფრო სწორად, მსურს მაქსიმალურად ბევრმა ქართველმა ემიგრანტმა - აშშ მოქალაქემ გაიგოს და გაითავისოს, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა და ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმა, ადგილობრივ ამერიკულ ესტაბლიშმენტთან ძლიერი და მყარი ურთიერთობების დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ემიგრაციისათვის, ასევე ჩვენი ქვეყნისათვის.

უკვე დროა, რომ გვიცნობდეს ამერიკული სოციალური და პოლიტიკური ესტაბლიშმენტი, ადგილობრივი მედია. ამის გარეშე ჩვენი, როგორც ეთნიკური უმცირესობის გაძლიერება წარმოუდგენელია. ჩვენ „ქართველ-ამერიკელებს“ გვაქვს „საარჩევნო ხმის უფლება“ ე.წ. Voting Power, ყველაზე ძლიერი ბერკეტი, რომელიც სწორად და გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ამიტომ მინდა, რომ მაქსიმალურად ბევრი თანამემამულე ჩაერთოს აქაურ არჩევნებში. ასე ვითარდება და ძლიერდება ნებისმიერი ეთნიკური სათვისტომო ამერიკაში, იქნება ეს ებრაული, სომხური, იტალიური, კორეული, ბუხარული თუ სხვა. არც ჩვენ არ უნდა ვიყოთ გამონაკლისი - ეს სწორედ ჩვენზე და ჩვენს აქტიურობაზეა დამოკიდებული.

როგორც მოგახსენეთ, მე რესპუბლიკელი გახლავართ. ზოგადად საქართველოში, ამერიკის რესპუბლიკურ პარტიაზე და ამერიკელ რესპუბლიკელებზე ცოტა სხვა წარმოდგენა აქვთ, რაც ინფორმაციის ნაკლებობის ბრალია. ჩემის აზრით, დღეს მიმდინარე შიდა და საგარეო პროცესები მსოფლიოში, სამწუხაროდ აშშ არსებული ადმინისტრაციის არასწორი, არათანმიმდევრული და არაპრინციპული პოზიციისა და გატარებული პოლიტიკის ბრალია, რაც ძალიან ცუდად აისახება თავად ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტზე და სტატუსზე მსოფლიოში.

დღეს აქ მიმდინარე პროცესები მიზანმიმართული სოციალიზაციის პროცესს წარმოადგენს, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრიობის მთავარი საყრდენი პრინციპების რღვევას იწვევს. ზედმეტად გაზრდილი და გამსხვილებული სამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს თითოეულ მოქალაქეს, გადასახადების გადამხდელს, სწორედ რომ პირდაპირ უპირისპირდება რესპუბლიკელთა ერთ-ერთ მთავარ პრინციპს - მცირე მთავრობა, მაქსიმალური

თავისუფლება ადგილობრივ მმართველობებს შტატების დონეზე; ხელისუფლების დეცენტრალიზება და ასე შემდეგ.

ეს საკმაოდ ხანგრძლივი თემაა სასაუბრო და ამაზე ალბათ ცალკე ღირს საუბარი. პირადად, შინაგანად, რესუბლიკელი ვარ და რესპუბლიკური პარტიის რეგისტრირებული მომხრე. ჩემი მეგობრები ნიუიორკის რესპუბლიკური პარტიის ცნობილი სახეები არიან და ვთვლი, რომ მათი მხარდაჭერა და გვერდში დგომა დღეს მთლიანად ქართული სათვისტომოს ინტერესებში შედის.

მიმაჩნია, რესპუბლიკური პარტიის გამარჯვება დღესდღეობით შტატებშიც და შტატებს გარეთაც - დღეს მსოფლიოში არსებული ისეთი გამოწვევების ფონზე, როგორც პუტინის რუსეთია, ისლამური სახელმწიფო და მრავალი სხვა ტერორისტული ორგანიზაციაა - ძლიერი, თანმიმდევრული, უკომპრომისო და მყარი ლიდერი ქვეყნის სტატუსის დაბრუნების საწინდარია, რაც დღევანდელ მსოფლიოს გაცილებით უფრო უსაფრთხოს და სტაბილურს გახდის.

ჩემთვის რეიგანის დროინდელი შეერთებული შტატები სწორედ ის ქვეყანაა, რომლის ნოსტალგია დღესდღეობით არამარტო ამერიკელ მოქალაქეებს, არამედ მილიონობით არაამერიკელს აქვთ, რომელიც სწორედ რეიგანის და მისი ადმინისტრაციის მიერ გატარებული პოლიტიკის წყალობით, „ბოროტების იმპერიის“, საბჭოთა კავშირის ნგრევას მოესწრო და დღეს თავისუფალი მსოფლიოს თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეა.

- გაანდობთ მკითხველს „საიდუმლო რეცეპტს“, რამაც თქვენ ამერიკაში წარმატება მოგიტანათ? ერთ სუუეტში გიხილეთ, თქვენ ქართულ ხაჭაპურზე დიდი სიყვარულით საუბრობდით. რამდენად გაუწია კონკურენცია „აჭარულმა ხაჭაპურმა“ იტალიურ „პიცას“? როგორ მიიღეს?

- ქართული სამზარეულო, ისევე როგორც ქართული ცეცხლოვანი ცეკვა და ჩვენი უნიკალური პოლიფონიური ფოლკლორი, ქართული სიმღერა, ჩვენი კულტურის ნაწილია და დღესდღეობით ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და წარმატებულ სავიზიტო ბარათად წარმოგვიდგება. დღესდღეობით. ქართული რესტორნები წარმატებით მუშაობენ ბრუკლინშიც, ქვინსში და მანჰეტენზეც. ასევე, კიდევ ახალი ქართული რესტორანი გაიხსნა ნიუ-ჯერსშიც.

ეს საკმაოდ რთული ბიზნესია, თუ გავითვალისწინებთ რა დიდი კონკურენციაა დღეს სამომხმარებლო ბაზარზე, განსაკუთრებით ნიუ-იორკში, სადაც მსოფლიოს ყველა ეთნოსის სამზარეულოა წარმოდგენილი.

ჩვენ, ქართველები, ამ ბიზნესშიც პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, თუმცა ამერიკელებისაგან ჩვენი სამზარეულოს მიმართ დიდი ინტერესის გამოხატვის ფონზე, იმედს ვიტოვებ რომ, ახლო მომავალში, ქართული ხაჭაპური აშშ-ში ყველაზე პოპულარული პროდუქტის - იტალიური პიცის თანასწორი ალტერნატივა გახდება.

ამერიკელები საკმაოდ მომთხოვნები არიან კვების საკითხში და ამასთანავე საკმაოდ მოწადინებული, ახალი და უცხო გემოს, ზოგადად ახლის ძებნის საკითხშიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი კაფეების ქსელი დროულად შეიქმნა და ამ ახლის ძიების ფონზე ქართული სამზარეულო თავისი გამორჩეული გემოთი აუცილებლად დაიკავებს განსაკუთრებულ ადგილს ადგილობრივ ბაზარზე.

- რა გენატრებათ ყველაზე ძლიერ საქართველოში?

- ქართველი, რომელიც დროებით თუ სამუდამო ემიგრაციაშია, სწორედ მონატ-

„ქართული დიასპორა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და არა-ორგანიზებული დიასპორაა ამერიკის შეერთებულ შტატებში.“

რებით ცხოვრობს და უძლებს განშორებას. ჩვენი ქართულ-ამერიკული დიასპორის სისუსტის და არამყარად ფეხისმოკიდების ერთ-ერთი ახსნა ამაშიცაა - ემიგრანტთა უმრავლესობა აშშ-ში დროებით იმყოფება ანუ არ განიხილავს თავს ამერიკის საზოგადოების ნაწილად და არც ცდილობს ადაპტირებას. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკამ და ადგილობრივმა საზოგადოებამ მაქსიმალურად გაგვიღო ყველა ქართველს კარი და მშობელივით ჩაგვიხუტა ჩვენთვის ყველაზე რთულ და მძიმე წლებში, ქართველის გული მაინც სამშობლოშია და მას ეკუთვნის.

ეს შეიძლება ხმამაღალ ნათქვამად ჟღერს და დევიზს უფრო გავს, მაგრამ სიმართლეა. ჩვენი უმრავლესობა მაინც საქართველოსკენ იყურება, სადაც საკუთარი ოჯახები ეგულვით და შესაბამისად, ეს ნოსტალგია ძალზედ ძლიერია. მე ჩემი მშობლები მენატრებიან, ჩემი დიდი ოჯახი, ნათესავები და მეგობრები.

ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში, მიხარია რომ ჩემს ქვეყანაში აღარ არის ტოტალური შიში, აღარ არის ჩემი ქვეყნისთვის უცხო, თავისი ხარისხით და მასშტაბებით უპრეცენდენტო ძალადობის ატმოსფერო, მაიმედებს რომ ძალიან ბევრი რამ კეთდება.

ბევრი რამ შეიცვალა, რაც წამოვედი. მათ შორის, შეხედულებები და წარმოდგენები ბევრ საკითხზე და ფასეულობაზე; შეიცვალა საზოგადოების მენტალიტეტიც. სამწუხაროდ, ემიგრანტული გადმოსახედიდან ისეთ ფასეულობებზე, როგორიცაა სიკეთის კეთების სურვილი, მიღებული სიკეთის დანახვა და დაფასება, გაჭირვებულის და სუსტის შებრალება, ურთიერთ-სიყვარული და ურთიერთობის მოფრთხილება, ერთმანეთის ერთგულება, მეგობრობა, შენიანის მონატრება და თანადგომა, სხვისი აზრის და პოზიციის სწორად დანახვა, დაფასება და გათვალისწინება, - ეს ბოლო 15-20 წელია დღევანდელი რეალობა ქართულ საზოგადოებას სერიოზულ გამოცდას უტარებს. მინდა, რომ ეს გამოცდა ემიგრაციაშიც და საქართველოშიც ყველამ ღირსეულად გავიაროთ.

- როდის აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?

- ჩემი საქართველოში სამუდამო დაბრუნების დრო, სამწუხაროდ, ჯერ არ დამდგარა, თუმც სხვანაირად არც ვგეგმავ ჩემი ოჯახის მომავალს.

იზა შაქარაშვილი

უნახავმა რა ნახა?!

მიხეილ ქვლივიძის აქამდე დაუბეჭდავი ნარკვევი

იმ დღიდან, რაც შეერთებულ შტატებში ჩამოვედი, სულ ვფიქრობ: „ღმერთო, მოგვეცი ჩვენც, ქართველებს ასეთივე ცხოვრება (მე მხედველობაში მაქვს მატერიალური დონე და ის ფუფუნება, რასაც ადამიანს განვითარებული ტექნიკა უქმნის!). რა ბედნიერები ვიქნებოდით, რა ნოყიერი ნიადაგი ექნებოდა ჩვენს ნიჭს, ყველა ჩვენს შესაძლებლობას! ჩვენ ხომ მართლა კარგი ხალხი ვართ: ოჯახიც გვიყვარს, ნათესავიც, მეგობარიც, კარის მეზობელიც კი ახლობლად მიგვაჩნია! მოყვასთან ურთიერთობა ჩვენი უპირველესი სულიერი მოთხოვნილებაა, ამის გარეშე ქართველ კაცს არსებობა არ შეუძლია! მიუხედავად იმისა, რომ დრო გაფუჭდა, პირადად მე ბევრი ნაცნობი და უცნობი ქართველი მეგულება, ვინც საზოგადოებრივ მოღვაწეობას უანგაროდ ეწევა.

აქ კი, ამერიკაში, სულ სხვანაირი ხალხია. მეგობრობას ისინი „პარტნიორობას“ უწოდებენ. თუ ამერიკელი ბიზნესმენი ან სახელმწიფო მოხელე ადამიანთან საქმიანი ინტერესით არ არის დაკავშირებული, მასთან ურთიერთობა დროის დაკარგვად მიაჩნია. დრო კი, მათი გაგებით, ფულია და მისი გამოყენებაა საჭირო! დიახ, უანგაროდ, უმიზეზოდ, უბრალო სიმპათიის გამო აქ არავინ არავის დაუახლოვდება! უდარდელი დროსტარება აქ ყოვლად წარმოუდგენელია! ერთად თუ შეიყრებიან და სადმე რესტორანში წავლენ, - მეგობრები კი არა, თანამშრომლები ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებული ხალხი უნდა იყოს. იქაც, სუფრასთან, ძირითადად, საქმეზე საუბრობენ, უქმად რომ არ ჩაიაროს მათმა შეხვედრამ და რაიმე ხელსაყრელი შედეგი გამოიღოს...

...და კიდევ, საკუთარ ჯანმრთელობაზე გადაყოლილი ზრუნვით გამოირჩევიან ამერიკელები! ექიმებთან განუწყვეტელი კონსულტაციები, სმა-ჭამის რეჟიმის დაცვა, თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა და ა.შ. არსად სხვაგან ასეთი რამ არ შემხვედრია!

... ვინც ამ ჩემს ნარკვევს წაიკითხავს, ალბათ, მისაყვედურებს, რომ ამერიკის ღირშესანიშნაობებს კი არ ვათვალიერებდი (ცათამბჯენებს, მუზეუმებს, ძეგლებს, თეატრებს, გამოფენებს), არამედ უფრო ადამიანებსა და მათი ცხოვრების წესს ვაკვირდებოდი. ეს მაინტერესებდა. მე და ჩემმა თაობამ საბჭოთა კავშირში ისეთ არაადამიანურ პირობებში გავატარეთ ცხოვრება, რომ ჩემი ინტერესი 21-ე საუკუნეში ფეხგადადგმულ ამერიკისადმი სავსებით გამართლებულია.

... ნიუ-იორკში, ჰუდონის ქვეშ გაყვანილი სამკილომეტრიანი გვირაბიდან რომ ამოხვალთ, მანჰეტენის შუაგულში აღმოჩნდებით, მანამდე კი თქვენს თვალწინ ცათამბჯენების გადასარევი პანორამა იშლება. ღმერთო ჩემო. რამდენი სისულელე არ წამიკითხავს საბჭოთა პრესაში ამ ცათამბჯენების შესახებ?! არადა, ასეთი ლამაზი სანახაობა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს! კავკასიონის ქედს რომ უყურებ თვითმფრინავიდან ან სხვა მაღალი წერტილიდან, სწორედ ისაა ნიუ-იორკის ცენტრში განლაგებული მანჰეტენი!

... მაგრამ ამერიკა, ჩემი შთაბეჭდილებით, მაინც ცათამბჯენის კი არა, ორ-სამსართულიანი სახლების ქვეყანაა და კიდევ, გადასარევი ავტოსტრადების - საავტომობილო გზების სახელმწიფოა! ეტყობა, ამერიკელებმა ჯერ თავიანთი საცხოვრებელი სივრცე მოაწყვეს, ლამაზი და მოხერხებული კოტეჯები დაიდგეს, მერე კი, მსოფლიოს გასაკვირვებლად, ცაში სართულები აისროლეს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ღმერთს ფეხისგულები დაფხანეს“?

მე უკვე გითხარით, ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ადამიანი მომავლის იმედით და ოცნებით კი არ ცხოვრობს, დაუყოვნებლივ ახორციელებს იმას, რაც დღეს სჭირდება. მე ვგულისხმობ კარგად მოწყობილ ყოფას, ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და სხვა. მაგრამ ამგვარმა მუდმივმა სწრაფვამ კეთილმოწყობილი ცხოვრებისაკენ რიგითი ამერიკელი შეძლებული ცხოვრების მძევლად გახადა, იგი იძულებულია ავანსად მიღებული კეთილდღეობა დაუღალავი შრომით გამოისყიდოს. დიახ, თავაუღებელი, გამანადგურებელი შრომით! ეს კი თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა, რადგან გულისხმობს აღებულ ვალდებულებათა აუცილებელ შესრულებას!

ამერიკელი სულ რაღაცა გადასახადებს იხდის და სულ მუდამ ყელამდე ვალებშია ჩაფლული! ღმერთი-რჯული, არ ვინატრებდი ასეთ ცხოვრებას!.. პრაქტიციზმი ამერიკელებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი და მე უკვე რამდენი ხანია აქ ვარ, მაგრამ ჩემსავით არაპრაქტიკული, იდეალისტი კაცი, რომელიც თავის 12-ლარიანი პენსიით კმაყოფილდება, ჯერ არ შემხვედრია! ჩემს შემოსავალზე რომ მეკითხებიან, არ ვპასუხობ, რადგან ვიცი, ხუმრობა ეგონებათ და გაიცინებენ...

მაინც კარგია, რომ ამერიკაში ჩამოვედი! აქ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მატერიალური კეთილდღეობა ადამიანის ბედნიერების საფუძველი არ არის. კეთილდღეობას კაცი ისევე მალე ეჩვევა, როგორც სიდუხჭირეს. ადამიანი სხვა რამისათვის არის გაჩენილი. მირჩევნია, გაცილებით უფრო ღარიბად ვიცხოვრო, მაგრამ იმ სულიერ კმაყოფილებას განვიცდიდე, რასაც ჩემს გაჭირვებულ სამშობლოში, ჩემს ღარიბ ოჯახში ვღებულობ და ის ურთიერთობა მქონდეს ადამიანებთან, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შემიძლია! არა, არავითარ შემთხვევაში არ არის ცხოვრების მიზანი - მატერიალური დოვლათის შექმნა და დაგროვება და, ალბათ, ამაშია მარქსიზმისა და კომუნისტების უდიდესი შეცდომა!

ამერიკელთა უმრავლესობის - ბიზნესმენების, სახელმწიფო მოხელეების და სხვადასხვა პროფესიის ხალხის - სულიერი სიღატაკე მით უფრო აშკარად ჩანს, რაც უფრო ტექნიკურად განვითარებულ პირობებში ცხოვრობენ, რაც უფრო მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან! „ჩემს სახლში რომ მოხვალთ და სასწორზე აიწონებით, დახრა არ დაგჭირდებათ, სასწორი თვითონ გეტყვით - რა სიმაღლისა ხართ და რამდენს იწონით!“ - იკვეხნიდა ერთი ბიზნესმენი, ვისთანაც სტუმრად დამპატიჟეს. მივედი და, მართლაც, იატაკის სასწორში ჩამონტაჟებულმა უხილავმა მიკროფონმა ზუსტი ცნობები მომაწოდა ჩემი სიმაღლისა და წონის შესახებ!.. ასეთია ეს ქვეყანა, დაკუზვაც ეზარებათ ტექნიკით განებივრებულ ამერიკელებს!

ამიტომ რა გასაკვირია, რომ ამდენი მსუქანი კაცი და ქალი, რაც ამერიკაშია, სხვაგან არსად შემხვედრია, - არც ჩვენთან, არც ევროპაში, - და ეს მაშინ, როცა არავინ ისე არ ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე, როგორც ამერიკელები!

ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში უამრავი წიგნის მაღაზიაა. ხალხიც ბევრია შიგ, მაგრამ წიგნს, როგორც ასეთს, მით უმეტეს მხატვრულ ლიტერატურას, მგონი, არავინ კითხულობს. ტყუილად კი არ ტრაბახობდა საბჭოთა კავშირი თავისი „მასობრივი მკითხველით“. ალბათ, ყველას ახსოვს მოსკოვის მეტრო, სადაც კაციშვილს ვერ ნახავდი, რომ წიგნი არ სჭერიოდეს ხელში. ამერიკაში ასეთ რამეს იშვიათად ნახავთ. ესენი ძირითადად გაზეთებს კითხულობენ და ტელევიზორს უყურებენ. გამოწერილი აქვთ ცნობარები, სადაც წერია, რომელ მაღაზიაში რა იყიდება და რამდენი ღირს, ბირჟაზე როგორი კურსი აქვს დოლარს.

ქალები მოდის ჟურნალებს ათვალიერებენ, კულინარიის ახალ მიღწევებს ეცნობიან, მაგრამ სად არიან ამ დროს ფოლკნერი,

ჰემინგუეი, სტეინბეკი, აპდაიკი, თუნდაც მარკ ტვენი? სად არის ამერიკული კულტურა, რომელსაც ჩვენ, ყოფილი საბჭოთა ხალხი, თვითონ ამერიკელებზე უკეთესად ვიცნობთ?

ერთხელ მე და ტომა სტუმრად წავედით. ერთი შეხედვით, კულტურულ ოჯახში მოვხვდით: მდიდრულად მორთულ ბინაში წიგნებით სავსე კარადებიც იდგა, როიალიც იყო და კომპიუტერიც. ჩემმა შვილმა ოჯახის უფროსს უთხრა: მამაჩემი ახლახან რუსეთიდან ჩამოვიდა, იქ ცხოვრობდა და მუშაობდაო... ბიზნესმენმა გაიღიმა და იკითხა: „მამათქვენი, ალბათ, ხშირად შეხვედრია ლევ ტოლსტოის, უსაუბრია კიდეც მასთან?!“ კარგია, რომ ინგლისური არ ვიცი, თორემ ხმამაღლა გავიცინებდი!

ჩემი სიძის, ვალოდიას ოჯახი ნიუ-ჯერსის შტატში, პატარა ქალაქ მაუნტენსაიდში ცხოვრობს. მაუნტენსაიდი ინგლისურად, მგონი „მთის ფერდობს“ ნიშნავს და ტყეებით არის გარემოცული. ჩვენი სამსართულიანი შენობა ქალაქის განაპირას დგას. ამასწინათ აივნიდან ირმების ჯოგი დავინახე, ცხოველები ბალახს ძოვდნენ. ულამაზესი ნუკრი თავის დედიკოს ახლდა და კუდს სასაცილოდ აქიცინებდა. მე და ტომა ჩუმად ვუთვალთვალებდით ირმებს, მერე კატინემ მოირბინა და ყვირილი მორთო. ცხოველები დაფრთხნენ და ბუჩქნარში გაუჩინარდნენ... ჩვენი სახლის წინ, ქუჩის მხარეს, სადაც დილაობით ბალახს ვრწყავ, ბევრჯერ მსუქანი და ბაჯბაჯა მაჩვიც მინახავს. ფრინველებიც ბევრია აქ და ნაირნაირი პეპლებიც. თვითონ ტყე კი უდაბურია და, თუმცა კულტურულად „პარკს“ უწოდებენ, იქ არავინ სეირნობს, არც სოკოს კრეფენ... ტომამ მითხრა, ერთხელ ჩემი სამზარეულოს ფანჯრიდან ფუტკრისხელა ჩიტი დავინახეო, ჭრელი იყო და ძალიან გრძელი ნისკარტი ჰქონდაო. „იქნებ კოლიბრი იყო?“ - გავიფიქრე, რადგან ამერიკაში ყველაფერი მოსალოდნელია.

გუშინ ოციოდე კილომეტრით გავცდით სახლს და ყვავილების მაღაზიაში ვაშლისა და ატმის ნერგები ვიყიდეთ. მე და ვალოდიამ ეზოში დავრგეთ. თუ გაიხარა, ჩემს სახელზე გაიხარებს და ჩემს შვილს და შვილიშვილებს ჩემს თავს გაახსენებს... ჩვენი სახლის წინ აგვისტოს მზემ ბალახი გადაწვა და ვალოდიამ გადაწყვიტა მიწის მწვანე საფარის განახლება. ვიფიქრე, ალბათ, ნიადაგს დაბარავს და, როგორც ჩვენში იციან, კოინდარს დათესავს-მეთქი. არაფერიც მაგისთანა! იმავე ყვავილების მაღაზიაში 5-7 სანტიმეტრის სისქის მიწის საფენი შევიძინეთ ზედ ამოსული კოინდრით. იგი, სატელეფონო კაბელის მსგავსად, ვეებერთელა ხის კოჭზე იყო დახვეული და სატვირთო მანქანით მოგვართვეს სახლში. მერე მუშები მოვიდნენ, ძველი საფარი მიწას სუფრასავით გადახადეს და ახალი დააფინეს!



უკვე ათი დღე დარჩა ჩემს გამგზავრებამდე. ერთი სული მაქვს, სანამ თბილისში დავბრუნდები. აღარ მინდა არც ამათი მაძღარი ცხოვრება, არც ამათი ტექნიკური საკვირველებანი და არც სიმშვიდე, რაც აქ სუფევს. მენატრება ჩემი ცოლ-შვილი და, რაოდენ ბანალურიც უნდა იყოს, რუსთაველის პროსპექტზე ფეხით გასეირნება...

ღამის ორი საათია და არ მძინავს. გარეთ საშინლად წვიმს, ნამდვილი თავსხმაა! ნეტა რა ხდება ახლა თბილისში? როგორ არიან ჩვენები? მათ რაღაცეების ყიდვა დამბარეს და სწორედ დღეს ყველაზე დიდ სუპერმარკეტში ვიყავი, სადაც ყველაფერი იყიდება - საქონელიცა და სურსათიც. მაღაზიაში სამშენებლო მასალების განყოფილებაცაა და იქით გავეშურე, რომ გოგიასთვის წებო მეყიდა. „კარგი წებო ჩამომიტანე, ისეთი, ყველაფერს რომ აწებებს“, - დამბარა ბიჭმა. წებოების მეტი აქ რა არის: წებო, რომელიც ქაღალდს, მუყაოს, ხეს, ბამბას, კერამიკას, ლითონს, ასე გასინჯეთ, რკინა-ბეტონსაც აწებებს! აირჩიე, რომელიც გინდა! მეც ვარჩიე, ვარჩიე და ბოლოს „ქრეიზი გლუ“ ვუყიდე, რაც ინგლისურად „გადარეულ წებოს“ ნიშნავს! ინსტრუქციაში, რომელიც ტომამ მითარგმნა, ეწერა, რომ ეს წებო ნებისმიერ მასალას აწებებს, თან განუსაზღვრელი ვადით (მარტო ეს რეკლამა რად ღირს!). მე მგონი, გოგიას გაუხარდება...

კატინე შიგადაშიგ ინგლისურს მასწავლის. მე ქართულ სიტყვებს ლათინური ასოებით ვუწერ და მიხარია, როცა ყოველ დილით, სამზარეულოში შემოსული, დილა მშვიდობისაო მეუბნება. მეც, ალბათ, მალე ინგლისურად დაველაპარაკები, რადგან უკვე ვიცი ერთი სიტყვა: „ქრეიზი გლუ“! მაინც რატომ ამეკვიატა ეს „გადარეული წებო“? იქნებ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი არაჩვეულებრივია და სულ არ ჰგავს იმას, რაც მანამდე მინახავს?!

* * *

ნიუ-იორკში ე.წ. „რუსული რადიო“ არსებობს, რაც ფაქტობრივად ებრაული რადიოა. ასევეა რუსული გაზეთიც „ნოვოე რუსკოე სლოვო“, სადაც რუსულად დაბეჭდილ მასალას აშკარად გამოკვეთილი ებრაული აქცენტი აქვს.

რუსულ რადიოს ხელმძღვანელობს ვინმე იოსიფ საცი - ჩემი მოსკოველი მეგობრის, გრიშა გორინის ნაცნობი. რამდენჯერმე დავურეკე ამ კაცს (თუ საცს?) მაგრამ ადგილზე არ დამხვდა. მინდოდა რადიოთი გამოვსულიყავი და ჰონორარის მსგავსი რაღაც მიმეღო, რადგან ამ ხნის მწერალს ცოტა მრცხვენია, რომ ნათესავების კმაყოფაზე ვიმყოფები...

იოსიფ საცი საკმაოდ ყურადღებიანი ვინმე გამოდგა. გორინის წერილი რომ გადავეცი, ხელად პროგრამაში შემიტანა და მეორე დღისათვის დანიშნა ჩემი რადიოგამოსვლა: „ქართველი პოეტი მიკროფონთან“. მივედი. ყურებზე ვეება „ნაუშნიკები“ ჩამომაცვეს და საცმა გამაფრთხილა: „მხედველობაში იქონიეთ, ეს გადაცემა ღია ეთერში მიდის, თქვენ მთელი ამერიკა გისმენთ!“ ჩართეს მიკროფონი და მე მოვახსენე „მთელ ამერიკას“ აფხაზეთის ამბების შესახებ, შევარდნაძესაც ორიოდე სიტყვა შევაწიე და იმედი გამოვთქვი, რომ მისი ხელმძღვანელობით საქართველო გაჭირვებას თავს დააღწევს და მსოფლიო ასპარეზზე გავა... ორმოც წუთამდე ვილაპარაკე. მერე დაველოდე რადიომსმენელთა შეკითხვებს. კარგა ხანი არავინ ხმას არ იღებდა, ბოლოს, ვიღაცამ მკითხა: „როგორ ცხოვრობენ თბილისში ებრაელები? ამბობენ, რომ მათ დევნიან და ავიწროებენ, მართალია?“ მე ვუპასუხე, რომ ამჟამად ებრაელები თბილისში ისეთსავე გაჭირვებას განიცდიან, როგორსაც ქართველები, თათრები, ბერძნები, რუსები, ქურთები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, ანუ მთელი თბილისის მოსახლეობა. სხვა შეკითხვები არ ყოფილა.

ამ ორმოცწუთიან საუბარში, ჩემდა გასაკვირად, 50 დოლარი გადამიხადეს.

* * *

მე და ვალოდიამ ამას წინათ ჩვენი სახლის მიმდებარე ტერიტორია დავასუფთავეთ: სარეველა ბალახი გავკაფეთ, ხეებს ხმელი ტოტები შევაჭერით, ორმოები მიწით ამოვავსეთ და გავასწორეთ. ვალოდიამ ყვავილების ჩითილები მოიტანა და გაზონებში დავრგეთ. ეს წვრილმანი საქმეები ხალისს მმატებს და სამშობლოზე დარდს მიქარვებს. ვალოდია მუდამ დაკავებულია და მე და ტომას საკმარისი დრო გვაქვს სასაუბროდ. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ამდენი არ მილაპარაკია ჩემს შვილთან. რაზე აღარ ვსაუბრობდით? ცხოვრებაზე, ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, თეატრზე, მოდაზე...

* * *

ჯანმრთელობის მხრით ასე კარგად არასდროს ვყოფილვარ! ტომა სულ თავზე

მევლება, აღარ იცის რით მასიამოვნოს: ხან თავისი ბიბლიოთეკიდან უცნობი მწერლის წიგნს მომცემს, ხან თანამედროვე მუსიკას მომასმენინებს, ხან ეგზოტიკური კერძით გამიმასპინძლდება... თან სულ ჭკუას მარიგებს, როგორ უნდა მოვიქცე და ვიკვებო, რომ დიდხანს ვიცოცხლო. პაპიროსის წევას მაინც ვერ გადამაჩვია და ვეწევი გადასარევ ამერიკულ სიგარეტებს, რომლის მსგავსი არც მოსკოვში, არც თბილისში არ მომიწევია! შაბათობით ორივენი „სუპერმარკეტში“ მივდივართ მთელი კვირის სამყოფი სანოვაგის საყიდლად. თუ კატინეც ჩვენთან არის, აუცილებლად „მაკდონალდსში“ შევისეირნებთ, რომ უგემრიელესი შემწვარი კარტოფილით და ნაყინით ვისიამოვნოთ... მოკლედ, სამოთხეში ვარ! ტყუილად კი არ დავარქვი ჩემს ნარკვევს „უნახავმა რა ნახაო?!“ განსაკუთრებით „სუპერმარკეტები“ მაგიჟებენ! ყველაფერი არის, რასაც ადამიანი ინატრებს! შიგნით, მაღაზიაში, ერთ გამყიდველსაც ვერ ნახავთ: მხოლოდ თაროებია და მათზე გამოფენილი საქონელი. კულინარიის განყოფილებაში, ვიტრინებს შორის, მაგიდებია ჩარიგებული, სადაც მყიდველს შეუძლია გემო გაუსინჯოს პროდუქტს, რომლის შეძენასაც აპირებს. თუ პროდუქტი ცივად იჭმება, მაცივრიდან ამოგიღებენ, თუ გაცხელებას საჭიროებს, გაგიცხელებენ, თან გამაგრილებელ წყალსაც მოგართმევენ, რომ ყელზე არ დაგადგეს... ამაში ფულს არ გახდევინებენ. ასე რომ, თუ თქვენ გშიათ, საჭმელს ნუ იყიდით, მუქთად დანაყრდით, სანამ მაღაზიაში იმყოფებით (ეს, რასაკვირველია, ჩემისთანა „უნახავებს“ ეხება, თორემ ადგილობრივი მოსახლეობა ასე არ იქცევა!).

* * *

ნიუ-იორკში ერთი უბანია, - „ბრაიტონ-ბიჩს“ ეძახიან. ეს საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ემიგრანტების რაიონია. აქრე აქ ზანგები ცხობრობდნენ, მაგრამ ახალჩამოსულები იმდენად აგრესიულები აღმოჩნდნენ, რომ შეავიწროვეს და განდევნეს შავკანიანი მოსახლეობა. „ბრაიტონ-ბიჩზე“ რომ მოხვდები, შენი თავი ოდესაში ან გომელში გეგონება: ვიწრო, დანაგვიანებული ქუჩები, ყველგან რუსული წარწერები, ებრაული აქცენტით მოყაყანე ბრბო... ქუჩებში იმდენი ხალხია, თავისუფლად ვერ გაივლი!..

საბჭოთა რეჟიმის ნოსტალგიით დაავადებული კაცი „ბრაიტონ-ბიჩზე“ ხელად განიკურნება: აქ მისთვის ყველაფერი ნაცნობი და მშობლიურია: გრძელი რიგებიც, გამყიდველებიც, უხეშობაც, ლანძღვა-გინებაც (განსაკუთრებით, რუსული დედის გინება!). აი, სად უნდა დაასახლო დღევანდელი კომუნისტები: ამხანაგი ზიუგანოვი და ბატონი პანტელეიმონი! არც სხვებს აწყენდა ამ „სამოთხეში“ ყოფნა, რომ ცოტა ჭკუაზე მოსულიყვნენ...

ორი დღის წინ ჩემს სიძეს რაღაც წვეულება ჰქონდა და მე და ტომა „ბრაიტონ-ბიჩზე“ წავედით დელიკატესების საყიდლად. ტომამ თქვა, იქ კარგი ქაშაყი და სოკოს წნილი იყიდებაო. „სელიოდკა“ და „გრიბოჩკები“ ხომ რუსული სუფრის მშვენებაა!.. მაღაზიას რუსულად გასტრონომი ეწერა. შიგნით ხალხის ტევა არ იყო. ამერიკაში რიგები არ მინახავს, აქ კი ისეთი ორომტრიალი იდგა, გეგონება, ომი დაიწყო და მოსახლეობა პროდუქტებს იმარაგებს, რომ შიმშილით არ ამოწყდესო! ტომამ ერთ რიგში დაიკავა ადგილი, მე მეორეში ჩამაყენა, სალაროსთანაც გავაფრთხილეთ ხალხი... მოკლედ, მშობლიურ სტიქიაში ვიგრძენი თავი, თითქოს მოსკოვში ან თბილისში ვიმყოფებოდი...

* * *

ჩვენს სახლთან მანქანების მოსახვევია. დილაობით, როცა ბალახს ვრწყავ, ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ მანქანას გაევლოს და მძღოლს ჩემთვის სალამი არ ეთქვას: კაცია თუ ქალია, ზანგია თუ თეთრკანიანი, სვლას შეანელებს, თავს გამოყოფს, ხელს დამიქნევს და „ჰელოუ!“ მომაძახებს. კარგია ეს! ჩვენს სოფელშიაც ასე იცოდნენ ძველად: ნაცნობსა თუ უცნობს გლეხკაცი ყველას ესალმებოდა. „სალამი ღვთისაო“, - ამბობდნენ სოფლელები. ახლა ეს წესი დაირღვა. ალბათ, იმიტომ, რომ გაუჭირდა ხალხს და ბევრ კარგ თვისებასთან ერთად ზრდილობაც დაკარგა. მაგრამ მაუნტენსაიდი ხომ ქართული სოფელი არ არის! თანამედროვე ამერიკული ქალაქია. მაშ საიდან აქ პატრიარქალური ქართული ჩვეულება? მე მგონი, პატრიარქალობა და ქართველობა არაფერ შუაშია, უბრალოდ, ამერიკელი მოქალაქე კმაყოფილია თავისი ცხოვრებით და ყველას მიმართ კეთილად არის განწყობილი...

როგორც ჩემმა შვილიშვილმა ანიკომ მითხრა, ამერიკაში თურმე ყველაზე უპატიებელ დანაშაულად რასიზმი ითვლება. საკვირველია, ღმერთმანი! საბჭოთა პროპაგანდა სულ იმას გაიძახოდა და სკოლაშიც ამას გვასწავლიდნენ, ამერიკა რასიზმის ქვეყანაა, „კუ-კლუქს-კლანი“ მარტო იქ არსებობსო... ანიკოს თქმით კი შეერთებულ შტატებში ადამიანის დაჩაგვრა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი შავკანიანია ან სხვა ეროვნებას ეკუთვნის, მიუტევებელ დანაშაულად ითვლება! მე მაინც მგონია, ეს უფრო სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციაა, ვიდრე სინამდვილე. თუმცა ჩემი შვილიშვილები უპირატესად ზანგ ან კორეელ ბავშვებთან მეგობრობენ და ერთხმად გაიძახიან: ისინი, ამერიკელებთან შედარებით, უფრო „გულიანები“ არიანო! (იქნებ ქართული სისხლი ალაპარაკებთ?)

ბავშვებთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმი აქ ისე კარგად მუშაობს, რომ საკმარისია პოლიციელმა ქუჩაში შეამჩნიოს კაცი ან ქალი, - მშობელი, რომელიც თავის ბავშვს სცემს და ატირებს, - წესრიგის დამცველს შეუძლია იგი დააპატიმროს და პოლიციაში მიაბრძანოს! მერე სასამართლო განსჯის უფროსის დესპოტურ მოქმედებას და შესაძლოა მშობლობის უფლებაც წაართვას!

* * *

ისევ ადამიანთა ურთიერთობას მინდა შევეხო. მე უკვე გითხარით: ამისათვის ვცოცხლობ-მეთქი და ეს ლიტონი სიტყვა არ არის. ხუმრობით ბევრჯერ მითქვამს: „მარტო ნუ დამტოვებთ, ვინმესთან კონტაქტი დამამყარებინეთ და თუნდაც მაჩხუბეთ მასთან!“ ეს ქართველი კაცის პოზიციაა! ამერიკაში ადამიანთა ურთიერთობა თითქმის ყოველთვის პრაქტიკულ ინტერესს ემყარება და არა სიყვარულს, მეგობრობას, პატივისცემას და სხვა. ისინი იმდენად პრაგმატიკოსები არიან, იმდენად გამჯდარი აქვთ სისხლსა და ხორცში წმინდა მცნება „დრო ფულია“, რომ დაუკითხავად, წინასწარი შეტყობინების გარეშე, მეგობარი მეგობართან ვერ მივა და ნათესავი ნათესავს ვერ მოინახულებს! ერთი მხრივ, ეს კარგია, რადგან პიროვნების სუვერენიტეტის შელახვის უფლება არავის აქვს. მაგრამ რა შუაშია სუვერენიტეტი, როცა სიყვარულსა და მეგობრობაზეა ლაპარაკი?! ჩემი ღრმა რწმენით, ამ პაწაწინა პლანეტაზე ყველანი ნაცნობები ვართ (სამწუხაროდ, ჩემს მეტმა ეს არავინ იცის!) და, რაც უფრო მალე მივხვდებით ამას, მით უკეთესი იქნება! განა საწყენი არ არის, ისე გავატაროთ ჩვენი წუთისოფელი, რომ არ გამოვეცნაუროთ, არ დაველაპარაკოთ, ხელი არ გავუწოდოთ ერთმანეთს და დავიკლოთ ის უდიდესი სიამოვნება, რასაც ადამიანი განიცდის, როცა მოყვასს გააბედნიერებს?!

* * *

თბილისში ჩემს წასვლამდე სულ ორი დღე დარჩა. ბილეთი უკვე მომიტანეს, ბარგიც ჩალაგებულია. ხვალ უკანასკნელად მანჰეტენზე გავემგზავრებით მე და ტომა. იქ ერთი მართმადიდებლური ეკლესიაა და სანთელი მინდა ავანთო. მადლობა, ღმერთს შინ ვბრუნდები! ბევრი არაფერი მიმაქვს, გარდა „გადარეული წებოსი“ (გახსოვთ „ქრეიზი გლუ“?) და დიქტოფონზე ჩაწერილი ჩემი შთაბეჭდილებებისა...

ძალიან გთხოვ, ჩემო მკითხველო, ამ ჩემი „გაურკვეველი ნარკვევის“ მიმართ მკაცრი ნუ იქნები. გავიმეორებ იმას, რაც წინასიტყვაობაში გითხარი: ამერიკა არც ქვეყანაა, არც კონტინენტია. იგი გამოუცნობი პლანეტაა, რომელიც ყოველთვის თავის ახალ აღმომჩენს ელის. ერთი ასეთი აღმომჩენელი მეც ვარ.

„მამულის“ მეგობარია:

კომპიუტერების ექიმი

www.mycompwiz.com; 1-908-361-9590 აკაკი ჯიქია

ვირუსისგან გაწმენდა

თუ შეამჩნევთ, რომ თქვენი კომპიუტერი არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ადრე, შესაძლებელია კომპიუტერი ინფიცირებული იყოს ვირუსებისგან, Malware,Spam ან კიდე keylogger ისგან, რომელსაც ესაჭიროება გაწმენდა;

სადენის შეკეთება

ხშირ შემთხვევაში ლეპტოპის სადენი ზიანდება სხვადასხვა მიზეზის გამო და შეუძლებელი ხდება ბატარეაზე დენის მიწოდება. ესაჭიროება შეკეთება;

მიკროსისტემების გამოცვლა

ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ ლეპტოპს ან დესკტოპს გამოვუცვალოთ დაზიანებული მიკრო-სისტემა და დავაბრუნოთ მუშა მდგომარეობაში;

კლავიატურის გამოცვლა

თუ თქვენს ლეპტოპს ესაჭიროება კლავიატურის გამოცვლა, ჩვენ მზად ვართ დაგეხმაროთ ნებისმიერი მოდელის კლავიატურის გამოცვლაში. თუ ფიზიკურად არ ხერხდება ჩვენამდე მოსვლა, დაგეხმარებით საფოსტო მომსახურებით;

ფენის გამოცვლა

თუ თქვენი ლეპტოპი ითიშება ხშირად უმიზეზოდ, შესაძლებელია ფენი იყოს დაბინძურებული ან გამოსაცვლელი. გათიშვის მიზეზი შესაძლებელია გადახურებამაც გამოიწვიოს და თავისით გაითიშოს დაცვის მიზნით. მოულოდნელმა გათიშვამ შეიძლება ვინჩესტერიც დააზიანოს, ამისათვის დროულად უნდა შეკეთდეს;

ეკრანის გამოცვლა

არასწორმა მოპყრობამ ადვილად შესაძლებელია ლეპტოპის ეკრანი დაზიანოს და საჭიროებს გამოცვლას;

ფაილების აღდგენა

ფაილების დაკარგვის შემთხვევაში, ვინჩესტერის გაფუჭების, „USB flash drive“, „External hard drive“, „IDE“, „SCSI hard drive“, „SSD“ ჩვენი პარტნიორის ლაბორატორია საშუალებას გვაძლევს,რომ მოვიპოვოთ ის დაკარგული ინფორმაცია, რასაც ჩვეულებრივი „recovery“ პროგრამა ვერ აკეთებს;

* * *

ჩვენ შეგვიძლია ინტერნეტით, თქვენთან მოუსვლელად დავუკავშირდეთ კომპიუტერს. ჩვენი მომსახურება გარანტირებულია, ვინაიდან პროფესიონალურად ვეკიდებით ჩვენთვის დაკისრებულ მოვალეობას და შესაბამისად, მომხმარებლებიც ბედნიერია ჩვენით.

გიორგი კაკაფხიძე

აპირებთ დაქორწინებას?

ან გსურთ რომ საკუთარ თავს, ან მეგობარს საჩუქარი გაუკეთოთ და შეიძინოთ სუფთა და ხარისხიანი ბრილიანტი ან ბრილიანტით გაწყობილი სამკაული ან ბეჭედი ოქროში?

გთხოვთ მობრძანდეთ
55 West 47th Street, Mezz 330
New York, NY 10036

ან დაგვიკავშირდეთ: 646-755-4591 ჩვენ შეგვიძლია დაგიმზადოთ ბეჭედი ან სამკაული თქვენი დიზაინით.

ადგილები, სადაც უფასოდ გრცელდება ჟურნალი „ქალული“

ნიუ-იორკში:

Taste of Georgia
1637 East 18th street,
Brooklyn, NY 11229

Brick Oven Bread
230 Kings Hwy,
Brooklyn, NY 11223

Pesvebi - Studio
70 Avenue O
Brooklyn, NY 11204

Georgian Church on
170 Avenue T
Brooklyn, NY 11223

St. Nino Church
1835 Bay Ridge Parkway
Brooklyn, NY 11204

Barami
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235

Georgian Food & Bakery
109 Brighton 11 street,
Brooklyn, NY 11235

Tone-Café
265 Neptune Ave,
Brooklyn, NY 11235

Tone - Georgian Bread
125 Brighton Beach Ave
Brooklyn, NY 11235

Georgian Consulate
144 East 44th street
New York, NY 10017

Tone-cafe
134 E 17 st.
New York, NY 10003

ვაშინგტონში:

Embassy of Georgia
1824 R street,
Washington, DC 20009

ფილადელფიაში:

St. George Church
1916 Welsh Rd
Philadelphia, PA 19115

Bell's Market
8330 Bustleton Avenue,
Philadelphia, PA 19152

ნიუ-ჯერსში:

Barami
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305

„ილუზიონი“ კაბადონეებში

ვარსკვლავები არ კვდებიან

ოთარ სეფიაშვილი,
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

,,ვარსკვლავები არ კვდებიან.
ვარსკვლავები ქრებიან მხოლოდ“
ამას ამბობს ლეგენდა.
ლეგენდად იქცევიან ადამიანები.
ადამიანები კვდებიან.

ლეგენდის დღენი კი წუთისოფლით არ იწურება.

ლეგენდაში ცოცხლდება სინამდვილე ნაოცნებარი - ის, რაც იყო და რაც წარმოსახვით შეიქმნა. და თუ ლეგენდა არ არის ყოველთვის მართალი, სამაგიეროდ, ლამაზია მუდამ. ხელოვნება კი იმთავითვე მშვენიერების ტრფიალი იყო. ამიტომაც, ძნელი წარმოსადგენია მხატვრული სამყარო ლეგენდების გარეშე.

ქართული კინოს გზასავალზეც დარჩა ერთი ლეგენდა - ლამაზი, ნათელი და სევდანარევი. ლეგენდა იმაზე, რომ ვარსკვლავები არ კვდებიან, ვარსკვლავები ქრებიან მხოლოდ...

* * *

ასე იწყება ეს ლეგენდა:

საქართველოშიც ჩამომდგარიყო კინო - მეოცე საუკუნის ,,გლახაკთა და უპოვართა“ მუზა, უმრწემესი მუზათა შორის. თრთოლვით შესცქეროდა დიდოსტატ ხუროთმოძღვართა ქვაში გამჟღავნებულ ამაყ სულებს, ჟრუანტელს გვრიდა მონღოლთა თვალებდათხრილი ღვთისმშობლის ფრესკები, ოქრომქანდაკებელთა სინატიფეს ეწაფებოდა ყველაზე ძლიერ კი, ხიბლავდა ხალხის უდრეკი და ლამაზი სული. ეს იყო მისი შთაგონება, ხელოვნად გახდომაზე ოცნებობდა და თავის ვარსკვლავს დაეძებდა თურმე.

,,ცხოველ სურათებად“ ინათებოდა კინო ჩაბნელებულ დარბაზში. და თუმცა მასში მცირე იყო სიცოცხლე და კიდევ უფრო ნაკლები - ხელოვნება, მაინც გაუჩნდნენ თაყვანისმცემლები. ამ დროს კი, საოპერო თეატრის სცენაზე უკვდავებას ეზიარებოდა უფლისწული აბესალომისა და ობოლი ეთერის უბედო სიყვარულის თქმულება, დაწერილი იყო ,,მთაწმინდის მთვარე“ და ,,მერი“, თბილისის ტავერნების კედლებიც დაეპყრო ფიროსმანის მომაჯადოებელ ფერებს.

ათვალწუნებით შეხვდნენ ხელოვნების პარნასზე კინოს. უგვარტომობისათვის ძრახავდნენ ახალი ტექნიკის პირმშოს. სიტყვის ქურუმნი ფარავდნენ თავიანთ მტრობას: თავის დღეში ვერ შევურიგდებითო პოეტები კინოს ხელოვნებად აღიარებას. ზოგმა კი იმთავითვე იწამა ძალა მისი ზრდისა და ნატრობდა ენახა ეკრანზე მომხიბლავი სურათი, სადაც ,,დამაბრმავებელი სილამაზით გაიელვებდნენ მშვილდისარნი ამორძალები, გაქაფულ ცხენებზე ამხედრებულნი“.

კინო კი მაღლდებოდა და კვლავ დაეძებდა თავის ვარკვლავს. ხმა დაირხა - შარშან თბილისში გამართულ ჯირითზე მოუკრავთო თვალი მისთვის. ვიღაცამ თქვა: ერთი ფოტოგრაფის ვიტრინაში ახლაც ჰკიდიაო მისი სურათი. მივიდნენ, ნახეს, მოიხიბლნენ კინოს მსახურნი. შემდეგ ალაზნის ველზე მიაგნეს ამომავალ ვარსკვლავს. იმას, ვინც ქართული კინოს მნათობი უნდა გამხდარიყო, ვის სახელსაც ლეგენდად ქცევა ეწერა.

ეს სახელი იყო ნატო ვაჩნაძე.

ასე, ან თითქმის ასე მოვიდა ნატო ვაჩნაძე კინოში. ამ ლეგენდას აქვს გაგრძელება - მღელვარე, მიწიერად მომხიბვლავი, აქვს დასასრულიც - პოეტურად ლამაზი და სევდიანი.

* * *

ნატო ვაჩნაძე კინო ხელოვნებაზე სულ რაღაც ცხრა წლით უმცროსი იყო...

საოცარია, მაგრამ ასეა - მას არ უოცნებია კინოზე, თავად გახდა კინოს ოცნება. და მე აღარ მიკვირს, როცა ლეგენდა ამ მშვენიერ, მიწისა და მინდვრის ყვავილების სურნელებით გაჟღენთილ ცხრამეტ წელიწადს აქცევს მხოლოდ ერთ ქარაგმაში. ალბათ, ლეგენდებმაც იციან ეჭვიანობა.

ჩვენ კი ვიყოთ მიუკერძოებელნი. ეს ცხრამეტი წელიწადი გზაა მიწიდან ვარსკვლავებამდე. ნატოს უხმობდა ქართული კინოხელოვნება. იგი უნდა მისულიყო მასთან და მივიდა კიდეც.

* * *

,,პირველი შთაბეჭდილება ცუდი იყო. სახე მკრთალი, დაღლილი, შეშინებული თვალებით, - იგონებდა ვლადიმერ ბარსკი, რეჟისორი სურათისა ,,არსენა ყაჩაღი”, რომელშიც მთავარი როლის შესასრულებლად მიიწვიეს ნატო ვაჩნაძე.

ქალი არწმუნებს: ეკრანი არ მიმიღებს, მსახიობი ვერ გავხდებიო. თითქმის დავუჯერე. მაგრამ თვალს არ ვაცილებ... უცბად ნატოს სახე შეეცვალა, თვალები გაუბრწყინდა, გახდა მშვენიერი და მომხიბლავი. ვხედავ ჩემს წინ ალმასია. მხოლოდ საჭირო მისი დახვეწა, რომ სრულიად გაბრწყინდეს. მერე შეუფარავი სიამაყით დას-

ძენდა: ეკრანის ეს მარგალიტი მე აღმოვაჩინეო. მაგრამ უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ნატო ვაჩნაძე მთლიანად ქართული კინოს აღმოჩენაა. აქ იყო რაღაც კანონზომიერება.

* * *

სასინჯოდ გადაღებული ათამდე ფოტოსურათი. ყველა აღტაცებულია. აქ ალღო ბევრ ნიშნავს, სთავაზობენ ორ როლს: ნენოს - „არსენა ყაჩაღი“ და ნუნუს „მამის მკვლელში“.

ეს ორი სურათი თითქმის ერთდროულად გამოვიდა ეკრანზე.

ნატო ვაჩნაძის ნუნუ ერთ-ერთი დამავიწყებელი ფიგურაა „მამის მკვლელში“. ფილმის პოპულარობაც მან განაპირობა. ნატო ქართული კინოს საკუთრებაა - „მისი გარეგნობა, შინაგანი განცდა, ჟესტი, მიმიკა ვერ წარმომიდგენია ქართული კოლორიტის გარეშე”, - წერდა „მამის მკვლელის“ რეჟისორი ამო ბეკ-ნაზაროვი.

* * *

ფილმი „სამი სიცოცხლე“, 1924 წელს გადაიღო რეჟისორმა ივანე პერესტიანმა გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით.

სურათში ნატო ასახიერებდა მკერავ ქალს - ესმას. ფილმი დღემდე შემორჩა ეკრანზე და გვიდასტურებს მაშინდელი რეცენზენტების ნათქვამს: ნატო კი არ თამაშობდა, ეკრანზე ცოცხლობდა.

„სამი სიცოცხლე“ ის რეალისტური სურათია, რომელმაც ქართულ კინემატოგრაფს განუმტკიცა „წითელი ეშმაკუნებით“ მოპოვებული მაღალი რეპუტაცია, ხოლო ნატო ვაჩნაძეს საქვეყნო დიდება მოუტანა.

* * *

ნატოს მიერ შესრულებული ყოველი ახალი როლი მისი ახალი აღსარება იყო. ამ აღმავალი არტისტული გზის დასაწყისში შესანიშნავია ფატის სახე რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას ფილმში „ვინ არის დამნაშავე“, რომელმაც მსოფლიო ეკრანი მოიარა სახელწოდებით „უალდ ვესტის მხედარი“.

ნატო ვაჩნაძე არ შეიძლება ჩაითვალოს ერთი ამპლუის კინოვარსკვლავად თუნდაც იმიტომ, რომ იგი ცდილობდა ყოველ ახალ როლში შეექმნა ახალი ხასიათი. „საწყენია - წერდა ნატო 1926 წელს, რომ ჩემს მიერ განსახიერებული როლები ერთფეროვანია. მე მიხდება პასიური ქართველი ქალის როლის შესრულება. იქნება იმიტომ, რომ ეს ცხოვრებაშიც ასეა - ახალი, აქტიური ქართველი ქალი მხოლოდ იბადება“.

* * *

არადა, ნატო ვაჩნაძე მართლა იყო კინოვარსკვლავი.

1927 წელს გამოვიდა ფილმი „გიული“ შიო არაგვისპირელის მოთხრობის მიხედვით. აქ შეხვდნენ ერთმანეთს ახალგაზრდა

პოეტი, დებიუტანტი რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია და ნატო ვაჩნაძე, რომელიც სურათში მთავარ როლს ასრულებდა.

საერთო მიზანსწრაფვამ, უახლესი ხელოვნების - კინოს თადავიწყებულმა სიყვარულმა, სულიერად დაანათესავა ორი ახალგაზრდა შემოქმედი. და მოხდა ის, რაც თითქმის, უთუოდ უნდა მომხდარიყო - ნატო გახდა შენგელაიას ცხოვრების თანამგზავრი ვარსკვლავი, შენგელაია კი - ნატოს „ცხოვრების რეჟისორი“.

აღსანიშნავია, რომ ნატომ მარჯანიშვილის ორ სურათში მიიღო მონაწილეობა: „ამოკში“ - ასრულებდა ევროპელი კომერსანტის ცოლის, „თეთრი ქალის“ როლს, ხოლო „კრაზანაში“ ასახიერებდა ახალგაზრდა მებრძოლ იტალიელ ქალს - ჯემას.

იმათ, ვისაც ნატო ვაჩნაძის ამპლუად პასიური აღმოსავლელი ქალი მიაჩნდათ, ზურგი შეაქციეს „ევროპელ“ ნატოს. სხვანი სხვა აზრისანი იყვნენ. მაგრამ, ალბათ, არ შევცდებით, თუ ნატოსეულ სახეებსაც ვიგულისხმებდით იმ სიტყვებში, მარჯანიშვილს რომ უთქვამს თავისი ფილმების გამო: „შესაძლოა, ეს დადგმები მცდარი იყო, მაგრამ არც ერთი უფერული არ ყოფილა“.

შემდგომ იყო ბოშა ქალის - მაშას საოცრად პლასტიკური და ვნებით ანთებული ეკრანული სახე-იერი ფილმში „ცოცხალი ლეში“, სადაც პროსტასოვს ასახიერებდა შემდგომ კინოს კლასიკოსად აღიარებული ვსევოლოდ პუდოვკინი. იყო უკრაინულ სურათში „გარეუბნის კვარტალში“ გარკვეული როლი, რომლის სცენარიც მიკოლა ბაჟენს ეკუთვნოდა - ფილმებს იღებდნენ მოსკოვში, ბერლინში, კიევში... ნატო მოგზაურობდა. ნატოს შეეძლო ენახა ეკრანზე ამერიკელი დევიდ უორკ გრიფიტის ფილმები, რომლებშიც მონტაჟი, მსხვილი პლანი, მოქმედების პარალელური განვითარება გააზრებული იყო.

და აი, ნატო ისევ თბილისშია. შთაგონებული, გამოცდილებით დატვირთული, კვლავ მომხიბლავი ადის ეკრანზე.

აუხდა ათი წლის წინათ რომ ნატრობდა - მხიარული, აქტიური ქართველი ქალის დახატვა მსურსო. ახალი, ნათელი ცხოვრებისეული ფერებით ქმნიდა იგი კოლმეურნე ქალიშვილების - ნანისა და ნათელას სახეებს ნიკოლოზ შენგელაიას ფილმებში „ნარინჯის ველი“ და „სამშობლო“.

საოცარი უბრალოებით და მომხიბვლელი სისადავით დახატა ნატომ ქართველი გლეხი ქალის - მართას სახე ფილმ „ქაჯანაში“. აქ პირველად შეასრულა დედის როლი, ითამაშა პირველად და დაუვიწყარად. ის იყო სახიერება იმ საოცრად მარტივი, ამასთან რთული ჰარმონიისა.

ომის წლებში კი, ბევრ სხვა ცნობილ ხელოვანთა მსგავსად, ნატოს შეუდარებე-

ლი სილამაზის სახემაც შეიძინა მკაცრი იერი და ბუნებრივად შეერწყა იმ საბედისწერო პირქუში დღეების მოვლენათა პანორამას, ნატოს ხშირად ნახულობდნენ ჰოსპიტალებში, დაჭრილებს რომ ანუგეშებდა.

შემდეგ, როცა უკვე კავკასიონთან ისმოდა ომის გრიალი, იგი მონაწილეობდა იმედიან ფილმში „ის კვლავ დაბრუნდება". მოგვიანებით კი თავად იგონებდა: ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ იმ წლებში სულ ჩემს გვერდით იდგა სიკვდილი. და აკი, აუხდა შიში - სურათის გადაღებისას მოულოდნელად გარდაიცვალა რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია. დაღლილმა გულმა უმტყუნა მანქანის საჭესთან, თბილისისაკენ მიმავალს... ცივ შარაზე, წვიმაში ნაბადზე დასვენებულს დასცქეროდა „ვარსკვლავი" თავისი „ცხოვრების რეჟისორს" და მეუღლეს.

ამის შემდგომ დიდხანს აღარ გამოჩენილა ეკრანზე, მაგრამ სიცოცხლის ტრფიალმა და შემოქმედების ჟინმა კვლავ მოაბრუნა იგი კინოსაკენ.

იყო სხვა როლებიც...

ნატო იყო პირველი ქართველი მსახიობი, რომელიც საერთაშორისო კინოფესტივალზე მოხვდა.

* * *

ჩვენს ლეგენდას აქვს დასასრულიც - პოეტურად ლამაზი და სევდანარევი.

იგი ამბობს, რომ მეოთხედი საუკუნე იწვოდა ვარკვლავი ეკრანზე და შუქი არ გაკრთობიაო. წლებმაც ვერა დააკლესო რა მის სილამაზეს. და როცა ადამიანები კინოხელოვნებაში ოცდახუთი წლის ყოფნისათვის სიყვარულის გვირგვინს ადგამდნენ თავზე. იგი ოცნებობდა ეკრანზე დაეხატა ეკატერინე ჭავჭავაძე - გენიოსი ბარათაშვილის პოეტური სიყვარული.

მაგრამ ვერ მოესწრო...

ორმოცდაცამეტში გაზეთები იუწყებოდნენ მწუხარე ამბავს - ჰაერში, თვითმფრინავის კატასტროფამ იმსხვერპლა ვარსკვლავი. ბედისწერაა - თვითმფრინავს, რომლითაც ნატო დონის როსტოვიდან თბილისისაკენ გამოფრინდა, სწორედ ნიკოლოზ შენგელაიას მშობლიური სოფლის თავზე მოხვდა ჭექა-ქუხილი და დაიღუპა.

და იყო რაღაც მშვენიერიც და შემზარავი ცაში ამაღლებულ ამ სიკვდილში. ასე მიეფარა თვალს...

მკვდარიც არავის უნახავს...

- დაიწვა, გაქრა...

* * *

ახლა ისევ ვათვალიერებ ფოტოსურათებს - ნატო ცხოვრებაში, ნატო როლებში... უამრავია, აი, ფოტოგრაფ შიხმანის გადაღებული სურათი, რომლითაც ნატო კინოში მიიწვიეს. საოცარია, უბრალოდ ფოტომ რაზომ შთაგონებას დაუდო სათავე!

აი, ნატო ცხოვრებაში, სწორედ ისეთი, როგორიც მახსოვს, როგორიც მინახავს.

* * *

ეს მხედველობის დარღვევაა თუ...

მოკლედ, მთელი დღეა ადამიანები საშინლად მეპატარავებიან. დილით ფლაშინგში ვიყავი. ვაკე ადგილია და გზაზე რომ მიდიხარ მანქანით, ჰორიზონტამდე ხედავ რომ აქეთ-იქით ორსართულიანი შენობების გარდა არაფერი დგას. ხოდა, ყოველ შუქნიშანზე გაჩერებისას, გავყურებდი წინ ამ დაბალ შენობებს, მანქანებს, ადამიანებს და საშინლად მეპატარავებოდა ყველაფერი.

ვაიმე, რა პაწაწინა ხარ ადამიანო!

ნეტავ შემოაბოტებდეს აქ, ვინმე დიდი ტანის და ისეთ ფერებში გამოწყობილი, რომელიც ამ უბანს, თავისი ფერებით ნახშირით დახატულ გრაფიკულ ნამუშევარს რომ გავს, ვიდრე ადამიანებით დასახლებულ ადგილს, - გაახალისებდა. აგვახმაურებდა ამ პატარა ჭიანჭველებს, რომლებიც ასე უაზროდ ვმოძრაობთ პატარ შენობებს შორის. ერთს გამოგიტყდებით, რომ თუ მანჰეტენზე არ ცხოვრობ, საკმაოდ მოსაწყენი, ერთფეროვანი და მომაბეზრებელია ნიუ-იორკი.

მანჰეტენზე, ადამიანი ტანით კიდევ უფრო პატარა ჩანს ცათამბჯენების ფონზე, მაგრამ როცა აანალიზებ, რომ ირგვლივ რასაც ხედავ, მისი ნამოქმედარია, მაშინ ეს შენობებიც კი თავს გიკრავენ პატივისცემის ნიშნად.

არა, ეს რუხი ცა მაინც გახსნილიყო და ოქროსფერი ფხვნილი ჩამოყრილიყო! რაღაც საინტერესო მინდოდა მომხდარიყო, ისეთი რაც სუნთქვას შემიკრავდა და სინანულს გამოიწვევდა ჩემში, რომ ამ საოცრებას მარტო შევესწარი. ახლა კი, სულაც არ მწყდებოდა გული, რომ თქვენი თვალები ვერ ხედავდნენ იმას, რასაც მე ვხედავ. პირიქით, მათი მშურდა ვისი თვალებიც ახლა ყაზბეგშია, ბაკურიანში, თბილისში, მცხეთაში, სიღნაღში, ბათუმში... სადაც არასდროს არაფერია რუხი ფერის! ყოველ შემთხვევაში ჩემთვის.



სულ სხვანაირი ირინა

ირინა მიქაბერიძეს ყველა იცნობს ჩვენს დიასპორაში - „თვისტომის“ სამედიცინო ჯგუფის ხელმძღვანელს. მაგრამ, სულ სხვანაირი ირინას გაცნობა მოგიწევთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს დღეს.

„ფეისბუკში“, სტატუსებად გაბნეულ პატარა ჩანახატებში, დღეს რომ სახელდახელოდ აგიკინძეთ, სჩანს თეთრ ხალათის მიღმა დამალული ტალანტი, რომლის გაღვიძებასაც ვაპირებთ ამ ბეჭდური დებიუტით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

* * *

ჩემს ეზოში პუტკუნა, ოქროსთმიანი, ოქროსგულიანი და საერთოდაც ყველაზე ნათელი და კარგი ბიჭი, გიგა, ცხოვრობდა. ვიცოდი, რომ დედა „სხვაგან“ ჰყავდა და ბებო ზრდიდა. მე, ამის გამო კიდევ უფრო მიყვარდა. ეზოში თუ ვინმე მოხუცს დახმარება და ყურადღება სჭირდებოდა, ყველას იმედი გიგა და მისი დაიკო იყვნენ.

მთელ დღეებს ეზოში ვატარებდით დაღამებამდე. ხანდახან, სპექტაკლებსაც ვდგამდით. პერიოდულად შევიკრიბებოდით და „მზიურში“ მივდიოდით - ჩვენგან განსხვავებით „პროფესიონალი მსახიობის“, პატარა გიგას სპექტაკლის სანახავად.

რომ გავიზარდეთ, ნელ-ნელა დავშორდით ბავშვები ერთმანეთს, მერე გავთხოვდი და დიდხანს აღარავინ მყავდა ნანახი.

წლების შემდეგ ჩემს ეზოში რომ დავბრუნდი, რატომღაც, ყველასთან მეუხერხულებოდა დაკონტაქტება. დიდი ხნის ემიგრანტი რომ უკან დაბრუნდები და შენს ადგილს აკვირდები, ისევ შემოგენახა თუ ბალახი ამოვიდა ზედ, ეგრე ვიყავი...



ერთ დღესაც, შუშის მსხვრევის ხმა გავიგე. გადავიხედე ეზოში და დავინახე გიგა, გაკვირვებული რომ იყურებოდა ფანჯრიდან. გავბედე და გავძახე, რა მოხდათქო. „ფანჯრიდან შუშა გადავარდა თავისითო“, - მიპასუხა.

ციოდა... მეც ახალი ჩატეხილი და ჩასმული მქონდა. ამოდი, დიდი ნაჭერი მომრჩა და შუშის საჭრელიც მაქვს-თქო. მოკლედ, უკვე გამოცდილი ვარ, ამოდი და მოგეხმარები-თქო. გაუკვირდა და გაუხარდა. ბევრი ვიცინეთ, ერთი დღის ინტერვალით ჩამსხვრეულ შუშებზე და ჩემს „შუშისმჭრელობაზე“.

მას მერე აღარ მინახავს. გავიგე, რომ აივნიდან გადავარდნილა, შემთხვევით.

გიგა! რაზე გამახსენდი ახლა და...

ტელევიზორი ჩავრთე და დილის გადაცემაში შენი სახელი ახსენეს. დიდი გამოფენა მოგიწყვეს და ორი წინადადებით თქვეს, რომ ძალიან ღრმა ნამუშევრები გაქვს და ადრე წახვედი. სანამ გავიგებდი რომ შენზე იყო ლაპარაკი, სისხლი გაყინული მქონდა. არ მეგონა, თუ ასე განვიცდიდი შენს ხსენებას... ნეტავ თუ იციან, რომ ყველაზე ოქროსფერთმიანი, ლამაზი, საყვარელი, თბილი, ყურადღებიანი და წესიერი ადამიანი წახვედი?! გამახსენდა. შენი იღლიაში ამოჩრილი ფურცლები... ნეტა ხუთი წუთით მომახვედრა მაგ გამოფენაზე... რამდენ რამეს წავიკითხავდი და ვიცნობდი ჩემი და შენი ბავშვობიდან.

* * *

ბაკურიანში, აგვისტოს ბოლოს თიბვა იწყებოდა. ეს იყო ჩემი ყველაზე საყვარელი დრო. დღისით - მზე ქარვისფერ ბულულებს კოცონივით აბრიალებდა გადახოტრილ მინდორზე; საღამოს დარაჯებივით იდგნენ, ბუნდოვნად ჩანდნენ, ნისლში წვერები არ მოუჩანდათ, მაგრამ სოფლის მისადგომებთან შემოსეული პირამიდებივით იდგნენ... დღე სჯობდა ღამეს... გაექანებოდი და, ამ ერთი შეხედვით ღუნღულა ბულულში ჩაებერტყებოდი ზურგით. არც ისე რბილი აღმოჩნდებოდა, დაგკაწრავდა, გატკენდა... იშორებდი თმიდან, პირიდან, ისრესდი ნატკენ შიშველ მკლავებს, მაგრამ მაინც ვერ ჩერდებოდი... სუნი, სილაღე... არ ვიცი, ზუსტად რა, მაგრამ მიუხედავად დისკომფორტისა, მაინც მოგწონდა, ბედნიერებას განიჭებდა.

ასეა ცხოვრებაც... ბულულივით... გტკენს, მაგრამ მაინც არ გწყინდება, რომ მეასეჯერ გაექანო და ჩაეფლო შიგ... ვერ ელევი სუნს, სილაღეს, სიგიჟეს და გინდა რომ სულ ასე იყო - დაკაწრული, მაგრამ მომღიმარი და ბედნიერი!

P.S. თორმეტი წელია ვზუზუნებ - ბუჩქი და ხე მიყვარს, მენატრება ჩემი ქალაქისთქო და ვერცერთხელ მოვიფიქრე რომ - გამეხვია და წამომეღო...

* * *

ბებიაჩემს ჩემი კაბები ნიკელის საწოლის განიერ რკინაზე ისე მოწესრიგებულად ჰქონდა გადაკიდებული, გამოძრობა დაგენანებოდა... თუმცა გარდაუვალი იყო.

გამოაძრო (მე არ მანდობდა ამ საქმეს), გადამაცვა, ჩავიცვი სანდლები, ხის ქოხიდან გავედი და სამყაროს შევუერთდი მისიით - დღევანდელ დღეს აბლაბუდები უნდა დავიარო და ყველა მწერი გავათავისუფლო!

შესვენებაზე სახლში მივბრუნდი, არა ნებაყოფლობით, რა თქმა უნდა და მერე ისევ ჩემს საქმეს დავუბრუნდი...

- ობობას ნუ მოკლავ, ბებო, მგზავრს ნიშნავსო, - მომაძახა.

საღამომდე მუხლჩაუხრელად ვიშრომე, მერე მომბეზრდა და დაღლილი ვერა ბაბოს ჭიშკრის წინ გოგოებს შევუერთდი. მეც მინდოდა მომეფიქრებინა ტყუილი და მომეყოლა, რა მაგარი ვარ (როგორც მეორე გოგო, სქელ ყვითელნაწნავიანი ლენკა იტყუებოდა). ვერ მოვიფიქრე და სახლში წამოვედი. სახლში მიბრუნებულს, ბებო წამოწოლილი დამხვდა, წამოხტა, ჩაი დამისხა. „მთელი დღე გავარდნილი ხარ ბებო გარეთ, ლოყები დაგეწვა ამ მწერების დევნაში, მოდი ჭამე და დავწვეთო“...

ბებო... როგორ მინდა, რომ კიდევ ერთხელ წამოხტე ჩემთვის.

რომ იცოდე, ახლა რამდენი ხნის გავარდნილი ვარ გარეთ და როგორი დაღლილი... ოღონდ ლოყები კი აღარ მეწვება, მიფერმკრთალდება... ტყუილის თქმა ისევ ვერ ვისწავლე, მწერებს კი ისევ ვათავისუფლებ, ოღონდ როცა გზაზე შემხვდება. ლენკას ტყუილები აღარ მომისმენია მას მერე და ახლა დავჯდებოდი და ვიტირებდი მასთან ერთად. ისიც ბებოსთან ჩადიოდა ბაკურიანში და მეც. ალბათ, მასაც ძალიან ენატრება ის დრო...

ანდა, დავდგებოდი ახლა ნიკელის საწოლზე მუხლებით, ნიკელის პატარა ბურთულებს მოვუშვებდი და დავამაგრებდი, მოვუშვებდი და დავამაგრებდი და უაზროდ ვიცინებდი. მერე რა, რომ ობობებს სიბრაზისგან არ სძინავთ... სამაგიეროდ ბავშვი მწერები სახლებში დაბრუნდნენ ბებო მწერებთან და ისინიც დაიძინებენ ჩემთან ერთად...

* * *

ბებიაჩემი თეთრეულის რეცხვისას ლილას ხმარობდა.

ვუყურებდი ამ ფერს და საშინლად მწყდებოდა გული, რომ ამ სილამაზეს ჩემთვის ესოდენ უმნიშვნელო დატვირთვა ჰქონდა.

პირველად ტიმოთესუბნის ეკლესიის

კედლებზე ვიპოვე ლილისფერი და ცას ვეწიე სიხარულისგან.

ოხ, ბებო, ბებო! რას ნიშნავს ხატვა რომ არ იცი. ხომ ვიცოდი რომ ეს ფერი არ იყო მხოლოდ ზეწრისთვის და ბალიშისპირისთვის განკუთვნილი.

ეს ეკლესიის ცის ფერი იყო! ეკლესიას ყოველთვის ძალიან ლამაზი ცა აქვს და იქიდან ყოველთვის ისინი გვიყურებენ, ვისი დანახვაც სულ გვაინტერესებს, ვისაც სულ ვემუდარებით და ვემადლიერებით.

ძალიან შორს წავედი. მე რომ დიდი გოგო გავიზრდები, ვიყიდი ლილისფერ კაბას, რომელსაც ოქროსფერი მანები ეხატება. ახლა, ვისაც არ გინახავთ, განახებთ მერაბ აბრამიშვილის ნახატს და ზედ ტიმოთესუბნის გუმბათსაც მივაყოლებ. თუმცა, იცოდეთ, რომ ბებოს ზეწარი ყველაფერს მირჩევნია - ის ჩემი ნახატიცაა, რწმენაც და როგორც აღმოჩნდა, ლილით შესრულებული ყველაზე ძვირფასი ნამუშევარიც.

არაფრის მეორედ ნახვას ისე არ ვნატრობ, და შეგრძნებას, როგორც მისი გამზადებული თეთრეულის.

* * *

მაკა ჩემზე ერთი წლით დიდი იყო. 13 წლის ვიქნებოდი, ის 14. ლენტეხში ვიყავით, მასთან. ის დიდგულა და მამაცი იყო, დიდი ტანის. მასთან შედარებით მე პატარა ვიყავი, მაგრამ ჩემი წილი სიმამაცე არც მე მაკლდა.

მოკლედ, უარვყავით გოგობა და ვართ ბიჭები. ირგვლივ ცამდე მთები გვარტყია, დავდივართ წყაროზე, ვუყურებთ ძაღლების ჩხუბს და შიგადაშიგ საქმის გარჩევებსაც ვესწრებით, ვერევით კიდეც, სადამდეც ხელი მიგვიწვდება.

ერთ უსაქმურ და ჩუმ საღამოს, უაზროდ ბოდიალში, კინოში აღმოვჩნდით. რა გვინდოდა იქ (სადაც დღე კაბიანი გოგოები დადიოდნენ და ღამე მარტო ბიჭები), კაცმა არ იცის. მოკლედ შევედით. ძლივს ვსუნთქავდი. აბანოების ჩაიხანას გავდა იქაურობა. ბევრი კაცი იყო და ამიტომაც ბუღი იდგა. დიდ კედელზე კი ეკრანიზებული, უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“ გადიოდა. ცოტა ხანს გავუძელით.

მალევე მივხვდი, რომ იმ წუთას, იქ გოგო ვიყავი და კიდევ უფრო დამძიმდა ჰაერი უხერხულობისგან. მალევე გამოვიპარეთ. მივხვდით, რომ ბიჭები არ ვიყავით, მაგრამ ერთმანეთისთვის არ გაგვიმხელია.

მაკა მალევე გარდაიცვალა. მე კი იმდენ ხანს ვიცოცხლე, რომ ერთხელ კიდევ მომიწია გოგოობის უარყოფა. თუმცა, ახლაც ვიცი რომ ბიჭი არ ვარ, მაგრამ გამხელა ისევ მიჭირს. იქნებ, უფრო პატარებიც ვიყავით მაშინ?

დღეს, თითქმის 30 წლის შემდეგ, ძლივს ვუყურე ფილმის დამთავრებას. მიჭირს რაღაცის დამთავრება იმის გარეშე, ვისთან ერთადაც დავიწყე. „რა მშვიდი იქნებოდა და რა წყნარი ცხოვრება ადსო სიყვარულის გარეშე, მაგრამ რა არასაინტერესო“.

* * *

ერთი ბებო პრანჭია მყავდა - ხავერდის აბადოკით, ბეწვის საყელოიანი კარაკულის შუბით და რედიკულით დადიოდა. ოქროს ბროშით ჰქონდა შიფონის ბლუზის ბაფთა ყელთან დამშვენებული და ლამაზ ფაფუკ ხელზე საფირონის თვლიანი ბეჭედი მუდამ ეკეთა.

მეორე ბებოც პრანჭია იყო - ოღონდ არა ჩაცმულობით, არამედ მანერებით. მორიდებული და პრანჭია. ტუჩები სულ მოპრუწკული ჰქონდა. იცოდა, რომ სიცილი უხდებოდა. იღბალი ხშირად არ აძლევდა გაცინების შანსს, მაგრამ თუ გაიცინებდა, ღირდა სანახავად - გადაიკისკისებდა და ბროლივით კბილები უჩანდა. ჭაღარა თმა ჰქონდა და არასდროს შეუღებია. ემიგრაციაში რომ წამოვედი, მალევე გარდაიცვალა. ვერ შევირგე ის, რასაც სულ ვნატრობდი: დიდობაში ერთად ვყოფილიყავით და ხელის გულზე მეტარებინა.

გადავუხვიე. სულ ამ მიმართულებით მივყავარ ხოლმე ამ თემას. არადა, იმის თქმა მინდოდა, ამერიკაში რომ ჩამოვედი, პირველი, რაც თვალში მომხვდა, აქაური მოხუცების ყოფა-ცხოვრება იყო. ერთხელ, ახალ ჩამოსულს, ქუჩაში ამომიდგა იაგუარის მარკის მანქანა, საიდანაც მარტო გამხმარი ხელები სჩანდა - საჭეზე მოუხერხებლად, ხელთათმანებივით ჩამოკიდებული.

კარგად რომ დავაკვირდი, მოხუცი ქალი მართავდა მანქანას. თითქმის ყოველი მეორე მანქანა მოხუცი ქალის განკარგულებაში იყო ლონგ-აილენდზე. მაღაზიებიც, განსაკუთრებით Macy's მათი სამფლობელოა. ყიდულობენ, მიაქვთ, ნაწილს იტოვებენ, ნაწილს აბრუნებენ, - მოკლედ, საქმეში არიან.

რისთვის ყიდულობენ, თვითონაც არ იციან. უბრალოდ, ერთობიან. სილამაზის სალონში დღესაც რომ შევდივარ, ყველაზე ახალგაზრდა მე ვარ. არადა, წლებია დავდივარ. პარასკევ-შაბათს ცხვირს ვერ შეყოფ - სხედან და იფუებენ შეთხელებულ თმას, იკეთებენ მანიკურ-პედიკურს და ემზადებიან უიკენდისთვის.

ჩემო ბებო! გინატრე ერთი-ორჯერ, მაგრამ არა თმის ასაფუებლად.

მე შენი ტალღოვანი, თეთრი თმა, უკან კოსად შეკრული და შავი შპილკებით დამაგრებული ყველაფერს მირჩევნია. უბრალოდ, მინდოდა გენახა, რა სასაცილოდ გამოიყურებიან ეს მოხუცები - სასაცილო და საყვარლები.

შენ კი სხვანაირად საყვარელი და ლამაზი იყავი, - არასასაცილოდ. მშვიდი, ლამაზი, დარდიანი, თეთრთმიანი და თაფლისფერი თვალებით, დაკობსილი ცხვირით და ლამაზი ტუჩებით.

საშინლად მენატრები. კიდევ კარგი, რომ ეს მოხუცები სულაც არ მახსენებენ შენს თავს. სულ მომწონდა „მოვლილი“ ქალი.

ახლა კი ვუყურებ და მეცინება, - რა უნდა წაისვან და რა უნდა გაიკეთონ, რომ შენამდე მოვიდნენ? ქართველი ქალივით ლამაზი და შარმიანი ხომ არავინაა.

და ქართველ ბებოზე ნამდვილი და კარგი ბებო მსოფლიოში არ არსებობს!

არაუშავს. ერთ დღეს ვნახავ და მოგიყვები ყველაფერს. მერე ერთად ვიკისკისოთ!

* * *

ახლა, რაღაცას ვიტყვი...

არაა აუცილებელი ყველა დამეთანხმოთ! წელის მალებზე გავიკეთე ოპერაცია. სულ მაწუხებდა ეს წელი და სულ მიშლიდა ხელს ეკლესიაში სიარულში. დავდიოდი, მაგრამ შერბენით. არადა, ხანდახან გაჩერება მინდა და არა შერბენა.

დღეს ბერძნულ ეკლესიაში ვიჯექი. უკეთ ვფიქრობდი ღმერთზე და წუთისოფელზე, ვიდრე წელი რომ მტანჯავს და ფეხზე დამდგარი ვიკლაკნები ხოლმე. ჩვენთანაც დგას საქართველოს ეკლესიებში სკამები, ოღონდ მიფარებულში და ძირითადად მოხუცები სხედან. თან სულ რაღაც დამნაშავედ ვგრძნობ თავს ან ინვალიდად, როცა ვზივარ და ყველა დგას. არადა, ვკვდები ისე მიჭირს დგომა.

რა მოხდება რომ ერთ ეკლესიაში დაიდგას სკამები. უფრო მეტი მოხუცი მივა თავის სულის სიმშვიდისთვის და უფრო მეტი „ჩემნაირი", წელმტკივანი და კლაუსტროფობი. დღესასწაულების დროს შეუძლებელია ჩემი იქ მისვლა. ვიჭყლიტები, ჰაერი არ მყოფნის და ცუდად ვხდები. ხმას არ დავძრავდი, მაგრამ როცა ბევრი ეკლესია შენდება, მორიდებულად ვიკითხე, რა მოხდება ერთში რომ დავდგათ სკამები. ახლის აშენებას არ ვითხოვ.

* * *

ახლაც არ მიყვარს „დაიძინეს" რომ მეუბნებიან.

პატარა რომ ვიყავი, „დაიძინე" ჩემთვის „მოკვდის" ტოლფასი იყო. ამ დროს ქრებოდა შუქი და წესით უნდა მოვმკვდარიყავი. არადა, მაშინ იწყებოდა ცხოვრება - ორი ქვეყანა იყო ერთ ოთახში - საბნისქვეშეთი და საბნისზედეთი.

საბნისქვეშეთში მეორე ოჯახი მყავდა, ღამის ოჯახი. მთავარი ეს არაა. ეგ ცალკე ამბავია, იქ რა ხდებოდა. მთავარი ისაა, რომ იქაც მთავრდებოდა ცხოვრება - იღლებოდი და გარეთ გამოდიოდი საბნისქვეშეთიდან.

საბნისზედეთში კი ბნელოდა და მარტო ვიყავი. იქ ზურგზე ვიწექი სულ. გადატრიალების მეშინოდა. დარწმუნებული ვიყავი, გადავტრიალდებოდი თუ არა, ზურგს უკან „ის" საშიში თვალებით დამიწყებდა ყურებას.

ვინ? არ მკითხოთ! დღესაც არ ვიცნობ. ხოდა, ზურგზე ვიწექი და მაღლა ვიყურებოდი. მაშინ ჭერი ძალიან შორს იყო და ვცდილობდი, თვალებით მიწვდომოდი. უცებ ჭერზე გადაირბენდა შუქი, რასაც ფეხდაფეხ მოყვებოდა გარედან შემოსული მანქანის ხმა, მერე ისევ შუქი, მერე ისევ მანქანის ხმა.

ააა! მივხვდი! მანქანა შუქს მისდევს! შუქი შემოირბენდა ჩემს ოთახში, გადაირბენდა ჭერზე და გაუჩინარდებოდა. გაწბილებული მანქანა ჩაიქროლებდა და სადღაც შორს, ამ შუქის ძებნას აგრძელებდა.

მე კმაყოფილი ვიყავი! ვერ მიაგნო, სადღაც ჩემთან დაიმალა, ხვალ ვნახავ, ახლა ვერ ავდგები. სიბნელის მეშინია. ასე დარბოდნენ შუქები ჩემს ჭერზე პერიოდულად და უჩინარდებოდნენ, გაშმაგებული მანქანები კი დაქროდნენ ქალაქში და ეძებდნენ მათ.

რა კარგია, რომ შუქების გადარჩენა შემიძლია! არავის და არაფრის დიდებით არ ვეტყვი რომ დავინახე! დილას, ალბათ, ყველა ერთად იკრიბება, დღის შუქზე ვეღარ ხედავდნენ მანქანები და ისინიც მშვიდად დაიარებოდნენ. იცოდნენ, რომ ღამე რაც არ უნდა მომხდარიყო, ყოველთვის შეეძლოთ ჩემს ოთახში შემოვარდნა, ჭერზე გადარბენა და დამალვა.

ამიტომ უნდა დაწვე დროზე. რა ვიცი, იქნებ დარბიან და ვერსად იმალებიან.

* * *

კონცერტს ვუყურებ და გამახსენდა.

მთელი ბავშობა ვეჭიდავებოდი აკორდეონს. მინდოდა ესუნთქა. მეცოდებოდა, მკვდარი რომ იდო. ადამიანივითაა, თუ არ ასუნთქე, მკვდარია. როგორც კი გაშლი ფილტვებივით და დაიწყებს სუნთქვას, ეგრევე მზადაა ბგერების ამოსაშვებად. თითქოს ჟანგბადს ჩაისუნთქავს და ნახშიროჟანგს ამოისუნთქავს. ამ დროს იწყებს ან სევდიან მოყოლას, რას განიცდიდა როცა არ სუნთქავდა, ან კი მხიარულია და უხარია სიცოცხლე. უხარია, ახლიდან რომ სუნთქავს.

„მოდი ბებო, რას ეჭიდავები მაგას. შენხელაა ხომ ხედავ. მოდი პიანინოზე დაუკარი". რა იცოდა ბებიაჩემმა, რომ ამ დროს რეანიმაციულ ღონისძიებებს ვატარებდი და კეთილი აკორდეონის სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძოდი.

დღეს ბებოს ფოტო გადმომიგზავნეს აკორდეონით!

* * *

ფეხში მოირტყამ! ფეხში მოირტყამ! - და ისე წავიდა, რომ თიბვა არ მასწავლა. არადა, ისე უყვარდა, რომ სულ მაინტერესებდა რას გრძნობდა ამ დროს.

თბილისში, სვანეთიდან სასწავლებლად წამოსული ემიგრანტი იყო. სერიოზული „ლავსთორის" შემდეგ დაქორწინდა ძირძველი და შეძლებული თბილისელის ერთადერთ ქალიშვილზე. ჩემხელა, უკვე პროფესორი იყო, აკადემიკოსიც მალე გახდა, მაგრამ... ისევ ისე თიბავდა... არმაზში თუ

ბაკურიანში - ყველგან ერთნაირი თავდავიწყებით თიბავდა.

მე მეგონა, თიბვა უყვარდა. ახლაღა ვხვდები, რომ თიბვით მის სვანეთს და ბავშვობას უბრუნდებოდა. ყველაფერი ავიწყდებოდა ირგვლივ ცელის ქნევის დროს... იქ იყო აშკარად... პატარა და ფეხშიშველი... ნეტა, ცოტა უფრო დიდი ვყოფილიყავი მაშინ, - რა სიამოვნებით ჩავუყოფდი ცხვირს და რა სიყვარულით მოვუფათურებდი ხელს სიღრმეებში... უარს არ მეტყოდა! დღესაც მგონია, რომ ყველაზე მეტად მე ვუყვარდი - პირველი შვილიშვილი.

თიბვას კი მაინც ვისწავლი. უკვე ჩემი ბავშვობაცაა.

* * *

ადამიანი, რომ იზრდები, შენი ბავშვობის ოცნებები გავიწყდება... გგონია, რომ სასაცილოა და სულელობაა დიდ ასაკში იმ ოცნებების ახდენა.

რამდენიმე დღის წინ პარკში ვსეირნობდი. მოღრუბლული ამინდი იყო და ირგვლივ ზამთრისგან გადანაცრისფერებული ხეები და ნაცრისფერი ცა შემაღონებლად ერთფეროვნად მოჩანდა. შემეშინდა. ნაცრისფერი მეც ვარ ახლა და ხომ შეიძლება, ვერ გამომარჩიონ და ვეღარ დამინახონ ადამიანებმა-თქო.

სახლში წამოსასვლელად შემოვბრუნდი. უცებ შორს, მამა-შვილი დავინახე - ცაში ფრანი ჰქონდათ გაშვებული. ეს ფრანი, ფერადი კონვერტივით დაფრინავდა ცაში, თითქოს შიგნითაც ფერადი წერილი იდო.

გამახსენდა, როგორ დავათრევდი, პატარა რომ ვიყავი, თოკს. ვაწებებდი ფერად ფურცლებს, გამოვაბამდი ამ თოკს და დავახოხებდი მიწაზე. ვერასოდეს გავაფრინე ფრანი.

ახლა კი, სახალხოდ ვწერ და პირობას ვდებ, რომ მე ამ ზაფხულს ავაფრენ ფრანს, ავიხდენ ბავშვობის ოცნებას და ყველაზე ბედნიერი ვიქნები. ■

- ჭაღის დასამაგრებელი ერთ დოლარად ვიყიდეთ, - თქვა ელენემ.

- ჩემსაში ოცდაათი ცენტი გადავიხადე.

- აი, ეს სასმელების კარადაა.

- ნამდვილი ხე თუა, კარგია, - დაეჭვდა მისი კლივენდონი, - საათი როგორია?

- შიგნით წარწერა აქვს.

ელენემ ოთახი გადმოჭრა და საათის კარი გამოაღო.

- გამარჯობათ, - ვთქვი მე და საათიდან გამოვედი, - საცურაოდ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ შევამჩნიე, რომ საათი ხუთი წუთით უკან რჩებოდა. ცოტა შევაკეთე. უკვე კარგად იმუშავებს.

ელენემ სტუმარი გამაცნო.

- უჰ, - ამოიხვნეშა მისის კლივენდონმა, როცა ჩემი გვარი გაიგონა, - მეც ასე ვიფიქრე, - მან ხმადაბლა ჩაახველა, თითქოს უხამსი რამის თქმას აპირებსო და მკითხა: - თქვენ უცხოელი ხართ? რუსი?

- არა, მადამ! მე ქართველი ვარ.

- ჰო, მაშინ თავადი იქნებით. მგონი, ყველანი თავადები ხართ.

- არა, მადამ! მე გლეხი ვარ!

- გეტყობათ, ძალიან თავმდაბალი ხართ. სხვები ყველანი თავადობას ჩემობენ.

- ჩემი პაპის მამაც და უფრო ადრე, პაპის პაპის პაპაც გლეხები იყვნენ. ასე თუ მივყვებით, ნოემდე სულ გლეხებად მივალთ.

- ნოემდე?

- ჰო! იგი არარატზე გადავჯდა. ვფიქრობ, წაკითხული გექნებათ. მერე იქ გადასახლდა, სადაც ჩვენა ვცხოვრობთ. უფრო მშრალი ადგილია.

- აჰა! მივხვდი, ბიბლიის ნოე. ახლა მითხარით, მოგწონთ ეს პატარა კუთხე?

ვუთხარი, რომ მოგვწონდა. ელენემ ჩვენი საქმიანობა აუწერა. მე ბოდიში მოვუხადე - ზევით ავალ და ტანსაცმელს ჩავიცვამ-მეთქი. როცა უკან დავბრუნდი, ელენეს სასადილო ოთახისაკენ მიჰყავდა მისის კლივენდონი. თეფშებზე ნამცხვრები ეწყო, ყავადანი მხიარულად თუხთუხებდა.

- ყოჩაღ, ქეთი, - თქვა ელენემ, - ყველაფერი გაუმზადებია. აქ დაბრძანდებით, მისის კლივენდონ?

მაგრამ, ეტყობა, ელენე უფრო მეტად ღელავდა, ვიდრე ამჩნევდა. ასე რომ არ ყოფილიყო, შეამჩნევდა, რომ ქეთი ბეილის ამზადებდა და მისის კლივენდონს სიმინდის ქაფქაფა ვისკის აღარ დაუსხამდა.

მისის კლივენდონი გაყვითლდა.

- ვფიქრობ, რომ ჩემი წასვლის დროა, - იგი წამოდგა, - მე ერთ ადგილას ვარ მისასვლელი. სხვა დროს იყოს, - მისის კლივენდონმა ხელთათმანები წამოკრიფა.

კარამდე მივაცილეთ.

- ძალიან მწყინს, რომ ვერ მოიცადეთ, - ვუთხარი მე, - ძალიან გთხოვთ, კვლავ მოხვიდეთ. მეორედ, იმედია, თქვენი ქმრის

რედაქტორისაგან:

გიორგი და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს" ავტობიოგრაფიული ნოველების კრებულია.

იგი ინგლისურ ენაზე დაიწერა და პირველად 70 წლის წინათ, 1944 წელს გამოიცა. დღემდე ამ წიგნის 20-მილიონამდე ეგზემპლარია გაყიდული, რვიდმეტჯერ გამოიცა ამერიკაში, ითარგმნა იტალიურ, ფრანგულ, ნორვეგიულ, დანიურ ენებზე. გადაღებულია ამავე სახელწოდების ფილმადაც ჰოლივუდში.

წიგნი გვიხატავს 1930-იანი წლების ქართველი ემიგრანტის ცხოვრებას და ამაც დროს გლეხის თვალით დანახულ ამერიკას.

ანთოლოგიაში, მსოფლიოს 50 საუკეთესო წიგნს შორის, ომელეშიც ყველაზე უკეთ აისახა ამერიკა — ჯეკ ლონდონის, ფიცჯერალდის, სელინჯერის და ჰემინგუეის გვერდით შეხვდებით ამ წიგნსაც.

გაცნობის ბედნიერება მექნება.

- მისტერ კლივენდონი სამი წლის წინ დავკარგე.

- უაღრესად სამწუხაროა. იმედია იპოვით. რამდენადაც ვიცი, ქმრები ყოველთვის განზრახ იკარგებიან (რაღაცით ხომ უნდა გამემხნევებინა მისის კლივენდონი).

- ნახვამდის, ნახვამდის.

ელენემ ძლივს მოითმინა, სანამ მისის კლივენდონი მანქანაში ჩაჯდებოდა.

- მაგისი ქმარი მოკვდა, შენ კი, ღმერთო ჩემო, იმედი მიეცი, ნახავო.

საქანელას ამოფარებული ქეთი ჩვენთან მოვარდა, - მადლობა ღმერთს ყველაფერი გათავდაო, - წამოიძახა.

- რატომ არ მითხარით, რატომ არ გამაგებინეთ რომ ქვრივია? - ვუსაყვედურე ორივეს.

- აი, ეგ ბებერი... - თქვა ქეთიმ და ღობეს წიხლი ჰკრა.

- მეც მაგ აზრისა ვარ, - თქვა ელენემ.

- ახალგაზრდები ხართ და გეიოლებათ. მარტო რომ დარჩეთ, მაგაზე უარეს დღეში ჩავარდებით.

ეზოში გამოვვარდი და მანქანას ვეცი.

მისის კლივენდონი ის-ის იყო ჭიშკარში გადიოდა. ფანჯარაში თავი შევრგე:

- მომიტევეთ, არ ვიცოდი, თუ ქვრივი იყავით. როდის ინებებთ გეახლოთ და შეშა შეგიტანოთ სარდაფში.

- შეშა?

- ალბათ, შეშის შემზიდავი გყავთ, არა? მოხვნა? როცა დაგჭირდებათ, მოვალ.

- მოხვნა?

- ბოდიშს ვიხდი. მე არ ვიცი, რა საქმიანობას ეწევით აქ. წინათ არასოდეს მიცხოვრია ფერმაში. ჩვენ სამშობლოში წესად გვაქვს, ქვრივებს ერთი დღე მივეხმაროთ, მაგრამ თქვენ თუ სხვანაირი წესი გაქვს, მე დიდი სიამოვნებით გავიღებ ჩემ წვლილს. რა სახითაც არ უნდა იყოს.

- არა, მადლობელი ვარ! ძალიან დიდი მადლობა, - მისის კლივენდონმა გაიღიმა (ამას კი ვერასოდეს წარმოვიდგენდი), - ჯერჯერობით მე თვითონ ვუძღვები საქმეს. სხვათა შორის, იმ კვირას გეცლებათ თქვენ და თქვენს მეუღლეს, რომ მეწვიოთ?

ვეწვიეთ და მის შემდეგ კარგად დავმეგობრდით. ხშირი მისვლა-მოსვლა გვქონდა ერთმანეთში და ერთხელ, როცა უკვე ძველისძველი ნაცნობები ვიყავით, მისის კლივენდონმა მითხრა:

- იცით, პირველად რომ გნახეთ, რაღაც ვერ გაგიგეთ. ვიფიქრე...

- სრულიად გასაგებია, მისის კლივენდონ, ნუ მებოდიშებით. თქვენ ლოთები გეგონეთ, ჩვენ კი ვიფიქრეთ, რომ თქვენზე ავი ქალი აღარავინ შეიძლება იყოს. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, შეცდომა ყველას მოსდის.

მიწას ვერ მოატყუებ

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ვირჯინიაში ვცხოვრობდი, ერთი სახის ქიმიურ პრეპარატს ვიწერდი გერმანიიდან და საბეჭდი მანქანის მელანს ვაკეთებდი. ალბათ, სიკვდილამდე ამ მელნის გაყიდვით ვიცხოვრებდი, გერმანიაში მომხდარი ამბები რომ მომწონებოდა. ახლა კი, აბა როგორღა შემეძლო გამეგზავნა ფული პრეპარატის საყიდლად და სინდისი დამშვიდებული მქონოდა.

ჯერ ვიფიქრე, ჩემს ცენტებს რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი. მე ერთი ვარ, აბა, რას წარმოადგენს ერთი კაცი? მაგრამ შემდეგ ჭკუამ მიკარნახა: ერთი კაცი თუმცა ერთი კაცია, სხვა გზა უნდა მეძებნა თავის გასატანად. გადავწყვიტე მიწათმოქმედება დამეწყო.

პირველი, რაც გამოვარკვიე, ის იყო,

ყველაფერი შეიძლება მოხდეს

ანდუყაფარ ჭეიშვილისეული თარგმანი

გიორგი და ჰელენ პაპაშვილები

რომ თუ ფულის შოვნა გინდა, ქათმები არ უნდა მოაშენო. მაგრამ ამის გამოსარკვევად ათასი დოლარი და ერთი წელი დავხარჯე. ქათმები ფრიად ქურუხი ცხოველები არიან, სასიკვდილოდ კორტნიან ერთმანეთს. ამას გარდა ცეტებიც არიან: დაფართხუნობენ, შფოთავენ, კრიახობენ და სიმართლე თუ გინდათ, თვითონვე პატიჟობენ მელიებს, ძაღლებს, სკუნსებს და სინდიოფალებს, მოგვიტაცეთო.

- დამიჯერე, ქათმის დანახვა აღარ შეიძლია, - ვუთხარი ელენეს იმ დღეს, როცა ბოლო გალია გავყიდეთ, - უკან კობიანთკარში რომ დავბრუნდები, იქნებ დამიჯერონ რადიოსა და მეტროპოლიტენის არსებობა, იქნებ ემპაიერ სტეიტ ბილდინგი და ავტომატებიც ირწმუნონ, მაგრამ, არასოდეს დამიჯერებენ, რომ ამერიკაში ქათმებს სათვალეს უკეთებენ, რომ მათ თუნუქის კაბებს აცმევენ, რათა ერთმანეთი არ დაჭამონ. არაფრით დაიჯერებენ!

ქათმების შემდეგ თხების მოშენება ვცადე. ნეტა რატომ ვერ ეწყობა ადამიანი თხას? მათ აბრეშუმივით პრიალა ბეწვი, ნაზი ტუჩები და ფაქიზი მადა აქვთ - აქ ქორფა ღვარძლას წაწიწკნის, იქ ერთ ბლუჯა რძიან ბალახს გეახლებათ. მერე მადის გასახსნელად ორიოდე ფოთოლს დააყოლებს ან მწარე ღეროს გაღეჭავს. ხან კი სამყურას თითო კვირტებს გასინჯავს - ისე არჩევს მინდორში საჭმელს, გეგონება, კაფეტერიის დახლიაო. ამასთან რძესაც იძლევიან - მთლად ნაღებია. მეტი რაღა უნდა კაცს? მაგრამ ვერც ამ რძეს და ვერც მისგან გაკეთებულ გემრიელ ყველს ვერავის მიჰყიდი. რაღაცა ეჩვენებათ: თხებს სუნი უდისო - ამბობენ. ადამიანებს რა, ნაკლები სუნი უდით?

შემდეგ მეფუტკრეობა ვცადე, მერე სიმინდის მოყვანა, მერე ცხვრები, ხორბალი, ღორები, სელი. გულდასმით დავამუშავე სასოფლო-სამეურნეო ბიულეტინები და სულ მალე თითქმის აღარაფერი დამრჩა საცდელი, თუ საექსპორტო ხმელ ხილს და დედალი ფარშევანგების მოშენებას არ ჩავთვლით (თუმცა აქედან მხოლოდ ქინძისთავის საფასურსა და სიამოვნების მიღება შეიძლებოდა).

სადღაც შეცდომა დავუშვი, მაგრამ სად? ფერმის ბრალი არ არის, რადგან მიწა ნოყიერია და ნაკადულამდე ზომიერი დაქანება აქვს. ესე იგი, მე თვითონა ვარ დამნაშავე. იქნებ საკმაოდ მუყაითად არ ვმუშაობ? მართლაც, ამერიკაში ზოგ საქმეში შეგიძლია წაიყალთაბანდო, მთელი მონდომებით არ იმუშავო, მაგრამ მიწას ვერ მოატყუებ და, ეტყობა, ჩემი მიწაც შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

ამიტომ გადავწყვიტე ერთხელ კიდევ მეცადა ბედი - მთლიანად ჩავხვნოდი მიწას და მთელი ენერგია ჩამეთესა შიგ.

მაგრამ რა მოვიყვანო? ხან რა ვიფიქრე და ხან რა. გაზაფხული ახლად დამდგარი იყო, როცა სასადილოში ვიღაცეების საუბარს მოვკარი ყური. ისინი თესვაზე ლაპარაკობდნენ. ჩემმა მეზობელმა მისტერ გლიდენმა თქვა:

- პამიდორი! პამიდორი ძალიან სარფიანია. დაგირავებული სახლი გამოვიხსენი და სახურავიც გავუახლე. კიდევ მეტი - კანალიზაციის ორმოც ამოვთხარე. ეს ყველაფერი პამიდორის წყალობაა!

ძალიან დავინტერესდი და ვკითხე, სადა ჰყიდით-მეთქი.

- საკონსერვო კომპანია ყიდულობსო, - მიპასუხა ვიღაცამ.

- რომელი კომპანია?

- ტომატის კომპანია, - მითხრა მისტერ გლიდენმა, - მაგრამ მე იმათთან არ ვიჭერ საქმეს. დოკ-სტრიტის ბაზარზე ვყიდი. სეზონის დასაწყისში ერთ დოლარს ან ხანდახან დოლარ-ნახევარსაც ვიღებთ თითო კალათაში, მერე კი, პამიდორის მოლევამდე, იტალიელები თითო ურიკაში 25 ცენტს მაძლევენ, კეტჩისათვის ყიდულობენ.

- კეტჩისათვის?

- ჰო, კეტჩუპისათვის, შემწვარ კარტოფილს რომ ასხამენ ხოლმე.

- პამიდორი ჩემი საქმე ყოფილა, - ვუთხარი ელენეს იმავე ღამეს, - შესანიშნავი ბოსტნეულია; თავისი მეობა გააჩნია. თან იმუშავებ და თან თვალს ასიამოვნებ.

მარტის შუა რიცხვებში თესლების კომპანიას შეკვეთა გავუგზავნეთ. მათ ჩითილები მოგვიმზადეს და მაისში, ჯერსიში

რომ ჩავედით ჩითილების ჩამოსატანად, ისინი უკვე 15-20 გოჯის სიმაღლისანი იყვნენ. ზოგს კი უკვე ესხა პატარ-პატარა პამიდვრები.

მიწა უკვე დამუშავებული ჰქონდა. დარგვა მისტერ გლიდენმა მასწავლა. პალოები მოვამზადეთ - მძიმე და მრუდე ჯოხები. წვერზე თითბერი ჰქონდა გადაკრული. ორმოს ვთხრიდით, შიგ ჩითილს ვდებდით და მიწას მივატკეპნიდით ხოლმე. შემდეგ წყალს მოვასხამდით და ახლა მეორე ჩითილის დარგვას შევუდგებოდით. რამდენიმე საათის განმავლობაში ბალერინებივით ვცეკვავდით. ორმოს ჩათხრა, ჩარგვა, დატკეპნა, მორწყვა, ორმო, ჩარგვა, ტკეპნა, მორწყვა...

ჩითილებმა კარგად იხარა. ორჯერ ისე გულდაგულ გავაფხვიერე მიწა, რომ მუქ წაბლისფერ ხალიჩას დავამგვანე და ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს, როცა სადმე სარეველა გაბედავდა თავის ამოყოფას.

ივლისში პირველი მოსავალი დავკრიფე. ორმოცი კალათა გამოვიდა. მაშინვე დოკ-სტრიტზე გავაქანე, ღამე ბაზარში გავათიე და დილას თითო კალათა თითო დოლარად გავყიდე. კარგი ფასი იყო.

მაგრამ მეორე კვირას მაზანდა დაეცა და ამავე დროს პამიდორმა ისე სწრაფად დაიწყო დამწიფება, რომ იძულებული გავხდი, ბიჭი ამეყვანა დამხმარედ. ბიჭი კრეფდა, მე კი ვფუთავდი.

მთავარი ჩაწყობა იყო.

- საუკეთესოები ყოველთვის ძირში ჩაწყვე და მუშტრებს იმდენ ხანს შეირჩენ, სანამ პამიდვრის მოყვანის ძალა გეყოფაო, - მითხრა მისტერ გლიდენმა, როცა პირველი მოსავალი დავკრიფე და თითქმის მთელი დღე შემოგვწირა, რომ რესტორანში გასაგზავნი კალათების მომზადება ესწავლებინა:

ფსკერზე წრიულად ვალაგებდით მწვანე პამიდვრებს და ცენტრში ერთ დიდ პამიდორს ვდებდით, შემდეგ მეორე რიგს ვაწყობდით, შემდეგ მესამეს, მეოთხეს... სანამ პირთამდე არ აივსებოდა: მუქი მწვანე, ბაცი მწვანე, ღია ვარდისფერი, მარჯნისფერი, ღია წითელი, ალისფერი. ბოლო ორი რიგი ძალიან მწიფე უნდა ყოფილიყო, რომ მზარეულს ქვედა პამიდვრების დამწიფებამდე ისინი ეხმარა. ერთი სიტყვით, მთელი ხელოვნება იყო.

შუა აგვისტოს მერე პამიდორი ზღვად გასკდა. სადღა იყო იმისი დრო, რომ დოკ-სტრიტზე ვმდგარიყავ და ფასზე მეჯანჯლა - შინ უნდა გავქცეულიყავ და ახალი პარტია დამეკრიფა. მერე კვლავ ბაზარში, შინ, ბაზარში, შინ... კვირაში სამ ღამეს მეძინა, თავს ბედნიერად ვთვლიდი. სადილზე ჩანგლის პირთან მიტანას ვერ ვასწრებდი - მეყვინთებოდა ხოლმე. სულ უფრო და

უფრო სწრაფად უნდა მემუშავა. რა მექნა? უნდა გამეძლო, თუნდაც თან გადავყოლოდი. უნდა დამემტკიცებინა მიწისათვის, ღირსეული მფლობელი ვარ-მეთქი. უკვე ადამიანი აღარ ვიყავი - მანქანად გადავიქეცი. პამიდვრის საკრეფ ავტომატად, რომელიც ყოველგვარი დახმარების გარეშე მუშაობს. თანაც ყოველგვარ ამინდში, რომელიც კრეფს, ფუთავს, სწევს, მიაქვს, კრეფს, ფუთავს... მერე სახელური გადაიწევა, კალათი გაქანდება და საზიდავზე იდება. გაქანდება და იდება. მზე კი სულ უფრო და უფრო იკბინებოდა, მტვერი და ოფლი მჭამდა. ოფლს რომ მოვიწურავდი, პამიდვრის ყვავილის ფერფლი სახეზე მრჩებოდა. კაცს დაჟანგული ვეგონებოდი. 27 აგვისტოს 312 კალათა მოვკრიფეთ. რა მოვუხერხოთ ამდენს! ავდექი და საკომისიო კანტორას ჩავბარე, რათა მალე დავბრუნებულიყავ უკან და კვლავ დამეკრიფა.

- სამ-ოთხ დღეში ჩეკს გამოგვიგზავნიან, თითო კალათაში სულ ცოტა ოცდაჩვიდმეტ ცენტს მოგვცემენ - ახლა კარგი ბაზარია-მეთქი, - ვუთხარი ელენეს, როცა შინ მოვბრუნდი. მაგრამ იმ ღამეს ქარიშხალი ატყდა. ფანჯრებზე სეტყვა აკაკუნებდა და შემდეგ მამაპაპური წვიმა დაიწყო. ცას არც მეორე და მესამე დღეს შეუკრავს პირი. მინდორში გასვლაც კი ვერ შევძელი - წებოსავით ტალახი იდგა.

კვირას კაშკაშა მზემ გამოანათა და შუადღისას უკვე ვნახეთ, რაც დაგვტყომოდა თავს - მთელი პამიდორი მიწაზე იყო დაფენილი და ექვს აკრიან ქოთანში იფუთებოდა. ყველაფერი გათავდა.

- რაც არის, არის, - ვთქვი მე, როცა ჩემი მამული შემოვიარე. არავის ბრალი არაა. უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო. პირველი კალათების გაყიდვით აღებული ფულის უმეტესობა ხარჯებზე წავიდა. ახლა იმით, რასაც კომისიონერი გამოგზავნის, სასუქის ვალს გადავიხდით და რაც რჩება, მოგება იქნება. მე მგონი, ამჯერად კარგად წავა ჩვენი საქმე.

ორი დღის განმავლობაში, სანამ ფოსტალიონს ვუცდიდით, ელენეს ვეკითხებოდი, იმ ფულით რა ვიყიდოთ-მეთქი. ბოლოს პაკეტი მივიღეთ. გავხსენით. შიგ ჩეკი იდო. ამაყად შევიტანე ოთახში.

55.75 წაიკითხა ელენემ. რაღაც შეცდომაა. 55.75?! შეუძლებელია.

ელენემ კონვერტიდან მოგრძო რაღაც ამოიღო: - 163 კალათი 38 ცენტად = 61.94 მინუს 10% 55.75, 149 კალათა გადაიყარა.

- გადაიყარა?

- ჰო, გადაყარეს, - ელენე ფანჯარას მიადგა და ბოსტანს დაუწყო მზერა, - მათ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ.

გულზე რაღაც მომაწვა. არც კი გამაგებინეს. წამოვიღებდი და დამშეულებს დავურიგებდი ქუჩაში. გადაყარეს, ჩემი პამიდორი ფილადელფიის მდინარის ფსკერზეა. იქნებ ჯერ კიდევ მთელებია, წითლები, პრიალები. ახლა, ალბათ, იმ მდორე მდინარის ფსკერზე, ლამში ყრია და ლპება, ჩემი შრომა წყალში ჩაყარეს.

იქნებ ვინმეს მოსწონდა ასეთი ცხოვრება, მე კი არა. ისევ სამსახურს მივუბრუნდი.

ამის შემდეგ ხშირად მიფიქრია, მაგრამ ვერასოდეს მივხვდი, თუ რატომ ხდება, რომ კაცს მიწა და ორივე ხელი აქვს და ლუკმაპურს კი ვერა შოულობს. წარმოუდგენელი ამბავია! მაშ, თავიდან როგორ აშენდა ეს ქვეყანა? არა, რაღაც მიზეზია.

მაგრამ რა?

ძია ვანო მარად იცოცხლეგს

ჩვენს ფერმაში ხეების რგვა დავიწყეთ.

გვინდოდა სიბერეში ტყე გვქონოდა. ათასობით პატარა, ტოტის ოდენა ხე დავრგეთ. საშობაო მწვანე ნაძვები, ფიჭვები, რომლებშიც შაშვები იჭახჭახებდნენ, არყის ხეები, რომლებიც ლაღად იზრდებიან ხოლმე.

შუა მუშაობაში რომ ვიყავით გართულნი, ფოსტალიონმა ორჯერ დაიჩხავლა ჭიშკართან - დეპეშა! დეპეშა!

იგი ემილიას გამოეგზავნა:

„ძიღლეთ ჩემი სალამი და კოცნა. ცუდი ამბავი უნდა შეგატყობინოთ. ჩამოდით დასაფლავებაზე. ძია ჯონი მოკვდა“.

ძია ვანო აღარ არის!

გული მწუხარებით აგვევსო და ირგვლივ თითქოს ჩამობნელდა კიდეც.

ძია ვანო მოკვდა? რაღაც სიცარიელე ვიგრძენი მკერდში. ვიღა გამახსენებს სამშობლოში გატარებულ დღეებს, ჩვენ სოფელს? ვიღა გაიხსენებს იმ დროს, როცა ჯარიდან გამოქცეული პეტრე შევიფარეთ, ბუცას ოინებს, ან იმას, ვერცხლით მოჭედილი ქარქაშის გაკეთებაში ჯილდო რომ მივიღე? ვიღა იხარხარებს, როცა მოვყვები, პოლიციის უფროსი რომ დათვრა და საღორეში დაიძინა?

არავინ!

ვინ მომიჯდება სუფრაზე გვერდით და ვინ დალევს იმ მეგობრების სადღეგრძელოს, რომლებსაც მარტო ჩვენ ორნი ვიცნობდით. აღარავინ მომიტანს შესაკეთებლად თავის ხარახურას - გატეხილ დანებს, გაფუჭებულ ელექტრორეკლამებს, ზამბარა გაწყვეტილ ფონოგრაფებს, ხორცის საკეპ მანქანებს. ბიჭო გოგიასაც არავინ დამიძახებს. არა, მარტო ძია ვანო კი არ დამიკარგავს! - მასთან ერთად თითქოს სამშობლოს ნაწილიც დავკარგე!

დიდი დასაფლავება გვქონდა. მე მგონი, თვითონაც ნასიამოვნები დარჩებოდა, რომ დაენახა. კუბო ეკლესიის შუაგულში იყო დასვენებული და ირგვლივ იმდენი ყვავილები ელაგა, ბაღი გეგონებოდათ. ვარდები, მინდვრის ზამბახები, მიხაკები, ყვითელი ნარგიზები, სუმბულები... ვიღაც ბავშვმა დამჭკნარი იების თაიგული მოუტანა. იგი წინათ არასოდეს მინახავს, მაგრამ ძია ჯონმა, ალბათ, მასაც დასდო ამაგი.

ბესომ სანთლები ჩამოგვირიგა. სანთლები სათითაოდ აინთო.

სულ ცოტა სამასი კაცი იქნებოდა. ორი პიტსბურგიდან იყო, ერთი ვირჯინიიდანაც კი ჩამოსულიყო. სანამ მღვდელი ფსალმუნს კითხულობდა და მუსიკა უკრავდა, მე ჩვენს ბოლო შეხვედრაზე ვფიქრობდი. ეს სულ ორიოდე კვირის წინ იყო.

კალიფორნიიდან გამოსვლის შემდეგ ძია ვანომ ერთი პატარა რესტორანი შეიძინა „მეოთხე ქუჩაზე“, მაგრამ ერთ დღეს მობეზრდა და იმავე დღეს ექვსი თუ შვიდი რუსი შეიამხანაგა. ღამით ყველა ერთად მოვიდა საბუთების გასაფორმებლად და თან თითო ადვოკატი მოიყვანეს. პირველად ცოტა არეულობა მოხდა, მაგრამ ბოლოს მორიგდნენ და მთლიანად გადაიხადეს თავთავიანთი წილი.

- უპირველეს ყოვლისა, - მითხრა ძია ვანომ, - მე იმდენი ფული უნდა გადავდო, რომ იგორ ანდრეიჩს საუკეთესო ფეხი ვუყიდო. დე, კვლავ იცეკვოს - ესიამოვნება. მერე ჩანჩო გავიყოლიოთ, სტრიტზე წავიდეთ და დანარჩენი ფულით სულ საჩუქრები ვუყიდოთ ჩვენს მეგობრებს.

ჯერ ყველა ზომისა და ყაიდის ხელთათმანებით სავსე ურიკის ყიდვა უნდოდა.

- იცი, გავაგოროთ და მეგობრების სახლებს ჩამოვუაროთ. გამოვლენ ქუჩაში და რამდენიც უნდათ, იმდენს ამოირჩევენ. თან ტკბილი სიტყვებიც დავაყოლოთ. კარგი ხუმრობა გამოვა! რას იტყვი ამაზე?

მაგრამ გამყიდველი ვერაფრით შეელია ურიკას.

- არა უშავს, მაშინ მარტო ქალებისათვის ავარჩევ საჩუქრებს, - გადაწყვიტა ძიამ, - კაცებს კი ვაქციფებ.

კარგა ორი საათი ვათვალიერეთ ვიტრინები. ბოლოს, ძია ვანოს რაღაცამ მოსტაცა თვალი პირველი სართულის ვიტრინაში.

- წვივსაკრავები, - უთხრა მან ნოქარს, როცა მაღაზიაში შევედით, - აი, ისეთი, ფანჯარაში რომაა - ჭრელები. ან აი, ისინი, ფარშევანგის ფრთებიანი. რაიმე მდიდრული.

- ნოქარმა ყველანაირი წვივსაკრავებით სავსე ყუთი გადმოგვიღო. ძიამ ერთი წყვილ წითელ სატინის წვივსაკრავებზე შეაჩერა არჩევანი და ფასი იკითხა.

- გროსი 12 დოლარი.

- გროსი რას ნიშნავს?

- 144 წყვილს.

- მომეცით. ამდენ ქალს ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თანდათან გავიცნობ.

ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. სრულ სიმართლეს ამბობდა, რადგან შეერთებულ შტატებში რომ ჩამოვიდა, რუსული, თურქული, ასურული, სომხური, აზერბაიჯანული და ქართული იცოდა. ბუნებრივია, რომ ინგლისურისათვის ბევრი ადგილი აღარ დარჩებოდა თავში. ამიტომ, როცა რომელიმე საჭირო სიტყვას ვერ იხსენებდა, უბრალოდ იტყოდა ხოლმე „I luff gon“ და რაღა თქმა უნდა, უამრავ მეგობარს იძენდა, განსაკუთრებით ქალებს.

როცა გარეთ გამოვედით, ძია ვანოს ახალი აზრი მოუვიდა თავში:

- გამიგონე, - უთხრა მან გამყიდველს, - მე მინდა რამდენი წვივსაკრავიც მიმაქვს, იმდენი ეჟვანი ვიყიდო ქამრის ბალთაზე დასამაგრებლად. ქალები სულ რაწკარუწკით ისეირნებენ. რაღაც არაჩვეულებრივი რამ იქნება!

- ძვირი დაგიჯდებათ, მარტო ჯაფა იანგარიშეთ...

ძია ვანომ ფული გაუწოდა.

- ხარჯი რა სახსენებელია, აი, ფული. გახსოვდეს, ბიჭო, - მომიბრუნდა ძია, - როცა საჩუქარს ყიდულობ, ყოველთვის რაიმე ძვირფასი შეარჩიე, ან არადა, სულ ნუ იყიდი.

როგორ შეიძლებოდა ძია ვანოსთანა კაცი მომკვდარიყო?

კაცი, რომელსაც ასე უყვარდა ქვეყანა, რომელიც ასე დაუმეგობრდა ცხოვრებას. მაგრამ ძია ვანო აღარ იყო და ახლა საცეცხლურს აქანავებდნენ, ირგვლივ საკმევლის სუნი დგებოდა. მერე ლოცულობდნენ... მაგრამ ძია ვანოს არც გუნდრუკი სჭირდებოდა და არც ლოცვა, რაც კი სიკეთე დაეთესა, კუბოს ირგვლივ მდგომთა სახეებზე წაიკითხავდით, მათ ცრემლებში დაინახავდით, ცრემლებში, რომლებიც ალმასივით ბრწყინავდნენ სანთლის შუქზე.

საწყალი ჩანჩო მოშორებით იდგა, მაგრამ ძია ვანოს სახიდან სუდარა რომ ახადეს, მივიდა და სახეზე აკოცა, მერე კიდევ მობრუნდა, კიდევ და კიდევ...

მკლავში მოვკიდე ხელი და ვუთხარი:

- მოდი, ცოტა ხნით გვერდზე გავდგეთ, ძია ვანოს სხვა მეგობრებიც ჰყავდა.

- გიორგი ივანიჩ, - ძლივს ამოილუღლუღა საწყალმა ბიჭმა, - ძია ჯონმა დამტოვა, რატომ დამტოვა, რატომ?!

- ასეა, ჩანჩო! ყველანი დავიხოცებით!

- ვაჯავრებდი ხოლმე. ძალიან ხშირად. მაგრამ განა განგებ. თვითონაც იცოდა, რომ უნებლიეთ მომდიოდა.

- იცოდა, ჩანჩო, იცოდა.

- მე სულელად მთვლიან. ყველა ასე ამბობს. ბიჭები ქვებს მესროდნენ. მარტო ძია ჯონმა იცოდა, რომ გიჟი არ ვიყავი. ეს ქვეყანა ყველას ეკუთვნისო, ამბობდა.

- მართალია!

- ო, ძია ჯონ! ძია ჯონ!

- ნუ, ჩანჩო, ნუ. იგი ვეღარასოდეს ვეღარ გამოგეხმაურება, ამით მარტო სხვებს აუჩუყებ გულს!

- ახლა ძია ჯონი აღარაა და ისინი კვლავ დამიწყებენ ქვების სროლას.

- არა, ჩანჩო! ნუ გეშინია. თუ გინდა, ჩემთან წამოდი. ეს ქვეყანა ყველას ეკუთვნის, მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ მარტო ძალიან ცოტას, მარტო ძია ჯონის მსგავს ადამიანებს სწამთ ასე!

იმ ცივ, ნესტიან დღეს ყველა დიდხანს ვიდექით ძია ვანოს საფლავის პირას და მღვდელს ვუსმენდით. ვიღაცის ცივი ხელი გულის ფიცარზე მიკაკუნებდა, როცა საფლავიდან ამოყრილ მიწას თვალს მოვაცილებდი და მეზობლებს გადავხედავდი, მათ სახეზედაც ჩემ საკუთარ შიშსა ვხედავდი. თითქოს სარკეში ვიხედებოდი. ილიკო, არსენა, კოსტა - ყველანი, მუჭით რომმი-

წას აყრიდნენ კუბოს, ფიქრობდნენ, ნეტა ვინ იქნება შემდეგიო? იქნებ მე უნდა მოვკვდე ძია ვანოს შემდეგ, სამშობლოს მოშორებული. დავიმარხები უცხო მიწაში და ჩემი საფლავის ქვის წარწერასაც ვერავინ წაიკითხავს!

უკან კრიჭაშეკრული დავბრუნდით.

ქელეხი ანტოსთან იყო დანიშნული, მაგრამ მანამ ვერ დავიწყებდით, სანამ ზაქარას და ბესოს არ შევარიგებდით. ისინი სამი წელი იყო, რაც ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. მეც კვლავ უნდა დავმეგობრებოდი კუკულას - რაც მოხდა, უნდა დავივიწყა, და ეს ყველაფერი ძია ვანოს ხსოვნის პატივსაცემად იყო. ძველისძველი, მაგრამ საუცხოო ადათია. იგი ადამიანს საშუალებას აძლევს საფლავში მაინც შეასრულოს მოვალეობა, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში აკისრია: ტკბილი ურთიერთობა დაამყაროს თავის მეგობართა შორის.

ასე რომ, ოცი კაცი შემოვუსხედით მაგიდას. ჩვენ ძია ვანოს სულის მოსახსენებელი უნდა დაგველია და ამ დღის შესაფერი კერძი - ცხელი შილაფლავი გვეჭამა, - ძალიან მარგებელია ახლად გათხრილი საფლავის ცქერით აკანკალებულ და სულიერად დაცემულ ხალხისათვის.

მაგრამ განა მარტო ძია ვანო ვახსენებთ იმ დღეს. ყველა მოვიგონეთ, ვინც კი სუფრაზე გვაკლდა. დავითი, რომელმაც იმდენი იწვალა ჩურჩხელის დამზადებაზე, რათა აქ დაბადებულ ბავშვებს მშობლიური ტკბილეულის გემო გაეგოთ. პაპა მონტო, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში დაუღალავად ნადირობდა ქართულად მოლაპარაკეზე და ამ წლებს დაკარგულად არ თვლიდა. მერე ნიკო, ვასო, პეტრია და ბევრი სხვა. არავინ გამოგვრჩენია. როგორღაც ამ სუფრამ ის შეძლო, რასაც ვერავითარი სიტყვები ვერ შეძლებდა - გამოგვაბრუნა და იმის იმედი ჩაგვისახა, რომ, როცა კი ვინმე მეგობარი სუფრას მიუჯდებოდა, ჩვენც მოგვიგონებს. ამაზე მეტი რა უნდა ინატროს კაცმა?

როგორც ყველაფერი ამქვეყნად, ჩვენი სუფრაც დასასრულს მიუახლოვდა. ილიკო წამოდგა და ბოლო ჭიქაც ძია ვანოს სახსენებლად ასწია:

- ამ პატარა ჭიქით მე მინდა იმ კაცის მოსახსენებელი დავლიო, რომელიც იმდენად ჭკვიანი აღმოჩნდა, რომ ქონება არ დაგვიტოვა, რათა ერთმანეთს არ წავიდებოდით. ქონების ნაცვლად მან თავისი გემოვნება დაგვიტოვა და თან მთელი თავისი ცხოვრებით გვასწავლა, თუ როგორ უნდა მოიხმარო ერთიცა და მეორეც. ამქვეყნად ჯერ კიდევ უამრავი რამაა მოსაგვარებელი, ამიტომ, დე მღვდელმა მომიტევოს, თუ ცოტათი შევცვლი ბიბლიის იმ სიტყვებს, რომელიც მან სასაფლაოზე წაიკითხა. ცოტა სხვანაირად ვიტყვი - ჩვენ სიკვდილის წიაღშიც ვცოცხლობთ. ამინ!

სადღეგრძელო

- მოდი, წვეულება გავმართოთ, - ვუთხარი ელენეს, როგორც კი ბანკიდან გამოვედით.

- ახლა რატომღა?

- მე ხომ ბოლო შესატანი გადავიხადე, მე ხომ ერთი ნაგლეჯი ამერიკული მიწის მფლობელი გავხდი.

- საბაბის გამონახვა არ გიჭირს. როდის მოვაწყოთ და ვინ დავპატიჟოთ?

- აღდგომაა... ყველა უნდა დავპატიჟოთ, ყველა ჩვენი ქართველი და ამერიკელი მეგობარი. ძალიან დიდი ქეიფი უნდა გადავიხადოთ. ისეთი, რომ მომავალში რაიმეს რომ მოჰყვებიან, აღნიშნონ, ეს ამბავი ჩვენს ქეიფამდე მოხდა თუ ქეიფის შემდეგ.

- ყველაზე კარგად სად ვიქეიფეთ, თუ გახსოვს? - მკითხა ელენემ.

- ძნელი სათქმელია. მგონი, ბესოს ქალიშვილი რომ გათხოვდა, მაშინ, - ვუპასუხე ცოტა ფიქრის შემდეგ, - გახსოვს, სამ დღეს უკრავდნენ მუსიკოსები. ახალ სუფრას რომ გაშლიდნენ, ხონჩებით ცხელ-ცხელი ჭადები მოჰქონდათ ხოლმე. ძალიან კარგი იყო. შენ რომელი მოგეწონა ყველაზე უფრო?

- ილიკოსთან რომ ვიყავით შობა თუ აღდგომა იყო, მგონი, აღდგომა. ვასო იყო თამადა. სუფრას უძღვებოდა და ახალ-ახალ სადღეგრძელოებს გვთავაზობდა. ერთი შესანიშნავი რამ თქვა - ვიღაცამ ჭიქა ასწია სადღეგრძელოსათვის: - ეს ისეთ კაცს გაუმარჯოს, ვისაც თავისი ქვეყნის წინაშე ღვაწლი მოუძღვისო. ვასომ უპასუხა: კაცმა რაც უნდა გააკეთოს, სამშობლოს ვალს მაინც ვერ გადაიხდისო. კარგი ნათქვამია, არა?

- აი, რა დამამახსოვრდა ყველაზე უფრო, - განაგრძო ელენემ, - ორი საათი იყო, მაგიდას რომ მივუსხედით. თევზი, სალათა, - რა გინდა, რომ სუფრაზე არ ყოფილიყო; ორი საათის შემდეგ ნამუსრევიღა დარჩა. ემილიამ აალაგა და ახალი სუფრა დაადინა - წიწილები და ლორი მოგვართვა. დილამდე ექვსი სუფრა გამოცვალა. მეექვსედ ზეწარი გადააფარა სუფრას!..

- მე წავალ, სადმე გოჭს ვიშოვი, ეზოში შამფურზე შევწვათ.

- მე ყველაფერს მოვამზადებ, რაც კი ვიცი, სულ ყველაფერს.

- ოღონდ იცოდე, რასაც მოამზადებ, ყველაფერი ბღომად იყოს.

ხალხი დავპატიჟეთ, შაბათს ჩვიდმეტი კაცი და ოთხი ბავშვი გვესტუმრა. ჩვენიანად ოცდასამი მოვდროვდით.

- კარგია, - ვუთხარი ელენეს, - ამაზე არც მეტი ვარგოდა და არც ნაკლები.

ასეც გამოდგა. ოთხ საათზე სუფრას რომ შემოვუსხედით, სწორედ იმდენი ვიყავით, რამდენიც კარგი ქეიფისათვისაა საჭირო. ყველა სიამოვნებით შეუდგა ჭამასმას. ვიმღერეთ ქართული სიმღერები. ამერიკელმა მეგობრებმა საპასუხოდ შესანიშნავად იმღერეს რომელიღაც სახლზე კენტუკში, სადაც ისინი წინათ ცხოვრობდნენ და ვიღაც ლედის შესახებ, რომელიც მუხლმოყრილი უკრავდა ბანჯოს: იმღერეს გაჭირვებაში ჩავარდნილ კოვბოეებზე. იმღერეს ყველა ლამაზი კოლეჯური სიმღერა. ჩემი აზრით, ისინი ყველაზე ლამაზი სიმღერებია ამერიკაში, განსაკუთრებით კი ფეხბურთის შესახებ, ძალიან მუსიკალური თამაში უნდა იყოს, კარგი საყურებელი იქნება.

ერთ-ერთი მანდილოსანი ესტონელი იყო - ვერა პეტრეს ასული. ყველამ ერთად თქვა, რომ კალიფორნიის უნივერსიტეტის ჰიმნი და ესტონური სიმღერა, რომელსაც ძეობაზე მღერიან ხოლმე, ერთ ჰანგზე იმღერებაო. დიდხანს იმღერეს და ძალიანაც ისიამოვნეს. ხანდახან მომღერლებს ბედი შეიწყალებდა და მოტივე ერთმანეთს დაემთხვეოდა ხოლმე, მაშინ კი ნამდვილი დუეტი გეგონებოდათ.

დიახ, კარგი ხალხი მოვგროვდით. მე ავდექი, ბოდიში მოვიხადე და ეზოში გავედი, მინდოდა გულში ჩამჭედოდა, მინდოდა სამუდამოდ დამმახსოვრებოდა ხეებს შორის დარხეული ჰანგები, საკვამურიდან ამოსული კვამლის ბოლქვები, შემწვარი ხორცის, ნამცხვრისა და ერბოს სურნელი, რომელიც სამზარეულოს ღია კარიდან გამოდიოდა, ოქროსფრად განათებული ფანჯრები და ხალხი - ჩემ სახლში მოლხენილი ხალხი!

როცა ოთახში შევბრუნდი, სტუმრები კვლავ მღეროდნენ: „ვის უტოვებს კაცი სახლ-კარს, როცა ომში გაიწვევენ?!“ - იკითხა პეტრეს ძლიერმა ბანმა, „ცოლს უტოვებს, ერთგულ ცოლსა“, - უპასუხა ბესოს ტკბილმა მოძახილმა და შემდეგ ყველამ ერთად გაიმეორა: „ცოლს უტოვებს, ერთგულ ცოლსა, როცა ომში გაიწვევენ“.

- მე ახლა ბოლო ჭიქა მინდა დავლიო, - თქვა პეტრემ, - ჩვენმა თამადამ, როცა სიმღერის ხმა მიწყდა, - თუმცა ჯერ თერთმეტი საათია, მაგრამ ხვალ აღდგომაა და თავი უნდა შემოვინახოთ.

მეორე დილას ჩვენ, უცხოელებმა, ჩვეულებისამებრ ერთმანეთი გადავკოცნეთ და აღდგომა მივულოცეთ ერთმანეთს, „ქრისტე აღსდგა“.

- ლამაზი ჩვეულებაა, - თქვა მისის ბეტიმ, - რომელიც საუზმეს უწყობდა ბავშვებს, - რას ნიშნავს „ქრისტე აღსდგა?“

მე ვუთარგმნე, რასაც ნიშნავდა. უნდა უპასუხოთ - „ჭეშმარიტად“. ეს ნიშნავს: მე მწამს, ნამდვილად მჯერა, რომ აღსდგა. ეს ჩვენებური მილოცვაა, თქვენ, ამერიკელებმა ხომ იცით აღდგომის მილოცვა - ბედნიერ აღდგომას გისურვებთო, ამბობთ.

- თქვენი სჯობს, „ქრისტე აღსდგა“, ძალიან მომწონს. ლამაზი და ჭკვიანურია, აღდგომა დილისათვის „ქრისტე აღსდგა“.

- ქრისტე აღსდგა, - შემოგვძახა ბესომ, სამზარეულოში შემოვიდა და გადაგვკოცნა.

- მჯერა თუ როგორ ამბობთ? ჰო, ნამდვილად მწამს, რომ აღსდგა, - უპასუხა მისის ბეტიმ, - მე კი მეგონა ათეისტი იყავ, ბესო.

- ვარ კიდეც. ავიღოთ, მაგალითად, ადამისა და ევას ამბავი...

- ვიცი, გუშინ არ მიხსნიდი? მაგრამ რატომღა ამბობ, ქრისტე აღსდგაო!

- რატომ? - ბესო, ცოტა არ იყოს, შეცბა, - მარტო იმიტომ, რომ აკაკი ათეისტია... პეტრე, შალიკო! მან ორივე ორ-ორჯერ გადაკოცნა და განაგრძო: - კაცი თუ ათეისტია, ზრდილობა არ უნდა ჰქონდეს. - ვის უნდა სააღდგომო კვერცხი დავურტყა?

- მე, მე, - შემოესივნენ ბესოს ბავშვები.

- არა, ჯერ ის კვერცხები მონახეთ, თქვენი სახელები რომ აწერია, ასეთია წესი... უკვე იპოვეთ? წვერით უნდა დავარტყათ, - აი, ასე. მე დავიჭერ, შენ დაარტყამ, გატეხილი კვერცხი გამტეხისაა. წაგებული ჯარიმასაც იხდის, მაგრამ ეს წაგებული მე არ ვიქნები, არა! მაშინ ბესოც აღარ ვიქნები! აბა, მოდის! რაო? ჩემი გატყდა? ეგ როგორ მოხდა? აბა, ეს მეორე ვცადოთ.

ბავშვები ხტუნვით უვლიდნენ ბესოს გარშემო და ეხვეწებოდნენ: ახლა მე, ახლა მე! ბესოს ოთხი კვერცხი გაუტეხეს. მან ჯიბიდან ოთხი საჩუქარი ამოიღო და მაგიდაზე ჩაამწკრივა.

- საოცარია, - ამოიხვნეშა ბესომ, - ყველამ როგორ მაჯობა! გიორგი, მეორე აღდგომას ქვის კვერცხი უნდა გამიკეთო. ლურჯად შევღებავ, მოვხატავ და ყველას ვაჯობებ. ოღონდ სიტყვა არ დაგცდეს ვინმესთან!

ოთხივე ბავშვმა უარის ნიშნად თავი გააქნია, ოთხივე აჭყლოპინდა: არა, არა!

- აი, ყოჩაღ, სამაგიეროდ ოთხივეს შეგიამხანაგებთ.

საუზმის შემდეგ ცეცხლი დავანთეთ. როცა ნაკვერჩხალი დაცვივდა, გოჭი შამფურზე წამოვაგეთ, მიწაზე ჩარჭობილ ორკაპა ჯოხებზე გავდეთ და მანამ ვატრიალეთ, სანამ არ დაიბრაწა და ტკაცატკუცი არ დაიწყო. შორიახლო ჩაცუცქულ ძაღლებს ენები გადმოეგდოთ და მშიერი თვალებით მიშტერებოდნენ ჩვენს გოჭს. ხალხიც ამ დღეში იყო.

იმ დღეს თამადად შალიკო იყო და კარგადაც გაართვა თავი საქმეს. სიმღერა არ წყდებოდა, ჭიქები იცლებოდა, ისეთ სადღეგრძელოებს ამბობდა, რომ ყურში კი არა პირდაპირ გულში გვხვდებოდა.

- აბა, სმენა იყოს, - თქვა მან ბოლოს, - ჩვენ მრავალი სადღეგრძელო შევსვით დღეს - სუფრის წევრებისა სათითაოდ, ბავშვების, მშობლების, ჩვენი დიასახლისის, ოჯახის უფროსისა, ახლა ერთი განსაკუთრებული სადღეგრძელო მინდა დავლიოთ. პეტრე, შეწყვიტე, გენაცვალე, მაგ თხილის მტვრევა და მომისმინე.

- სიამოვნებით. ნეტა უფრო დიდი ყურები მქონდეს, მაშინ უკეთესად მოგისმენდი. მე გისმენ და უფრო მეტიც - ვსვამ.

ვიღაცამ ჭიქა შეუვსო პეტრეს. მან სინათლეზე გახედა ღვინოს.

- შესანიშნავი ღვინოა. გამდნარი ლალივითაა. იმედი მაქვს, კარგ სადღეგრძელოს იტყვი, შალიკო, - ამ ღვინოს რომ შეეფერება, ისეთს...

- სანამ შემაწყვეტინებდნენ, გეუბნებოდით, განსაკუთრებული სადღეგრძელო უნდა დავლიო-მეთქი. ჰოდა, ამ პატარა ჭიქით სამშობლოს გაუმარჯოს. ჩვენ გვიხარია, რომ სუფრასთან ამდენ ამერიკელს ვხედავთ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ წინათ მათ პატივი გვცეს - თავიანთ ფართო სუფრასთან მიგვიწვიეს და გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ. ჩვენ ვცდილობდით კარგი სტუმრები ვყოფილიყავით და იმედი მაქვს, ვიყავით კიდეც. ეს ერთი სამშობლოა. მათ გარდა მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი შევიკრიბეთ აქ - ქართველები, რუსები, ბერძნები, ლატვიელები, ესტონელები, ირლანდიელები - ნამდვილი ერთა ლიგაა. მე ვსვამ ყველას სამშობლოს სადღეგრძელოს და როცა ვხედავ, თუ როგორ მშვიდობიანად ვსხედვართ ერთმანეთის გვერდით, მწამს, რომ მთელი მსოფლიო მოგვბაძავს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ბედნიერი ცხოვრების ერთადერთი გზაა. მაშ ასე - სამშობლოს გაუმარჯოს!

- სიამოვნებით ვსვამ, - ვთქვი მე, - სამშობლოს გაუმარჯოს, სამშობლოს, რომლის იატაკი დედამიწაა, ჭერი კი ზეცა.

დასასრული

ჩვენი მეგობარია ძმები მერაბ ბოთერაშვილი

მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის უახლესი და ყველაზე უდღეგიანი მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!

ძმები მერაბ ბოთერაშვილი

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

VEIN & LASER CENTER

სიმონ არველაძე - 95

ჟურნალის ამ ნომრის გამოცემისას საქართველოში აღნიშნავენ ქუთაისის საპატიო მოქალაქის, კრიტიკოსისა და პოეტის, ბატონ **სიმონ არველაძის** 95 წლის იუბილეს. მკითხველი საზოგადოება მას კარგად იცნობს ცნობილი ნაშრომით „ომგადახდილი ვეფხისტყაოსანი“.

რამოდენიმე ხნის წინ კი ჩვენმა რედაქციამ საჩუქრად მიიღო მისი რჩეული ნაწარმოებების ტომეულები და ახალი წიგნიც - „შორეული თავისიანები“.

ვუერთდებით საიუბილეო ღონისძიებებს და გთავაზობთ ორ ნარკვევს ამ წიგნიდან.

მარცხნიდან
სიმონ არველაძე

ჯორჯ ბალანჩინი რთული და ძნელად შესაცნობი ფენომენია. მისი მაღალი ხელოვნების არსი, საიდუმლოება, ხიბლი და სპეციფიკა პროფესიული განსჯისა და შეფასების საქმეა. მდენად, ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, ჯორჯ ბალანჩინის საბალეტო ჯადოქრობის არსი და თავისებურებანი განვსაჯოთ.

ეს ჩვენს კომპეტენციას აღემატება.

ამჯერად, ჩვენი მოკრძალებული სურვილი და მიზანია, საშობლოს გარეთ, შორეულ ქვეყანაში, ამ ამერიკელი ქართველის მოღვაწეობის, დიდებისა და პოპულარობის ამბავი ზოგადი შტრიხებით წარმოვაჩინოთ ქართველი მკითხველისათვის.

ბალანჩინის სახელი ამერიკაში ლეგენდად არის ქცეული. იგი მიაჩნიათ იმ ქვეყნის შვილად,რომლის ხელოვნებამ დაიპყრო ამერიკა და მსოფლიოში მოახდინა საბალეტო ხელოვნების რევოლუცია. იგი პირველი შვილია ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძისა. მისი ძმაც, ანდრია, ცნობილი კომპოზიტორია.

მელიტონ ბალანჩივაძე ახალგაზრდობისას სწავლობდა რუსეთში, პეტერბურგში, აქ ეზიარა იგი საბალეტო ხელოვნებას, აქვე დაოჯახდა, ცოლად შეირთო ვასილიევას ქალი, რომლის ერთგულებითა და თანადგომით თვალსაჩინო წარმატებასაც მიაღწია ხელოვნების ურთულეს სფეროში. მათ შეეძინათ სამი შვილი - ორი ვაჟი და ერთი გოგონა. სამივე პეტერბურგში გაიზარდა და ჩამოყალიბდა ღირსეულ მოქალაქეებად და მოღვაწეებად.

უმცროსი ძმა, ანდრია დაბრუნდა საქართველოში და თბილისში განაგრძო შემოქმედებითი მუშაობა, უფროსი ძმა - გიორგი კი პეტერბურგში დარჩა. იგი საიმპერატორო ქორეოგრაფიული სასწავლებლის და პეტერბურგის კონსერვატორიის აღზრდილი იყო. საბალეტო ხელოვნებას ეუფლებოდა რუსული საბალეტო სკოლის საფუძველზე. ერთ-ერთმა მასწავლებელმა (დიაგილევი) ბალანჩინს მოღვაწეობის დასაწყისში გამოუცვალა გვარი და ჯორჯ ბალანჩინი დაარქვა.

მისი ამერიკელი ბიოგრაფი უოლტერ სორელი წერდა - „ბალანჩინი, რომელშიც ქართული სისხლი ჩქეფს, 27 წელიწადზე მეტია - ამზადებს და აშალაშინებს კლასიკური ბალეტის ამერიკელ ოსტატებს, სჭედს და ჰქმნის მოცეკვავეთა ეროვნულ კადრებს“. სწორედ, ამ ხნის განმავლობაში ბალანჩინმა დაიმსახურა ის, რომ სიტყვები „ბალანჩინის მოწაფე“ უმაღლესი მოცეკვავის სინონიმია. მან შექმნა ამერიკის კლასიკური ბალეტის თანამედროვე სტილი და ამისათვის საუცხოოდ გამოიყენა იქაური პირობები. პლასტიკური მრავალფეროვნებით და უეცარი მხატვრული ელემენტით ბალანჩინს სიამოვნებით ადარებენ მხოლოდ პაბლო პიკასოს.

1904 წელს გავრცელდა საგაზეთო ინფორმაცია: „რუსეთის იმპერატორს არ მოეწონა პეტიპას რომელიღაც დადგმა და თეატრის ბალეტმაისტერობა ჩამოართვა მას“. იმავე წლით დათარიღებულ ერთ-ერთ ბარათში პეტიპა წერდა: „მე ძალიან ბევრი რამ გავაკეთე რუსეთში, ახლა კი ასე უდიერად გამომაგდეს. ყველაფერი გათავდა ბალეტში“.

ეს ბარათი 8 იანვარს არის დაწერილი. მეორე დღეს, 9 იანვარს დაიბადა ქართველი ბიჭი, რომელმაც, ჯორჯ ბალანჩინად ქცეულმა, მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ბალეტში არასოდეს არაფერი მთავრდება.

ჯორჯ ბალანჩინის გენიალობის ნათელსაყოფად ფრიად მნიშვნელოვანია 2004 წელს რუსეთში გამართული ფესტივალის „ბალანჩინის საუკუნე“ (1904-2004) მრავალფეროვანი პროგრამა. ეს იყო რუსეთ-ამერიკის პროექტი, რითაც კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქორეოგრაფის ხსოვნას.

„უსაზღვრო და უკიდეგანო ბალანჩინი“ - ასეთი სათაურით დაიბეჭდა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (6189, 2004 წ.) არკადი სოსნოვის სტატია, რომელშიც მოთხრობილია კამათის თაობაზე ფესტივალის რუსეთ-ამერიკის პროექტის მონაწილეთა შორის. სტატიაში ნათქვამია, რომ რუსეთს ჯერ არ უნახავს ამდენი და ასეთი რაოდენობით ბალანჩინი. ხაზგასმულია ის, რომ რუსეთ-ამერიკის პროექტმა, რომელმაც გააერთიანა ადამიანები, რომლებისთვისაც ძვირად ფასობს ბალეტის ბრწყინვალე ინოვატორის შემოქმედება და მემკვიდრეობა, მისცა დასაბამი აგრეთვე საინტერესო კამათს იმის შესახებ, თუ რომელ ეროვნულ სკოლას ეკუთვნოდა ეს გენიოსი ხელოვანი.

ამ სტატიაში სრულად არის წარმოდგენილი პოლემიკა ფესტივალის ოკეანის გადაღმელი სტუმრებისა რუს კოლეგებთან. მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, გავაცნოთ აქ გამოთქმული რამდენიმე მოსაზრება:

პირველი ვერსია: ჯორჯ ბალანჩინი არის რუსული წარმოშობის ამერიკელი ქორეოგრაფი, ამერიკამ მისცა მას ფული და ძიების თავისუფლება. ბალანჩინმა ჩამოაყალიბა ამერიკული ბალეტი;

მეორე ვერსია: ბალანჩინი არის რუსი

ქორეოგრაფი, რომელიც ბედის უკუღმართობის გამო ცხოვრობდა და მუშაობდა ამერიკაში. ყველაფერი დაიწყო პატარა დასით, მხოლოდ რუსეთიდან ჩატანილი კლასიკური ცოდნა-განათლების საფუძველზე.

სტატიის ავტორი არკადი სოსნოვი შენიშნავს, რომ ეს კამათი ღიმილის მომგვრელია. თავად იგი გვთავათობს ახალ თავისებურ ვერსიას: ბალანჩინი დაიბადა რუსეთში და აქვე ჩამოყალიბდა როგორც ხელოვანი. ეს მოხდა რევოლუციისა და პოეზიის საუკუნეების მიჯნაზე.

„ბალანჩინი არის ჩვენი წვლილი მსოფლიოს კულტურაში“ - ასეთია მისი კატეგორიული დასკვნა. ამავე მოსაზრებას იზიარებენ თურმე ხელოვნებათმცოდნე სტუპნიკოვი და სხვა პეტერბურგელი ბალეტომანები. ბოლოთქმაში ა. სოსნოვი ახმოვანებს ასეთ მოსაზრებასაც - ჩვენს სასწავლებლებში, ვაგანოვას სისტემის სწავლებასთან ერთად, უნდა შემოვიღოთ ბალანჩინის ტექნიკის გაკვეთილები, მოვამზადოთ მოცეკვავეები მისი ქორეოგრაფიისათვის, რომელიც ასე ეხმიანება საუკუნის დინამიკას. ალბათ, ეს იქნება მორიგი თანმიმდევრული და ძალზე საჭირო ნაბიჯი რუსულ ბალეტში იმ დიდოსტატის დაბრუნებისა, რომელიც თავის თავზე ასე ამბობდა: „სისხლით ქართველი ვარ, კულტურით - რუსი, ეროვნებით პეტერბურგელი“, - ეს ერთობ უცნაური ინტერპრეტაციაა სოსნოვის მხრიდან - გენეტიკურად, სისხლით ქართველი, ხომ იგივე ეროვნებით ქართველია“

* * *

შორეულ ამერიკაში მოღვაწე ბალანჩინი არ ივიწყებდა თავის ეროვნულ ფესვებს, ასევე მეორე სამშობლოს - რუსეთსაც. იგი არაერთხელ ეწვია საქართველოს, სხვა ეროვნულ რესპუბლიკებსაც - რუსეთსა და უკრაინას.

როგორც მისი ძმა ანდრია სტატიაში „ჩემი ძმა - ჯორჯ ბალანჩინი“ წერდა, გენიალური ბალანჩინი მიწვევით ბევრ ქვეყანაში დგამდა სპექტაკლებს, ჰქონდა დიდი შემოსავალი. ეს თანხა უკლებლივ ხმარდებოდა საბალეტო ხელოვნების განვითარების საქმეს. მთელი ცხოვრება მან ბალეტს შესწირა, სხვა გატაცება მას არ ჰქონია.

1972 წელს ბალანჩინი ეწვია საქართველოს. მანამდე გასტროლები ჰქონდა კიევში, მოსკოვში, ლენინგრადში და თბილისში.

აქ, ფილარმონიის დიდ დარბაზში, მათ წარადგინეს ახალი და ძველი დადგმები. ბალანჩინს შეხვედრები ჰქონდა ხელოვნების თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეებთან, ამავე დროს გაეცნო თავისი ძმის - ანდრიას ახალ ბალეტს „მთების გული“. მას ძმისთვის უთქვამს: „მთელ ბალეტს არ დავდგამ, მისგან ავიღებ მუსიკალურ ნომრებს, ავიღებ აგრეთვე ნაწყვეტს სიმფონიიდან, შენს „ხორუმს“ ქალთა ცეკვად გადავაკეთებ და კარგ „ხარშოს“ გავაკეთებ“.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ბალანჩინის საბალეტო დასის ჩამოსვლა სამშობლოში, სადაც დიდ ხელოვანს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად მთელი თბილისის საზოგადოებრიობა დახვდა.

კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე იგონებს: „ბალანჩინმა, ქუთაისში, წინაპრების საფლავის ნახვა მოინატრა. გავყევით, მივიწყებული საფლავის ძებნაში კოკისპირულად გაწვიმდა. ბატონი ანდრია გვამხნევებდა, მოითმინეთ, მეგობრებო, ჩემი ძმა აპოლონი მოვა და მოიტანს ნამდვილ ხვანჭკარას. უკვე დაგვადგა ყარაული: ვინა ხართ თქვენ, ამ წვიმაში რომ დაბოტებთო. როცა გაიგო ჩვენი ვინაობა, იქვე, ვიღაცის საფლავზე მიგვითითა. ამასობაში გამოჩნდა აპოლონიც დოქით ხელში, რომელსაც საცობი ფუჩეჩი ავარდნოდა და წვიმა ჩადიოდა შიგ. დალიეთ, ამხანაგებო, კარგი წვიმიანი ღვინოო, გვითხრა. ძმის რეკომენდაციით ჯორჯმაც მორჩილად შესვა ორიგინალური ნექტარი.

რამდენიმე დღეში ძალიან შევეჩვიეთ და გამგზავრებისას გულაჩუყებულ მეგობრებად დავცილდით ერთმანეთს. შთაბეჭდილება ამ ფანტასტიკური ფერიისაგან ზმანებად შემოგვრჩა დღემდე“.

მოგონებიდან საგულისხმოა აგრეთვე მეორე მომენტი: თავის დროზე პოეტ ზომლეთელს ანდრია ბალანჩივაძისათვის უთხოვია, დაეწერა მუსიკა მის ლექსებზე. ალბათ, ელოდა რომანტიკულ, მღელვარე რომანსს და დაიწყო კითხვა: „ტყეს შიშიანს, უღრანიანს, გაუვლიანს, პირშავიანს...“ ბატონ ანდრიას მიამიტურად დაუსვამს კითხვა: „Откуда вы набрали столько армян“...

ჯორჯი პაპაშვილი

ჯორჯ ბალანჩინი

ამერიკელ ქართველთა შორის, გენიალური ჯორჯ ბალანჩინის გარდა, გამორჩეული იყვნენ მწერლები და ხელოვანი მოღვაწეები: სანდრო ნებლო (პაპუაშვილი), პავლე ჭავჭავაძე, მოქანდაკე ლადო გუჯაბიძე, ისტორიკოსი-მეცნიერი თეიმურაზ ბაგრატიონი და სხვ.

მათ შორის ცალკე უნდა გამოვყოთ მწერალი და მოქანდაკე გიორგი პაპაშვილი, რომელმაც იქ სახელი გაითქვა არა მხოლოდ სკულპტურებით, არამედ მეოცე საუკუნის 40-იან წლებში გახმაურებული წიგნით: „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

გიორგი პაპაშვილი წარმოშობით კახეთიდანაა, სოფელ კობიანთკარიდან.

დაიბადა 1898 წელს. ბავშვობა თავის სოფელში გაატარა. დაეუფლა ხელობას - უნაგირების კეთებას. ამ კონტექსტში გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი მისივე მონათხრობიდან: „პირველი მსოფლიო ომი ბობოქრობდა, ჯარში გაწვევა ჯერ არ მიწევდა, მაგრამ, რატომღაც, ომისკენ მიმიწევდა გული. ავდექი და ქალაქში ჩავედი. ვიპოვე ის ადგილი, სადაც საჯარო ბიჭებს იძახებდნენ. უფროსთან შევედი. ცოტა ხანს მოიცადეო. როცა სხვა იქ მყოფები ოთახიდან გავიდნენ და ჩვენ ორნი დავრჩით, ქართულად მკითხა: საიდან ჩამოხვედი და რა გინდაო. ვუთხარი, საიდანაც ვიყავი და თხოვნაც გავუმეორე. წამოდგა, მომიახლოვდა, ერთი ალიყული მაჭამა და შუბლშეკრულმა მითხრა: ნიკოლოზის ომში თავი რათ უნდა მოიკლა, შე მამაძაღლო, შენაო. ის არ კმარა, რომ იქ ქართველები იხოცებიანო. ახლა წადი და შენს სახლ-კარს მიხედეო, ეცადე, შენს საშობლოს გამოადგეო.

დავფიქრდი და მივხვდი, რომ ალალი იყო ის სილა ჩემთვის, - ასე დაამთავრა ამ ეპიზოდის თხრობა და უცხოეთში გადახვეწის პირველი დღეები გაიხსენა“.

1918 წელს ნიუ-იორკის ნავსადგურში პატარა ბერძნულმა გემმა ჩაუშვა ღუზა. მგზავრები ნაპირზე გადმოვიდნენ, მათ შორის იყო წარმოსადეგი ახალგაზრდა, რომელიც შორეული საქართველოდან ამერიკაში გადმოიხვეწა სამუშაოდ. მან ინგლისური არ იცოდა, ფულიც არ ჰქონდა, გზაში შეხარჯვოდა, ჰქონდა ხელობა - უნაგირების ოსტატობა. ამერიკაში კი ვის სჭირდებოდა ამ ხელობის ადამიანი?

...თხუთმეტი წლის ხეტიალის შემდეგ გიორგი პაპაშვილმა ცოლად შეირთო ამერიკელი მწერალი ქალი ჰელენ უაიტი, რომლის მზითევით მან პატარა ფერმა შეიძინა პენსილვანიის შტატში და მამა-პაპის ხელობას - ხვნა-თესვას მიჰყო ხელი, ამასთან ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას.

ჩვენმა თანამემამულემ და მისმა მეუღლემ ჰელენმა 1938 წელს დაწერეს რომანი, უფრო ზუსტად, ავტობიოგრაფიული ნოველების წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. ეს წიგნი ითარგმნა და მრავალჯერ გამოიცა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენებზე. 1950 წელს წიგნი შეტანილ იქნა ამერიკის რჩეული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში (ეს ბიბლიოთეკა შედგება ჯეკ ლონდონის, ჰემინგუეის, ფოლკნერის, ლონგფელოს, მარკ ტვენის, უილიამ საროიანის და სხვა გამოჩენილი ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებისაგან).

მოკლედ ამ წიგნის სიუჟეტური ქარ-

გისა და პოპულარობის შესახებ.

ნაწარმოები გვიჩვენებს მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის, გაფიცვებისა და უმუშევრობის რეალისტურ სურათებს, ამავე დროს - ქართველი ემიგრანტის მძიმე თავგადასავალს, სამუშაოს ძებნის მრავალი დაბრკოლების დაძლევის ფაქტებს, იმას, თუ როგორ ეგუება იგი ამერიკული ცხოვრების წესს. არც ქებას იშურებს, თუკი რაიმე მოეწონა ამერიკაში, ამავე დროს პირუთვნელად აღწერს იმასაც, თუ როგორ მიაღწია თვალსაჩინო წარმატებას - მხატვრული ლიტერატურისა და ქანდაკების შექმნის ხელოვნებაში.

რაც შეეხება ნაწარმოების პოპულარობას, იგი თარგმნილია მრავალ ენაზე და ითვლება ბესტსელერად. ამ წიგნის მიხედვით ამერიკელმა რეჟისორმა ჯორჯ სიტონმა ჰოლივუდში 1951 წელს გადაიღო კინოფილმი, რომელშიც მონაწილეობდა კინოვარსკვლავი ხოზე ფარერი. ტექნიკური დირექტორი იყო დიზაინერი ლადო (ვლადიმერ) ბიბიშვილი, მსახიობთა შორის გამოირჩეოდა ასევე ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე ფუტკარაძე. ასე რომ, ცოლქმარ პაპაშვილების ერთობლივ შემოქმედებით ნაშრომს, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ თვალსაჩინო პოპულარობა ხვდომია წილად არა მარტო ამერიკაში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც.

პირველი ნაწარმოების ასეთი განუზომელი წარმატება თვით ავტორებსაც არ მოსვლიათ ფიქრადაც. ერთი კრიტიკოსის თქმით, ეს მხატვრული ქმნილება ითარგმნა თხუთმეტ უცხო ენაზე - ჩინურის, იაპონურის და ურდუს ჩათვლით, ევროპული ენების გარდა ქართველმა მწერალმა გაამხიარულა და გულიანად აცინა ჩინელი და იაპონელი მკითხველებიც.

აღნიშნული წიგნი მრავალჯერ გამოიცა მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის წლებშიც. იგი უაღრესად პოპულარული საკითხავი წიგნი ყოფილა ამერიკელ ჯარისკაცთა და ოფიცერთათვის, სულ გამოსულა 600 000 ცალი, რაც იმ დროისათვის უმაგალითო მოვლენა ყოფილა.

ამან განაპირობა ისიც, რომ წიგნი იქცა ბესტსელერად და ჟურნალმა „ბესტსელერმა“ კიდევ მრავალათასიანი ტირაჟით გამოსცა ორი ათეული წლის შემდეგ. ცოლქმარმა პაპაშვილებმა ამერიკის საზოგადოება კიდევ ერთხელ განაცვიფრეს ახალი წიგნით, „შინ, კვლავ შინისაკენ“, რომელიც 1973 წელს დაიბეჭდა.

* * *

გიორგი პაპაშვილმა არა მხოლოდ მწერლური შემოქმედებით მოხიბლა ამერიკელი მკითხველი, არამედ იგი მალე წარსდგა მსოფლიოს წინაშე, როგორც ჩინებული მოქანდაკე, არა მხოლოდ ქვაზე, არამედ ხეზედაც. ამის შესახებ ერთ-ერთი გალერეის კურატორი წერდა:

„გიორგი პაპაშვილი გახლავთ ბუნებრივი და იშვიათი ტალანტი. არ შეუშლია რა ხელი იმას, რომ მას არ ჰქონდა ოფიციალური გაწვრთნა, მისმა ძლიერმა შეგრძნებამ ფორმებისა, იგი მიიყვანა პროფესიულ განვითარებამდე და ჩააყენა ჩვენი ყველაზე გამოჩენილი მოქანდაკეების რიგში“.

უპირატესად, მას ყველგან მოიხსენიებდნენ, როგორც ცნობილ მოქანდაკეს და შემდეგ მწერალს. ნეკროლოგში არაერთხელ ხაზგასმით წერდნენ: „პაპაშვილი გარდაიცვალა, ემიგრანტი საქართველოდან - გახდა მსოფლიოში ცნობილი სკულპტორი. გიორგი პაპაშვილი, რომლის ცხოველთა ქვის ქანდაკებებმა სიყვარული მოუტანა ბავშვებს, გარდაიცვალა ამ ქვეყანაში 55 წლიანი ცხოვრების შემდეგ, განახორციელა რა ის, რასაც შეიძლება ეწოდოს „ამერიკული ოცნება“.

მხოლოდ ამის შემდეგ ეხება ნეკროლოგის ავტორი მოთხრობას „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“... ჯორჯ პაპაშვილმა დატოვა ისეთი მარადიული რამ, როგორიცაა მისი ქანდაკებები. ჩვენ მან გვასწავლა ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა მეგობრობისა, პატიოსნებისა, პირდაპირობისა“. ყოველივე ზემოთ ფრაგმენტულად თქმული არის დიდებული შეფასება მისი, როგორც უბადლო პიროვნებისა და ხელოვნისა.

მისი ქანდაკებანი გამოფენილი ყოფილა მრავალ საზოგადოებრივ დაწესებულებაში, ბიბლიოთეკებსა და უნივერსიტეტებში, გალერეებსა და მუზეუმებში. მათ სპეციალისტებისაგან დაუმსახურებიათ მაღალი შეფასება, ერთ-ერთი თაყვანისმცემელის აზრით, „მისი ნამუშევარი უბრალოდ, საუცხოო და ჩინებულია, რომლითაც დატკბება მომავალი თაობები. მე არასდროს მინახავს ბავშვები, რომელნიც აღტაცებული არ ყოფილიყვნენ მისი (პაპაშვილის) ნაშრომით.“

ამერიკაში მცხოვრები მწერალი გივი კობახიძე თავის სტატიაში „ბუნების მოტრფიალე“ მარჯვედ და მოხდენილად ავლებს პარალელს ვაჟა-ფშაველასა და პაპაშვილს შორის, უწოდებს რა მათ ბუნების ტრფიალთ და მეხოტბეთ.

იგი წერს: „ვაჟა-ფშაველა ბუნების მოტრფიალე იყო და ამიტომაც გენიოს მწერლად ჩამოიქნა. გიორგი პაპაშვილი ბუნების ტრფიალი იყო და თუ ფშაველი ხეებს, მცენარეებს ალაპარაკებდა, მთიელმა გიორგიმ ცივი ქვები აამეტყველა. ამდენად, ისიც გენიოსთა წყებაში მოექცა...

ჩარგალი და კობიაანთკარი შორი-შორს ხომ არ არიან ერთმანეთისაგან?

ბუნების ტრფიალში კი, ეს ორი მთიელი ქართველი, ტოლნი არიან.

სიმონ არველაძე

სუ ცეტები მყვანან, ქმარიც და შვილებიც. რაც მაგათ არ გააკეთონ, ის უნდა გაგიკვირდეს. ჩემმა პატიოსანმა ქმარმა, მე რომ მომიყვანა, იმ წელიწადს ხარი შეღება, ერთი წითელი ჰყავდა, ერთი თაფლა, ორივე კოლექტივისები. ჩვენაო წითლები ვართო, წითელი ხარები უნდა მყავდესო, და წავიდა, იორმუღანლოში ჩავიდა, თათრის მოლა იყო ერთი, იმას გამართვა სალებავი, თათრები წვერებს იღებავენ იმით, ამოიტანა და შეღება ის თაფლა ხარი. მერე, დიდი ბიჭი რომ გამიჩნდა, შალიკო, თხა გაწურთნა, ორ ფეხზე დააყენებდა, დაუძახებდა, ჩემი სულელი ვინ არიო, და თხაც უპასუხებდა, - მეეო. თან მეე-მეეს იძახდა, თან აეგრე სიმრგვლივ დადიოდა და ხალხს თავს უკრავდა. კოდალები ჰყავდა, ტყეში, ფულუროში ენახა პატარა ბღარტები, ისე შეიჩვია, დადგებოდა შუა ეზოში, - კული-კულიო, - და შეაფრინდებოდნენ აქეთ-იქიდან ოთხნი. ფრონტზე რომ სახედრებს კუდზე ქვასა ჰკიდებდნენ, არ იყროყინონო, ეგეც ჩემი ქმრის მოგონილია.

დიდმა ბიჭმა, შალიკომ, ომიანობას მარხილში ძაღლი შეაბა და იმით ეზიდებოდა ლავჯეაურიდან შეშას. პატარა კიდევ, ამირანა, - ვიღაცას ეთქვა, მშიშარა ხარო, - და მთელი ზაფხული ნათლიმცემლის ნანგრევებში იძინებდა. ორმოცდაცამეტში, სტალინი რომ მიიცვალა, გორში წავიდნენ ექსკურსიაზე, იქიდან რომ დაბრუნდნენ, ცხინვალელი გოგო ჩამოგვგვარა. რა უნდა გვექნა, ვიყავით გამტკნარებულები. ბრიგადელს ეთქვა ჩემი პატიოსანი ქმრისთვის, რა ჩუმადა ხართ, ხალხო, პატარძალი ხომ მოიყვანეთო! ჩუმადაო! გაიტანა ჩემი მზითვის დიდი სპილენძის ტაშტი ჩემმა ქმარმა და დაკა! - ეგეთი ბრახუნი აუტეხა, ქალაქში ჩავიდოდა იმისი ხმა, - ეხლა ხომ გაიგონეთო.

- ენაც ფინთი აქვთ სუყველასა. ჩემი ქმარი იყო, რაინინდან გადმოსულ კაცს რომ ჰკითხა მინდორში, - ვინა ბრძანდებითო. მომაგრებული ვარო. აბა, შვილო, თუ ეგრეა, მე მოფამფალებული ვარ და თოხი შენ გამომართვი, მე ცოტას წავუძინებო. მაგაზე გადაგვეკიდა თავმჯდომარე, ხე-ტყის დამზადებაზე გაგზავნა და კინაღამ მოინელა კიდეც. მორი დაეცა მარცხენა ფეხზე და ძვალი მარილივით გადაუმტვრია. სახედარი მაგისათვის გაიჩინა, სახედარი და ტაჭკა, დაჯდებოდა იმ ტაჭკაზე და იმით დადიოდა ვენახი იყო თუ რა იყო. ხო ფეხს ძლივს დაათრევდა, სიცეტეს მაინც არ იშლიდა. ხრუშჩოვობას, სახედრები რომ დაიძახეს დამზა-

ცეტები

რეზო ინანიშვილი

დებაში, რაიკომის მდივანთან მივიდა და უთხრა, - ეს სახედარი მთელ ოჯახს აცხოვრებს, მე არაფერში ვვარგივარ, მაგის მაგივრად მე ჩამბარეთო. რაიკომის მდივნის თანმხლებლები გაცეცხლებულან, - დაიჭირეთ ეს მამაძაღლიო, რაიკომის მდივანს კიდევ გასცინებოდა და გამოეშვა ჩემი ქმარიცა და სახედარიცა. ის სახედარი მერცხალა იყო, ის რომ მოგვიკვდა, - რა ვიცი, რა შეჭამა იმ უბედურმა, - ჩემმა ბიჭებმა დეპეშები აფრინეს ძმაკაცებთან, - მერცხალა დაგველუპა და გვეწვიეთო, პატივი გვეცითო. ისეთი ქელეხი გადაიხადეს, ზოგი კაცისთვის არ დახარჯულა ეგრე. ლავაში უყვარდა საწყალსაო, სულ თხელი ლავაშები დამაცხობინეს.

მეორე, ის საქვეყნოდ გასახელებული სახედარი, მერცხალას მერე მოიყვანეს კახეთიდან. ვერ ვიტყვი, იქვე ერქვა, კახეთში, თუ ჩვენებმა დაარქვეს, შახოს ეძახდნენ. იყო ეგ საცოდავი შახოც თავჩაღუნული მშრომელი, ცამეტი წელიწადი გვემსახურა უსაყვედუროდ, ხანდახან მარტო წალამზე გადასული. სხვა რომ არაფერი ჰქონდა, წალამსა სჭამდა. ბიჭები მაშინაც მანქანებზე ისხდნენ, ერთი დიდ მანქანაზე, მეორე - თავმჯდომარის კოლხოზნიკზე. მაინც იმ საცოდავ შახოს ედგა ჯაფა. ვენახი და შინ, შინა და ვენახი, ჭალა და მაღაზია, მაღაზია და წისქვილი. არ დაიჯერებთ და, ბოლოს გაჭაღარავდა, ცხვირთანაც გაჭაღარავდა, წარბებთანაც. მერე, შალიკომ, დიდმა ბიჭმა, პობედა იყიდა, პობედამდე მოსკვიჩი გვყვანდა, წითელი, ადგნენ და ის მოსკვიჩი სავენახედ გადადეს, სავენახედო და ჩემ პატიოსან ქმარსაც ასწავლეს შოფრობა. რაკი იმანაც ისწავლა შოფრობა და იმ მოსკვიჩით დაბრძანდებოდა, შახო განთავისუფლდა. შახოს რაღა ვუყოთო! შეგროვდა სამი გიჟი ერთად, დასხდნენ, დაიწყეს თათბირი. - შახოს პენსიაში გასვლა ეკუთვნისო, - ჩემმა პატიოსანმა ქმარმა, - ხო სულ თავდადებული იყო საქმისათვის, ეხლა ერთი კაი გაცილება მოვუწყოთ და გავუშვათ თავისუფლადო. - რა მამა გვყავხარ, რა მამაო! - ეცნენ ბიჭები, ასწიეს მაღლა, შემოატარეს ეზო და გადაუშვეს ლობიოს ნარჩევში.

იმან ხომ მარტო ეს თქვა, ჩემმა პატიოსანმა ქმარმა, თავისუფლად გავუშვათო, ბიჭებმა მედოლე და მეგარმონე მოიყვანეს, ჩააბეს შახოს წითელი ლენტი, დაჰკიდეს კონსერვის ყვითელი სახურავი, ვითომ დიდი მენდალი, დააყენეს ის მედოლე და მეგარმონე, დააკვრევინეს საგზაო, გაუღეს პობედის კარი შახოს, მიიპატიჟეს,მობრძანდით,ბატონოო. სახედარი ნებით რას შევიდოდა, მაგრამ თან მოფერებით, თან მუჯლუგუნებით, ძალით შეჭყუნეს შიგ, თავი მარჯვნივ გააყოფინეს, თავიც და წითელ ლენტზე დაკიდებული კონსერვის სახურავიც. მეცა ვწყევლი, ჩემი რძლებიც, - გზის მიმუნებო, სოფლის მასხარებო-მეთქი. ისინი კიდევ აქეთ გვადებენ ვალს, - ეგრე უნდა მადლის დაფასება?! ცამეტი წელიწადი რომ მაგან გვატარა, ერთხელ ჩვენ გავასეირნოთ, სამშობლო ვაჩვენოთ, იქნებ რა გულით უნდა იქაურობის ნახვაო! ჩასხდნენ - პობედაში დიდი ბიჭი შალიკო და ჩემი პატიოსანი ქმარი, მოსკვიჩში - პატარა, ამირანა, შალიკოს ბიჭი შოთა, მედოლე, მეგარმონე და ერთიც სართიჭალელი ბიჭი, ამირანას ძმობილი, დაუკრეს მედოლე-მეგარმონემ გამოსამშვიდობებელი, მთელი სოფელი ჩვენ თავს არი. დაიძრნენ და წაიყვანეს ეგრე - ყროყინ-ყროყინით, სიცილ-ხარხარში ის საცოდავი. მისდევენ უკან სხვებიც მანქანების პიპინით. დაედევნა ჩვენი ინსპექტორიც, რასა ოინბაზობენ, რო ოინბაზობენო, მაგრამ ცოტა ხანში უკან მობრუნდა სიცილით, - რაღა მე ვაწყენინო, ბარემ სხვებმა დაიჭირონ, კახეთში ეგრე ხომ ვერ ჩავლენო.

იმ კახეთში კიდევ, სოფლები ხომ სოფლებზეა გადაბმული, აძლევენ ზეიმის სიგნალებს; გააქვს დოლსა და გარმონს დასტიბუბუ, ერთმანეთს აწყდება გზებზე გამომდგარი ხალხი, ჩვენი ცეტები კი სხედან და მიდიან. საცა დუქანი დახვდებათ, ჩამოვლენ, ფეხს გაშლიან, დაილოცებიან, იმ საწყალ შახოს ხან ხინკლებით გაუმასპინძლდებიან, ხან ტკბილეულით. მისდევს კახეთის მუქთაობა ჯელგად.

ერთ ინსპექტორს მოუნდომებია ნომრების ახსნა, მაგრამ ხალხს არ დაუნებებია, შენაო, ქუდი ხო არ გიჭერს, აბა, თითი შეიყავი რკალშიო. ჩასულან ესე იმ სოფელში, სადაც შახო იყო ნაყიდი, მიიყვანეს სწორედ იმ ვერხვთან და წყაროსთან, სადაც ფული ჰქონდათ დათვლილი შახოში, გადმოუყვანიათ მანქანიდან, გაიხარაო, გაიხარაო, - თურმე რომ დააღო პირი და ამოუჯდა გული, სუ ღაპაღუპით სდიოდა ხალხს ცრემლიო.

გამოსულან იმსოფლელები, ისინი უარესი ცეტები, ადრინდელი პატრონები, იმისი ბიჭები, გაუშლიათ იქვე, ვერხვის ქვეშ სუფრა, ღვინო ჰქონიათ, ღვინო, რომ ჰა! უსვიათ, უთამაშნიათ, ქალებიც უთამაშებიათ, მადლობის წერილი მიუციათ თავმჯდომარისთვის ბეჭდით, - პირუტყვის კარგი მოვლისთვის. ისევ ჩაუსვამთ შახო მანქანაში და იქიდან გომბორზე წამოსულან, ამოსულან მაღლა უღელტეხილზე. იქ ერთი მენახირე შეჰხვედრიათ, - ესეა და ესე საქმე, მოდი, ეს სახედარი შენს ნახირს ააყოლე, იყოს, იბალახოს და ჩვენზე იქნება, ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, ჩვენთან არაფერი დაგეკარგებაო. იმასაც, იმ მენახირეს, რომ უნახავს, რა ოხრებიც იყვნენ, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთო, გაუშვია მუხლამდე ბალახში. გადმოსულან მედოლე და მეგარმონე, დაუკრავთ გამოსათხოვარი; იმ მენახირისთვისაც დაულევიანებიათ, ფულიც მიუციათ, დაუკრავთ ერთხელაც და წამოსულან.

შინ რომ მოვიდნენ, ისევ დაგვეცა მთელი სოფელი. ჩვენ ხომ გზაში ვერ დავლევდით, დედი, შალიკომა და ამირანმა, აბა გაშალეო, გავშალე მეც, რაც კი მოგვეძევებოდა, იქეიფეს, იმღერეს, იმ ღამეს კიბეზე დაგორდა ჩემი პატიოსანი ქმარი და კინაღამ მეორედ მოიტეხა ის მოტეხილი ფეხი. დილით კანტორაში დაიბარეს ყველანი, - რა ამბავში ხართ, ამხანაგებო, თქვენაო. მაგრამ, რა გინდა, რა! რაც ჩემები არიან, ისიც ახალი თავმჯდომარე გვყავს, სუ პირი ღია აქვს, გაზეთში გაგწერთო, მაგრამ არც გაზეთში გაუწერიათ, არც არაფერი, სუ წვრილად შერჩათ მაიმუნობა.

განა მარტო ეგა? ძაღლი გვყავს ერთი, ფინთი, ფინთი, რომ ნაზუქსაც კი არ გეახლებათ მშრალად. ის ძაღლი ჩაუვარდა მანქანას თვლებში, გადარჩა, მარტო კუდი გაეჭეჭყა ცოტა. ამაზეც მაღარიჩი გვეკუთვნისო, და კლარნეტით იქეიფეს დილამდე, ძაღლიც სულ სუფრასთან ჰყავდათ, სუფრაზე წინაფეხებჩამოწყობილი, თამადა ჩემი პატიოსანი ქმარი იყო. სამოცდასამი წლისა. შალიკო უნდა დაეჯილდოებინათ, ტრაქტორზე და კომბაინზე მუშაობს ეხლა, მაგრამ ემაგნაირი სიცეტეებისთვის აღარ დააჯილდოეს, არც შალიკო, არც პატარა, ამირანა.

კახელებზე ხომ წელან გითხარი, მაგათზე უარესები ქართლში ყოფილან. ცხოვრება მოსდევთ და იმისთვისა. აი, კუჭი უნდა უხმებოდეთ შიმშილითა და მაშინ ვნახოთ, როგორც იცეტებენ თავიანთ ნებაზე.

ამას წინათ, შალიკოს ბიჭს, შოთას, სამი ფუთი პამიდორი გავატანეთ ქალაქში გასაყიდად და მტკაველნახევარი აისორი პატარძალი მოგვგვარა, – ეს მომივიდა იმ პამიდვრის ფასადო.

მეშინიან, შვილო, ეხლა ესე ვლაპარაკობ და გული-გულში რაღაცა ძალიან მეშინიან. მეჩვენება, რომ გამუდმებით ვიღაცა გვითვალთვალებს ბოროტი თვალით, თან გვითვალთვალებს, თან პირზე ხელს იფარებს, რომ ღიმილიც კი არ დავინახოთ იმისი ჩვენა.

ღვთისმშობელო დედავ, შენ დაგვიფარე შენი კეთილი კალთითა!



ჯემალი აჯიაშვილი

მეცადინეები

ჯემალ აჯიაშვილი სულ სხვადასხვა ვითარებაში მახსოვს. მის არაერთ საღამოს დავსწრებივარ, ლხინის სუფრასთანაც არაერთხელ გვისაუბრია, კოლეგებიც ვიყავით და თანამშრომლებიც, ბიჭვინთის მწერალთა სახლში მთარგმნელთა სემინარსაც ერთად ვესწრებოდით. ფოტოც მახსენდება, სადაც ასევე ერთად ვართ აღბეჭდილნი - მე, ჩემი მეგობარი თამაზ ბაძაღუა და უფროსები - ჯემალ აჯიაშვილი და თამაზ ჩხენკელი. სამწუხაროდ, დღეს არცერთი მათგანი ჩვენთან აღარ არის.

ჯემალი საინტერესო მოსაუბრე იყო. არ უყვარდა მენტორული ტონი და პათეტიკური, თავაწეული საუბარი. თავმდაბლობა და იუმორი სხვათაგან გამოარჩევდა. თუ კარგად დააკვირდებოდი, მის არსებაში აღძრულ ნაღველსაც შეატყობდი და ამაოებათა ამაოების შეგრძნებასაც. სიტყვაუხვი არ ყოფილა, თითქოს ბოლომდე ყველაფრის თქმას ერიდებოდა და დუმილს ამჯობინებდა. არადა, ისიც ეტყობოდა, რომ ბევრს ფიქრობდა და უკვე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი. მისი ყოველი შენიშვნა ამ ხანგრძლივი ფიქრის ნაყოფი იყო.

მახსოვს ერთხელ ლიტერატურაზე საუბრისას ერთმა ლიტერატორმა უთხრა: ხოდასევიჩი მაინც ვერ შესწვდება მანდელშტამსო. ამაზე ჯემალმა მოკლედ უპასუხა: „ნუ ვიტყვით ასე“. ეს წყნარი პასუხი ძალიან მომეწონა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ უკვე ვთარგმნიდი ხოდასევიჩს, არამედ იმიტომაც, რომ ყოველ ნიჭიერ პოეტს თავისი უნიკალური ნიშანი აქვს და ეს სძენს მას მნიშვნელობას. ასეა ხოდასევიჩიც.

ჯემალი ოდნავი წამღერებით წარმოთქვამდა თავის თარგმანებს. მახსოვს მოშე იბნ ეზრას ლექსი:

„სებიაო, სებიაო,
გაღმა ბნელი გზებიაო!..
მოგირთვია სხვათა მდელო,
მოგინარგიზებიაო“.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთარგმნელისთვის ბგერწერული ჟღერადობა, ბგერწერულ-რიტმული რხევა, ჟღერადი რითმა ანიჭებდა პოეზიას აზრს. ასეც იყო. ებრაული პოეზიის მისტიკური მუსიკალობა ჯემალის სულის მოძრაობას ემთხვეოდა. ეს მისი გულისცემის, მისი სუნთქვის რიტმი იყო, ამიტომ მისეული დეკლამაცია შთამბეჭდავად გადმოსცემდა ავტორის ღაღადისს.

ჯემალმა ბევრი რამ თარგმნა. ცხადია, ის სრულიად გამორჩეულ პოეტებს თარგმნიდა. მრავალფეროვანია ის სამყარო, რომელიც მისი მეშვეობით ქართულ ენაზე ამეტყველდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დიამეტრულად განსხვავებული პოეტების თარგმნა თავისებურ სიძნელეს ქმნის. ვთქვათ, ებრაული პოეზიისგან სავსებით

განსხვავებულია ვლადიმირ მაიაკოვსკის პოეზია. ჯემალ ავჯიაშვილის თარგმანი ლექსისა „საიუბილეო“ მართლაც რომ სანიმუშოა სისადავით და სიმკაცრით, მაიაკოვსკისეული ვირტოზული რითმით, რაც ქართულში ოსტატურად არის გაშლილი და გადმოტანილი.

ახალგამოცემული ჯემალ ავჯიაშვილის 100 ორიგინალური ლექსი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სალექსო ფორმის ავტორისეულ ფლობას. ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ ხოლმე იმის თაობაზე, თუ რა ხარისხით ფლობს პოეტი ლექსის ფაქტურას, მის მხატვრულ ინვენტარს. ამგვარი ფლობა პროფესიული დონის მაჩვენებელია. და თუმცა ჯემალი თავის თარგმანებში პროფესიულ ოსტატობას მოჭარბებულადაც ამჟღავნებდა, მკითხველს მაინც გაუჩნდება სურვილი მისი ორიგინალური შემოქმედების იმავე ნიშნით მოსინჯვისა.

ჩემი აზრით, ჯემალის ლექსებში მისივე თარგმანებიდან ბუნებრივად გადავიდა ფრაზეოლოგია, მეტყველი რითმა, ღაღადისის ინტონაცია. „100 ლექსში“ თავმოყრილი სონეტები თითქმის იმავე ამაოებათა ამაოების განწყობით არის შეფერილი, რითაც ებრაული პოეზია გამოირჩეოდა. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჯემალი ბოლომდე არ გამოსულა თარგმნილი ავტორების თვალსაწიერიდან, ის თითქოს მიჰყვება იმ ინერციას, რომელსაც შუა საუკუნეების და აღორძინების ხანის პოეტები ქმნიან. ასე გზადაგზა იქმნება მისი საკუთარი ლირიკა, სადაც ავტორი ძალდაუტანებლად თამაშობს უკვე თარგმნილი პოეტების ალუზიებით და რემინისცენციებით. ოღონდ ეს მისი განწყობაა, მისი რეალობაა, რომელშიც გარესინამდვილეც ირეკლება და წიგნიერი სამყაროც. აი, ვთქვათ, პოეტი წერს სონეტს შიშზე. და მაშინვე თავს იჩენს ბიბლიური მოტივები ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მწიგნობრულ რეალიებს ემპირიული რეალობა გადაენასკვება:

„შიშით ჩამკვიდრდა კიდურებში
ზამთრის სიზანტე,
შიშმა აოტა კაენიდან მოდგმა აბელთა,
შიში ჩაგითრევს, უმსგავსობას
ვიდრე იზამდე,
და ჯამბაზივით ჩაგაოთხებს
ჩამწყდარ საბელთან“.

სონეტის ეს სტროფი თავისთავად მეტყველებს იმ სიმბიოზზე, რომელიც ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად არის დამახასიათებელი პოეტი - მთარგმნელებისთვის.

ბორის პასტერნაკი ამბობდა, რომ ორიგინალის მსგავსად, თარგმანი სიტყვიერების ნიმუშის კი არა, ცხოვრების ცხოველმყოფლობის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდესო. ამის მიღწევა ძნელია. ვთქვათ, პასტერნაკის მიერ თარგმნილი ბარათაშვილის ლექსებიდან, ამ ნიშნით ყველაზე გამორჩეულია თარგმანი ლექსისა „ცისა ფერს“.

ჯემალ ავჯიაშვილის თარგმნილი ებრაული პოეზია, პეტრარკას და მიქელანჯელოს სონეტები ისეთივე ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, როგორც მისი ორიგინალური ლექსები. ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით განსხვავება აქ მინიმუმამდეა დაყვანილი. და თუ არსებობს განსხვავება, ალბათ იმ ნიშნით, რომ ებრაული პოეზიის მეტრულ-რითმული სტრუქტურა უფრო მრავალფეროვანი, უფრო ჟღერადი და პათეტიკურ-ზეაწეულია, ვიდრე ორიგინალური ლექსებისა. ეს განაპირობებს არქაული სიძველის მძაფრ შეგრძნებას და მუსიკალობის უფრო მრავალფეროვან სპექტრსაც. ეს მუსიკალობა, რომელიც საუკუნეების წიაღიდან მოედინება, მთარგმნელმა თითქოს სხვა ინსტრუმენტზე, სხვა, „ქართული ენის ქნარზე“ გადაიტანა თუ გადააწყო. რთული ოპერაცია კი მან თავისი პიროვნულ-ინდივიდუალური სულიერი ძალების დაძაბვით შეძლო. ძალისხმევა უპირველეს ყოვლისა ქართული ენის ფლობაში მჟღავნდება. მახსენდება პოლ ვალერის ნათქვამი: „მწერლობა სიტყვიერი ხელოვნებაა. უკეთესია ის, ვინც უკეთ ფლობს თავის ენას“.

ამ ფლობამ გადაწონა ყოველივე, როგორც უკვე ვთქვი, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ჯემალმა უკვე საკუთარ ლექსებში გვერდით გადადო დედნები. მხოლოდ „დედანი“ მაინც დაიტოვა - რეალობა, თავისი პიროვნული სამყარო, ბედისწერა და შემოქმედებითი თხზვა განაგრძო. უცნაური ის არის, რომ ფიქრის ინტონაციის აღმძვრელ მჭიდრო ფრაზეოლოგიასთან ერთად ორიგინალურ შემოქმედებაში ამაოების განწყობაც გადმოვიდა. მინდა მოვიყვანო ერთი ძალზე შთამბეჭდავი სონეტი:

„ძზის მიწურვისას ეგეოსთან
იჯდა ფილონი,
ცხრებოდა ზღვა და მეზღვაურებს
ტკბილი და ნავსი ხმით იზიდავდნენ
ჯადოსნური სანაპირონი
და ანგელოსი ნანაობდა
ზურმუხტის ნავში
სადაფის მოებზე იღვრებოდა
უცხო მირონი
და მგელს, რომელიც სატრაპეზოდ
პატარა ფარეხში დავსვი,
ცხოვართან საძმოდ განაწყობდა
ცა - საფირონი
და ტყისპირ თიკნებს აძოვებდა
პატარა ბავშვი,
მახსოვს სხვა ხილვაც, -
აქერონი, კუშტი ქარონი,
ქარონის იქით -
წყარონი და სხვა სამყარონი,
ქარი, რომელიც ლეგენდებში
დღემდე ხორხოცებს,
ოდესმე ამ ზღვას სხვანაირი
ჯადოთი კრავდა,
გაუძლო სულმა გამუდმებულ
მეტამორფოზებს, -
უცვლელად დარჩა მეტაფორა
მგელთა და კრავთა“.

ამ სონეტში ავტორი მარადისობას უსწორებს თვალს. მარადისობაში უცვლელია ბუნების მოვლენები - ქარის ქროლვა და ზღვის ღელვა, ამ მოვლენათა ხმიერება, ცხადია, ლეგენდებშიც არის გადასული და მითებშიც. ბუნება მარადიულია და უცვლელი, კულტურას კი ადამიანი ქმნის და ამიტომაც ცვალებადია. ცვალებადია თვითონ ადამიანიც, რომელიც კულტურის წიაღში ცხოვრობს. განსხვავებულია, ვთქვათ რენესანსის ადამიანი შუა საუკუნეების ადამიანისგან და ა.შ. მაშასადამე, არსებობს მეტამორფოზები („გაუძლო სულმა გამუდმებულ მეტამორფოზებს“), მაგრამ პარადოქსთა სფეროს უნდა მივაკუთვნოთ ის, რომ ამავე დროს არსებობს კულტურის უცვლელი გამოხატულებები. ასეთია, ვთქვათ, მეტაფორა „მგელთა და კრავთა“. მართალია, ეს მეტაფორა სხვადასხვა დროშია გამოყენებული და ცვალებადია კონტექსტი, მაგრამ თვითონ მეტაფორის შინაარსი უცვლელია. ჯემალ ავჯიაშვილის სონეტიც ამ პარადოქსულ ვითარებაზეა აგებული: კულტურის წიაღში კონკრეტული მეტაფორის უცვლელობაზე.

100 ლექსად გამოცემული სონეტები ერთ რომელიმე ისტორიულ ეპოქაზე, ძეგლზე ან წერილობით პირველწყაროზე არ არის მიჯაჭვული. არც შეიძლება რომ იყოს, რადგან ასეთი გარშემოწერილობა ორიგინალური შემოქმედების გახსნილობას შეაფერხებდა. როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ჯემალმა ებრაული პოეზიაც კი თავის „ხმის ტემბრს“, თავის ქართულ ფრაზეოლოგიას, ქართულ ენას, „ქართულად სტრუქტურირებულ“ სამყაროს შეუთანადა და, მითუმეტეს, შეუძლებელი იქნებოდა ორიგინალურ შემოქმედებაში ისეთი საზღვრები დაეწესებინა, რომელიც ლირიკულ გზნებას და საძრაობას შეზღუდავდა. იქნებ ეს ზოგადი განსაზღვრება იყოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: სონეტების ციკლში პოეტი ფიქრობს მარადიულობაზე და იმ წარმავალი დროის მონაკვეთზე, რომელიც განგებამ განუწესა ადამიანს.

ჯემალ ავჯიაშვილის სონეტებში ბიბლიურ-ფილოსოფიურ რეალიებს ორგანულად ეთავსება საქართველოს ისტორიის რეალიები. ამ ციკლში რუსთაველის და გურამიშვილის პერსონაჟებიც წარმოჩნდებიან. მრავლისმეტყველია ტოპონიმიკაც - ქალდეა, ითაკა, ფაზისი, მარტვილი, ქუთაისი, კარალეთი და ა.შ. მაგრამ მთავარი მაინც პოეზიაა - ისტორიის გადასახედზე მდგარი ადამიანის დამნახველი თვალი და მისი ღრმა განცდა.

ანდრო ბუაჩიძე

ეს შენი ტელევიზიაა

TVOYO

www.tvoyo.tv

საუკეთესო ხარისხი ფასად

160+ 160 არხზე მეტი

HD HD ხარისხი

გადახვევა არქივი

ინტერაქტიული მენიუ

მსოფლიოს ნებისმიერ ნერტილში ჩართვა

ვიდეოთეკა

1 წელი	1 თვე	6 თვე	1 წელი
ყოველთვიური გადახდა	ნინასწარი გადახდა	ნინასწარი გადახდა	ნინასწარი გადახდა
25 $	30 $	120 $	215 $
+45$ STB	+45$ STB	+30$ STB	+25$ STB
სულ 95$	სულ 75$	სულ 150$	სულ 240$
პირველი და ბოლო თვე			

საუკეთესო ხარისხი ფასად

24 საათიანი მომსახურება

1 800 563 7705
1 347 462 1924
1 347 748 0459

DAVID TVILDIANI MEDICAL UNIVERSITY
DTMU
გამოტოვე
კოლეჯი!
სკოლიდან
- პირდაპირ
უნივერსიტეტში
დავით ტვილდიანის
საქმიანი უნივერსიტეტი
გთავაზობთ
უმოკლეს და ყველაზე
ხელმისაწვდომ გზას
ამერიკაში ექიმობისკენ
200-ზე მეტი ჩვენი
კურსდამთავრებული
უკვე მუშაობს ექიმად ამერიკის
და ევროპის წამყვან კლინიკებში
ეწვიეთ • www.dtmu.edu.ge
დაგვიკავშირდით • fr@dtmu.edu.ge

რედაქტორი მანუჩარ კაჭახიძე

მოგვწერეთ: PO Box 13121, Jersey City, NJ 07303

ტელ.: 1-347-724-0770; **თბილისიდან:** 2-420-320

ელფოსტა: mamuliusa@gmail.com; www.mamuli.com